

ნაზი ალხანაშვილი

ეკოლოგიური ტურიზმი

16 90

ISBN 978-9941-17-776-7



9 789941 177767

ნაზი ალხანაშვილი

ეკოლოგიური ტურიზმი

მეორე გადამუშავებული გამოცემა



გამომცემლობა „ჯინვასალი“
თბილისი 2012

სახელმძღვანელო "ეკოლოგიური ტურიზმი" მომზადდა ეკოლოგიური ტურიზმის სფეროში არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურული წყაროების საფუძველზე. სახელმძღვანელოში განხილულია ეკოტურიზმის როლი პლანეტის ბუნების შენარჩუნებასა და ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციაში, ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების კავშირი, ეკოტურიზმის წარმოქმნის წინამძღვრები და განვითარების ტენდენციები, ეკოტურიზმის საბაზისო პრინციპები, ძირითადი ლანდშაფტური ზონების ეკოსისტემები.

სახელმძღვანელო შედგება 15 თავისა და 49^ი ქვეთავისაგან. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია საკონტროლო კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოების შესასრულებლად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის, აგრეთვე ტურიზმის სფეროს მუშაკთათვის და ტურიზმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

მაია უკლება

რეცენზენტი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტურიზმის ექსპერტი

ნიკო კვარაცხელია

© ნ. ალხანაშვილი, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯავახიძის ზაფხ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-776-7

შინაარსი

შესავალი 6
ძირითადი ეკოლოგიური ცნებები..... 10

თავი 1. პლანეტის ბუნების შენარჩუნების პრობლემა და ეკოლოგიური ტურიზმი 18
1. 1. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები..... 19
1. 2. ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების კავშირი 24
1. 3. წარსულის და მომავლის ეკოლოგიური კრიზისები..... 27

თავი 2. ეკოტურიზმის წარმოქმნის წინამძღვრები და თანამედროვე მდგომარეობა 31
2.1. ეკოტურიზმის წარმოქმნა და განვითარება 33
2.2 ეკოტურიზმის განსაზღვრა და ძირითადი პრინციპები 37
2.3. ეკოტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენდენციები 41
2.4. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია 44
2.5. ეკოტურიზმის ბაზრის ზრდის დინამიკა 47

თავი 3. ეკოტურიზმის რესურსები 50
3.1. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების გლობალური ქსელი ... 53
3.2. დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და ტურიზმი 54
3.3. ეროვნული პარკები 56
3.4. საქართველოს დაცული ბუნებრივი ტერიტორიები 59
3.5. ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის ორგანიზება და ცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე 63

თავი 4. ეკოტურიზმის ძირითადი ფორმები 73

თავი 5. ეკოტურიზმის მსოფლიო რეგიონები 84
5.1. აფრიკა 84
5.2. ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა 87
5.3. აზია 91
5.4. ევროპა 94
5.5. ავსტრალია, ოკეანეთი 96

თავი 6. დედამიწის სფეროს ძირითადი ფორმაციების დახასიათება 99
6.1. ცივი არქტიკული უდაბნოების და ტუნდრების ეკოსისტემები..... 99
6.2 ზომიერი განედის ტყის ზონის ეკოსისტემები 101

6.3. სტეპების ეკოსისტემები	102
6.4. უდაბნოს ეკოსისტემები	105
6.5. მეჩხერი ტყეების და სავანების ეკოსისტემები	107
6.6. ტენიანი ტროპიკული ტყეების ეკოსისტემები	108
6.7. ოკეანეების ეკოსისტემები	109
+ თავი 7. ეკოტურისტული პროდუქტი	112
7.1. ეკოტურისტული პოტენციალი	112
7.2. ცნობები დესტინაციაზე	116
7.3. ეკოტურისტული პროდუქტის განსაზღვრა და ფორმირება	121
7.4. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ტურისტული პროდუქტი	125
7.5. თანამედროვე ეკოტურისტულ წინადადებათა სპეციფიკა ...	127
თავი 8. დესტინაციის სასიცოცხლო ციკლი	130
+ 8.1. ეკოტურიზმის ბაზრის ანალიზი	130
8.2. დესტინაციის სასიცოცხლო ციკლი	131
8.3. დივერსიფიკაცია, როგორც ინოვაციური სტრატეგიის სახე	135
თავი 9. რეკლამა და მარკეტინგი ეკოტურიზმში	138
9.1. ეკოტურისტული პროდუქტის რეკლამა	140
9.2. სარეკლამო პროდუქციის სახეები	142
9.3. ეკოტურიზმის მარკეტინგი	144
+ თავი 10. ტუროპერეტიინგი ეკოლოგიურ ტურიზმში	148
+ 10.1. ეკოლოგიური ტურების დაპროექტება	150
+ 10.2. გიდის მუშაობა ეკოტურისტებთან	151
თავი 11. ეკოტურიზმის მენეჯმენტი	156
11.1. ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედების მართვის შესაძლებლობა	156
11.2. ეკოტურისტული საქმიანობის მართვის საერთაშორისო პრაქტიკა	158
თავი 12. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საქმიანობის დაფინანსება	166
12.1 ბუნების დაცვის საქმიანობის დაფინანსების მსოფლიო პრაქტიკა	166
12.2. ბუნების დაცვის მიზნებისათვის სახსრების მოძიების ღონისძიებანი	166

12.3. საერთაშორისო დონორული შემწეობები	169
12.4. ეკოტურისტული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება	170
თავი 13. ეკოტურისტების მომსახურების მენეჯმენტი	173
13.1. ეკოტურისტების განთავსება	173
13.2. ეკოტურისტების კვებითი მომსახურება	174
თავი 14. საგანმანათლებლო პროგრამები და ტექნოლოგიები ეკოტურიზმში	182
14.1. ტურისტების ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება	184
+ თავი 15. ეკოლოგიური მოგზაურობის უსაფრთხოება და ეთიკა	189
15.1. ეკოლოგიური მოგზაურობის უსაფრთხოება	189
15.2. ეკოლოგიური მოგზაურობის ეთიკა	194
დასკვნა	198
გამოყენებული ლიტერატურა	200

შესავალი

ბიოსფეროში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც ანთროპოგენური ფაქტორებით არის განპირობებული, კაცობრიობის შეშფოთებას იწვევს. არასოდეს ყოფილა ადამიანის გავლენა ბუნებაზე ასე ძლიერი; მდგომარეობა, რომელიც მყარდება ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობაში, ხშირად კრიტიკული ხდება: ძლიერდება გვალვები, ხდება ოდესღაც ნაყოფიერი მიწების გაუდაბნობა, იწურება მტკნარი წყლის და სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, უარესდება ნიადაგის, ატმოსფეროს და წყლის სივრცის მდგომარეობა, გართულებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლა. ეს კი ნიშნავს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, თავისი თანმდევი სიკეთით და ჯერ არნახული კომფორტით, იწვევს გარემოს მზარდ დაჭუჭყიანებას, ბუნებრივი რესურსების ამოწურვას.

ბუნება აკმაყოფილებს ადამიანს ყველაფრით, რაც აუცილებელია მისი ნორმალური ცხოვრებისათვის: საკვებით, წყლით, უანგბადით, თავშესაფრით. ამიტომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა ნეგატიური ანთროპოგენური ზემოქმედებისგან თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ამასთან, ურბანიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ცხოვრების მზარდი ტემპი დღის წესრიგში აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალთა აღდგენის აუცილებლობას, რის გამოც სულ უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ტურიზმის სხვადასხვა სახეები. ტურიზმის მასობრიობის გამო ანთროპოგენური დატვირთვა ბუნებაზე ძლიერდება. მასობრივი ტურიზმის გარემოზე ზემოქმედების ნეგატიური ასპექტები თვალსაჩინოა ტურიზმის ყველა სახეობაში. ამ მიზეზით დაზიანებული ტყეების ფართობი გაიზარდა 60 %-მდე, ხოლო 1976 წელს აშშ-ში ბალინგერის კანიონში, ტურისტების მომსახურებისთვის ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად ნიადაგის ჩარეცხვის ტემპმა 86-ჯერ გადააჭარბა დასაშვებს.

ტურიზმი უნდა იყოს ეკოლოგიურად ორიენტირებული ხანგრძლივ პერსპექტივაზე, ეკონომიკურად სიცოცხლისუნა-

რიანი და პასუხობდეს ადგილობრივი მოსახლეობის ეთიკურ და სოციალურ ინტერესებს; ამ მოთხოვნებს ყველაზე სრულად პასუხობს ბუნებრივი ტურიზმის კონტროლირებადი ფორმა – ეკოლოგიური ტურიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუნების შეცნობა.

ეკოტურიზმის არსი მდგომარეობს ბუნების შედარებით ხელუხლებელ ზონებში ტურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფების მოგზაურობის ორგანიზებაში იმ ადგილების მონახულების მიზნით, რომლებიც იწვევენ კულტურულ-შემეცნებით ინტერესს. ეკოტურიზმში აქცენტი კეთდება ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებაზე, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე.

ეკოტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიაში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტების პროგნოზით მისი ზრდის ტემპები XXI საუკუნეშიც მაღალი დარჩება და თავის წვლილს შეიტანს ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციაში.

ეკოტურიზმი მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი და პერსპექტიული დარგია. იგი ბუნებრივი ტურიზმის კონტროლირებადი ფორმაა და ხასიათდება რეკრეაციული ტერიტორიების რესურსების გამოყენების ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გადამონმებული პოლიტიკით, ამოუწურავი ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დაცვით, რაც უზრუნველყოფს როგორც რეკრეაციული ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ისე ტურისტული საქმიანობის მდგრადობას.

ეკოტურიზმი მოიაზრება როგორც დასვენების, ბუნებაში მოგზაურობის, საგანმანათლებლო, შემეცნებით-კულტურულ და ეკონომიკურ საქმიანობათა ერთობლიობა. ეკოტურიზმის განვითარება დამოკიდებულია როგორც ხელშეუხებელი ბუნების არსებობაზე, ისე გარემოს დაცვის კარგ ორგანიზაციაზე. იგი ორიენტირებულია ბუნებრივი ტურისტული რესურსების გამოყენებაზე.

ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბუნებრივი რესურსების არასათანადოდ ორგანიზებული რეკრეაციული გამოყენება იწვევს მათ

დეგრადაციას, აღდგენა კი დიდ სიძნელეებთან და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვრების მიუხედავად, ჩვენი პლანეტა საერთოა. ამიტომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაბინძურებისგან გარემოს დაცვის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ეკოლოგიური განათლების საფუძველზე პლანეტის მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით, მათი ცხოვრების ადგილის თუ პროფესიისაგან დამოუკიდებლად.

ეკოტურიზმის ობიექტებს წარმოადგენს მთები, კანიონები, სამკურნალო წყაროები, ფაუნის და ფლორის იშვიათი წარმომადგენლები, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები; ეკოტურიზმის მნიშვნელოვანი რესურსია აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები და ეროვნული თავისებურებები.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზით, ეკოტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის განვითარების ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებათა რიცხვში (სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი, თემატური ტურიზმი და კრუიზები).

ეკოტურიზმის წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავს სტუდენტის ეკოლოგიური მსოფლმხედველობის დონის ამაღლებას, ბუნებრივ პროცესებზე თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესაძლო შედეგების შეფასების უნარის ფორმირებას, ეკოლოგიური რისკის შესამცირებლად დონისძიებათა დაგეგმვის უნარის გამომუშავებას და სხვა.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ცნობები პლანეტის თანამედროვე ეკოლოგიური სიტუაციის, ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების ურთიერთკავშირის შესახებ; განხილულია ეკოტურიზმის სახეები და რესურსები, დედამიწის ცალკეულ რეგონში ეკოტურიზმის განვითარების დონე და ბუნებრივი პოტენციალი, ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის მართვის საერთაშორისო პრაქტიკა; დიდი ყურადღება აქვს დათმობლი ეროვნული პარკების ტურისტულ პროდუქტს, რეკლამასა და მარკეტინგს ეკოტურიზმში, მოგზაურობის უსაფრთხოებასა და ეთიკას.

საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ეროვნული პარკების ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების აღდგენა-განახლებას და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივი ხალხური რენვის საქონლის რეალიზაციას და მომსახურების ბაზრის გაფართოვებას, უცხოური ვალუტის მოდინებას, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

საქართველო მცირე ტერიტორიების მქონე იმ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც აქვთ ულამაზესი ბუნება, ენდემურ მცენარეთა და ცხოველთა პოპულაციები და სადაც ეროვნული პარკები იქმნება ბუნების დასაცავად, ხოლო მათ ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს ეკონომიკური სარგებლიანობის მიღებას, რომლის ნაწილი უნდა მოხმარდეს ეკოსისტემების აღდგენას და ეროვნული პარკების ტერიტორიაზე ჩასატარებელ აუცილებელ სამუშაოებს.

რადგან ბოლო წლებში ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებიდან ამოღებული იქნა დისციპლინა “ეკოლოგია”, წარმოდგენილი მასალის უკეთ გაგებისა და ათვისების მიზნით სახელმძღვანელოს თან ერთვის განყოფილება “ძირითადი ეკოლოგიური ცნებები”.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა და სურვილს, რომლებიც სახელმძღვანელოს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას შეუწყობს ხელს.

ქირითადი ეკოლოგიური ცნებები

ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ინდივიდების, პოპულაციების და თანასაზოგადოებების დონეზე შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობებს ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან, ორგანიზმების ბუნებრივ დაჯგუფებათა სტრუქტურას და ფუნქციონირებას, ენერჯის ნაკადის გამოყენებას ცოცხალ ბუნებაში, ელემენტების და ნივთიერებათა წრებრუნვას.

ეკოლოგიის საგანი არის ორგანიზმებსა და გარემოს შორის კავშირების ერთობლიობა და სტრუქტურა. **ეკოლოგიის კვლევის ობიექტებია** ცალკეული ორგანიზმები, მათი პოპულაციები, ეკოსისტემები და ბიოსფერო მთლიანად.

მატერიალური სხეულების ერთობლიობას, ენერჯიასა და მოვლენებს, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმებზე მოქმედებს **გარემო** ეწოდება. გარემო არის ყველაფერი ის, რაც გარს არტყია ორგანიზმებს, უშუალოდ ან არაპირდაპირ მოქმედებს მათ ცხოველქმედებაზე, განვითარებასა და გამრავლებაზე.

ყველა გარემო არ არის ხელსაყრელი სიცოცხლისათვის. არის ადგილები, რომელთა პირობებში ორგანიზმები ვერ არსებობენ. სიცოცხლისათვის ვარგის გარემოს **საარსებო გარემო** ეწოდება.

სიცოცხლისათვის ხელსაყრელი პირობები ჩვენს პლანეტაზე შეზღუდულია. დედამიწის სფეროს მასშტაბებში სიცოცხლე ვრცელდება წყალში, ჰაერის და ნიადაგის თხელ ფენაში. დედამიწის სფეროს იმ ნაწილს, რომლის ზღვრებში სიცოცხლე არსებობს, **ბიოსფერო** ეწოდება.

ნებისმიერი ორგანიზმის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ გარემოსთან მუდმივი ურთიერთქმედების პირობებში. ნებისმიერი ორგანიზმისთვის გარემო შეიძლება იყოს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება. **არაცოცხალი გარემო** მოიცავს ატმოსფეროს, ლითოსფეროს და ჰიდროსფეროს.

ატმოსფერო დედამიწის გარე აირადი გარსია. იგი წარმოადგენს ჰაერის ფენას დედამიწის ირგვლივ.

ლითოსფერო (ბერძნ. "ლითოს" - ქვა) დედამიწის ზედა მყარი გარსია და მოიცავს დედამიწის ქერქს და ნაწილობრივ მანტიას.

ნიადაგი წარმოადგენს ბუნებრივ-ისტორიულ, ორგანულ-მინერალურ სხეულს, რომელიც შეიქმნა ლითოსფეროს ქანების ზედაპირზე მკვდარი და ცოცხალი ორგანიზმების შემოქმედებით კლიმატისა და რელიეფის სხვადასხვა პირობებში.

ჰიდროსფერო ეწოდება დედამიწის წყლის გარსს, რომელიც მოთავსებულია ატმოსფეროსა და ლითოსფეროს შორის.

ცოცხალ ორგანიზმებს განეკუთვნება მცენარეები, ცხოველები და მიკროორგანიზმები.

დედამიწაზე სიცოცხლე არსებობს მზის ენერჯიის ხარჯზე. სინათლე ჩვენს პლანეტაზე ერთადერთი რესურსია, რომლის ენერჯია, ნახშირორჟანგთან და წყალთან ერთად, უზრუნველყოფს მწვანე მცენარეებში ფოტოსინთეზის პროცესს. ფოტოსინთეზის შედეგად მწვანე მცენარეებში წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები (ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები და სხვა), ე.ი. მზის ენერჯია გარდაიქმნება ქიმიური კავშირების ენერჯიად - **საკვების ენერჯიად**.

ფოტოსინთეზი არის მწვანე მცენარეების მიერ სინათლის ენერჯიის და სინათლის მშთანთქმელი ქლოროფილის პიგმენტების მონაწილეობით მარტივი ნივთიერებების (წყლის, ნახშირორჟანგის და მინერალური ელემენტების) გარდაქმნა ყველა ორგანიზმის ცხოველქმედებისათვის აუცილებელ რთულ ორგანულ ნივთიერებებად (ცილებად, ნახშირწყლებად და სხვა).

კვება არის ცოცხალ ორგანიზმში იმ ნივთიერებათა მოდენა (შესვლა) და ათვისება, რომლებიც აუცილებელია ცხოველქმედების პროცესში ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯების შესავსებად, უჯრედებისა და ქსოვილების ასაგებად და აღსადგენად. კვებით, რომელიც ნივთიერებათა ცვლის შემადგენელი ნაწილია, ხორციელდება ორგანიზმის კავშირი გარემოსთან.

სხვადასხვა ორგანიზმები იმყოფებიან ერთმანეთთან რთულ ტროფიკულ (კვებით) ურთიერთკავშირში: მცენარეები ქმნიან პირველად ბიოლოგიურ პროდუქციას, ცხოველები მოიხმარენ ამ უკვე შექმნილ პროდუქციას, მიკროორგანიზმები კი გარდაქმნიან მას არაორგანულ ფორმაში.

მცენარეებისაგან განსხვავებით ცხოველებს არა აქვთ ფოტოსინთეზის რეაქციის უნარი და იძულებულნი არიან მოიხ-

მარონ მცენარეების მიერ შექმნილი ნივთიერებები. მცენარეებით იკვებებიან მცენარეებით იკვებავი ცხოველები – ფიტოფაგები; თავის მხრივ, ფიტოფაგებით იკვებებიან ხორციით იკვებავი ცხოველები (მტაცებლები) და ა.შ., რასაც მოსდევს ეკოსისტემაში ნივთიერებათა და მათი ეკვივალენტური ენერჯის გადაცემა ერთი სახეობის ორგანიზმებიდან მეორეზე და **ტროფიკული (კვებითი) ჯაჭვი** ეწოდება.

ტროფიკული ჯაჭვის ცალკეული რგოლები წარმოქმნიან **ტროფიკულ დონებს**. განასხვავებენ სამ ტროფიკულ დონეს: პროდუცენტებს, კონსუმენტებს და რედუცენტებს.

პროდუცენტები (მწარმოებლები) არიან ორგანიზმები, რომლებიც აწარმოებენ ორგანულ ნივთიერებებს – პირველად ბიოლოგიურ პროდუქციას. პროდუცენტები არიან მწვანე მცენარეები.

კონსუმენტები (მომხმარებლები) არიან ცხოველები, რომლებიც მოიხმარენ პროდუცენტების მიერ წარმოებულ ორგანულ ნივთიერებებს (პირველი რიგის კონსუმენტები), ანდა იკვებებიან სხვა ცხოველებით (მეორე რიგის კონსუმენტები, მტაცებლები).

რედუცენტები (აღმდგენელები, დესტრუქტორები) აბრუნებენ მკვდარი ორგანიზმების ნივთიერებებს ისევ არაცოცხალ გარემოში. რედუცენტები ის ორგანიზმებია, რომლებიც იკვებებიან გვამებით და ექსკრემენტებით. ისინი ახდენენ მკვდარი ორგანიზმების ორგანული ნივთიერებების დაშლას (გახრწნას) და დაბრუნებას კვლავ ნიადაგში ან წყლში. რედუცენტებია ბაქტერიები, სოკოები, აგრეთვე ზოგიერთი ძუძუმწოვარი (აფთარი), ფრინველი (სვავი).

გარემოს ზემოქმედება ორგანიზმის მიერ აღიქმება გარემოს ფაქტორების მეშვეობით, რომლებსაც ეკოლოგიურ ფაქტორებს უწოდებენ.

ეკოლოგიური ფაქტორები არის გარემოს ელემენტები და პირობები, რომლებიც ორგანიზმზე ახდენენ სპეციფიკურ ზემოქმედებას. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფაქტორები, რომელთა გარეშე ორგანიზმს სიცოცხლე არ შეუძლია, არის წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ტემპერატურა, საკვები, სინათლე.

ეკოლოგიური ფაქტორები წარმოშობის მიხედვით იყოფა აბიოტურად, ბიოტურად და ანთროპოგენურად.

აბიოტური ეწოდება ფაქტორს, ზემოქმედებას, რომელსაც ორგანიზმი განიცდის გარემოს არაცოცხალი ელემენტებისგან. აბიოტური ფაქტორებია ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, ტემპერატურა, სინათლე და სხვა.

ბიოტური ეწოდება ფაქტორს, ზემოქმედებას, რომელსაც ორგანიზმი განიცდის სხვა ორგანიზმებისგან.

ანთროპოგენური ეწოდება ფაქტორს, რომელიც აღიქმება ადამიანის საქმიანობის შედეგად და ზემოქმედებს გარემოზე (ტყის გაჩეხვა, ჰაერის დაბინძურება და სხვა).

გარემოს ზოგიერთი თვისება უცვლელი რჩება სახეობათა ევოლუციის ხანგრძლივი დროის მანძილზე; ასეთია დედამიწის მიზიდულობის ძალა, მზის მუდმივა (დედამიწის ზედაპირი ყოველწლიურად იღებს მზისაგან 5.10²⁰ კკალ სხივურ ენერჯიას, რაც მზის გამოსხივების საერთო ნაკადის 1/2 000 000 000 ნაწილს შეადგენს; ამ სიდიდეს **მზის მუდმივას** უწოდებენ), ოკეანის წყლის მარილიანობა და სხვა. ეკოლოგიური ფაქტორების უმრავლესობა კი განიცდის მკვეთრ ცვლილებას სივრცესა და დროში (სინათლე, ტემპერატურა, ნალექები და ა.შ.). ცოცხალი ორგანიზმები, იმისთვის რომ გადარჩნენ, იძულებულნი არიან შეეგუონ ეკოლოგიური ფაქტორების ცვლილებას, რასაც ადაპტაცია ეწოდება.

ადაპტაცია არის ორგანიზმების მიერ ევოლუციურად გამომუშავებული და მემკვიდრეობით განმტკიცებული თავისებურებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ნორმალურ ცხოველქმედებას ეკოლოგიური ფაქტორების ცვლილების პირობებში.

სხვადასხვა სახეობის ორგანიზმებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სივრცისა და საკვებისთვის. ინდივიდებს (ცალკეულ ორგანიზმებს) არ შესწევთ ძალა იარსებონ სახეობათა შორის არსებობისათვის ბრძოლაში; ამიტომ ერთი სახეობის ორგანიზმებისათვის ხელსაყრელია ჯგუფური ცხოვრება, რასაც მოსდევს **პოპულაციითა** წარმოქმნა. პოპულაციებს შესწევთ უნარი, წინააღმდეგობა გაუწიონ სახეობათა შორის მიმდინარე ბრძოლას არსებობისათვის.

პოპულაცია ეწოდება ერთად მობინადრე ერთი სახეობის ინდივიდთა ელემენტარულ ერთობლიობას, რომელსაც გააჩნია ყველა აუცილებელი შიგა და გარე პირობა დამოუკიდებელი

არსებობისა და თავიანთი რიცხოვნობის შესანარჩუნებლად იმ ზღვრებში, რაც დამახასიათებელია ამ სახეობისთვის ხანგრძლივი დროის მანძილზე; ანდა პოპულაცია არის ერთი სახეობის ორგანიზმთა ჯგუფები საერთო გენოფონდით, ერთნაირი მორფოლოგიით და ერთნაირი სიცოცხლის ციკლით.

პოპულაცია შეიძლება იყოს ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვანი. პოპულაციაში ინდივიდთა რაოდენობას **პოპულაციის რიცხოვნობა** ეწოდება. რაც მცირეა ინდივიდთა ზომები, მით მეტია მათი რიცხოვნობა პოპულაციაში.

სახეობა არის ბუნებაში რეალურად არსებული, დამახასიათებელი აგებულებისა და გარეგნობის ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც ისტორიულად საერთო წინაპრისგან განვითარდნენ, ბინადრობენ გარკვეულ არეალში, ინარჩუნებენ ნივთიერებათა ცვლის განსაზღვრულ ტიპს და თაობიდან თაობაში იძლევიან მსგავს მემკვიდრეობას.

ერთ და იგივე ტერიტორიაზე მობინადრე სხვადასხვა სახეობის მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების პოპულაციები იზოლირებულნი კი არ არიან ერთმანეთისგან, არამედ იმყოფებიან ურთიერთკავშირში. კერძოდ, ერთი სახეობის ორგანიზმები იკვებებიან მეორეთი, მცენარეები ქმნიან სამალავებს ცხოველებისთვის და საჭირო მიკროკლიმატს; თავის მხრივ ცხოველები ხელს უწყობენ მცენარეთა დამტვერვას ან მათი თესლების გავრცელებას, მიკროორგანიზმები შლიან მკვდარი მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენებს და ხელს უწყობენ ნიადაგის მინერალიზაციას და, მაშასადამე, მცენარეთა კვებას და ა.შ. ერთად მობინადრე და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა სახეობის მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების პოპულაციების ერთობლიობას **ბიოცენოზი, ანუ თანასაზოგადოება** ეწოდება (ბიოს – სიცოცხლე, ცენოზი – საერთო).

ორგანიზმების თითოეულ სახეობას უკავია გარკვეული ადგილი იმ გარემოში, სადაც ის ბინადრობს. ასეთ ადგილს, რომელიც განპირობებულია საკვებით, კვლავწარმოებით და ა.შ., ეკოლოგიური ნიში ეწოდება. **ეკოლოგიური ნიში** არის ბიოცენოზში სახეობის ადგილი, რომელიც მოიცავს როგორც მის მდებარეობას სივრცეში, ისე მის ფუნქციურ როლს თანასაზოგადოებაში.

რაიმე მიზეზით სახეობის მოსპობის შემთხვევაში მის ეკოლოგიურ ნიშს დაიკავენ სხვა სახეობა, რომელსაც უნარი აქვს თანასაზოგადოებაში შეასრულოს იგივე ფუნქციები, რომლებსაც ასრულებდა დაღუპული სახეობა, ე.ი. ადგილი ექნება **ეკოლოგიურ დუბლირებას**.

ჩვენს პლანეტაზე არსებული ყველა ნივთიერება იმყოფება წრებრუნვის პროცესში. მზის ენერგია დედამიწაზე უზრუნველყოფს ნივთიერებათა ორ ძირითად წრებრუნვას: 1) დიდს (გეოლოგიურს), 2) მცირეს (ბიოგეოქიმიურს).

ნივთიერებათა დიდი, ანუ **გეოლოგიური წრებრუნვა** განპირობებულია მზის ენერგიის ურთიერთქმედებით დედამიწის სიღრმულ ენერგიასთან და ახორციელებს ნივთიერებათა გადანაწილებას ბიოსფეროსა და დედამიწის უფრო ღრმა ჰორიზონტებს შორის. **ნივთიერებათა მცირე, ანუ ბიოგეოქიმიური წრებრუნვა** ხორციელდება ბიოსფეროს ზღვრებში. მისი არსი მდგომარეობს ფოტოსინთეზის პროცესის შედეგად არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებების წარმოქმნაში და ორგანულ ნივთიერებათა დაშლის (გახრწნის) გზით მათი კვლავ არაორგანულ ნაერთებად გარდაქმნაში: მცენარეები ნიადაგიდან წყალხსნარის სახით ითვისებენ არაორგანულ ელემენტების – კალციუმის, გოგირდის, ფოსფორის, კალიუმის და ა.შ. შემცველ ნივთიერებებს. ამ ეტაპზე ხდება ნახშირორჟანგიდან, წყლიდან და მინერალური ელემენტებიდან ფოტოსინთეზის პროცესის შედეგად ორგანული ნივთიერებების (ცილების, ცხიმების და სხვა) წარმოქმნა. ამ უკანასკნელთ მცენარეული საკვების სახით მოიხმარენ მცენარეებით მკვებავი ცხოველები. მტაცებლები იკვებებიან მცენარეებით მკვებავებით, მოიხმარენ რა მათში წარმოქმნილ უფრო რთული შედგენილობის ორგანულ ნივთიერებებს. მიკროორგანიზმების მიერ მკვდარი მცენარეების და ცხოველების ორგანული ნივთიერებების დაშლის შედეგად ნიადაგსა და წყლის გარემოში ბრუნდებიან მცენარეთა მიერ ასათვისებლად მისაწვდომი მინერალური ელემენტები, რის შემდეგაც იწყება ბიოგეოქიმიური წრებრუნვის ახალი ხვია.

ბიოცენოზს არ შეუძლია არსებობა მისი გარემომცველი გარემოს გარეშე. იგი არის სისტემის “ბიოცენოზი – გარემო”, ანუ “ბიოცენოზი – ბიოტოპი” აუცილებელი ნაწილი. **ბიოტოპი**

ენოდება დედამიწის ზედაპირის მონაკვეთს ხმელეთზე ან წყალში, ერთნაირი აბიოტური პირობებით (რელიეფი, კლიმატი, ნიადაგი), რომელიც უკავია ამა თუ იმ ბიოცენოზს (ბიოს – სიცოცხლე, ტოპოს – ადგილი).

ბიოცენოზის ცნება განუყოფელია ბიოტოპის ცნებისგან, ანუ ბიოცენოზი განუყოფელია მის მიერ დაკავებული სივრცისგან. ბიოცენოზი და ბიოტოპი ერთმანეთზე მოქმედი ორი განუყოფელი ელემენტია, რომლებიც ქმნიან ცოტად თუ ბევრად მდგრად სისტემას – **ეკოლოგიურ სისტემას**. ორგანიზმების და არაორგანული კომპონენტების ნებისმიერ ერთიანობას, რომელშიც ხორციელდება ნივთიერებათა წრებრუნვა, ეწოდება **ეკოლოგიური სისტემა**, შემოკლებით **ეკოსისტემა**. ეკოსისტემაში ნივთიერებათა წრებრუნვის შესანარჩუნებლად **აუცილებელია არაორგანულ მოლეკულათა მარაგის არსებობა ათვისებად ფორმაში და ორგანიზმების სამი, ფუნქციონალურად სხვადასხვა, ჯგუფის არსებობა: პროდუცენტების, კონსუმენტების და რედუცენტების**.

სიჩქარეს, რომლითაც პროდუცენტები ითვისებენ მზის ენერგიას ფოტოსინთეზის პროცესში და წარმოქმნიან ორგანულ ნივთიერებებს, **ბიოლოგიური პროდუქტიულობა** ეწოდება. ეკოსისტემის ყველა ცოცხალი კომპონენტი პროდუცენტები, კონსუმენტები და რედუცენტები შეადგენს **საერთო ბიომასას (ცოცხალ წონას)**.

ეკოსისტემები თვითრეგულირებადი სისტემებია. ნორმალურ მდგომარეობაში მათთვის დამახასიათებელია წონასწორობის შენარჩუნება. ბიოლოგიური სისტემების – ორგანიზმის, პოპულაციის, ეკოსისტემის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს ცვლილებებს და შეინარჩუნოს წონასწორობა, **ჰომეოსტაზი** ეწოდება (ჰომეოს – მსგავსი, სტატის – უძრაობა). ამასთან, ეკოსისტემის ყველა კომპონენტი იმყოფება მუდმივ ურთიერთქმედებაში, წარმოქმნის რა ნივთიერებათა წრებრუნვას. ამიტომ, ჰომეოსტაზი ხასიათდება დინამიკური (მოძრავი) წონასწორობით შობადობასა და სიკვდილიანობას შორის, ნივთიერებათა და ენერგიის მიღებასა და გაცემას შორის და ა.შ. ჰომეოსტაზის წყალობით ბუნებრივი ეკოსისტემები (ტყეები, სტეპები, წყალსატევები და სხვა) ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ, ე.ი. მათ აქვთ სტაბილურობა სივრცესა და დროში.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები იმყოფებიან მოძრავ-სტაბილური წონასწორობის მდგომარეობაში, ისინი მაინც განიცდიან ნელ, მაგრამ მუდმივ ცვალებადობას დროში როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ცხოველქმედების პროცესში ცვლის გარემოს თავის გარშემო, იღებს რა ამ გარემოდან გარკვეულ ნივთიერებებს (საკვებს) და ამდიდრებს გარემოს ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებით. ამის შედეგად ერთ ადგილზე ხანგრძლივი არსებობისას პოპულაციამ შეიძლება ისე შეცვალოს გარემო, რომ გამოუსედაგარი აღმოჩნდეს ამ სახეობის პოპულაციებისთვის, მაგრამ ეს შეცვლილი გარემო შეიძლება გამოსადეგი გახდეს სხვა სახეობის პოპულაციებისთვის, რასაც თანასაზოგადოებაში სახეობათა ცვლა მოსდევს. დროში და გარემოს განსაზღვრულ მონაკვეთზე ერთი ბიოცენოზის მეორეთი მიმდევრობით შეცვლას **სუქცესია (მონაცვლეობა, შემკვიდრეობა)** ეწოდება. მაგალითად, მიტოვებულ სახნავს ჯერ ბალახოვანი მცენარეები ეპატრონებიან, შემდეგ ბუჩქები, სინათლის მოყვარული მცენარეები და ბოლოს წიწვიანი მცენარეები, ჯერ ფიჭვი, შემდეგ ნაძვი.

ბუნებრივი რესურსების ქვეშ იგულისხმება ბუნების სხეულები და ძალები, რომლებსაც ადამიანი იყენებს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. ბუნებრივი რესურსებია წყალი, ჰაერი, სინათლე, ნიადაგი, ცხოველები, მცენარეები, სასარგებლო წიაღისეული და სხვა, ე.ი. ყველაფერი ის, რაც არ არის შექმნილი ადამიანის მიერ, მაგრამ რის ჭარბეც შეუძლებელია მისი არსებობა, როგორც ორგანიზმის და როგორც მწარმოებლის. ბუნებაზე ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ ამჟამად უპრეცედენტო ზომებს მიაღწია, რის გამოც ბიოსფეროს თანამედროვე მდგომარეობას აფასებენ როგორც ეკოლოგიურ კრიზისს. **ეკოლოგიური კრიზისის** ქვეშ იგულისხმება საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთქმედების ისეთი სტადია, როცა ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის წინააღმდეგობებმა ზღვარს მიაღწია, ხოლო ეკოსისტემების მიერ ჰომეოსტაზის შენარჩუნების შესაძლებლობა ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში მნიშვნელოვნად შეირყა.

თავი 1. პლანეტის გუნების შენარჩუნების პრობლემა და ეკოლოგიური ტურიზმი

ადამიანი ცოცხალი ორგანიზმების განვითარების უმაღლეს დონეს წარმოადგენს. ადამიანი მოაზროვნის – Homo sapiens-ის საქმიანობით, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარჯზე, შეიქმნა მსხვილი ქალაქები, სამრეწველო ცენტრები და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსები, რომელთა უზარმაზარ ტერიტორიებზე მთლიანად შეიცვალა ბუნებრივი ბიოტა (მცენარეული საფარი და ცხოველები), მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ტყეებმა, ტბებმა, მდინარეებმა და ა.შ. ამჟამად ძნელია დედამიწაზე მოინახოს ისეთი მონაკვეთი, სადაც გარემომ შეინარჩუნა პირვანდელი მდგომარეობა.

ბუნებრივი გარემოს გარდაქმნის მოტივია ადამიანის სწრაფვა კომფორტისკენ. მოიცვა რა თავისი გავლენით მთელი ბიოსფერო, ადამიანი ცვლის ატმოსფეროს, ბუნებრივი წყლების ქიმიურ შედგენილობას, ნიადაგს, რითაც ხელს უშლის სიცოცხლის ევოლუციის ბუნებრივ მსვლელობას და საფრთხეს უქმნის საკუთარ არსებობასაც.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუნებაზე ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, რომელიც პლანეტაზე მოსახლეობის რიცხვის ზრდის ფონზე მიმდინარეობს, ბუნებრივი რესურსების ერთდროული ამონურვით უპრეცედენტო ზომებს მიაღწია, რის გამოც ბიოსფეროს თანამედროვე მდგომარეობას აფასებენ, როგორც ზოგადსისტემურ მსოფლიო ეკოლოგიურ კრიზისს.

თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის ნიშნებია:

- ბიოსფეროს საშიში დაჭუჭყიანება;
- ენერგორესურსების ამონურვა;
- სახეობათა მრავალფეროვნების შემცირება.

ბუნებასთან კაცობრიობის ურთიერთობის ისტორიაში ეკოლოგიური კრიზისული სიტუაციების აღძვრის მრავალი მაგალითი არსებობს, როცა მოსახლეობის ყოფნა კუთვნილ ტერიტორიაზე შეუძლებელი ხდებოდა. წარსულის ეკოლოგიური კრიზისები გახდა მიზეზი ცალკეულ სახელმწიფოთა დაღუპვის და ცივილიზაციათა დაცემის.

წარსულის ეკოლოგიური კრიზისების დაძლევა ხდებოდა:

- მეურნეობრიობის ძველი, დრომოჭმული ტექნოლოგიების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შეცვლით;
- დეგრადირებული ლანდშაფტის ახალი, თავისუფალი ლანდშაფტით შეცვლით;
- სხვა ეთნოსებით დასახლებული ტერიტორიების ექსპანსიის¹ გზით.

ბოლო ასწლეულში, როცა პლანეტის მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, ხოლო დეგრადირებული ლანდშაფტების ახლით შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა არის სამეურნეო საქმიანობების, მათ შორის ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის, მეცნიერულ საფუძვლებზე გადაყვანა.

ბუნებაში არაორგანიზებული დასვენების თანდათან გადასვლა ეკოტურიზმში შეიძლება განხილულ იქნეს იმ უმნიშვნელოვანეს ნამონყებათა რიგში, რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის ეკოლოგიური კრიზისების დაძლევას. აღნიშნულის გამო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთში დაიწყო ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის ტრანსფორმაცია ეკოლოგიურ ტურიზმში და იგი სულ უფრო მეტ რეზონანსს იძენს მსოფლიოში.

1.1. გლობალური ეკოლოგიური პრობლემა

ეკოლოგიური კრიზისების გამომწვევ მიზეზებში გარკვევის მიზნით განვიხილოთ საზოგადოების და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება.

კაცობრიობას არ შეუძლია არსებობა ბუნებრივი რესურსების გამოყენების და, შესაბამისად, ბუნებრივ გარემოში ცვლილებების შეტანის გარეშე. ცვლილებებს, გამომწვეულს ადამიანის საქმიანობით ანთროპოგენური ცვლილებები ეწოდება.

ცნობილია, რომ ტურიზმი გარემოზე მრავალმხრივ ზემოქმედებას ახადენს: ტურისტული ინდუსტრია იყენებს ქვეყ-

¹ ექსპანსია – (ლათ. გავრცელება) ბატონობის სფეროს გაფართოება სხვადასხვა ხერხებით: კაბალური სესხებით, დაპყრობითი ომებით, დიპლომატიური ზეწოლით და სხვა.

ნის ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებს, მას ესაჭიროება მიწა, აქვს ნარჩენები, აჭუჭყიანებს წყალს, ჰაერს, ნიადაგზე ახდენს მძლავრ ანთროპოგენურ ზემოქმედებას; ტურისტულ ინდუსტრიაში გამოყენებული ტრანსპორტი უმთავრესად მუშაობს სათბობის არაგანახალებად სახეებზე და აბინძურებს გარემოს.

მოსახლეობის რიცხვი დედამიწაზე განუხრელად იზრდება; თუ 1950 წელს იგი შეადგენდა 2,5 მლრდ-ს, 2000 წელს მან 6 მლრდ-ს გადააჭარბა. არსებული პროგნოზით 2050 წელს პლანეტის მოსახლეობა 10-11 მილიარდს მიაღწევს. მეორე მხრივ, ადამიანის არსებობა დამოკიდებულია იმ გარემოზე, რომელშიც ის ცხოვრობს; ბუნება აკმაყოფილებს მას ყველაფრით, რაც აუცილებელია მისი ცხოველქმედებისათვის. **მოსახლეობის რიცხვის და, მამასადამე, ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდა** არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც მიყვავართ პლანეტის ბუნებრივი რესურსების ჯერარნახულ ხარჯვამდე და გარემოს დეგრადაციამდე².

პლანეტის მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მაგრამ მისი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუმჯობესებით, რადგან, როგორც წესი, რაც უკეთ ცხოვრობს ხალხი, მით უფრო ახლოსაა მოსახლეობის ნამატი ოპტიმალურთან.

მსოფლიო დონეზე ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის გამომწვევ ძირითად ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე:

- ბიოსფეროს ძირითადი კომპონენტების დეგრადაცია, რომელსაც თან სდევს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება, ეკოსისტემების მიერ ჰომეოსტაზის უნარის დაქვეითება და მასთან დაკავშირებული ბუნების თვითრეგულაციის დაქვეითება;
- კლიმატის და ოზონის შრის ცვლილებები;
- სტიქიური უბედურობით და ტექნოგენური კატასტროფებით განპირობებული ეკოლოგიური ზარალის ზრდა;

² დეგრადაცია – თანდათანობით გაუარესება, დადებითი თვისებების დაქვეითება ან დაკარგვა.

- ადამიანთა ცივილიზაციის მდგრადი განვითარებისათვის მსოფლიო თანასაზოგადოების საქმიანობის კოორდინაციის არასაკმარისი დონე ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის და გლობალიზაციის პროცესების რეგულირების სფეროში;

- გაჭიანურებული საომარი კონფლიქტები და ტერორიზმი.

თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კონფლიქტი მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასა და პლანეტის შეზღუდული რესურსების განუხრელ შემცირებას შორის.

ბუნებრივი რესურსების ხარჯვის არნახულ ტემპებზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, ბოლო 35 წელიწადში მიწის ნიაღიდან ამოღებული იქნა უფრო მეტი მინერალური ნედლეული, ვიდრე კაცობრიობის არსებობის მთელ წინა პერიოდში; ნავთობის და ბუნებრივი აირისთვის კი ამ მაჩვენებელმა 80–85 %-ს მიაღწია.

სასარგებლო ნიაღისეულის ინტენსიურ მოპოვებას თან სდევს უზარმაზარი ტერიტორიების გამორიცხვა სამეურნეო საქმიანობიდან. ასეთი სიტუაცია წარმოქმნის არა მარტო რიგ ეკოლოგიურ პრობლემებს, არამედ ამწვავებს წინააღმდეგობას ნედლეულის მომპოვებელ (მიმწოდებელ) და მის მომხმარებელ სახელმწიფოთა შორის; ამის მაგალითია ეკონომიკური უფსკრულის გაღრმავება განვითარებულ ქვეყნებსა და ე.წ. მესამე სამყაროს (ნედლეულის მიმწოდებელ), სახელმწიფოთა შორის.

დისპროპორცია სასარგებლო ნიაღისეულის არსებობის ადგილებსა და მათი უპირატესი მოხმარების ადგილებს შორის იზრდება. მაგალითად, აშშ-მა 1990 წელს განახორციელა ნავთობის 35%-ს იმპორტი, დასავლეთ ევროპამ – 97%, იაპონიამ – 100%. ასეთ პირობებში ქვეყნები, რომლებიც ამარაგებენ მსოფლიო ბაზარს ნედლეულით, არა მარტო წაგებულნი რჩებიან ეკონომიკურად, არამედ სპობენ საკუთარ ბუნებრივ რესურსებს.

უცხოური ინვესტიციების შესვლა მესამე სამყაროს ქვეყნებში ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებას, რადგან ამ ქვეყნებში გარემოსდაცვითი მექანიზმები სათანადო დონეზე არაა; “ლარიბი” სახელმწიფოების ასეთი მოდელი ხშირად იძულებითია და განაპირობებს მათ მიერ გაცილებით ძვირფასი

რესურსების კარგვას, ვიდრე ის ანაზღაურებაა, რასაც ისინი იღებენ სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტით.

ამის შედეგად სახელმწიფოთა უზრუნველყოფა საჭირო ნედლეულით გადავიდა გლობალური სტრატეგიული მიზნების რიგში, რაც სულ უფრო ხშირად განსაზღვრავს განვითარებულ სახელმწიფოთა საინფორმაციო, სამხედრო-პოლიტიკურ და ფინანსურ-ეკონომიკურ აქტივობას.

სამეურნეო საქმიანობის პროცესში ადამიანები აჭუჭყიანებენ ბიოსფეროს, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მტვრითა და მავნე გამონაბოლქვით, რასაც გამოყოფს სამრეწველო დანადგარები. ცნობილია, რომ 1 ტონა ქვანახშირის დანვით ატმოსფეროში გამოიყოფა 20 კგ-მდე ტოქსიკური გოგირდოვანი ანჰიდრიდი; სამრეწველო რაიონებში შეიმჩნევა ისეთი მავნე ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციები, როგორცაა დარიშხანი, ტყვია, თუთია, გოგირდწყალბადი, ქლორი და სხვა; ევროპის ქვეყნებში ნარჩენები ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ათას კილოგრამს აღემატება.

გარდა ამისა, ბოლო წლებში ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ეკოლოგიური თვალსაზრისით “ჭუჭყიანი” ნარმოებები ხშირად გააქვთ “მესამე სამყაროს” ქვეყნებში, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ არა მარტო იაფი სამუშაო ძალა, არამედ მიიღონ დიდი შემოსავლები განვითარებად ქვეყნებში არასრულყოფილი ეკოლოგიური კანონმდებლობისა და დაბალი ეკოლოგიური მოთხოვნების ხარჯზე.

თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა და ერთმანეთს დაუპირისპირდა მდიდარი და ღარიბი მსოფლიო. ღარიბი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სიკვდილიანობის მაღალი დონე და ნაკლები წლიური ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე. ეკონომიკური პრობლემები აიძულებს განვითარებად ქვეყნებს არაეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები. მათი შემოსავლები ძირითადად იხარჯება კრედიტორებისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვაზე.

სიღარიბე აიძულებს განვითარებად ქვეყნებს თანხმობა განაცხადონ ინდუსტრიული ქვეყნების ტოქსიკურ ნივთიერებათა თავიანთ ტერიტორიაზე ლიკვიდირებაზე: 1 ტონა მაღალ-ტოქსიკური ნივთიერების ლიკვიდირებისთვის ევროპასა და

ამერიკაში დაახლოებით 300 დოლარია საჭირო, მესამე სამყაროს ქვეყნებში კი – არაუმეტეს 40 დოლარი.

ნედლეულის რესურსების ინტენსიურ გამოყენებასთან არის დაკავშირებული **ნარჩენების პრობლემა** – ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების გამოყენებული ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება პროდუქციის წარმოების პროცესში, ანდა მოხმარების პროცესში სამომხმარებლო თვისებების დაკარგვის შედეგად, ე.ი. საყოფაცხოვრებო (კომუნალური) და სამრეწველო ნარჩენები, რომლებიც ავსებს ნაგავსაყრელებს. გარემოსა და ადამიანისათვის განსაკუთრებით საშიშია მომწამლავი ქიმიური და რადიოაქტიური ნარჩენები.

მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა **ტყის რესურსების და მტკნარი წყლების მარაგის შემცირება**. ხუთი წლის განმავლობაში, 1990-დან 1995 წლამდე, პლანეტაზე მოისპო 65 მლნ ჰექტარი ტყე, ხელოვნურმა დარგვებმა კი განვითარებულ ქვეყნებში შეადგინა მხოლოდ 9 მლნ ჰექტარი. ამჟამად მსოფლიოში ტყე შენარჩუნებულია 3,5 მლრდ ჰექტარზე, მათგან ნახევარზე მეტი ტროპიკებშია.

პლანეტაზე მოსახლეობის რიცხვის ზრდის, ბუნებრივი წიაღისეული რესურსების ამოწურვის, გარემოს დაჭუჭყიანების პრობლემებთან ერთად მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის **ურბანიზაცია** – ქვეყნის საერთო მოსახლეობაში ქალაქის მაცხოვრებელთა წილის გაზრდა ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე.

სამრეწველო ქვეყნების ქალაქებში მოსახლეობის წილი მესამე ათასწლეულის დასაწყისში გაიზარდა 81,8%-მდე; გაერო-ს პროგნოზით, 2025 წელს პლანეტის 100 უმსხვილეს ქალაქში იცხოვრებს 5 მილიარდ კაცზე მეტი.

საქმე იმაშია, რომ ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება დამოკიდებულია არა მარტო მოსახლეობის რაოდენობაზე, არამედ მათ თანაბარ განსახლებაზეც. ადამიანთა თავმოყრა მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში იწვევს შედარებით მცირე ფართობზე ნარჩენების ისეთი დიდი მასის წარმოქმნას, რომელიც ბევრად აღემატება ბუნების თვითგანმენდის და თვითაღდგენის უნარს. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზრდა არა მარტო ზრდის ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს დაჭუჭყიანებას, არამედ ინ-

ვევს ადამიანთა და ცხოველთა დაავადებებს, ლითონის კონსტრუქციების კოროზიას, მოსავლიანობის და ცხოველთა პროდუქტიულობის შემცირებას.

მეცნიერთა აზრით, გარემოს დაჭუჭყიანების თანამედროვე გლობალური ეკოლოგიური (რედუცენტების) კრიზისი შეიძლება გადაილახოს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის³ პროცესში ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავებით და დანერგვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენერჯის ალტერნატიული წყაროების – მზის, ქარის, ზღვების მიქცევის და მოქცევის ენერჯის ათვისებას და გამოყენებას.

1.2. ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების კავშირი

კაცობრიობის ისტორიაში არის მრავალი მაგალითი იმის შესახებ, რომ ეკოლოგიურ კრიზისებს ხშირად თან სდევს სოციალური (საზოგადოებრივი) კრიზისები. წარსულის ეკოლოგიური კრიზისების, სახელმწიფოთა აყვავების და დაცემის შემცენებაში დიდ როლს თამაშობს ახალი სამეცნიერო დისციპლინა – "სოციობუნებრივი ისტორია", რომელიც კაცობრიობის ისტორიას განიხილავს ბუნებასთან და გარემომცველი ლანდშაფტის მდგომარეობასთან მჭიდრო კავშირში.

სოციობუნებრივი ისტორიის თანახმად, ადამიანსა და გარემოს შორის ბუნებრივი წონასწორობის დარღვევის და წარსულის ეკოლოგიური კრიზისების წარმოქმნილი ძირითადი მიზეზები არის:

- მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე;
- ეთნოსების ექსპანსია, რომელთაც შეაქვთ თავიანთი კულტურა ახალ ლანდშაფტში.

მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების მაგალითია "ოქროს ურდოს" აღმავლობა და დაცემა. ოქროს ურდოს არსებობის ისტორია მოი-

ცავს სამ პერიოდს: I) 1260-1360 წწ; II) 1360-1460 წწ; III). 1460-1560 წწ.

პირველი პერიოდი ხასიათდება "ოქროს ურდოს", როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებით, როცა მის ტერიტორიაზე შეკრებილი გადასახადები აღარ იგზავნებოდა ცენტრში. ახალი სახელმწიფოს მიერ გაერთიანებულმა ხალხებმა შეაჩერეს სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მომთაბარე სამხედრო ძალის ხარჯზე შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო; სტეპებში აშენდა ახალი ქალაქები, ოქროს ურდომ დაიწყო საგარეო ვაჭრობიდან დიდი შემოსავლების მიღება.

"ოქროს ურდოს" ძლიერების და ორგანიზებულობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იყო მისი ფულად-საფინანსო სისტემა: სარაული დირჰემი ბატონობდა არა მარტო საკუთარ, არამედ მოსაზღვრე სახელმწიფოებშიც და ევრაზიულ სივრცეში XIV საუკუნის პირველ ნახევარში ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორც ახლა მსოფლიოში თამაშობს აშშ-ის დოლარი. ცხადია, როგორც დღეს აშშ, მაშინაც ასეთი ფულადი ერთეულის "ზურგს უკან" უნდა მდგარიყო ძლიერი, ორგანიზებული სახელმწიფო.

"ოქროს ურდოში" შექმნილი წესრიგი ხელს უწყობდა ვაჭრობას: სავაჭრო გზები იყო, კარგად ორგანიზებული, იაფი, საბაჟო გადასახადი – დაბალი. ვაჭრებისთვის გზები იყო უსაფრთხო, რადგან თათარი მეომრები იცავდნენ მთელ გზას ტანადან (ახლანდელი ქალაქი აზოვი) ჩიწეთამდე.

"ოქროს ურდოს" არსებობის **მეორე პერიოდი** ხასიათდება რუსული ეთნოსის რიცხოვნობის ზრდით, რაც განპირობებული იყო რუსეთში ტყის სახნავად გამოყენებით, საკაფ-საცეცხლე მინათმოქმედების აქტიური განვითარებით, და მაშასადამე, მისი ძლიერების ზრდით ერთიან სახელმწიფოში (საკაფ-საცეცხლე მინათმოქმედების დროს მოცემულ მონაკვეთზე ხეებს ჭრიდნენ და შემდეგ წვავდნენ; წარმოქმნილი ნაცარი ამდიდრებდა ნიადაგს და იძლეოდა კარგ მოსავალს; მოსავლის აღების შემდეგ ეს ნაკვეთი აღარ გამოიყენებოდა, სახნავად მზადდებოდა ახალი ნაკვეთი.)

ამ დროისთვის სტეპებში მოსახლეობის რიცხვმა გადააჭარბა შესაბამისი ლანდშაფტის შესაძლებლობებს, რაც გახდა

³ რევოლუცია – ღრმა ხარისხობრივი ცვლილება რისამე განვითარებაში

სტეპებში ეკოლოგიური კრიზისის შექმნის მიზეზი და რასაც მოჰყვა სოციალური კრიზისი ზამთრის დეფიციტური საძოვრებისათვის გააფთრებული ბრძოლის სახით. შექმნილმა სიტუაციამ აიძულა სტეპების მოსახლეობის ნაწილი დაეტოვებინა მომთაბარეობისთვის ოპტიმალური აღმოსავლეთ ვეროპის სტეპების ზონა და გადასულიყო კლიმატური თვალსაზრისით სარისკო ზონებში (ბელგოროდის ჩრდილოეთით, რიაზანის ახლოს).

არსებობის მესამე პერიოდი ხასიათდება “ოქროს ურდოს” დაშლით და მის ადგილზე რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნით: მოსკოვის დიდი სამთავრო, ყაზანის, ყირიმის, ასტრახანის სახანოები და ნოღაის ურდო.

ამ დროს რუსეთში უკვე დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, დაკავშირებული საკაფ-საცეცხლე მინათმოქმედების შესაძლებლობათა ამონურვასთან. კრიზისის დაძლევის მსვლელობაში შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც გააფართოვა ექსტენსიური⁴ მინათმოქმედების შესაძლებლობები მეზობლების ხარჯზე, გაიმარჯვა რა თავის მთავარ კონკურენტზე – ყაზანის სახანოზე, შემდეგ კი შემოიერთა ასტრახანის სახანო და ნოღაის ურდო.

ეთნოსების და სუპრეთნოსების ექსპანსია არის ანთროპოგენური ხასიათის ეკოლოგიური კრიზისების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ექსპანსიას შეიძლება ჰქონდეს სამხედრო კონფლიქტის ფორმა, ანდა იყოს “მშვიდობიანი”; ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივი პროცესია და გარეგნულად ნაკლებად მძაფრი, მაგრამ მის შედეგებს შეიძლება ჰქონდეს ნეგატიური ხასიათი: მან შეიძლება ხელი შეუწყოს ეკოლოგიური კრიზისის განვითარებას და რესურსებმოკლებული ეთნოსის დაღუპვას.

⁴ ექსტენსიური მინათმოქმედება - მეურნეობის მართვის სისტემა, რომლის დროსაც პროდუქტის მოცულობის ზრდა მიიღწევა დასამუშავებელი მიწების ფართობების ზრდის ხარჯზე

1.3. წარსულის და მომავლის ეკოლოგიური კრიზისები

წარსულის ეკოლოგიური კრიზისები. თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისი კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი არ არის. ისტორიული განვითარების პროცესში კაცობრიობა აწყდებოდა ეკოლოგიურ კრიზისებს, გამონვეულს განვითარებადი საზოგადოების მოთხოვნების ბუნების შესაძლებლობებთან შეუსაბამობით.

წარსულის ეკოლოგიური კრიზისების მიზეზების და შედეგების შესწავლა ხელს შეუწყობს თანამედროვე და მომავლის ეკოლოგიური კრიზისების დაძლევას.

რუსი ეკოლოგის ნ. ფ. რეიმერის აზრით, კაცობრიობამ შექმნა, განიცადა თავის თავზე და გადალახა 4 ეკოლოგიური კრიზისი:

- სარენი და კრებსითი რესურსების ამონურვის კრიზისი;
- პირველი ანთროპოგენური ეკოლოგიური კრიზისი (კონსუმენტების);
- პრიმიტიული სარწყავი მინათმოქმედების კრიზისი;
- მეორე ანთროპოგენური ეკოლოგიური კრიზისი (პროდუცენტების).

კრიზისების თანმიმდევრობა შეესაბამება ადამიანის მიერ პლანეტის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ისტორიულ თანმიმდევრობას: (სამონადირეო რენვა და დაგროვება, მესაქონლეობა, მინათმოქმედება, მერქანის დამზადება; სამშენებლო მასალებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ტერიტორიების გამოყენება მშენებლობისათვის და ა.შ.)

კრიზისების დასაძლევად ადამიანები იძულებულნი ხდებოდნენ შეეცვალათ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ფორმები და მეთოდები: კრიზისების გადაჭრა ხდებოდა სამეურნეო მოღვაწეობის უფრო პროგრესულ მეთოდებზე გადასვლით, ანდა ხდებოდა ადამიანთა რიცხოვნობის შემცირება და ეთნოსების გადაშენება, ან სხვა ტერიტორიებზე ხალხების მიგრაცია.

კერძოდ, სარენი და კრებსითი რესურსების ამონურვით გამონვეული კრიზისი, რასაც ადგილი ჰქონდა დაახლოებით 10-50 ათასი წლის წინ, დაძლეული იქნა ბიოტექნიკური რევო-

ლუციით (გარეული ცხოველების მოშინაურებით, სამომთაბა-
რო მესაქონლეობის ხერხების და მეთოდების ათვისებით).

“პირველი ანთროპოგენური ეკოლოგიური კრიზისი (კონ-
სუმენტების,)” გადაილახა სარწყავი მიწების ათვისებით; “პრი-
მიტიული სარწყავი მიწათმოქმედების” კრიზისი – მეორე სა-
სოფლო-სამეურნეო რევოლუციის მსვლელობაში ურწყავი მი-
წების ფართო ათვისებით; XX საუკუნის შუა წლებში საზოგა-
დოების და სანარმოო ძალთა მკვეთრმა განვითარებამ გამოიწ-
ვია ტყეების მასიური განადგურება – “მეორე ანთროპოგენური
ეკოლოგიური კრიზისი (პროდუცენტების)”, რასაც მოჰყვა სამ-
რენველო რევოლუცია, ორიენტირებული მინერალური რე-
სურსების ფართო გამოყენებაზე.

წარსულის ეკოლოგიური კრიზისების გადალახვის ყვე-
ლაზე ეფექტური საშუალება იყო წარმოების ახალი, რევოლუ-
ციური ტექნოლოგიების შექმნა და მათი დანერგვა. ადამიანის
მიერ პლანეტის რესურსების შემგუებლობითი გამოყენების პე-
რიოდში აღძრულ კრიზისებს ჰქონდათ ლოკალური ხასიათი.

მომავლის ეკოლოგიური კრიზისები. როგორც ზემოთ
ავლნიშნეთ, ბიოსფეროს თანამედროვე მდგომარეობას აფასე-
ბენ როგორც ზოგადსისტემურ მსოფლიო ეკოლოგიურ კრი-
ზისს. ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება მსოფ-
ლიოში ემთხვევა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არნა-
ხულ განვითარებას; მაგრამ თუ წინა ეპოქებში კაცობრიობას
ჰქონდა შესაძლებლობა კრიზისული სიტუაციებიდან გამოსუ-
ლიყო ასეული და ათასეული წლების მანძილზე, თანამედროვე
კრიზისი თხოულობს სასწრაფო ზომების მიღებას, წინააღმდეგ
შემთხვევაში ის შეიძლება გადაიზარდოს ეკოლოგიურ კატას-
ტროფაში, რომლის დროსაც დამანგრეველი პროცესები გამო-
ვა ადამიანის კონტროლიდან და მიიღებს შეუქცევად ხასიათს .

ნ. ფ. რეიმერის აზრით ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგე-
ნური ზემოქმედების ზრდასთან ერთად მომავალშიც შეიძლება
განვითარდეს ახალი ეკოლოგიური კრიზისები., რომელთა ნიშ-
ნები უკვე დღეს იკვეთება; ეს იქნება:

1. “გლობალური თერმოდინამიკური (სითბური)” კრიზისი;
2. “ეკოსისტემების საიმედოობის” კრიზისი.

“გლობალური თერმოდინამიკური (სითბური)” კრიზისი
აუცილებელს გახდის ენერჯის ისეთი ახალი წყაროების გამო-

ყენებას, რომლებიც გეოსფეროს სისტემაში არ გამოიწვევენ
სხვა თბური ენერჯის დამატებას, გარდა მზის ენერჯისა.

“ეკოსისტემების საიმედოობის” გლობალური კრიზისის
გადალახვას ხელს შეუწყობს მეცნიერულად დასაბუთებული
ეკოლოგიური დაგეგმვა; ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ბუ-
ნების და საზოგადოების კოევილუციას, ჰარმონიულ შეთან-
წყობას.

ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების ერთ-
ერთი ძირითადი მიმართულებაა ენერჯის ისეთი წყაროების
მოპოვება და გამოყენება, რომლებიც ბუნებრივ გარემოში
სითბოს მინიმალურ რაოდენობას შეიტანენ.

ენერჯის განახლებადი წყაროები (მზის, ქარის, წყლის
მოქცევის და მიქცევის ენერჯია) ამჟამად ფართოდ ვერ გამოი-
ყენება “ეკოლოგიურად სუფთა” ენერგოდანადგარების სიძვი-
რის და დაბალი ეფექტიანობის გამო, თუმცა კოსმოსურ აპარა-
ტებში მზის ენერჯია შეუცვლელია. ენერჯის სხვა წყაროებთან
შედარებით ატომური ენერჯია, მისი სწორად გამოყენების შემ-
თხვევაში, ყველაზე ნაკლებად აბინძურებს გარემოს.

ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება შესაძ-
ლებელია ანთროპოგენური პროცესების გონივრული მარ-
თვით, რომლის მიზანი იქნება არა გამარჯვება ბუნებაზე, რაც,
რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არამედ ბუნებაში არსებული
ეკოლოგიური კანონზომიერებების შესწავლა და ამ კანონზო-
მიერებათა მოთხოვნებისადმი ადამიანის მთელი საქმიანობის
დაქვემდებარება. პლანეტაზე მოსჭლეობის რიცხვის ზრდა,
ენერგორესურსების მოხმარება და გარემოზე ნეგატიური ზე-
მოქმედება განუხრელად მზარდი და ურთიერთდაკავშირებუ-
ლი ფაქტორებია.

საზოგადოებას შეუძლია ცხოვრება და განვითარება მხო-
ლოდ ბიოსფეროს შიგნით და მისი რესურსების ხარჯზე, ამი-
ტომ ის დაინტერესებულია ბუნების შენარჩუნებით; მაგრამ
რადგან ბუნების ევილუცია ძალიან ნელა მიმდინარეობს, ხო-
ლო ადამიანის სოციალური ევილუცია – ძალიან სწრაფად,
მრავალი სახეობა ვერ ასწრებს რა შეგუებას, იღუპება; ამიტომ
საზოგადოებამ შეგნებულად უნდა შეზღუდოს ბუნებაზე ინ-
ტენსიური ზემოქმედება, რომ შეინარჩუნოს კოევილუციის

შემდგომი შესაძლებლობა; ასეთ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს კოევილოვაციას, ეწოდება მდგრადი.

ეკოლოგიური ტურიზმი, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გადამონმებულ გამოყენებას, ეკუთვნის იმ ღონისძიებათა რიცხვს, რომლებიც უზრუნველყოფენ რაციონალურ, არაამონურვად ბუნებათსარგებლობას.

საკონტროლო კითხვები

1. რა ხასიათს ატარებს პლანეტაზე შექმნილი ეკოლოგიური სიტუაცია მესამე ათასწლეულის დასაწყისში?
2. რომელი ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას მსოფლიო დონეზე?
3. როგორია ბუნებრივი რესურსების ხარჯვის ტენდენცია და რას იწვევს იგი?
4. რა იცით წარსულის ეკოლოგიური კრიზისების შესახებ?
5. რასთან იყო დაკავშირებული წარსულის ეკოლოგიური კრიზისების თანმიმდევრობა?
6. რა გზით ხდებოდა წარსულის ეკოლოგიური კრიზისების დაძლევა?
7. არსებობს თუ არა კავშირი ეკოლოგიურ და სოციალურ კრიზისებს შორის და რომელი დისციპლინა შეისწავლის ამ ურთიერთკავშირს?
8. რა იგულისხმება ეთნოსების ექსპანსიაში?
9. რატომ არის ურბანიზაციის პროცესი საშიში ბუნებრივი გარემოსათვის?
10. რა იცით მომავლის ეკოლოგიური კრიზისების შესახებ?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად:

1. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ურბანიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები.

2. დაახასიათეთ ტრადიციული და ალტერნატიული ენერჯის წყაროები, თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი თვისებები, მათი გამოყენების პერსპექტივები.

თავი 2. ეკოტურიზმის წარმოქმნის წინამძღვრები და თანამედროვე მდგომარეობა

ტერმინი “ეკოტურიზმი” პირველმა გამოიყენა ბ. მიულერმა 1978 წელს და გულისხმობდა ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ვარიანტს. მანამდე არსებობდა ეკოტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა “მწვანე ტურიზმი”, ბუნების მოყვარულთა ტურიზმი”, “საპასუხისმგებლო ტურიზმი” და სხვა; 1989 წლიდან გამოიკვეთა ეკოტურიზმის მიზნები და ამოცანები. ეკოტურიზმი ემსახურება გარემოს დაცვას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ეკოტურიზმის წარმოქმნის ძირითად წინამძღვრებს შორის წამყვანი ადგილი ეკუთვნის ბუნებრივ რესურსებზე მზარდ ანთროპოგენურ დატვირთვას ტურიზმის მასობრიობის გამო. ეს უკანასკნელი იზრდება ტურისტულ მონახულებათა ტემპის ზრდის პირდაპირ პროპორციულად.

ეკოტურიზმი ფორმირებული იქნა XX საუკუნის 70-80-იან წლებში. მასობრივი ტურიზმის ბუნებაზე ზემოქმედების ნეგატიური შედეგები ამ დროისთვის დაგროვდა დიდი რაოდენობით; მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი და გახმაურებული მაგალითებია გეიზერების ველი კამჩატკაზე, ნაგვის გროვები ევერესტზე და სხვა.

ბუნებრივი ეკოსისტემების რეკრეაციული დეგრადაციის, მისი გამომწვევი მიზეზების და თანმხლები ნეგატიური შედეგების მაგალითია XX საუკუნის 80-იან წლებში ნეპალში ანაპურნის მთების მისადგომებთან შექმნილი სიტუაცია.

ნეპალს ყოველწლიურად 200 000-ზე მეტი ტურისტი სტუმრობდა, რომლებისთვისაც ანაპურნის მთების მისადგომებთან წლიდან წლამდე იქმნებოდა კარვების ბანაკი. მასობრივი ტურიზმის განვითარებამდე ამ ტერიტორიაზე არსებული ტყეებით მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა. ტურისტული ნაკადების მოზღვავებამ გამოიწვია მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი მატება და შესაბამისად ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მერქნის მოხმარების გაზრდა, რასაც მოჰყვა ტყეების ინტენსიური გაჩეხვა და ტყით დაფარული მთის ფერდობების ნაწილის გაშიშვლება. ტურიზმის ამ ნეგატიურ ზემოქმედებას დაემატა გაშიშვლებული მთის ფერდობე-

ბის ნიადაგის ზედა ფენების დარღვევა მრავალრიცხოვანი იაკების ჩლიქებით, რომელთაც გადაჰქონდათ საკვები და აღჭურვილობა ტურისტებისთვის. დარღვეული ნიადაგი წვიმების დროს ადვილად ჩაირეცხებოდა, რამაც განაპირობა ნიადაგის ეროზია. ეს ხელს უშლიდა ფერდობზე მცენარეულობის ბუნებრივ აღდგენას. ოდესღაც ულამაზეს ტერიტორიაზე გაჩნდა ეკოლოგიური კრიზისის ნიშნები. ამას დაერთო ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ტურისტებისადმი, რომლებთანაც უხდებოდათ სასიცოცხლოდ აუცილებელი ტყის რესურსების გაზიარება.

ტერიტორიის მიერ რეკრეაციული მიმზიდველობის და სოციალური კომფორტის დაკარგვის შედეგად მკვეთრად შემცირდა ტურისტული ნაკადები, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას მოუსპო დამატებითი შემოსავლები; შემცირდა აგრეთვე შემოსავლები ქვეყნის ხაზინაში.

ამრიგად ბუნებრივ ლანდშაფტზე ისეთმა დატვირთვამ, რაც ბევრად აღემატება მის შესაძლებლობებს, გამოიწვია ნეგატიური ეკოლოგიური და სოციალური შედეგები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დეგრადირებული სამთო ტერიტორიების აღდგენა მოითხოვს რამდენიმე ასეულ წელიწადს და დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, ბუნებრივია აღიძვრება მოკლევადიანი ტურიზმით მიღებული შემოსავლების არატოლფასოვნების საკითხი დეგრადირებული ტერიტორიების რეაბილიტაციისთვის საჭირო გაცილებით დიდ დანახარჯებთან.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება გარემოს დაბინძურების გამომწვევი ტექნოგენური ფაქტორების ზრდით, რაც ექსტრემალურ სიტუაციებში პირველ რიგში ტურისტული რესურსების ეკოლოგიურ კრიზისს განაპირობებს. ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავება დიდი ხანია გასცდა ცალკეული ქვეყნების და რეგიონების პრობლემების ფარგლებს. ამიტომ დღეს გარემოს გადარჩენის უპირველეს ამოცანას პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა წარმოადგენს.

2.1. ეკოტურიზმის წარმოქმნა და განვითარება

ბუნებრივი ტერიტორიების რეკრეაციულმა დეგრადაციამ განაპირობა ტურისტულ პრაქტიკაში ბუნების დაცვის რიგი ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობა, ე.ი. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის პრაქტიკაში ეკოლოგიური მენეჯმენტის ტექნოლოგიების დანერგვა.

ამჟამად ანთროპოგენური პრესინგი შეინიშნება ტურიზმის ყველა სახეობასა და ტურინდუსტრიის ყველა სექტორში. ბუნებრივი ეკოსისტემების რეკრეაციული დეგრადაციის გამოცხადი გახდა, რომ ბუნებრივი ტერიტორიების ეკოლოგიურად ბარბაროსულ რეჟიმში გამოყენება, როგორც წესი, იწვევს ამ ტერიტორიების რეკრეაციული მიმზიდველობის დაკარგვას და ტურისტული მიზნებისათვის მათი გამოყენების გამორიცხვას.

ამან განაპირობა ახალი დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნისთვის საქმიანობის გააქტიურება მეოცე საუკუნის 80-იან წლებში. სწორედ ეს პერიოდი, ე.ი. XX საუკუნის 70-80-იანი წლები, ითვლება ეკოლოგიური ტურიზმის ფორმირების პერიოდად.

ეკოტურიზმის მიზანია ბუნებაში რეკრეაციით მიღებულ ეკონომიკურ სარგებლიანობასა და რეკრეაციული ტერიტორიების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის ბალანსის დამაყარება პლანეტაზე სიცოცხლის საფუძვლის – ბუნების შესანარჩუნებლად.

ეკოტურიზმის წარმოქმნა და განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული ესთეტიკური და რეკრეაციული თვალსაზრისით განსაკუთრებით მიმზიდველი ბუნებრივი ტერიტორიების გამოყოფასთან, მათი გამოყენების და დაცვის ნორმატივების დამუშავებასთან.

პირველი ეროვნული პარკი დაფუძნდა ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე 1872 წელს, ბუნების უნიკალური ქმნილებების შენარჩუნებისა და მათი ადამიანებისთვის ჩვენების მიზნით; ეს იელოუსტონის ეროვნული პარკი იყო. 1972 წლის 1 მარტს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად იელოუსტონის ტერიტორია გამოცხადდა დაცულ, სამეურნეო საქმიანობიდან ამოღებულად, მთელი ხალხის კეთილდღეობისა და სიამოვნებისათვის. ამ პარკის დაარსებამ საფუძველი ჩა-

უყარა ბუნების დასაცავად მიმართულ მოძრაობას სხვა ქვეყნებშიც, რის შედეგად XIX საუკუნის ბოლოს პლანეტის უნიკალურ ბუნებრივ ტერიტორიებზე მრავალი ეროვნული პარკი შეიქმნა. ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: თუ 1950 წლამდე 39 ქვეყანაში 200-მდე პარკი ითვლებოდა, 1982 წელს მათმა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა.

ეროვნულ პარკებში ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო ტურიზმის და დასვენების ორგანიზებაზე: ეწყობოდა ბილიკები, დასასვენებელი და გასართობი ადგილები, შენდებოდა სასტუმროები, კვების ობიექტები, ტურისტულ მონყობილობათა გამქირავებელი ბაზები, კავშირგაბმულობის დანესებულებები, გააქტიურდა ეროვნული პარკების რეკლამა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ზრდიდა მოსახლეობის ინტერესს ეროვნული პარკების მიმართ და იზრდებოდა ტურისტული ნაკადები. თუ 1895 წელს იელოუსთონის პარკი მოინახულა 5,5 ათასმა ადამიანმა, 1970 წელს მათმა რიცხვმა სამ მილიონს მიაღწია.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც აყენებდნენ აშშ-ის, კანადის, მექსიკის, არგენტინის და სხვა ეროვნული პარკების ორგანიზატორები, იყო “ბუნების ნაწარმოებთა” დაცვა დასვენების პროცესში ხალხის სიამოვნებისთვის. ამჟამად აშშ-ის მსხვილი ეროვნული პარკები გრანდ-ტიტონი, იოსემიტე, გრანდ-კანიონი ყოველწლიურად იღებენ 3-დან 5 მილიონამდე მნახველს.

განსაკუთრებით ლამაზი ბუნებრივი ადგილებით გამორჩეულ ქვეყნებში ტურიზმი ხშირად არის ეროვნული პარკების შექმნის მთავარი მიზეზი; 1970 წლამდე კოსტა-რიკაში არ იყო არცერთი დაცული ბუნებრივი ტერიტორია; მოკლე დროში აქ შეიქმნა 14 ეროვნული პარკი, 10 ბიორეზერვატი, ერთი ბიოსფერული რეზერვატი, 12 ტყის და ფაუნისტური რეზერვატი. კოსტა-რიკამ თავისი ტერიტორიის 30 % გამოაცხადა ბუნების დაცვის ზონად. ამ ქვეყნებში ტურიზმი არის შემოსავლის წამყვანი წყარო და აღწევს წელიწადში 650 მლნ დოლარს ეროვნული პარკების გამოყენებიდან; კენიის ყოველწლიური შემოსავალი ტურიზმიდან 450 მლნ დოლარს აღწევს; რუანდაში ვულკანების ეროვნულ პარკში ტურისტები, რომლებიც მიდიან მთის გორილების სანახავად, მარტო პარკში შესვლაზე 1 მლნ დოლარს სტოვებენ, სხვა ხარჯების სახით კი - 2-3 მლნ დოლარს.

ეკოტურიზმი განვითარებულ ქვეყნებშიც არის შემოსავლიანი ბიზნესი; მაგალითად აშშ-ის ეროვნული პარკების სისტემა არის მსოფლიოში უმსხვილესი სისტემა ტურისტების მისაზიდად. XX საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ის ეროვნული პარკები ყოველწლიურად დაახლოებით 270 მლნ ტურისტს იღებდნენ; ზოგიერთ შტატში ტურისტების რაოდენობა 5-ჯერ და მეტად აღემატებოდა თვით შტატის მოსახლეობას. ამავე წლებში კანადის ეროვნული პარკები იღებდნენ დაახლოებით 20 მლნ მნახველს.

ეკოტურიზმის პოპულარობის ზრდასთან ერთად იზრდება ეკოტურისტული პროდუქტის მიმწოდებელი ტუროპერატორების საერთო რიცხვი. მაგალითად, გერმანიაში ტურისტული სააგენტოების და ტუროპერატორების ასოციაციის მონაცემებით, ამ ქვეყანაში 1500-2000 ტუროპერატორიდან 6-8 % სპეციალიზირდება ბუნებრივ ტურიზმზე.

დღეისთვის ეკოტურიზმის პერსპექტიული ფორმებია:

- **ბუნებრივ-შემეცნებითი ტურიზმი** - ეკოტურიზმის ერთ-ერთი მასშტაბური ფორმა, რომელიც ეფუძნება ადამიანთა მოთხოვნას ბუნებასთან ურთიერთობისას მიიღონ ინფორმაცია ბუნების შესახებ. ამ მიზნით გამოიყენება ტურისტული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც სთავაზობენ ტურისტებს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე; ტურები, გაერთიანებული საერთო დასახელებით “ტურები ნატურალისტთან” და ტურები, შეთავაზებული საერთაშორისო ან ჯეროვნული ვოლონტერული მოძრაობის მიერ სახელწოდებით “მოხალისე-დამხმარებლის არდადეგები”;
- **ტურები ნატურალისტთან** მოიცავს ბოტანიკურ, ზოოლოგიურ, ორნიტოლოგიურ, გეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ და სხვა მოგზაურობებს;
- **ვოლონტერული მოძრაობის ჩარჩოებში** მიმდინარე ტურები მოიცავენ ტურისტების მონაწილეობას სამეცნიერო ექსპედიციებში თანაშემწეების რანგში, აგრეთვე სამთავრობო ორგანიზაციების და ტურისტული კლუბების მიერ ორგანიზებულ სერვისულ მოგზაურობებში, რომლებიც აცნობენ მონაწილეებს ბუნების საკითხებს. ყველაზე ცნობილი აქცია ამ მიმართულებით იყო საერ-

თაშორისო ექსპედიცია ევერესტზე (ნეპალი) და ინკების ბილიკზე, რომლის მიზანი იყო ტურისტების მიერ აქ დატოვებული ნაგავის მოცილება.

- **რეაბილიტაციური ტურიზმი** ბოლო წლებში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს; ის ეკუთვნის ახალგაზრდა, მაგრამ განსაკუთრებით პერსპექტიულ ფორმებს. რეაბილიტაციური ტურიზმი შეთანწყობილია ეკოლოგიურ-ტურისტულ საქმიანობასთან: ეკოტურიზმმა ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას, არამედ მათ გაუმჯობესებასაც. მაგალითად, ტაილანდში რეაბილიტაციური პროგრამა სთავაზობდა თითოეულ ტურისტს დაერგო ხე მათი აქ ყოფნის სამახსოვროდ; შედეგად მოკლე დროში ეკოტურისტების მიერ აღდგენილი იქნა ტყე 160 ჰექტარზე.
- **სასოფლო ტურიზმი** აქტიურად ვითარდება ევროპის სამრეწველო ქვეყნებში. მისი განვითარება განპირობებულია ქალაქის მოსახლეობის სწრაფვით დროებით მაინც მოსცილდნენ ძალზე დიდ ემოციურ და ეკოლოგიურ დატვირთვებს, რომლებიც თან სდევს დიდ ქალაქებში ცხოვრებას. ევროპაში სასოფლო ტურიზმის განვითარებაში ლიდერობს გერმანია, საფრანგეთი და იტალია.
- **ეკოლოგიურ-ეთნოგრაფიული ტურიზმი** ბოლო წლებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს; მას საფუძვლად უდევს ადამიანთა სწრაფვა ნახონ არა მარტო დაურღვეველი ბუნება, არამედ გაეცნენ იმ ხალხის ყოფას და ტრადიციებს, რომლებიც ათასეული წლების მანძილზე ცხოვრობენ გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიაში.

ამრიგად, XX საუკუნის 80-იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს ეკოტურიზმის კონცეფციის ფორმირების, მისი ძირითადი პრინციპების განსაზღვრის პერიოდად. 1990 წელს ეკოლოგიურ ტურიზმს მიენიჭა ოფიციალური სტატუსი, რის შედეგად მან შეიძინა უფლება ყოველწლიური საკუთარი საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწვევაზე და საკუთარი არაკომერციული ორგანიზაციების შექმნაზე.

ეკოტურიზმის მდგომარეობის და განვითარების დონის თანამედროვე შეფასება არაერთგვაროვანია, რაც უმთავრე-

სად დაკავშირებულია ეკოტურიზმის განმარტებასთან. კერძოდ, თუ საფუძვლად მივიღებთ, რომ ეკოტურიზმი აერთიანებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებულ დასვენების ყველა ფორმას, მაშინ ეკოტურისტების მოცულობები იქნება მნიშვნელოვნად დიდი, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ ეკოტურიზმს მიეკუთვნება მხოლოდ ბუნებაში შემეცნებით-რეკრეაციული საქმიანობა, რომელსაც თან სდევს ეკოლოგიური მენეჯმენტის ტექნოლოგიები.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) შეფასებით ეკოტურიზმის წილი ტურისტული ინდუსტრიის მსოფლიო მოცულობაში შეადგენს 7%-ს (1993 წლის მონაცემებით).

2.2. ეკოტურიზმის განსაზღვრა და ძირითადი პრინციპები

ეკოტურიზმი ტურიზმის ყველაზე სწრაფად განვითარებადი ფორმაა. მისი საფუძველია ბუნების შეცნობა, სადაც მთავარია ბუნების შედარებით ხელუხლებელ ზონებში ტურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მოგზაურობის ორგანიზება კულტურულ-შემეცნებითი მიზნით.

ეკოტურიზმის პირველი განსაზღვრა შემოთავაზებული იყო მექსიკელი ეკოლოგ-ეკონომისტის ჰექტორ ცებალოს-ლასკურეინის მიერ 1980 წელს. მისი განმარტებით ეკოლოგიური ტურიზმი არის მოგზაურობის და ბუნებასთან გულისხმიერი დამოკიდებულების შეთანწყობა, რომელიც ფლორის და ფაუნის გაცნობის სიხარულის მათი დაცვის შესაძლებლობის სიხარულთან გაერთიანების საშუალებას იძლევა.

მოგვიანებით სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული იყო ეკოტურიზმის მრავალი განმარტება. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანი:

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით "ეკოტურიზმი მოიცავს ბუნებრივი ტურიზმის ყველა ფორმას, რომლის დროსაც ტურისტების ძირითადი მოტივაცია არის ბუნებაზე დაკვირვება და მასთან ზიარება".

ველური ბუნების მსოფლიო ფონდის განმარტებით ეკოტურიზმი არის ბუნებრივი ტურიზმი, რომელიც ხელს უწყობს ბუნების დაცვას. ეკოტურისტული საზოგადოების განმარტე-

ბით ეკოტურიზმი არის მიზანმიმართული მოგზაურობა ბუნებრივ ტერიტორიებზე ადგილობრივი კულტურის და ბუნებრივი გარემოს უფრო ღრმად შესასწავლად, რომელიც არ არღვევს ეკოსისტემების მთლიანობას, ამასთან ბუნებრივი რესურსების დაცვას ხდის ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასარგებლოდ.

დასავლეთის ლიტერატურაში ეკოტურიზმი განიხილება როგორც ტურიზმის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალურ გავლენას იმ ლანდშაფტებზე, რომლებსაც სტუმრობენ.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით ეკოტურიზმი არის საპასუხისმგებლო მოგზაურობა ბუნებრივ ზონებში, რომელიც ხელს უწყობს ბუნების შენარჩუნებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ინგლისურენოვან ქვეყნებში ეკოტურიზმის ქვეშ იგულისხმება მცირე ჯგუფების მოგზაურობები დაცვის ქვეშ მყოფი ბუნებრივი ლანდშაფტების ტერიტორიებზე არსებულ მარშრუტებზე, რომელთა დროს ტურისტები ეცნობიან უნიკალურ ობიექტებს, მოვლენებს, ბუნების ბინადართ ეკოლოგიური აღზრდის და ბუნების დაცვითი განათლების მიზნით.

ამრიგად, ეკოლოგიური ტურიზმი არის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ტრადიციული წესების შენარჩუნებული, სამეურნეო საქმიანობით ნაკლებად შეცვლილი უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების მონახულება; ეს არის ტურისტული პროცესის ყველა მონაწილის ეკოლოგიური კულტურის დონის და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ეკოლოგიური ტურების და პროგრამების შესრულებისას ბუნების დაცვის ნორმების და ტექნოლოგიების დაცვა.

თუმცა ეკოტურებში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ტურისტულ მოგზაურობაში, არის დასვენების, ფიზიკურ და სულიერ ძალთა აღდგენის მიზანი, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი მაინც აქცენტს აკეთებს ეკოტურიზმის ფართო შემეცნებით არსზე და მოგზაურობის მთავარ მიზნად მიიჩნევს ეკოლოგიურ განათლებას, ბუნებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამომუშავებას.

ეკოტურიზმის სხვადასხვა განმარტებები მიუთითებს იმაზე, რომ ტურისტული საქმიანობის ეს მიმართულება იმყოფება ფორმირების სტადიაზე.

ეკოტურიზმის საბაზისო პრინციპებია:

- რეკრეაციული ბუნებრივი ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ეკოტურიზმის სფეროში ჩართული რეგიონების ეკონომიკური მდგრადობის დონის ამაღლება;
- ეკოტურისტულ საქმიანობის მონაწილეთა ეკოლოგიური კულტურის ამაღლება;
- რეკრეაციული ტერიტორიების ეთნოგრაფიული სტატუსის შენარჩუნება.

ბუნებრივ ტერიტორიებზე ფაუნის და ფლორის მრავალფეროვნების შენარჩუნება არის უმთავრესი პირობა, რომელიც ეკოტურიზმს განასხვავებს ბუნებაში დასვენების სხვა ფორმებისაგან. ცნობილია, რომ ნორმალურ მდგომარეობაში ეკოსისტემებისთვის დამახასიათებელია წონასწორობის შენარჩუნება. ამასთან ნებისმიერი ეკოსისტემა მუდმივად განიცდის გარეშე ზემოქმედებას, რომელიც ისწრაფვის გამოიყვანოს ის წონასწორობის მდგომარეობიდან. ეკოსისტემის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს ცვლილებებს და შეინარჩუნოს წონასწორობა **ჰომეოსტაზი ეწოდება** (homios – მსგავსი, stasis – უძრაობა). ჰომეოსტაზი ხასიათდება დინამიური (მოძრავი) წონასწორობით შობადობასა და სიკვდილიანობას, ნივთიერებათა და ენერჯის მოხმარებასა და გათავისუფლებას შორის. თუ გარემოს ზემოქმედება განსაკუთრებით ძლიერი არაა, მაშინ ეკოლოგიური დუბლირების მსვლელობაში დარღვეული კავშირები იცვლება სხვა კავშირებით და ენერჯის და ნივთიერებათა გადაცემის პროცესი გრძელდება. სახეობათა სხვადასხვაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემების მდგრადობას არახელსაყრელი გარეშე ზემოქმედებისგან. ამიტომ ეკოსისტემა მით სტაბილურია, რაც მეტი სახეობა ბინადრობს მასში და მაშასადამე რაც მეტი შესაძლებლობაა ეკოლოგიური დუბლირებისათვის.

ამჟამად ბიოსფეროზე ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბები იმდენად გაიზარდა, რომ რეალური გახდა სახეობათა გაღარიბების, გაუდაბნოების, ეკოლოგიური კრიზისების

საშიშროება; ადამიანის მიერ ეკოლოგიური ფაქტორების მკვეთრად შეცვლას შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები.

რეკრეაციული ბუნებრივი ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების განხორციელება შეუძლებელია ეკოლოგიური მენეჯმენტის გარეშე, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივაციას, ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის ანალიზს და კონტროლს. ამ მიზნის მისაღწევად სარგებლობენ ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიებით, რომლებიც გამოიშვავენ ეკოტურიზმის პრაქტიკაში, აგრეთვე – ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერებების რეკომენდაციებით.

ტურისტულ პროცესში ჩართული რეგიონის ეკონომიკური მდგრადობის დონის ამაღლება ეკოტურიზმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ეკოტურიზმი ვითარდება თანამედროვე სამეურნეო საქმიანობით ჯერ კიდევ ხელშეუხებელ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებში. ასეთი ტერიტორიები ძალზე ცუდადაა უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილებით; ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული ეკონომიკური და სოციალური შედეგები. ამიტომ ეკოტურიზმის ორგანიზატორები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ტურისტულ პროცესში მიიჩნევენ მისი დაგეგმვის და განხორციელების მნიშვნელოვან ელემენტად. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას ითვალისწინებენ ტურიზმის ისეთ სფეროებში, როგორცაა სტუმართმოყვარეობა, სუვენირების წარმოება და გაყიდვა, კვების პროდუქტების წარმოება და მიწოდება, ტურისტული მარშრუტების მომსახურება, ანიმაციურ ღონისძიებებში მონაწილეობა, დაცვითი ფუნქციების შესრულება და ა.შ.

ეკოტურისტული საქმიანობის მონაწილეთა ეკოლოგიური კულტურის ამაღლება რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: ტურისტულ პროცესში ჩართული რეკრეაციული ტერიტორიების მოსახლეობამ, რომელიც ტურიზმისაგან იღებს ეკონომიკურ სარგებლიანობას, უნდა გააცნობიეროს, რომ ტურისტებისათვის მიმზიდველი ბუნების შენარჩუნება აუცილებელია, რადგანაც სწორედ ის არის ტერიტორიის ძირი-

თადი ფასეულობა, მათი შემოსავლების ძირითადი წყარო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეკოტურიზმის პროპაგანდა წარმოადგენს საერთო პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტს მოსახლეობის ეკოლოგიური მსოფლმხედველობის ამაღლებაში.

მოსახლეობის ფართო მასების ეკოლოგიური განათლება ეკოტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

რეკრეაციული ტერიტორიის ეთნოგრაფიული სტატუსის შენარჩუნება მდგომარეობს გულისხმიერ დამოკიდებულებაში იმ რეგიონის კულტურისა და ტრადიციებისადმი, სადაც ტარდება ტურები. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემაში არ იგულისხმება მხოლოდ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების დაცვა; ტურიზმმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი დესტინაციის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. პლანეტის ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში თანადგომა არის ეკოტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი.

ეკოტურიზმის მთავარი მიზანია გარემოს დაცვითი და საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც რეალურად შეცვლის ადამიანების დამოკიდებულებას ბუნებისადმი.

2.3. ეკოტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენდენციები

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზით ეკოტურიზმი შედის 2020 წლამდე განვითარების 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაში (სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი, თემატური ტურიზმი და კრუიზები). 2020 წლისთვის საერთაშორისო ტურისტულ მონახულებათა რიცხვი გაიზრდება 1,6 მლრდ-მდე, რაც თითქმის სამჯერ აღემატება 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (592 მლნ მონახულება). ზრდის მაღალი ტემპები იქნება დამახასიათებელი სამთო ტურიზმისთვის აგრეთვე ტურებზე სათავგადასავლო რისკის ელემენტებით. ეკოტურიზმი ამჟამად იქცა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგად. ტურიზმის გეოგრაფია და ფორმები კი მუდმივად ფართოვდება. ტურიზ-

მის ინდუსტრიის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონების ეკონომიკისათვის.

ამ საუკუნისთვის დამახასიათებელია ეკოტურებზე, კრუიზებზე, შემეცნებით და საექსკურსიო პროგრამებზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რაც აიხსნება საშუალო კლასის რიცხოვნობის და ყიდვითუნარიანობის გადიდებით; საშუალო კლასი კი შეადგენს მასიური ტურიზმის საფუძველს განვითარებულ ქვეყნებში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც დიდი ხანია განიცდიან ბუნებრივი ლანდშაფტების დეფიციტს, წლიდან წლამდე იზრდება ეროვნული პარკების მონახულების სურვილი.

მსოფლიოში ეკოტურისტების ძირითად ნაკადს შეადგენს განვითარებული სამრეწველო ქვეყნების მოსახლეობა, რომელსაც აინტერესებს ხელშეუხებელი ბუნება და ხალხის ყოფა პლანეტის ცალკეულ კუთხეებში; განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფრიკის, აზიის, ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ეგზოტიკური ბუნება და კულტურა. ეკოტურისტების ყველაზე დიდი ნაკადები მიმართულია კენიაში, ტაილანდში, ნეპალში, ტანზანიაში, ეკვადორში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვა.

ეკოლოგიური ტურიზმის მოტივაცია. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ეკოტურიზმის განვითარების მოტივაციას შეადგენენ არის ადამიანთა სწრაფვა დასვენების დროს ეზიარონ შედარებით ხელშეუხებელ ბუნებას, ისუნთქონ სუფთა ჰაერით, სვან და იბანავონ სუფთა წყლით, მოიხმარონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება ბუნებრივი ლანდშაფტის ჭვრეტი.

ეკოლოგიური პრობლემებისადმი დამოკიდებულება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში სხვადასხვაა. ეს საკითხი შესწავილი იქნა გერმანელი ტურისტების მაგალითზე; დასვენებისას ეკოლოგიური ასპექტებისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით ისინი ოთხ ჯგუფად იყოფიან:

I ჯგუფს ეკუთვნის ტურისტები, რომლებიც დასვენებისას ეკოლოგიური ასპექტების მნიშვნელობას უარყოფენ (მოსახლეობის 26,3%). ექსპერტთა მონაცემებით, ამ ჯგუფის ხალ-

ხის დიდი ნაწილი არის განათლების დაბალი დონის, დაბალი შემოსავლების ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დაქორწილებულნი და არ სწავლობენ;

II ჯგუფს ეკუთვნის ტურისტები, რომლებსაც არ სურთ ტურცენტრში გარემოს დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გადაიხადონ თანხა (მოსახლეობის 29%) და აქვთ საკმაოდ ცუდგრილი დამოკიდებულება ეკოლოგიური ასპექტებისადმი. ამ ჯგუფში უპირატესად შედიან 60 წელზე ნაკლები ასაკის ქალები, განათლების შედარებით დაბალი დონით და შემოსავლებით, პენსიონერები და უშვილოები;

III ჯგუფი წარმოდგენილია ბუნების მოყვარული, დასვენებისას გარემოს დაცვის მომხრე ტურისტებით (მოსახლეობის 30%). ამ ჯგუფს ეკუთვნის ხალხი, დაინტერესებული ეკოტურისტული პრობლემებით; ისინი არიან საშუალო ასაკის (30-59 წ) ხალხი, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლებით, შემოსავლის მაღალი ან საშუალო დონით, რომლებსაც აქვთ სამუშაო და ჰყავთ ბავშვები 14 წლის ასაკამდე;

IV ჯგუფს ეკუთვნის დასვენებისას გარემოს დაცვის უზრუნველყოფაზე სოციალურად პასუხისმგებელი პირები (მოსახლეობის 14,7%). ამ ჯგუფის ხალხისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულისხმიერი დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტილისა და ტრადიციებისადმი; ესენი არიან უპირატესად საშუალო ასაკის ხალხი, უმაღლესი განათლებით და შემოსავლების მაღალი დონით.

ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზით, ახლო მომავალში გაიზრდება მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებებზე საპენსიო ასაკის ადამიანთა მხრიდან; ამ ფენის მრავალი წარმომადგენელი აშშ-დან, გერმანიიდან, იაპონიიდან უკვე აქტიურად მონაწილეობს ეკოტურებში. საერთაშორისო ეკოტურისტების საშუალო ასაკი 35-57 წელია.

ეკოტურისტულ მოგზაურობათა ზრდას მომავალში ხელს შეუწყობს:

⇒ ეკოლოგიური ხასიათის ყოველდღიური პრობლემების მზარდი მნიშვნელობა;

⇒ მიზნობრივი ეკოტურისტული ჯგუფების ზრდა ბავშვების ხარჯზე, რომლებსაც უნერგავენ გარემოს დაცვისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას;

⇒ ტურისტების მიმღებ ქვეყნებში ტურისტებისთვის კომფორტის უზრუნველყოფის ძალისხმევის ზრდა.

საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია: თვალწარმტაცი ბუნება, რომელსაც დღემდე შემორჩენილი აქვს პირველყოფილი სახე, ბიოსფეროს ძირითადი კომპონენტების – წყლის, ჰაერის, ნიადაგის სისუფთავე, უმდიდრესი ფლორა და ფაუნა. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილია მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ნოტიო სუბტროპიკებიდან დაწყებული მყინვარებით დამთავრებული; დიდი კავკასიონის ქედი, უამრავი მდინარე და მღვიმეები, ჩანჩქერები მყარ საფუძველს ქმნის ეკოტურიზმის განვითარებისთვის.

2.4. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ამოცანას, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ბიოსფეროს აუცილებელი პარამეტრების, როგორც დედამიწაზე სიცოცხლის საფუძვლის შენარჩუნება.

მასობრივი ტურიზმის ნეგატიურ ზემოქმედებას გარემოსა და ტურისტულ რესურსებზე დიდი ყურადღება ეთმობოდა უკვე XX საუკუნუს 70-იან წლებში; მარტო 1999 წელს ამ თემაზე საზღვარგარეთ 400-ზე მეტი გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდა.

1983 წელს გაეროს ეგიდით შეიქმნა “გარემოს პრობლემების და განვითარების საერთაშორისო კომისია”, რომელშიც მონაწილეობდა 23 ცნობილი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. კომისიის დასკვნით გარემოს მდგომარეობა და ეკონომიკური საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან; ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან პრობლემებს ქმნიან, ამიტომ მათი განხილვა ერთობლივად უნდა ხდებოდეს. 1987 წელს ამ კომისიამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად წარადგინა მოხსენება “ჩვენი საერთო მომავალი”.

კომისიის დასკვნით ბიოსფეროს დეგრადირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასობრივი სილატაკეა, რაც ყოველმხრივ

ამუხრუჭებს საზოგადოებრივ პროგრესს და გარემოს უარყოფით ცვლილებას უწყობს ხელს. სილატაკე აიძულებს მოსახლეობას დღეს გამოიყენოს ის, რაც ხვალისთვის იყო გათვალისწინებული: ჩეხოს ტყეები სხვა საწვავის უქონლობის გამო, ზეინტენსიური ექსპლუატაციით გამოფიტოს მიწები, გააუდაბნოს საძოვრები და ა.შ.

პლანეტის ღარიბი მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატება მდიდარს. ინდუსტრიულ ქვეყნებში კონცენტრირებულია მოსახლეობის 25%, რომელიც საერთო პროდუქციის თითქმის 80%-ს იყენებს; ამავე დროს განვითარებადი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა 75 %-ია, საერთო დოვლათის მხოლოდ 20 % მოიხმარს.

განვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ გარემოს დაცვის ეკოლოგიურ პრობლემებს, რადგან ბუნებრივი რესურსების დაცვა და მათი რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკურ აღმავლობას და მდგრადობის მიღწევას; ღარიბი ქვეყნები ვერ განახორციელებენ გარემოს დაცვის პრობლემების დასაძლევ პროგრამებს განვითარებული ქვეყნებიდან ფინანსური დახმარების განხორციელების გარეშე.

სიმდიდრე და სიღარიბე სხვადასხვაგვარ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ბუნებრივ გარემოზე. სიმდიდრესთან დაკავშირებულია ჭარბწარმოებისა და ჭარბი მოხმარების ისეთი პრობლემები, როგორცაა ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურება, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები; სილატაკესთანაა დაკავშირებული ტყეების გაჩეხვა, ნიადაგის ეროზია და სხვა.

კომისიის განმარტებით “მდგრადი განვითარება არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზა, დაფუძნებული გარემოს სტაბილურ მდგომარეობაზე. ეს გზა უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და, ამავე დროს, მომავალი თაობების განვითარების პერსპექტივებსაც ითვალისწინებდეს.”

“გარემოს პრობლემების და განვითარების საერთაშორისო კომისიის” დასკვნით მდგრადი განვითარების რეალიზაციისთვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი პირობები:

1. ეკონომიკური განვითარების დაჩქარება;
2. მოსახლეობის ზრდის შენელება;

3. ძრითადი ბიოლოგიური კაპიტალის შემცირების შეწყვეტა.
4. წარმოების ხასიათის რადიკალური ცვლილება ენერჯის მაქსიმალური დაზოგვით;
5. კაპიტალდაბანდების გაზრდა გარემოს დაცვაში და მისი შემცირება შეიარაღებაში.

მდგრადი განვითარების პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია ტურიზმში ჩართული უნიკალური ბუნებრივი ობიექტების და მოვლენებისთვის. ეკოტურიზმი, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად ბუნებრივი ტურისტული რესურსების გამოყენებაზე, მდგრადი განვითარების იდეის რეალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მდგრადი განვითარების ქვეშ იგულისხმება ისეთი პროცესი, რომელიც არ მიაყენებს ზარალს ტურისტულ რესურსებს და რომლის დროსაც ტურისტული რესურსების განახლება მოხდება ისეთივე სიჩქარით, როგორც გამოყენება, ანდა მოხდება ძნელად განახლებადი რესურსებიდან ადვილად განახლებად რესურსებზე გადასვლა. მდგრადი განვითარება მოიაზრება როგორც სტაბილური სოციალ-ეკონომიკური განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების უწყვეტ პროგრესს.

მდგრადი განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდევს გამტარუნარიანობის პოტენციალი. გამტარუნარიანობის პოტენციალი არის ის მაქსიმალური დატვირთვა, რომელსაც შეიძლება გაუძლოს ამა თუ იმ ტურისტულმა ობიექტმა ადგილობრივი რესურსებისადმი მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების გარეშე, მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ნეგატიური ზემოქმედების და მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების აღძვრის გარეშე.

მდგრადი განვითარების კონცეფციის საერთაშორისო აღიარების შემდეგ ხდება მისი განვითარება და სრულყოფა: 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროს დედამინის სამიტზე მიღებული იქნა დოკუმენტი "დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის". იგი წარმოადგენს იმ რეკომენდაციების კრებულს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილებას.

მდგრადი განვითარების პრობლემის გლობალური ხასიათის გამო მისი გადაჭრა რეგიონულ, ან ეროვნულ დონეზე შე-

უძლებელია. აღნიშნულის გამო 1996 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის, მოგზაურობებისა და ტურიზმის დარგში მსოფლიო საბჭოს და ორგანიზაცია "მწვანე დედამიწის" მიერ შემუშავდა "XXI საუკუნეში ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია", რომელსაც საფუძვლად დაედო 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე 182 ქვეყნის მთავრობათა მიერ მიღებული ყოველმხრივი საქმიანობის პროგრამა "დღის წესრიგი 21 ტურიზმისა და მოგზაურობებისთვის".

ბუნებათსარგებლობის სტრატეგიის რეალიზაციაში რეკრეაციული რესურსებთან მიმართებაში პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ⊕ ეროვნული ბუნებრივი პარკების ქსელის განვითარება;
- ⊕ რეკრეაციული რესურსების გამოყენების და შენარჩუნების ეფექტური სამართლებრივი ნორმატიული ბაზის ფორმირება;
- ⊕ რეკრეაციული რესურსების გამოყენების და შენარჩუნების ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფა.

მდგრადი განვითარების პრინციპებმა ასახვა ჰპოვა ტურიზმის გლობალურ ეთიკურ კოდექსში, რომელზე მუშაობაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტებმა ჯერ კიდევ 1997 წ დაიწყეს.

25. ეკოტურისტული გაზრდის ზრდის დინამიკა

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 1993 წელს ეკოტურიზმზე მოდიოდა საერთაშორისო მოგზაურობათა 7%. რესურსების საერთაშორისო ინსტიტუტის გათვლებით ტურიზმის ყოველწლიური 4%-ით ზრდისას, ეკოტურიზმისაგან შემოსავლები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაიზრდება 10-30%-ით წელიწადში.

აშშ-ის მოგზაურობათა ცენტრის მონაცემებით მოგზაური ამერიკელების 7%-ზე მეტი (დაახლოებით 8 მლნ კაცი) მონაწილეობდა ერთ ეკოტურში მაინც, ხოლო 30%-ზე მეტმა (დაახლოებით 35 მლნ კაცი) განაცხადა, რომ ეკოტურისტულ მოგზაურობას გეგმავს უახლოეს 3 წელიწადში.

ეკოტურიზმის მარკეტინგული პროფილის განსაზღვრა საშუალებას იძლევა გამოვყოთ ტურის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური, ყოფაქცევითი, მოტივაციური ასპექტები, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა მკაფიოდ განისაზღვროს ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგია შემდეგი ხუთი მდგენელის მიხედვით: პროდუქტი, ფასი, ადგილი, წინ ნაწევა, საზოგადოებასთან კავშირი.

აშშ-ში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა ეკოტურის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც განაპირობებს კლიენტის არჩევანს:

- მოგზაურობის რაიონის უნიკალობა;
- გიდეების თანხლება და პროფესიონალიზმი;
- აქტიური დასვენების შესაძლებლობა.

იმ ტურისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ ადგილობრივი კულტურა, ზემოთ ჩამოთვლილს ემატება აგრეთვე უძველესი ღირსშესანიშნაობების, მუზეუმების მონახულება, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები.

გამოკითხული ეკოტურისტების 10%-ის აზრით ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს გიდის პროფესიონალიზმს. აღსანიშნავია აგრეთვე ეკოტურისტების მოთხოვნათა სწრაფი ცვლა: გამოკითხულთა მხოლოდ 45%-ს სურს მომავალი მოგზაურობის ისევე გატარება, როგორც წინასი; დანარჩენები კი ილტვიან სიახლეების და თავგადასავლებისკენ.

რაც შეეხება განთავსების საშუალებების არჩევანს, ეკოტურისტების 40% უპირატესობას აძლევს სოფლებში გაჩერებას, 27%- საკარავო ბანაკებს, 21% - კომფორტულ სასტუმროს, 33%- სასტუმროს.

აშშ-ის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს ყოველწლიურად მოაქვთ 14,2 მლრდ დოლარი შემოსავალი და უზრუნველყოფს ტურიზმთან დაკავშირებულ 300 ათას სამუშაო ადგილს.

ნეპალში 1980-დან 1991 წლამდე ტრეკინგში მონაწილე ტურისტების რიცხვი გაიზარდა 255%-ით; ტურიზმით ყოველწლიური შემოსავალი 200 მლნ დოლარამდეა.

კენიაში 1983-93 წლებში ეკოტურისტების რიცხვი 45%-ით გაიზარდა.

საკონტროლო კითხვები

1. როდის იქნა ფორმირებული ეკოტურიზმი და როდის მიენიჭა მას ოფიციალური სტატუსი?
2. რა არის ბუნებრივი ეკოსისტემების რეკრეაციული დეგრადაცია და რით არის ის გამოწვეული?
3. როდის და სად შეიქმნა პირველი ეროვნული პარკი და როგორია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნის ტენდენცია?
4. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ეკოტურიზმის პერსპექტიული ფორმები.
5. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ეკოტურიზმის საბაზისო პრინციპები.
6. რა არის მთავარი პირობა, რომელიც ეკოტურიზმს განასხვავებს ბუნებაში დასვენების სხვა ფორმებისაგან?
7. ვინ შეადგენს ეკოტურიზმის ძირითად ნაკადს და როგორია ეკოტურიზმის მოტივაცია?
8. თქვენი აზრით პერსპექტიულია თუ არა ეკოტურიზმის განვითარება საქართველოში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
9. ჩამოთვალეთ ეკოტურისტულ მოგზაურობათა ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები.

დავლება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

1. დაახასიათეთ ეკოტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში; ჩამოთვალეთ ეკოტურიზმის სწრაფი ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები.
2. შეაფასეთ თქვენი, ან თქვენი ოჯახის ტურისტული აქტივობა. მოტივების რომელი ჯგუფი თამაშობს მნიშვნელოვან როლს თქვენს მიერ მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში?

თავი 3. ეკოტურიზმის რესურსები

პლანეტის ბუნებრივი ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ეკოტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია; მის გარეშე ბიოსფეროს პროგრესიული განვითარება შეუძლებელია, რადგან არ იქნება ეკოლოგიური დუბლირებისთვის აუცილებელი პირობები.

ეკოტურიზმის ძირითადი რესურსი არის ბუნება. დაახლოებით 400 წლის განმავლობაში, როცა მიმდინარეობს მცენარეული და ცხოველური სამყაროს აღწერა, სრულიად დაიკარგა 60 სახის ძუძუმწოვარი და 90-ზე მეტი ფრინველთა სახეობა. იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა და ცხოველთა რეგისტრაციის და შენარჩუნებისთვის სასწრაფო ზომების მისაღებად იქმნება **ნითელი ნიგნები**. ეკოლოგიური ტურიზმი ემყარება ტურისტული რესურსების მიზანმიმართულ, გონივრულ მოხმარებას.

რადგან ბოლო წლებში ტურისტთა ნაკადის ზრდა აღემატება რეკრეაციული ბუნებრივი ტერიტორიების აღდგენის უნარს, ამიტომ საჭირო გახდა ტურისტულ პრაქტიკაში ორგანიზაციის ისეთი ფორმების დანერგვის აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებას შენახვის რეჟიმში. ამ პრობლემის გადაჭრაში დიდ როლს თამაშობს **დაცული ბუნებრივი ტერიტორიები**.

დანიშნულების და რეჟიმის დაცვის სიმკაცრის მიხედვით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები იყოფა სხვადასხვა კატეგორიებად. ეროვნული პარკები, ნაკრძალები, "იუნესკო"-ს ბიოსფერული ნაკრძალები, დაცული ბუნებრივი ლანდშაფტები, ბუნებრივი პარკები და ა.შ., გაერთიანებულნი ერთი სახელწოდებით – **დაცული ბუნებრივი ტერიტორიები (დბტ)** წარმოადგენენ ეკოტურიზმის განვითარების ძირითად რესურსს.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეროვნულ სისტემებს აქვთ არსებითი განსხვავებები, განპირობებული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით, მოსახლეობის სიმჭიდროვით, ურბანიზაციის დონით, მოსახლეობის ბუნებისადმი ტრადიციული დამოკიდებულებით და ა.შ.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეროვნული სისტემების დიდმა მრავალფეროვნებამ, სიძნელებმა ერთობლივი მუშაობის ორგანიზაციაში, პლანეტის ბუნების გამაღებელი დეგრადაციის ფონზე ძალისხმევითა გაერთიანების გარდაუვალობამ, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში განაპირობა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მსოფლიო სისტემის მოწესრიგების აუცილებლობა. განსაზღვრული იქნა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ძირითადი კატეგორიები, ფორმულირებული იქნა მათი მმართველობითი ამოცანები. საერთაშორისო ნომენკლატურის თანახმად გამოყოფილი იქნა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შემდეგი კატეგორიები:

• **ეროვნული ნაკრძალი** – გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის. ის იქმნება ბუნების დაცვის მიზნით, ეკოლოგიური კვლევების და განათლებისთვის, ბუნებრივი პროცესების, აგრეთვე გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად პირვანდელ მდგომარეობაში, რათა გვქონდეს ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი ნიმუშები სამეცნიერო კვლევების, ეკოლოგიური დაკვირვებების და განათლების მიზნებისათვის;

• **ეროვნული პარკი** – იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე, გამორჩეული ბუნებრივი და ლანდშაფტური ტერიტორიების დასაცავად სამეცნიერო, განათლების და დასვენების მიზნით; ეროვნულ პარკებში იკრძალება კომერციული საქმიანობა, მენარმეოტა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა;

• **ბუნების ძეგლები** – იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე ღირსშესანიშნაობათა დასაცავად და შესანარჩუნებლად იმის გამო, რომ ისინი ინვევენ განსაკუთრებულ ინტერესს, ანდა გააჩნიათ უნიკალური მახასიათებლები. ისინი მოიცავენ შედარებით მცირე რაიონებს, რომლებშიც მთავარი ყურადღება ეთმობა კონკრეტულ ღირსშესანიშნაობებს (მაგალითად გიზას პირამიდა);

• **მართვადი ნაკრძალი / ნაკრძალი გარეული ცხოველებისათვის** – იქმნება საჭირო ბუნებრივი პირობების უზრუნველსაყოფად გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად, ან გარემოს ფაქტიური მახასიათებლების

შესანარჩუნებლად, როცა ამისთვის საჭიროა ადამიანის სპეციფიკური მონაწილეობა;

• **დაცული ლანდშაფტები** – იქმნება ადამიანის და გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების ამსახველი ეროვნული მნიშვნელობის ლანდშაფტების შესანარჩუნებლად, დასვენების და ტურიზმის ჩარჩოებში მათი საზოგადოებრივი სარგებლობის ნებართვით;

• **სარესურსო ნაკრძალი** – იქმნება რეგიონის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მიზნით, მომავალში მათ გამოსაყენებლად და ისეთი საექსპლუატაციო საქმიანობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს რესურსებზე მანამდე, სანამ არ არის განსაზღვრული მათი გამოყენების მიზანი სათანადო ცოდნის და დაგეგმვის საფუძველზე;

• **ბუნებრივი ბიოტური ტერიტორია/ ანთროპოლოგიური ნაკრძალი** – იქმნება იმისთვის, რომ ბუნებასთან ჰარმონიაში მცხოვრები ხალხების ყოფა არ დააზიანოს თანამედროვე ტექნოლოგიებმა; ანთროპოლოგიურ ნაკრძალებში ძირეული მოსახლეობის მიერ რესურსების მოხმარება ხდება ტრადიციული გზით;

• **მრავალმხრივი გამოყენების მართული ტერიტორიები** – იქმნება წყლის, ტყის, ცხოველთა სამყაროს, საძოვრების და რეკრეაციული პოტენციალის მდგრადი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად.

მსოფლიოს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს ჰყავთ შტატში ადმინისტრაციული, სამეცნიერო, დაცვის, დამხმარე სტრუქტურები, რომლებსაც ძალუძთ ეკოტურიზმის შემდეგი ძირითადი პრობლემების რეალიზება:

- არაამონურვადი რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა;
- ეკოლოგიური განათლების დანერგვა ფართო მასებში;
- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტურისტულ პროცესში;
- რეკრეაციული ბუნებრივი ტერიტორიების დაცვა და სხვა.

3. 1. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების გლობალური ძსქლი

1971 წელს “იუნესკოს” გენერალურ კონფერენციაზე დაფუძნდა პროგრამა “ადამიანი და ბიოსფერო”. პროგრამის შექმნის მიზანი იყო სოფლის მოსახლეობის გარემოსთან ჰარმონიული თანაარსებობის მექანიზმის ფორმირება, რისთვისაც საჭირო იყო სხვადასხვა ბუნებრივ ეკოსისტემებზე ადამიანის ზემოქმედების შეფასება. 1972 წელს კი “გაეროს” კონფერენციაზე სტოკჰოლმში მიღებული იქნა რეკომენდაციები ეკოსისტემების ეტალონური ნიმუშების შესანარჩუნებლად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების – “ბიოსფერული ტერიტორიების” ფორმირების შესახებ. უკვე 1976 წელს შეიქმნა 59 ბიოსფერული ტერიტორია მსოფლიოს 8 ქვეყანაში.

ბიოსფერული ტერიტორიების განვითარების გეგმა მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგს, სწავლებას, განათლებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას.

ბიოსფერული ტერიტორია მლიცავს 3 ზონას:

→ ბირთვული ზონა, სადაც მიმდინარეობს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი;

→ ბუფერული ზონა, სადაც ტარდება სამეცნიერო კვლევები, სწავლება და დაშვებულია ეკოლოგიური ტურიზმიც;

→ გარდამავალი, ანუ თანამშრომლობის ზონა, რომელსაც არა აქვს ფიქსირებული საზღვრები.

ეკოლოგიური მონიტორინგი არის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვება და გაფრთხილება მოსალოდნელი კრიტიკული სიტუაციების შესახებ.

ფონური მონიტორინგი არის ანთროპოგენური ზემოქმედების გარეშე, ბუნებრივად მიმდინარე მოვლენებისადმი თვალყურის დევნება; ის ხორციელდება ბიოსფერულ ნაკრძალებში.

იმპაქტური მონიტორინგის მსვლელობაში ხორციელდება განსაკუთრებით საშიშ ზონებში ანთროპოგენური ზემოქმედებისადმი თვალყურის დევნება.

ლოკალური მონიტორინგის დროს მიმდინარეობს რომელიმე რაიონის ფარგლებში ბუნებრივი პროცესების და მოვ-

ლენებისადმი თვალყურის დევნება. მაგალითად ქალაქებში ჰაერის დაჭუჭყიანებისადმი კონტროლი.

გლობალური მონიტორინგი ხელს უწყობს ცნობების შეგროვებას საერთო-მსოფლიო პროცესების განვითარებაზე, მაგ. ოზონის შრის ცვლილებებზე.

ეკოლოგიური მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების დახმარებით (საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის ჩათვლით), ისე ბიოინდიკატორების დახმარებით, ე.ი. რომელიმე განსაკუთრებით ან სუსტად მგრძობიარე ცხოველების და მცენარეების დახმარებით, რომელთა საქციელის ან მდგომარეობის მიხედვით მსჯელობენ გარემოს ცვლილების ხარისხზე; მაგალითად, თუ ქალაქის რომელიმე რაიონში ხეების მერქანზე შემცვირდა ლიქენის რაოდენობა, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მიზეზი არის ამ რაიონის ჰაერის დაჭუჭყიანება.

ბიოსფერული ტერიტორიები იქმნება საერთაშორისო-სამეცნიერო პროგრამის "ადამიანი და ბიოსფერო" ფარგლებში. ჩვეულებრივი ნაკრძალებისგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ შედიან ბიოსფერული სადგურების სისტემაში და ატარებენ მათთან ერთად გამოკვლევათა ციკლს გარემოს ფონური (გეოსისტემური, რეგიონული და გლობალური) მონიტორინგის პროგრამის მიხედვით. ბიოსფერული სადგურები ატარებენ კვლევებს ნაკრძალის გარეთ, ბუფერულ ზონაში, სადაც არის მეურნეობის ტრადიციული ფორმები, აგრეთვე იმ რაიონების პოლიგონებში, რომლებიც ინტენსიურად არიან ათვისებული მრეწველობით და სოფლის მეურნეობით. ნაკრძალისათვის ბიოსფერული სტატუსის მინიჭებას განიხილავს "იუნესკო" ქვეყნის სათანადო ორგანიზაციის წარდგენის შემდეგ.

2001 წლისთვის ბიოსფერული ტერიტორიების ქსელი მოიცავდა 411 ბიოსფერულ ტერიტორიას 94 ქვეყანაში.

3.2. დაცული გუნებრივი ტერიტორიები და ტურიზმი

1983 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ და UNEP-მა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა გარემოს დაცვის დარგში) მოამზადეს და ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ტურიზმის და გარემოს დაცვის

ურთიერთკავშირის შესახებ. ამ დეკლარაციის ხელმოწერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებაში; განსაზღვრული იქნა სპეციალიზირებული პარკების ზოგიერთი კატეგორია, მათ შორის:

⇒ **ლანდშაფტური პარკები** – სხვადასხვა ბუნებრივი ზონების და ლანდშაფტების ტიპური წარმომადგენლებია, სპეციალურად ორგანიზებული დასასვენებლად, ეკოტურიზმისა და სამეცნიერო ეკოლოგიური და ლანდშაფტური კვლევების ჩასატარებლად;

⇒ **სპორტული პარკები** – სპეციალურად ორგანიზებული ტერიტორიებია, რომლებიც შეიცავენ ტრენინგისა და თვითმოქმედი კვალიფიციური ტურიზმისათვის ობიექტებსა და ადგილებს, აგრეთვე ობიექტებს სასწავლო-სპორტული და ტურისტული ღონისძიებების ჩასატარებლად;

⇒ **თევზაჭერი-სასანადირო პარკები** – სპეციალური ტერიტორიებია ლიცენზიებით რეგულირებადი ნადირობისა და თევზჭერისათვის, აგრეთვე ეკოლოგიური, ზოოლოგიური, ისტოლოგიური სამეცნიერო კვლევების და ღონისძიებათა ჩასატარებლად;

⇒ **აკვაპარკები** – სპეციალურად ორგანიზებულია წყლის ტურიზმისათვის (ბანაობა, ნავით სეირნობა, ატრაქციონები და ა.შ.), სამეცნიერო-ეკოლოგიური და ლანდშაფტური კვლევებისა და ზოგიერთი სახესამეურნეო საქმიანობისათვის; დიდი ბარიერული რიფი ავსტრალიაში მსოფლიო მნიშვნელობის აკვაპარკად არღას გამოცხადებული;

⇒ **აგროპარკები** – სპეციალური ტერიტორიებია ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და ექსკურსანტებისათვის მათი ექსპონირებისათვის.

სპეციალურად ტურისტული მიზნებისათვის შექმნილ პარკებს ეკუთვნიან **თემატური პარკებიც**, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილია "ზღვის სამყარო", "ფუტუროსკოპი", "დისნეი ლენდი", "ბუმ-გარდენი" და სხვა. ბოლო წლებში განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინეს **ისტორიულმა და ეთნოგრაფიულმა პარკებმა და სოფლებმა**. ამ ტიპის თემატურ

პარკებში ხდება პლანეტის ცალკეული ხალხების ცხოვრების და ყოფის აღდგენა.

დაცვის ქვეშე მყოფ ბუნებრივ ტერიტორიებს, სადაც ტურიზმი შესაძლებელია შეიზღუდოს სხვადასხვა ხარისხით, ეკუთვნის: ეროვნული პარკები, ბიოსფერული ნაკრძალები, ბუნების ძეგლები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და სხვა.

ტურისტული რესურსები უმთავრესად ეროვნულ ქონებას წარმოადგენს, თუმცა რესურსების ნაწილს შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობაც ჰქონდეს. ასეთ ობიექტთა ჩამონათვალი შექმნილია "იუნესკოს" მიერ და მისი განახლება ყოველწლიურად ხდება. მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნებისთვის სახსრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოჰყოფს.

3.3. ეროვნული პარკები

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემაში განსკუთრებული ადგილი უკავია ეროვნულ პარკებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაში, საზოგადოების ფართო მასების ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებაში, ეკოლოგიური ნონასწორობის შენარჩუნებასა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამასთან, ტურიზმის სწრაფი განვითარება განაპირობებს ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობას, რაც მიიღწევა ეროვნული პარკების ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარებით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 1999 წ. ტურისტთა რიცხვმა მსოფლიოში 600 მლნ-ს გადააჭარბა, აქედან ნახევარზე მეტმა იმოგზაურა ბუნებრივ კომპლექსებში.

რადგან პირველი ეროვნული პარკები შეიქმნა ინდუსტრიული საუკუნის დასაწყისში, მათი ორგანიზატორები ცდილობდნენ ბუნების ყველაზე უნიკალური კუთხეები დაეცვათ ტექნიკის დამანგრეველი ზემოქმედებისგან. ამიტომ, კერძო მინათ-მფლობელობის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ამოცანა იყო რჩეული კუთხეების **სახელმწიფო კონტროლის ქვეშ** დაყენება.

ეროვნული პარკების შექმნა, როგორც წესი, სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაა, ამჟამად მსოფლიოში 3500-ზე მეტი ეროვნული პარკი არსებობს, რომელთაგან 2600 მსოფლიო მნიშვნელობისაა. ეროვნული პარკი დიდი ტერიტორიაა (რამდენიმე ათას ჰექტრამდე), რომელიც მოიცავს როგორც ნაკრძალ ზონებს, ისე ზონებს დანიშნულს ტურიზმისთვის, დასვენების, ეკოლოგიური განათლებისთვის და სხვა.

თუმცა ეროვნული პარკები არსებობენ 1872 წლიდან, ეროვნული პარკის პირველი განსაზღვრა მიღებული იყო აფრიკის ფაუნის და ფლორის დაცვის კონვენციის მიერ 1933 წელს. ამ განსაზღვრის თანახმად **ეროვნული პარკი** არის:

→ **სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი რაიონი**, რომლის საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს, ან რომლის ნებისმიერი ნაწილი არ შეიძლება იქნეს მოწყვეტილი კომპეტენტურ საკანონმდებლო ხელისუფალთა გადაწყვეტილების გარეშე;

→ გამოყოფილი რაიონი **ველური ცხოველების და მცენარეების გასამრავლებლად, დასაცავად და შესანახად, აგრეთვე იმ ობიექტების დასაცავად, რომლებიც წარმოადგენენ ესთეტიკურ, გეოლოგიურ, ისტორიულ, არქეოლოგიურ ან სხვა სამეცნიერო ინტერესს მოსახლეობის ფართო ფენების საკეთილდღეოდ და დასასვენებლად;**

→ გამოყოფილი რაიონი, **რომლის საზღვრებში იკრძალება ნადირობა, სროლა, ან ცხოველთა დაჭერა და მოსპობა, ან მცენარეთა კოლექციონირება, იმ შემთხვევების გარდა, როცა მსგავსი მოქმედებები ხდება პარკის ადმინისტრაციის ნებართვით, ან ხელმძღვანელობით, ან კონტროლის ქვეშ.**

ეროვნული პარკების შემდეგი განსაზღვრა მიღებული იყო ბუნებრივი რესურსების და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის X გენერალური ასამბლეის მიერ (დელი, 1969 წელი), რომლის თანახმად

ეროვნული პარკი არის შედარებით დიდი ტერიტორია, სადაც:

• **ერთი, ან რიგი ეკოსისტემების არ არის შეცვლილი სამეურნეო საქმიანობით, აქვს მცენარეთა და ცხოველთა სახეები, გეომორფოლოგიური ობიექტები და სპეციალური სა-**

მეცნიერო, საგანმანათლებლო, ან რეკრეაციული მნიშვნელობის ადგილები;

• ცენტრალურმა სახელმწიფო ხელისუფლებამ მიიღო ზომები სამეურნეო საქმიანობის გამოსარიცხად და ეფექტურად ატარებს ღონისძიებებს იმ ეკოლოგიური, გეომორფოლოგიური და ესთეტიკური მახასიათებლების შესანარჩუნებლად, რომლებმაც განაპირობეს ეროვნული პარკის გამოყოფა;

• მნახველებისთვის ნებადართულია შესვლა განსაზღვრული პირობებით, განათლების, დასვენების, აღფრთოვანების და კულტურული მიზნებისათვის.

ეროვნული პარკები ღიაა დამთვალიერებლებისთვის, ამიტომ მასში ბუნების დაცვის ძირითად ფუნქციასთან შერწყმულია ზონირების სისტემა. ეროვნული პარკები დამთვალიერებლებს იღებენ ზონირების სისტემით გამოყოფილ იმ ნაწილში, სადაც დასაშვებია მხოლოდ კონტროლირებადი ბუნებრივი ტურიზმი. ტერიტორიის ამ ნაწილში დასაშვებია ბილიკების და რეკრეაციული, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა ტურისტებისთვის.

ეროვნული პარკები ეკოტურნიზის ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორთა რიცხვს. ეკოტურიზმის განვითარებაში ეროვნული პარკები არიან ის წამყვანი ტერიტორიები, რომლებზეც შესაძლებელია მომსახურების სფეროს კომპლექსური განვითარება და სხვადასხვა თემატური მარშრუტების ორგანიზება. ეროვნულ პარკებში იკრძალება დასვენების ხმაურიანი ფორმები, ეროვნული პარკის დაგეგმარება ითვალისწინებს მეცნიერული ღირებულების მქონე ზონის განლაგებას პარკის სიღრმეში, მის ყველაზე ძნელად მისაწვდომ ადგილებში, პერიფერიულ ზონებში კი თავმოყრილია ტურისტული ბაზები, მომსახურების ობიექტები და სხვა.

ეროვნულ პარკებში ეკოტურიზმის განვითარება გაცილებით ნაკლებ ორგანიზაციულ ხარჯებს და კაპდაზნდებებს თხოულობს სანყის ეტაპზე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; იგი ორიენტირებულია იმ კატეგორიის ხალხზე, რომელიც შეგნებულად ისწრაფვის ჩვეულებრივზე ნაკლები კომფორტული პირობებისკენ და რომელიც სერვისის დონეს არ უყენებს მაღალ მოთხოვნებს.

3.4. საქართველოს დაცული ბუნებრივი ტერიტორიები

საქართველოში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემის განვითარებისთვის 1996 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", რომლის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

- სახელმწიფო ნაკრძალი;
- ეროვნული პარკი;
- ბუნების ძეგლი;
- აღკვეთილი;
- დაცული ლანდშაფტი;
- მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დსაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის.

ეროვნული პარკისთვის შეიძლება შეირჩეს შედარებით დიდი ბუნებრივი სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მდგომი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი, ან ნაკლებ დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და ველურ ცოცხალ ორგანიზმთა სახეობა.

ეროვნულ პარკში შეიძლება მოენყოს შემდეგი ძირითადი ზონები:

- ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- გ) ვიზიტორთა ზონა;
- დ) აღდგენის ზონა;
- ე) ისტორიულ-კულტურული ზონა;
- ვ) ადმინისტრაციის ზონა;
- ზ) ტრადიციული გამოყენების ზონა.

ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნებისთვის, სამეცნიერო კვლევის და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ბუნების მართვადი ზონა ეწყობა სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობის და აღდგენის, აგრეთვე მეცნიერული კვლევის, ტურიზმის და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ვიზიტორთა ზონის მიზანია ბუნების დაცვა, რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობა.

აღდგენის ზონა ეწყობა ანთროპოგენური ზემოქმედებით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვისა და აღდგენისათვის.

ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტების და (ან) არქიტექტურული ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის, ტურიზმის და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. ეს ზონა არ მოიცავს დასახლებებს.

ადმინისტრაციის ზონა ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

ეროვნული პარკი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას, ან თვითონ ითავსებდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქარბტენიანი ტერიტორიის კატეგორიას.

აღკვეთილი ბუნებრივი კომპლექსია, დანიშნული ცალკეულ სახეობათა შესანარჩუნებლად, სხვა სახეობათა შეზღუდული გამოყენებისას. აღკვეთილის მონაკვეთებზე დროებით, ან მუდმივად იკრძალება სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეები. მაგალითად, შეიძლება აიკრძალოს სამეურნეო საქმიანობა, რომელიც დაარღვევს ლანდშაფტს, მაგრამ დაშვებული იყოს ნადირობა. ზოგჯერ იქმნება დროებითი სანადირო აღკვეთილები რომელიმე სახეობის ცხოველთა რიცხოვნობის შესანარჩუნებლად, ან აღსადგენად.

საქართველოს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საერთო ფართობი 2007 წლის მონაცემებით 482842 ჰექტარს შეადგენდა, რაც ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი დაარსებულია 1995 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით და გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული სამუშაოების შედეგად. 2001 წლის მარტში ოფიციალურად გაიხსნა საქართველოში პირველი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი "ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი". 2006 წელს პარკის საერთო ფართობმა 85 000 ჰექტარს მიაღწია, რაც საქართველოს ფართობის 1%-ზე მეტია და ფართობის მიხედვით ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში.

ეროვნული პარკი საქართველოს 6 ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მდებარეობს და ისტორიულად 3 ეთნოგრაფიულ მხარეს განეკუთვნება, ესენია სამცხე, შიდა ქართლი და იმერეთი.

პარკის უმაღლესი წერტილია მთა სამეცხვარიო სიმაღლით 2642 მ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფაუნის და ფლორის სიმდიდრე და მრავალფეროვნება მისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობების ნაირგვარობით არის განპირობებული; პარკის ჩრდილოეთი ნაწილი მოქცეულია კოლხეთის ტენიან, ნახევრად სუბტროპიკულ არეალში, ხოლო სამხრეთი ნაწილი მდებარეობს მშრალი ჰავის გავლენის სფეროში. ეროვნული პარკის ტყეებში სუბალპურ და ალპურ მდელოებზე მრავალი ენდემური⁵ და რელიქტიური⁶ მცენარე იზრდება; მრავალადაა ისეთი ენდემებიც, რომლებიც ამ რეგიონის გარდა არსად გვხვდება, მრავალადაა აგრეთვე ცხოველთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობები. აქ არსებული ლანდშაფტების ნაწილი პირველქმნილი სახით არის შემორჩენილი, რაც უამრავ ტურისტს იზიდავს.

პარკის შიდა გზებზე აკრძალულია ავტომანქანებით მოძრაობა; ამჟამად პარკში მოქმედებს მარკირებული და კეთილმოწყობილი ტურისტული მარშრუტები; ბილიკების გასწვრივ ტურისტებისთვის აშენებულია თავშესაფარები, აგრეთვე მცველთა თავშესაფარები. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული

⁵ ენდემი - (ბერძნ.) მცენარეთა და ცხოველთა სახეობა, რომელიც დამახასიათებელია შედარებით მცირე ტერიტორიისათვის.

⁶ რელიქტი (ლათ.) - ორგანიზმი, ნივთი, ან მოვლენა, რომელიც წარმოადგენს შორეული წარსულის, ძველი ეპოქების გადმონაშთს.

პარკის ველური ბუნება დიდ შესაძლებლობებს ქმნის აქტიური ტურიზმის განვითარებისთვის. პარკის ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ ფეხით ან ცხენით გადაადგილება.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს თბილისიდან 175-200 კმ-ის დაშორებით, შირაქის ზეგანზე. ეს დაცული ბუნებრივი ტერიტორია მთლიანად იმყოფება დედოფლისწყაროს რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1935 წელს, არიდული ნათელი ტყის შესანარჩუნებლად. თანამედროვე საზღვრებში ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი ორგანიზებულია 2003 წლის 22 აპრილიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ფართობი 24 598 ჰექტარია. მისი შექმნა განაპირობა ვაშლოვანის ნაკრძალის გარშემო არსებული ნაკლებად შეცვლილი ეკოსისტემების განადგურების საშიშროებამ; იგი ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც სრულადაა ნარმოდგენილი განსხვავებული მცენარეული დაჯგუფებები, ფლორა და ფაუნა, აფრიკული სავანების არიდული მეჩხერი ტყეების ანალოგი. ნაკრძალი ამიერკავკასიის მთათაშორისი ბარის არიდულ ნაკრძალთა უნიკალური ეტალონია, რომელსაც ხატოვნად სავანების "ჩრდილოურ" ვარიანტს უწოდებენ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ნათელი ტყეების ძირითადი ნარმოდგენელია სალსალაჯი – საკმლის ხე ან კევის ხე; იგი ფორმით ხელოვნურად გაშენებულ ვაშლის ბაღს მოგვაგონებს და ადგილის ტოპონიმი – ვაშლოვანი – სავარაუდოა რომ აქედან ნარმოდგებოდეს; მხოლოდ აქ გვხვდება აგრეთვე საკმლის ხის და ღვიის უნიკალური თანაარსებობის მაგალითი.

რელიეფი არაერთგვაროვანია: შედგება დაბალი სერების, ვაკეების და მცირე ფორმის ღარტაფებისგან. ნაკრძალის გეომორფოლოგიურ ფენომენს ეკუთვნის პანტიშარას "გადმოხურული კლდე".

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისიდან 170 კმ-ის დაშორებით, ლაგოდეხის რაიონში მდებარეობს. საქართველოში პირველი ოფიციალური ნაკრძალი 1912 წელს ლაგოდეხის ხეობაში შეიქმნა.

საქართველოს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს ეკუთვნის აგრეთვე მარიამ-ჯვარის, თუშეთის ნაკრძალი, თუშეთის ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი, ბანარა-ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი, ილტოს ალკვეთილი და სხვა.

3.5. ეკოტურისტული საქმიანობის ორგანიზება დაცულ გუნებრივ ტერიტორიაზე

ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე რაციონალური, მდგრადი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა. ბუნების შენარჩუნებას ხელს უწყობს ორი ურთიერთდამოკიდებული პირობა: ა) ეკოტურისტული საქმიანობის ორგანიზება საქმის ცოდნით; ბ) ქვეყნის განსაზღვრული ნორმების და წესების დაცვა ტურისტების მიერ.

ზოგადი წესები, რომლებიც უნდა დაიცვან ტურისტებმა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, შემდეგია: არ მოკრიფონ ყვავილები, არ შეაგროვონ ნიჟარები და ქვები, უნდა იარონ სპეციალურად გამოყოფილ ბილჩქებზე ან არსებულ გზებზე, შეაგროვონ თავიანთი ნაგავი (ბოთლები, ქილები, პლასტმასის ნაკეთობები და სხვა); არ შეაწუხონ ბუნების ბინადარნი, არ დაარღვიონ მათი ბუნებრივი ცხოვრების ნირი, განსაკუთრებით ფრთხილად მოეპყრან მარჯნის რიფებს, არ იყიდონ ის სუვენირები, რომელთა დამზადება ზიანს აყენებს გარემოს; ჩაუქრობელი სიგარეტის გადაგდება შეიძლება ხანძარი გამოიწვიოს.

ეკოტურისტული საქმიანობის მდგრადობის უმნიშვნელოვანესი პირობა კი არის ტერიტორიის ანთროპოგენური დატვირთვის ნორმატივების დაცვა, რომლებიც ისაზღვრება საფეხმავლო ტურიზმისა და საექსკურსიო საქმიანობისთვის სხვადასხვა ბუნებრივ ზონებში მყოფი ცალკეული ბიოცენოზებისთვის ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური

მდგრადობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. რეკრეაციული დატვირთვის ნორმატივები არის დამსვენებელთა რიცხვი ერთ ჰექტარზე მთელი ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში.

განასხვავებენ ოპტიმალურ, ზღვრულ და დესრტუქციულ რეკრეაციულ დატვირთვებს. ოპტიმალური რეკრეაციული დატვირთვა არ აყენებს ზიანს ბუნებრივ ტერიტორიას; ზღვრული (მაქსიმალურად დასაშვები) რეკრეაციული დატვირთვა იწვევს ისეთ დარღვევებს, რომლებსაც შექცევადი ხასიათი აქვთ; დესრტუქციული დატვირთვა იწვევს ბუნებრივი ეკოსისტემების დაღუპვას.

რეკრეაციული დატვირთვის ნორმები განსხვავებულია სხვადასხვა ტერიტორიებისთვის და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ეკოსისტემებზე ტურიზმის ზემოქმედების რეგულირებისთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიის რეკრეაციული ტევადობა. ნ. რეიმერის განმარტებით **ტერიტორიის რეკრეაციული ტევადობა არის მიმზიდველი ტერიტორიის ან აკვატორიის ზომების უნარი, უზრუნველჭყოს დამსვენებელთა გარკვეული რაოდენობისათვის ფსიქო-ფიზიოლოგიური კომფორტი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა ბუნებრივი და ანთროპოკულტურული გარემოს დეგრადაციის გარეშე.** რეკრეაციული ტევადობა არის რეკრეანტთა რაოდენობა, რომელიც ბუნებრივი რესურსებისთვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე შეიძლება იმყოფებოდეს მოცემულ ტერიტორიაზე. ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობა, ისევე როგორც ტერიტორიის რეკრეაციული დატვირთვა, გამოიხატება ადამიანთა რაოდენობით ერთეულ ფართობზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. რეკრეაციული ტევადობა გამოითვლება ტურიზმის კონკრეტული მიმართულებებისთვის, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ტერიტორიის გამოყენების მათთვის დამახასიათებელი რეჟიმი და ტერიტორიაზე ზემოქმედების ინტენსივობა.

რეკრეაციული თვალსაზრისით კეთილმოუწყობელ ტყის ტერიტორიაზე დამსვენებელთა დიდი მასების პერიოდული ყოფნა და საქმიანობა იწვევს ბუნებრივ კომპლექსებში ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც მიყვება რეკრეაციულ დიგრესი-

ამდე⁷. რეკრეანტების ზემოქმედებით ბუნებრივ გარემოზე გარდაუვალი ცვლილებები, რეკრეაციული დატვირთვის დასაშვები დონის დროს, ატარებს შექცევად ხასიათს, რაც ტყის ბიოლოგიურ თანასაზოგადოებას აძლევს საშუალებას დროის გარკვეულ მონაკვეთში დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას.

ტყის ბიოცენოზებზე რეკრეაციული ზემოქმედების შემდეგი სახეებია ცნობილი: მექანიკური (გათელვა, მერქანზე წარწერები, ტოტების დამტვრევა, შეშის დამზადება, კოცონის გაჩაღება, ცხოველთა შეშინება და სხვა); ნივთიერებათა და ენერჯის გამოტანა დამსვენებლის მიერ (სოკო, ყვავილები, კენკრა და სხვა); ახალი ბიოლოგიური სახეების, თესლების შეტანა, აგრეთვე ანთროპოგენური წარმოშობის ორგანული და არაორგანული მასალების შეტანა.

ტყის ეკოსისტემებზე რეკრეაციის უარყოფითი შედეგებიდან მნიშვნელოვანია:

- დაცული ტერიტორიის ნაწილის გამოყენება გზების, შენობების, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისთვის;
- სოკოების, კენკრის, ყვავილების, სამკურნალო მცენარეების შეკრება, ნადირობა, თევზჭერა;
- კარვების გაშლა, კოცონების გაჩაღება, შეშის დამზადება, ნიადაგის ზედა ფენის დატკეპნა;
- ავტომობილების გადაადგილება გზების გარეშე;
- ტურისტების დიდი რიცხვის გადაადგილება ბილიკების ავლით; ასეთ რეკრეაციას მოჰყვება ნიადაგის ჰუმუსის ფენის გამჭიდროვება, მისი ფოროვნების დარღვევა, ბალახის საფარის მოსპობა.

ტყის ეკოსისტემების რეკრეაციულ დეგრადაციაში გამოიყოფენ 5 სტადიას:

⇒ **პირველი სტადია** ხასიათდება ჯერ კიდევ დაურღვეველი, ფენის ქვეშ თითქოსდა ზამბარებადი საფენით, ამ ტიპის ტყისათვის დამახასიათებელი ბალახოვანი მცენარეების სრული ნაკრებით;

⁷ დიგრესია რეკრეაციული – ბუნებრივ კომპლექსებში (ძირითადად ტყის ბიოცენოზებში) ცვლილებები, აღძრულნი მოსახლეობის მიერ ამ კომპლექსების დასასვენებლად ინტენსიური გამოყენების გამო.

⇒ **მეორე სტადია** – ჩნდება ბილიკები, რომელთა საერთო ფართს უკავია ტერიტორიის 5%-ზე მეტი;

⇒ **მესამე სტადია** – დაზიანებულ მონაკვეთებს უკავიათ ტერიტორიის 10–15%;

⇒ **მეოთხე სტადია** – ტყის ეკოსისტემა წარმოადგენს მოზარდი და ქვეტყის მონაცვლეობას, რომლებიც შემოსაზღვრულნი არიან ველებით და ბილიკებით: მწყობრიდან გამოსული ადგილების ფართი ამ სტადიაზე შეადგენს 15-20 %-ზე მეტს;

⇒ **მეხუთე სტადია** – მწყობრიდან გამოსული ფართი შეადგენს ტერიტორიის 60–100%-ს; ამ ტერიტორიაზე არსებულ დიდ ხეებს აქვთ მექანიკური დაზიანებები, მათ უმრავლესობას ფესვები გაშიშვლებული აქვთ.

რეკრეაციული დიგრესიის მუდმივმოქმედი და ყველაზე საგრძნობი ფაქტორი არის მექანიკური ზემოქმედება – მცენარეული საფარის გათელვა და ნიადაგის გამკვრივება. დამსვენებელთა მასიური ნაკადის დროს დესტრუქციული, დამანგრეველი პროცესები წინ უსწრებენ ტყის გარემოს აღდგენის უნარს, იზრდება ნიადაგის ზედა ფენის სიმკვრივე, მცირდება მისი ფოროვნება და ჰაერ- და წყალშეღწევადობა, ირღვევა ნიადაგში მიმდინარე ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები, ტყის ნაფენი იწმინდება, იცვლება ნიადაგის მიკროფლორა, ირღვევა ბიოლოგიური ელემენტების საერთო წრებრუნვა, რაც აუარესებს მცენარეთა კვებას და აფერხებს მათ ზრდას, ხელს უწყობს მათ განმობას; გათელილ ფერდობებზე იწყება ნიადაგის ეროზია.

ჩამოთვლილიდან პირველი 3 სტადია ძირითადად ხასიათდება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში ცვლილებებით, ნიადაგ-გარუნტოვან და ჰიდროლოგიურ პირობებზე არსებითი ზემოქმედების გარეშე; ამიტომ ამ სამ სტადიას სთვლიან შექცევადად.

რეკრეაციული დიგრესიის შემდეგი სტადიები (მეოთხე და მეხუთე) მოიცავენ ბუნებრივი კომპლექსების ნიადაგ-ჰიდროლოგიურ კომპონენტებს და იწვევენ დამანგრეველ პროცესებს – ე.ი. შეუქცევად ცვლილებებს ბუნებრივ კომპლექსებში. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება

სამიში რეკრეაციული დატვირთვების თავიდან ასაცილებლად; მაგალითად, ასეთი ტერიტორიების დროებითი ამოღება რეკრეაციული გამოყენებიდან, ეკოსისტემის აღდგენის სათანადო ღონისძიებათა გამოყენებით. აღსანიშნავია ისიც, რომ რეკრეაციული დიგრესიის პროცესები უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ტყის კეთილმოუწყობელ ზონებში.

ლანდშაფტური კაფვის (ჭრის) და სხვა სატყეო ღონისძიებათა ჩატარების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სადგომ საველე ადგილებზე რეკრეაციული ელემენტების სტაბილიზაციას (ქარვების გასაშლელი ადგილი, ბილიკი ნყლისკენ და სხვა). რეკრეაციული ტერიტორიების კომპლექსურ სისტემაში შედის მცირე არქიტექტურული ფორმების შექმნა, წვიმისაგან თავშესაფარების, სანკვანძების მოწყობა, შეშის მარაგის შექმნა და რეკრეაციული მომსახურების სხვა ფორმების გამოყენება.

ეროვნულ პარკებში ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება გახდეს დაფინანსების და, მაშასადამე, გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი; მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად იქნება არჩეული ტურიზმის სახე და მისი განვითარების დონე, განსაკუთრებით კი – თუ დაცული იქნება სათანადო ტერიტორიის რეკრეაციული გამტარუნარიანობა.

ეროვნული პარკების გამტარუნარიანობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ ტერიტორიის საერთო ფართი და ტურისტების მოსაწახულებელი ფართი;
- ✓ ბუნებრივი ეკოსისტემების სიმყიფე;
- ✓ მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებული ცხოველების რიცხვი და მრავალფეროვნება სეზონის გათვალისწინებით;
- ✓ ტერიტორიის ტოპოგრაფია და მცენარეული საფარი;
- ✓ ცალკეული ცხოველების მგრძნობიარობა ადამიანის გამოჩენაზე.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურისტული საქმიანობის განვითარების გეგმა, მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: 1) მართვის დაგეგმვას, 2) ტერიტორიის ზონი-

რებას, III) ეროვნული პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, IV) ტურიზმის განვითარებას ეროვნულ პარკებში რეგიონულ დონეზე.

I. მართვის დაგეგმვა თავის მხრივ ითვალისწინებს :

1. ადგილობრივი რესურსების, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, პარკის მომნახულებელთა შესახებ ინფორმაციას და ანალიზს. სტატისტიკური მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგი ხასიათის ცნობებს:

- მომსვლელთა აღრიცხვას და მათ მიერ გამოყენებული ტრანსპორტის სახეს;

- დაკვირვებათა უპირატეს სახეებს: ცხოველებზე დაკვირვება, ფეხით გასეირნება, თევზჭერა და სხვა;

- იმ ქვეყნების აღრიცხვას, საიდანაც მოდიან ტურისტები (პერსონალის ენობრივი მომზადებისათვის);

- მონახულების ხანგრძლივობას;

- მნახველთა დაკმაყოფილების დონეს, წინადადებებს პარკის საქმიანობის გასაუმჯობესებლად და სხვა.

2. რესურსების გამოყენებაში წინააღმდეგობრივობის განსაზღვრას. აუცილებელია წინასწარ იქნას განსაზღვრული წინააღმდეგობის წარმოქმნის შესაძლებლობა რესურსების გამოყენებისას ტურისტების და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. პარკის დირექციამ უნდა შექმნას მექანიზმი რესურსების გამოყენების ჰარმონიზაციისათვის.

3. მიზნების განსაზღვრას, რომელიც ითვალისწინებს სარგებლის მიმღებთ (ადგილობრივი მოსახლეობა, უცხოელი ინვესტორი, ტურისტული სააგენტოები და სხვა); ტურიზმის განვითარების ტიპი და ტერიტორიები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება სარგებლის სავარაუდო მიმღებთაგან დამოკიდებულებით, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულნი იქნებიან ტურისტული რესურსებისაგან. განსაზღვრული უნდა იქნეს როგორი იქნება მოცემული რეგიონის დამოკიდებულება ტურიზმისაგან, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ტურისტთა მოდინება არ არის გარანტირებული და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე; როგორი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის როლი ტურიზმის განვითარებაში. განვითარების გეგმაში უნდა

შეტანილი იყოს აგრეთვე მასშტაბი (განვითარების დონე), რომელიც შეზღუდავს ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

4. რეგიონულ კონტექსტში ტურიზმის ჩართვას. ეროვნული პარკები ჩართულნი უნდა იყვნენ მოცემული რეგიონის მიწათსარგებლობის საერთო გეგმაში; ამავდროულად ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება რომელიმე პარკში უნდა შეთანხმდეს მიწათსარგებლობის გეგმასთან როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

5. ტურისტული საქმიანობის მართვის გეგმის მომზადების მჭიდროდ დაკავშირებას ეროვნული პარკის საერთო სტრატეგიასთან.

6. მშენებლობის რეკომენდირებულ წესს. ტურისტული ობიექტების მშენებლობისთვის გამოყენებული უნდა იყოს ისეთი მასალები, რომლებიც მინიმალურად ზემოქმედებენ გარემოზე. ტურისტული ობიექტების მშენებლობისას პარკის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ტერიტორიის დაჭუჭყიანების ძირითადი წყაროები, საკანალიზაციო ნარჩენები, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები, პესტიციდები, ხმაურით დაჭუჭყიანება.

7. ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარებაზე მუდმივ დაკვირვებას. ტურისტული ინფრასტრუქტურის თითოეულ ელემენტს უნდა ჰქონდეს დაკვირვების გამართული სისტემა ისეთი ძირითადი პარამეტრების დაკვირვებისთვის, როგორიცაა: ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე, რესურსებთან დაკავშირებული წინააღმდეგობის გატანა, წყალმომარაგება, მშენებლობის ხარისხი და სხვა.

განვითარების გეგმაში აუცილებელია შეტანილ იქნეს ტურიზმის შემდგომი ზრდის შეზღუდვის დონე და მისი მიღწევის გზები.

II. ტერიტორიების ზონებად დაყოფა ამარტივებს რესურსების მართვას. თითოეული დაცული ბუნებრივი ტერიტორია უნდა პასუხობდეს იმ მიზნებს, რისთვისაც ეს ტერიტორია იქმნება. დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე გამოყოფენ შემდეგ ზონებს:

- მკაცრად დაცული ზონა (თავშესაფარი ცხოველთათვის), სადაც მნახველები არ დაიშვებიან;

- ველური ბუნების ზონები, სადაც მხოლოდ ფეხით მოსიარულე მნახველები დაიშვებიან;

- ტურიზმის ზონები, სადაც დასაშვებია ტურისტების მიერ ტრანსპორტის სხვადასხვა, ნებადართული სახით გადაადგილება;

- გაშენების ზონები, სადაც კონცენტრირებულია მონყობილობები; სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები შეძლებისგვარად უნდა განთავსებულნი იქნენ ეროვნული პარკის საზღვრის გარეთ.

III. პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა.

ობიექტების და ნაგებობის მშენებლობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს პარკებში ტურიზმის განვითარებაზე. საერთაშორისო რეკომენდაციები შეიცავენ რიგ დებულებებს, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს როგორც ბუნების დაცვის, ისე დასვენების კომფორტულობის ამაღლებას. მათ რიცხვს ეკუთვნის:

- ნაგებობებმა რაც შეიძლება მცირედ უნდა დაარღვიონ ბუნებრივი ეკოსისტემა;

- ნაგებობები ნაკლებად შესამჩნევი უნდა იყოს; არჩევანის არსებობის შემთხვევაში ისინი უნდა აშენდნენ ადგილობრივი მასალების გამოყენებით: ქვა, ხე, ბამბუკი, თიხის აგურები და სხვა;

- შენობები უნდა შეესაბამებოდნენ ადგილობრივ სტილს და ორგანულად შერწყმულნი უნდა იყვნენ გარემოსთან;

- ტურისტების განთავსების ადგილები უნდა იყოს სადა, მაგრამ კომფორტული. ეს ეკოტურიზმის კიდევ ერთი უპირატესობაა ჩვეულებრივ ტურიზმთან შედარებით: ეკოტურიზმის ცენტრში ერთი ნომრის მონყობილობის ღირებულება 4-5-ჯერ დაბალია; ტურისტი მიდის ეგზოტიკურ ბუნებაში იმისთვის, რომ დატკბეს ბუნებასთან ზიარებით და ადგილობრივი კულტურით “ქვის ჯუნგლებისგან” მოშორებით, შორს ფუფუნების და თანამედროვე საქალაქო ცხოვრების კომფორტისაგან.

- ტურისტული ობიექტები უნდა განთავსდეს პარკის ღირეექციის ადმინისტრაციული შენობებიდან შორს; შენობათა

ჯგუფს სასურველია მოემსახუროს წრიული გზა ერთმხრივი მოძრაობით;

- პარკში გზები და ბილიკები ნაკლებად შესამჩნევი უნდა იყოს;

- შენობების პროექტირების და მშენებლობის დროს უნდა ნახალისდეს “ეკოტექნოლოგიები”, მათ რიცხვში:

1. წყლის გასაცხელებლად მზის ენერჯიაზე მომუშავე დანადგარების გამოყენება;

2. ნვიმის წყლის შეგროვება და გამოყენება;

3. ანარჩენების გადამუშავება;

4. კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონის მისაღწევად ბაღების, აკვა-კულტურების და სხვათა შექმნა.

ბუნებრივი გარემოს დაცვა ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საფუძველია.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ეკოტურიზმის განვითარების ძირითადი რესურსი? რა იგულისხმება დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებში?
2. რა არის ეროვნული პარკი?
3. ჩამოთვალეთ და განმარტეთ დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნის მიზნები.
4. სპეციალიზირებული პარკების რომელი კატეგორიები იცით? განმარტეთ ისინი.
5. რა უწყობს ხელს ბუნების შენარჩუნებას ტურიზმთან მიმართებაში?
6. რა არის ტერიტორიის რეკრეაციული ტევადობა?
7. რეკრეაციული დიგრესიის რომელ სტადიებს იცნობთ? დაახასიათეთ ისინი
8. დაახასიათეთ ტურისტული საქმიანობის განვითარების გეგმა ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად.
9. რომელ ზონებს გამოყოფენ დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე?
10. როგორ ხდება პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

1. ჩამოთვალეთ საქართველოში არსებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახეები. განმარტეთ რა განსხვავებაა მათ შორის, როგორია თითოეული მათგანის დანიშნულება; დაცული ბუნებრივი ტერიტორიებიდან სად ვითარდება ეკოტურიზმი?

2. დაახასიათეთ საქართველოს რომელიმე ეროვნული პარკი.

თავი 4. ეკოტურიზმის ძირითადი ფორმები

ეკოტურიზმის ცალკეული ფორმების ნეგატიური შედეგები დაკავშირებულია კარვების გაშლასთან, კოცონის გაჩაღებასთან, შეშის დამზადებასთან, უგზობასთან, ავტოტრანსპორტის გადაადგილებასთან და ა.შ. ქვემოთ განხილულია ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის ძირითადი ფორმები.

ტრეკინგი, ანუ საფეხმავლო ტურიზმი – ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. ის საშუალებას იძლევა მიღებული იქნეს აუცილებელი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა, სიამოვნება – ბუნებასთან ურთიერთობით. ტურიზმის ეს ფორმა არა თუ არ კარგავს პოპულარობას, არამედ ტურიზმის უპირატესი სახეა სამრეწველო და ურბანიზებულ ქვეყნებში. ეს განაპირობებს საფეხმავლო ტურიზმის პოპულარობის ზრდას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და გერმანია; ამერიკელები უმთავრესად ისვენებენ ეროვნული პარკების პეიზაჟურ ბილიკებზე, ევროპელები კი ნორვეგიის საფეხმავლო მარშრუტებზე, ტურისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან მოგზაურობენ ინკების ბილიკზე, ანდებში და ა.შ. მაგრამ ტურიზმის ამ ფორმამ შეიძლება როგორც ესთეტიური, ისე ეკოლოგიური ზიანი მიაყენოს ბუნებას, განსაკუთრებით იმ ჯგუფებმა, რომლებსაც ახლავთ დამოუცდელი, ან ნაკლებად მომთხოვნი გამცილებლები. ეკოლოგიურ ზიანს ბუნებას აყენებს არაორგანიზებული გაჩერებები, როცა ტურისტები ჭრიან ხეებს, ანთებენ ცეცხლს, დგამენ კარვებს, აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს, კრეფავენ ყვავილებს და ა. შ. ერთი ჯგუფის ფარგლებში ეს თითქოსდა “უდანაშაულო” ქმედებები გარდაიქმნება სერიოზულ ნეგატიურ ფაქტორად როცა ტურისტთა ნაკადები იზრდება, ხოლო ეკოლოგიური განათლება რჩება დაბალ დონეზე.

მსოფლიოში ცნობილი საფეხმავლო მარშრუტებია:

- 4200 კმ-ის სიგრძის მარშრუტი, გამავალი აშშ-ის წყალგამყოფი ქედის გასწვრივ კანადის საზღვრიდან მექსიკამდე კასკადური მთების და სიერა-ნევადის ქედის გასწვრივ;

- აპალაჩების პეიზაჟური ბილიკი, მდებარეობს აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სიგრძით 3473 კმ, გადის აპალაჩებსა და ამერიკის 14 შტატზე; ის ყველაზე გრძელი საფეხმავლო ბილიკია მსოფლიოში;

• ინკუბის ბილიკი პერუში, უძველესი გზა სიგრძით 33 კმ ცენტრალურ ანდეებში და სხვა.

მოგზაურობა ნატურალისტთან. არსებობს ეკოტურიზმის სხვადასხვა ფორმები, რომლებსაც აცილებენ მეცნიერ-ნატურალისტები გარკვეული სახის მცენარეულობის, კონკრეტული რეგიონის ენდემების და ა.შ. გასაცნობად. ასევე საინტერესო და მრავალფეროვანია სპეციალიზირებული ტურები: ზოოლოგიური, ენტომოლოგიური (მწერების გაცნობა), ისტიოლოგიური (თევზების გაცნობა), პალეონტოლოგიური, გეოლოგიური და სხვა. ასეთ მოგზაურობებში დიდ როლს თამაშობს მეცნიერი-ნატურალისტი, რომელიც ექსკურსანტებს აცნობს ბუნების სამყაროს. ბუნების დაცვისადმი მისი დაინტერესებული დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობს ეკოტურისტების ეკოლოგიური მსოფლმხედველობის ამაღლებასა და ეკოლოგიურ განათლებაში.

ბოლო წლებში დიდ ინტერესს იძენს მსოფლიოში მზარდი მიმდინარეობა სახელწოდებით "bird watching" (ფრინველებზე დაკვირვება); საზღვარგარეთ არსებობს და აქტიურად იქმნება "ბერდვოჩერების" ახალი კლუბები.

ფრინველებზე დაკვირვების საუკეთესო რეგიონებად ითვლება:

- ევერგლეიდსის სუბტროპიკული ჭაობები აშშ-ში; ევერგლეიდსის პარკში 347 სახეობის ფრინველია დაფიქსირებული;
- კოსტა-რიკის ტროპიკული ტყეები;
- ჭაობიანი ეკოსისტემები პანტალანში (ბრაზილია) და სხვა.

საქართველოში 360 სახეობაზე მეტი ფრინველია გავრცელებული; მათ შორის არის ენდემებიც. ამასთან, საქართველოში გამოვლენილი და აღწერილია 31 "ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი", სადაც წარმატებით შეიძლება განვითარდეს ეკოტურიზმი.

ველოსიპედით მოგზაურობა. ზოგიერთ ქვეყანაში, უმთავრესად აზიურ ქვეყნებში, ველოსიპედი დღემდე რჩება ტრანსპორტის ერთ-ერთ ძირითად სახედ, თუმცა ევროპაშიც შეიმჩნევა ველოსიპედით მასიური სარგებლობის ტენდენცია, მაშინაც კი, როცა ოჯახში ერთი ან მეტი ავტომანქანაა. ველო-

სიპედის პოპულარობა აიხსნება მისი ეკოლოგიურობით და ყოველდღიური ფიზიკური ტრენინგით; მაგალითად, ფინეთში ტროტუარების გასწვრივ გათვალისწინებულია და აქტიურად გამოიყენება ველოგზები. ამჟამად რეალიზდება ველომოგზაურთა სხვადასხვა ტურები:

• ველომოგზაურობა "კარიდან კარამდე", რომელსაც აცილებს ტვირთის, მონყობილობის, დაღლილი ველოსიპედისტების გადამყვანი ავტომანქანები;

• ხანგრძლივი, რისკით სავსე მოგზაურობები, რომლებიც გადაკვეთავენ ადგილებს სამთო ველოსიპედებით და რომლის დროსაც მოგზაურებს თვითონ გადააქვთ თავინთი ტვირთი და მონყობილობა.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საველოსიპედისტო მარშრუტი მდებარეობს კანადის კლდიან მთებში, ბანფის ეროვნულ პარკსა და ჯასპერში. რთული და საინტერესო მარშრუტი მთის ველოსიპედისტებისთვის გადის კოსტა-რიკაში ჯერ ზღვის ნაპირას, შემდეგ კი მთებში.

ცხენი და სხვა ცხოველები ფართედ გამოიყენება ეკოტურიზმში როგორც ტურისტების გადასადგილებლად, ისე ტვირთის გადასატანად.

საცხენოსნო ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი პოპულარობა მსოფლიოში განუზრუნვლად იზრდება: შენდება კემპინგები ცხენოსანთა მომსახურებისთვის, კეთდება ახალი საცხენოსნო მარშრუტები; ამ მარშრუტების პოტენციური სხვადასხვაობა ძალზე დიდია: ისინი შეიძლება გადიოდნენ მთიან ადგილებში, დიუნთან (ქართო მოტანილი ქვიშის ბორცვები) ქვიშებზე და ნებისმიერი სირთულის ბარხანებზე (უდაბნოში წარმოქმნილი სილის გორაკები, უმთხვრესად ნახევარმთვარის ან ნამგლის ფორმის), დათოვლილ მონაკვეთებზე, თოვლის საფარის სისქით არა უმეტეს 50-80 სმ-ის, წყლის მონაკვეთებზე და ა.შ.

ტურიზმის ამ ფორმას აქვს შეზღუდვებიც: არ არის სასურველი ცხენოსანთა მოძრაობა საავტომობილო გზების გასწვრივ, ან მათ გადაკვეთაზე; საცხენოსნო მარშრუტების შედგენისას გამორიცხავენ ძლიერ დაჭაობებულ მონაკვეთებს (ზაფხულში), ძნელად სასიარულო ტყეს ხშირი ბუჩქნარით, ყინულის მონაკვეთებს სწორი ზედაპირით (ზამთარში), ჩქარი დი-

ნების წყალზე გადასასვლელებს, კლდეების ნებისმიერ მონაკვეთს 45 გრადუსზე მეტი დაქანებით და ა.შ.

საცხენოსნო მარშრუტების ორგანიზების აუცილებელი პირობაა ცხენით სიარულის ერთნაირი დონე და ცხენების ერთნაირი ფიზიკური მომზადება. ოპტიმალურად ითვლება დატვირთვის დონე – 6 ცხენი ერთ ინსტრუქტორზე. არ არის სასურველი ჯგუფში იმ ტურისტების ყოფნა, რომლებსაც აქვთ ხერხემლის ტრამვა, ან დაზიანება, გადატანილი აქვთ ტვინის შერყევა, აგრეთვე ორსული ქალების (სამ თვეზე მეტი ორსულობის).

მსოფლიოში ცნობილ საცხენოსნო მარშრუტებს ეკუთვნის სიერა-ნევადის ველურ მთებში ერთკვირიანი მოგზაურობა ცხენით იოსემის ეროვნულ პარკში (კალიფორნია, აშშ). ეს ტური იმდენად პოპულარულია, რომ მისი შეკვეთა ერთი წლით ადრე ხდება.

ცხენის გარდა ეკოტურიზმში გამოიყენება სხვა ცხოველებიც. მაგალითად, ნეპალში ჩიტვანის ეროვნულ პარკში სთავაზობენ მოგზაურობას სპილოებზე; გრანდ-კანიონში (არიზონის შტატი, აშშ) ასვლის და ჩამოსვლის გასაადვილებლად გამოიყენება ვირები; ისლანდიურ პონებზე მარშრუტს ღამის თევით მთის ქოხებში სთავაზობენ ისლანდიაში, აქლემზე მოგზაურობას კი – მაკდონელის ქედზე (ავსტრალიის ცენტრალურ უდაბნოში), ირმები და ძაღლები გამოიყენება კანადაში, ალიასკაზე, რუსეთში და ასე შემდეგ.

შიგა წყლებზე ტურები გამოირჩევა როგორც გადაადგილების ხერხებით, ისე მარშრუტების სირთულით. წყლის ტურიზმის ნეგატიური შედეგები დაკავშირებულია უმთავრესად წყლის დაჭუჭყიანებასთან საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

ეგზოტიკურობით და მსოფლიო პოპულარობით სარგებლობს **სამდინარეო ტურები**: ნავებით მოგზაურობა მდინარე ტატშენშინზე (ალიასკა), რთული ტური მშფოთვარე მდინარე სიერა-ნევადაზე, ლაშქრობა ბობოქარ მდინარე ფრანკლინზე ტასმანიის ველურ ადგილებში (კუნძული ტასმანია, ავსტრალია) და მრავალი სხვა.

ზღვით მოგზაურობა. ხანგრძლივ საზღვაო ეკოტურებში გამოიყენება თანამედროვე თბომავლები, რომელთა ზომები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი საოკეანო ლაინერების;

ჯგუფის შემადგენლობაში იმყოფებიან ნატურალისტები და ექსკურსიამძღოლები, მონვეული ლექტორები; ტურის პროგრამა მოიცავს სპეციალურ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მიმართულს სათბობის ეკონომიაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეკრებასა და უტილიზაციაზე და სხვა.

ხანმოკლე საზღვაო ექსკურსიებში, როცა ტურისტები ცხოვრობენ ნაპირზე და ასრულებენ შემეცნებით ექსკურსიებს, მოტორიანი ნავები შეიძლება შეიცვალოს ისეთი ეკოლოგიური საშუალებებით, როგორცაა ბაიდარები და ნავები მინის ფსკერით; ზღვის ბაიდარები გამოირჩევა დიდი ზომებით და მდგრადობით; ისინი შეიძლება შევიდნენ ისეთ ადგილებში, სადაც არ შეუძლია მოხვედრა არცერთ გემს (გამოქვაბულები, მცირე კუნძულები და სხვა); ისინი უხმაურონი არიან და გარეულ ცხოველებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევიან. მინის ფსკერიანი ნავები კი ზღვის ცხოველებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა მეჩხერ წყლებში.

საზღვაო მოგზაურობებს შორის განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა **დაივინგმა**, რომელსაც თან ახლავს მრავალი ხიფათი. დაივინგი არის წყალქვეშ ცურვა ნიღაბით, ან აკვალანგით ჩაძირვა.

დაივინგი ტურიზმის სხვა ფორმებთან ერთად ზიანს აყენებს რეკრეაციული ტერიტორიების ბუნებას; ნეგატიურ როლს თამაშობს მზარდი ვაჭრობა მარჯანით, ნიჟარებით, კუს ჯავშნებით, ცოცხალი ტროპიკული თევზებით და ა.შ. ზღვის რესურსებს ზიანს აყენებს აგრეთვე თევზის წყალქვეშ ცურვა: მარჯანზე ჩაშვებული ანძა ანგრევს მას, მყვინთავები გამოუცდელია, ან გაუფრთხილებლობის გამო ეჯახებიან მარჯნებს, არღვევენ ნაზ პოლიპებს; დაივინგის საქმით ცოდნით ორგანიზებას კი, შეთანხმობილს მარჯნის რიფების დაცვასთან, მოაქვს სარგებელი პლანეტის მთელ რიგ რაიონებში. ასეთი ადგილების რიცხვს ეკუთვნის ბონერის პარკი ანტილიის კუნძულებზე (ნიდერლანდები), წმინდა ანას ეროვნული საზღვაო პარკი სეიშელის კუნძულებზე და სხვა.

საზღვაო ეკოტურიზმის ყველაზე პოპულარულ ტერიტორიებს მსოფლიოში ეკუთვნის სრუტე პრინს ვილიამი (ალიასკა, აშშ); ეს მოგზაურობა მოიცავს კრუიზს და ცურვას ზღვის ბაიდარებზე; წითელი ზღვა (ეგვიპტე, ისრაელი); ეს მოგზაურობა

მოიცავს წყალქვეშ ცურვას მარჯნებს შორის, ნაპირთან ახლოს და სხვა.

სპელეოტურიზმი, ისევე როგორც დაივინგი, დაკავშირებულია ძალზე მყიფე და ფაქიზ, ადვილად ზიანებად ეკოსისტემებთან. სპელეოტურიზმის განვითარების რესურსებია მღვიმეები და მღვიმეთა კომპლექსები.

ყველაზე მეტად გავრცელებულია კარსტული მღვიმეები, რომელთა სახელი წარმოსდგება მთის პლატო კარსტისგან სლოვენიაში, სადაც ძაბრები, რელიეფის დადაბლებები, ჩავარდნები, მიწაში მოულოდნელად მალვადი მდინარეები და ნაკადულები, მიწის ნიალიდან ამომავალი ძლიერი წყაროები გვხვდებიან ძალიან ხშირად. სწორედ ამ ტერიტორიებზე პირველად შესწავლილი იქნა კარსტული მოვლენები, დაკავშირებული მთის ქანების ხსნადობასთან და გამოტუტვასთან ნახშირორჟანგით გამდიდრებული წყლით. ნახშირორჟანგის შემცველი წყალი აქტიურად ურთიერთქმედებს კირქვასთან; ამ რეაქციის შედეგად წარმოიქმნება ნახშირმჟავა კალციუმის ხსნარი - სუბსტრატი, საიდანაც ფორმირდება სტალაქტიტები და სტალაგმიტები - კარსტული მღვიმეების მთავარი მშვენიერებები.

სტალაქტიტები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა მღვიმის ჭერიდან მწვეთავი წყალი კარგავს ნახშირორჟანგს და მასში გახსნილი კალციუმი გამოიყოფა მღვიმის ჭერიდან ჩამომავალი კირის ნაჟონის სახით. შემხვედრი კირქვის კონუსები - **სტალაგმიტები** - წარმოიქმნება მღვიმის იატაკზე იმ ადგილას, სადაც წვეთავს სტალაქტიტიდან ჩამონადენი წყალი. ყველაზე ღრმა კარსტული მღვიმის - ჟან-ბერნარის - სიღრმე საფრანგეთის ალპებში აღწევს 1535 მეტრს.

მღვიმეების ნაწილი საშიშია რადიაციული თვალსაზრისით. ადამიანის ჯანმრთელობისთვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს როდონის შვილობილი პროდუქტები, რომლებიც ფილტვებში ილექება და შეიძლება გახდეს მიზეზი ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების.

უნიკალურ კარსტულ მღვიმეებს ეკუთვნის **ახალი ათონის მღვიმე** აფხაზეთში; ის ბუნების ერთ-ერთი საკვირველი ძეგლია. ათონის კარსტული მღვიმე გაიხსნა 1961 წელს. 1975

წელს მღვიმეში შექმნილ ხელოვნურ გვირაბში გავიდა პირველი მატარებელი - "მღვიმის მეტრო" ტურისტებით. მღვიმის დარბაზების სხვადასხვაობამ განსაზღვრა მისი განუმეორებლობა და მსოფლიოში ცნობადობა. "აფხაზეთის დარბაზში" იმყოფება ორი მინისქვემა ტბა - ანატოლის და ცისფერი; "ქართველი სპელეოლოგების" დარბაზი გაკვირვებას იწვევს თავისი ზომებით: მისი სიგრძე 260 მეტრია, სიმაღლე-50 მეტრი, სიგანე- 75 მეტრი; მღვიმეში არის "თიხის დარბაზი", "მარჯნის გალერეა", დარბაზი "მოსკოვი"; ეს უკანასკნელი ყველაზე მაღალია ახალი ათონის მღვიმეში; მისი სიმაღლე აღწევს 70 მეტრს; დარბაზი "კანიონი" მინისქვემა ხეობაა, გაჭიმული ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 100 მეტრზე მეტ სიგრძეზე; დარბაზი "ივერია" გამოირჩევა ბგერების განსაკუთრებით ეფექტური ჟღერადობით, დარბაზი "თბილისი" კი ნამდვილ თეთრქვიან სასახლეს მოგვაგონებს ქვის ჩანჩქერით, რომელიც იცემა 30 მეტრის სიმაღლიდან; მის სწორ ზედაპირზე მოდის წყალი. დარბაზი "თბილისი" მღვიმის ყველაზე "სველი" ადგილია, მასში ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის 100%-ს შეადგენს. "მღვიმის ნაკრძალი" ცნობილია თეთრ ფონზე დაკიდებული ნარინჯის, იასამნისფერი, მომწვანო და ყვითელი სტალაქტიტებით.

მაღე წყალტუბოში მწყობრში ჩადგება მღვიმე "ოქროს სანმისი". ფრანგი ექსპერტების შეფასებით "ეს მღვიმე ევროპაში ერთ-ერთი უდიდესია განზომილებით, გამკვირვების მრავალსახეობით, მინისქვემა მდინარის მნიშვნელობითა და პეიზაჟის მრავალფეროვნებით. იგი შეესაბამება დიდი მღვიმეების საერთაშორისო ტურისტულ დონეს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაგეგმარების შემთხვევაში იგი საქართველოს ტურიზმში უდიდეს როლს შეასრულებს". ეს მღვიმე, რომელიც წყალტუბოდან სოფელ ყუმისთავის მიმართულებით 5-6 კმ-ში მდებარეობს შეიძლება დასავლეთ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად იქცეს. "ოქროს სანმისი" მთელი წლის განმავლობაში თვისობრივად ახალ ტურისტულ პროდუქტს შესთავაზებს უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტებს. ქვეყნის ამ რეგიონში ისტორიული ძეგლების, საზღვაო კურორტებისა და სხვა ტურისტული ცენტრების სიახლოვე შესაძლებლობას ხდის მღვიმის ჩართვას ყველა ტურისტ-

ტულ თუ საექსკურსიო მარშრუტში. ეს მღვიმე მსოფლიოში ამ ტიპის საუკეთესო ობიექტი იქნება. "ოქროს საწმისის" ინვესტორები წელიწადში 300 000-ზე მეტ ტურისტს ელოდებიან. ასათვისებელია აგრეთვე ყუმისთავისგან არც თუ მოშორებული მღვიმეები.

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორის ცნობით 2007 წლის 22 ნოემბერს მიღებული კანონით "იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ", საზედამხედველო ობიექტების ჩამონათვალში სათაფლიის გარდა შევიდა ყუმისთავის, თეთრი წყაროს, ხომულის, ცუცხვათისა და ნავენახევის მღვიმეები, იაზონის, წყალწითელას ხეობები, ოკატის კანიონი, ოკატის ჩანჩქერი, ნაგარევის მღვიმე, თეთრი მღვიმე და მღვიმისთავი.

2007 წლის სტატისტიკური მონაცემებით ქვეყანაში ტურისტების სიმრავლის მხრივ სათაფლიის ნაკრძალი პირველ ადგილზე გავიდა; ნაკრძალმა 11 900 ტურისტს უმასპინძლა; ეს იმ დროს, როცა უგზოობის გამო ზამთარში იქ მისვლა შეუძლებელი იყო.

ვულკანური ანუ ლავის მღვიმეები წარმოიქმნება ვულკანების ამოფრქვევის პროცესში, როცა კრატერიდან ამოიფრქვევა გამდნარი ლავა და ფართე ნაკადით მიედინება ქვევით, ფერდობზე. ლავის ზედაპირული შრეები სწრაფად ცივდება, წარმოქმნის რა ქერქს და თუ ლავის ამოფრქვევა ჩერდება, გავარვარებული მასის ნაწილი ასწრებს ქერქიდან გამოსვლას, სტოვებს რა სიცარიელებს და ღრუებს გლუვი კედლების მქონე მილისებური არხების სახით. ევროპაში ვულკანური მღვიმეების ნახვა შეიძლება კანარის ერთ-ერთ კუნძულზე – ლანსაროტზე.

ყინულოვანი მღვიმეები – უმეტესად იმყოფებიან მაღალ მთებში და აქვთ ქვევით ციცაბოდ ჩამომავალი გვირაბის ფორმა. ყინულოვან მღვიმეში შესასვლელი არის მისი უმაღლესი წერტილი. საშუალო წლიური ტემპერატურა ყინულოვან მღვიმეში 0 გრადუსზე დაბალია. მსოფლიოს ყველაზე დიდი ყინულოვანი მღვიმე აიზრიზენველტი (ალპები, ავსტრია) მდებარეობს ზღვის დონიდან 1641 მეტრის სიმაღლეზე.

უძველესი დროიდან მღვიმეები გამოიყენებოდა ადამიანის მიერ საცხოვრებლად და თავშესაფარად, საწყობად და ნახირის შესადენად, წმინდა ადგილად და სასაფლაოდ.

ამჟამად მღვიმეები ფართოდ გამოიყენება ტურისტული მიზნებისათვის. ოთხმოციანი წლების დასაწყისში იმ ტურისტთა მსოფლიო ნაკადმა, რომლებიც სტუმრობდნენ მღვიმეებს, მიაღწია 26 მილიონს.

ხელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე მღვიმეებში შექმნილია და იქმნება მინისქვეშა სანატორიუმები, რომლებშიც მკურნალობენ ასთმის მძიმე ფორმით დაავადებულნი.

სპელეოტურიზმის მიზნები სხვადასხვაა; ეს შეიძლება იყოს საექსკურსიო, შემეცნებითი, სპორტული, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა.

ტურისტული მიზნებისთვის მღვიმეების გამოყენება რთული ამოცანაა; მღვიმეთა კომპლექსში ტურიზმის ნეგატიური გავლენა მრავალმხრივია: მღვიმური წარმონაქმნების (სტალაქტიტები, სტალაგმიტები) პირდაპირი მექანიკური დაზიანებიდან დაწყებული, ნაგვის დაგროვებამდე და კედლებზე წარწერების გაჩენამდე. ვანდალიზმის ეს ხილული ფაქტები შეიძლება გადაფარული იყოს ისეთი ზემოქმედებით, როგორცაა მღვიმის მიწისქვეშა სივრცის მიკროკლიმატის დარღვევა მღვიმეში ექსკურსანტთა დიდი რაოდენობის მოხვედრის, ხელოვნური შესასვლელების და გვირაბების გაყვანის, განათების დონის ცვლილების გამო და ა.შ. მღვიმეებში ნახშირორჟანგის დაგროვების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ექსკურსანტთა რაოდენობის ნორმირება.

მღვიმეების დაცვა არის არა მარტო უნიკალური ტურისტული ობიექტების შენარჩუნება, ეს უპირველეს ყოვლისა არის სასმელი წყლის სისუფთავის შენარჩუნება, უნიკალური ბუნებრივი ლაბორატორიების შენარჩუნებაზე ზრუნვა, რომლებიც ინახავენ ცნობებს გარდასულ ეპოქებზე.

სპორტული ნადირობა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე – ტურიზმის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც თხოულობს საქმის ცოდნით ორგანიზებას. როგორც წესი, ეროვნულ პარკებში აკრძალულია ნადირობა, რათა არ შეაწუხოთ ცხოველები და არ შემციოდეს მათი პოპულაციების რიცხოვნობა კრიტიკულ დონემდე, თუმცა რიგ პარკებში ნადირობა დაშვებულია, როგორც უცხო სახეობათა რიცხოვნობის შემცირების ხერხი. ამის მაგალითია გარეულ ღორებზე ნადირობა ვულკანების

ეროვნულ პარკში ჰავაის კუნძულებზე, ირმებსა და ცხენირმებზე ნადირობა ახალი ზელანდიის ეროვნულ პარკში.

ნებისმიერ შემთხვევაში, სპორტული ნადირობა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე არის გამონაკლისი და საქმის ცოდნით უნდა იყოს ორგანიზებული. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციებით, დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპორტული ნადირობისას აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება:

- ნადირობის ხერხის განსაზღვრა;
- იმ ზონების საზღვრების დადგენა, სადაც ნებადართულია ნადირობა;
- კონტროლი მონადირეთა იმ რიცხვზე, რომლებსაც აქვთ სათანადო ლიცენზია;
- ნადირობის სეზონის შეზღუდვა;
- ერთ მონადირეზე სროლების ნორმის დადგენა;
- ნანადირევის მოცულობის ოპტიმიზაცია;
- გამოყენებულ ცეცხლსასროლ იარაღსა და მასალებზე კონტროლი და სხვა.

საკონტროლო კითხვები

1. რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ტრეკინგს?
2. რა იცით "ბერდვოჩინგი"-ს ("bird vatching") შესახებ?
3. როგორია ცხენით მოგზაურობის პერსპექტივები?
4. რა არის დაივინგი და რა ზიანი მოაქვს მას?
5. რა ნეგატიური შედეგები ახლავს შიდა წყლების ტურიზმს და ზღვით მოგზაურობას?
6. რა არის სპელეოტურიზმი, სტალაქტიტები, სტალაგმიტები?
7. რა იცით ახალი ათონის და საქართველოს სხვა მღვიმეების შესახებ?
8. როგორია ტურიზმის ნეგატიური გავლენა მღვიმეებზე?
9. მღვიმეების რომელი სახეები იცით?
10. რა მოთხოვნები წაყენება სპორტულ ნადირობას დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

1. როგორია საქართველოში სპელეოტურიზმის განვითარების პერსპექტივები? რა იცით იმ მღვიმეების შესახებ, რომლებიც უახლოეს პერიოდში უნდა ჩადგნენ ტურისტების სამსახურში საქართველოში?
2. დაახასიათეთ ეკოტურიზმის ძირითადი ფორმები და მათი თანმდევი ნეგატიური შედეგები.
3. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საქართველოს ის ბუნებრივი ტერიტორიები, რომლებიც პერსპექტიულია ფრინველებზე დაკვირვებისთვის.

თავი 5. ეკოტურიზმის მსოფლიო რეგიონები

ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალური შესაძლებლობები განისაზღვრება ბუნებრივი პირობების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით, ბუნების შენარჩუნების რეალური ხარისხით. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, სამრეწველო განვითარების და ტერიტორიის ურბანიზაციის დონეზე, ბუნებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ დამოკიდებულებაზე, გარემოს დაცვის დარგში სახელმწიფო პოლიტიკაზე.

პლანეტის რეგიონების განხილვა მათი ბუნებრივი მრავალფეროვნების, ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის სიმჭიდროვის და ურბანიზაციის დონის თვალსაზრისით, საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ როგორც პლანეტის ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, ისე მათი პერსპექტიულობა ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

5.1. აფრიკა

აფრიკის გარემოს მდგომარეობის განმსაზღვრელი პრობლემაა სიღარიბე, საკვების ნაკლებობა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ურბანიზაციის ტემპები, სასმელი წყლის ნაკლებობა და საკვების მომზადებისთვის საჭირო სათბობის დეფიციტი. აფრიკის ქვეყნების უმრავლესობაში შექმნილია ეკოლოგიური განათლების საზოგადოებრივი ცენტრები.

აფრიკას კონტინენტებს შორის ფართობის მიხედვით მეორე ადგილი უკავია; მისმა მოსახლეობამ 500 მილიონს გადააჭარბა, თუმცა კონტინენტის ტერიტორიის 75% რჩება მცირედ დასახლებულ რეგიონად. ამ კონტინენტის რიგი რეგიონების თვითმყოფადობა შემონახულია მათი მიუნდომლობის გამო: რკინიგზის ქსელის ფორმირება ხდებოდა ნედლეულის რესურსების ექსპლუატაციის მიზნით; ამიტომ მისი ცენტრალური მტოები აკავშირებენ შიგა რაიონებს სანაპიროზე არსებულ პორტებთან, უვლიან რა გვერდს მთელ რიგ რეგიონებს. შიგა რაიონებში შედნევა მდინარე ნილოსით, კონგოთი და ნიგერით შეზღუდულია, რადგან ჩანჩქერების და ზღურბლების გამო ამ

მდინარეთა მრავალი მონაკვეთი გემებისათვის გამოუსედაგარია.

უზარმაზარი ტერიტორიები, მრავალფეროვანი ლანდშაფტი საჰარის უდაბნოებიდან მდინარე კონგოს ფართე აუზის წვიმიან ტყეებამდე, უმდიდრესი მცენარეული და ცხოველური სამყარო, სხვადასხვა მიდგმის მოსახლეობა, რომლებმაც შეინარჩუნა საუკუნოვანი ტრადიციები და ჩვევები – ყოველივე ამას აფრიკა სთავაზობს ეკოტურისტებს.

ეკოტურისტებისთვის აფრიკაში პოპულარულია აღმოსავლეთი მთიანი ნაწილი, სადაც მდებარეობს კონტინენტზე ყველაზე მაღალი მწვერვალი კილიმანჯარო. მთებს უკავიათ აგრეთვე კენიის და ტანზანიის დიდი ნაწილი. კილიმანჯაროს მთაზე ასვლის მსურველ ტურისტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და წელიწადში საშუალოდ 36 000-ს აღწევს. ორ ტვირთმზიდთან ერთად ტურისტს შეუძლია კილიმანჯაროს მთაზე 5 დღე-ღამე გაატაროს.

სამთო მარშრუტების მოყვარულთათვის განსაკუთრებით მიმზიდველია მთიანი ქვეყანა მაროკო, რომელიც მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთით.

საზღვაო ტურიზმის ძირითადი ცენტრები განლაგებულია ეგვიპტეში წითელი ზღვის სანაპიროზე, იორდანისა და ისრაელში. აქ ბინადრობს ასეულობით სხვადასხვა სახის მარჯანი და ათასზე მეტი თევზის სახეობა.

უგანდა აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქვეყანაა. მას უინსტონ ჩერჩილმა აფრიკის მარგალიტი უწოდა. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 25% დაკავებულია მდინარეებით, ტბებით, ჭაობებით; აქ იღებს სათავეს მდინარე ნილოსი. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ეროვნული პარკი კუინ-ელისაბედი, სამხრეთში მდებარეობს ეროვნული პარკი და ტყის აღკვეთილი დვინდი, სადაც ბინადრობს 300-ზე მეტი სახის მთის გორილები და ადამიანის მსგავსი სხვა მაიმუნები (შიმპანზე, გვენცუ და სხვა).

ნამიბიაში იმყოფება აფრიკის ერთ-ერთი უმსხვილესი პარკი ეტოშა; პარკის მთავარი ღირსშესანიშნაობა ვაკის მსხვილი ცხოველებია; სპილოების უზარმაზარი ჯოგები ამ ადგილისთვის ჩვეულებრივი სურათია; აქ არის ლომების და მათი პოტენციური მსხვერპლის ყველაზე დიდი თანაფარდობა.

პარკის ეკოლოგიური პრობლემები შექმნილია ადამიანის ჩარევით.

კუნძული **მადაგასკარი** (დიდი წითელი კუნძული) სადიდით პლანეტის მეოთხე კუნძულია, მდებარეობს აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან 400 კმ-ის მანძილზე. კუნძულის ფაუნის და ფლორის 3/4 ენდემური ჯიშებია. მადაგასკარზე ფუნქციონირებს 13 ეროვნული პარკი და რეზერვატი, მაგრამ მხოლოდ 7 მათგანში ხდება ბუნების დაცვის ნორმების უზრუნველყოფა.

სეიშელის კუნძულები არქიპელაგია, რომელიც აერთიანებს 115 კუნძულს ინდოეთის ოკეანეში; კუნძულებიდან ყველაზე მსხვილი და მჭიდროდ დასახლებულია კუნძული მაე. სეიშელის მთავრობა ხელს უწყობს ეკოტურიზმის განვითარებას; კუნძულ მაეზე მდებარეობს რამდენიმე ბოტანიკური ბაღი.

იმ გარეული ცხოველების მრავალი სახეობის რიცხოვნობა, რომელთა სანახავად მიემგზავრებიან აფრიკაში ტურისტები მთელი მსოფლიოდან, მნიშვნელოვნად შემცირდა მონადირეთა და ბრაკონიერების წყალობით. მათ რიცხვს ეკუთვნიან სპილოები, მარტორქები და სხვა; ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში ეკოლოგიური პრობლემები ღრმავდება აგრეთვე ტყის გაკაფვით.

აფრიკაში ეკოტურისტთა სიმრავლეს მრავალი პრობლემა სდევს: ეროვნულ პარკებში ნიადაგის ზედა ფენის დატკეპნის და ტყის კაფვის გამო სწრაფად ვითარდება ეროზია, ზედაპირული წყლები ქუჩყიანდება ჩამდინარე წყლებით, უხვადაა ნაგავის გროვები. პარკის ხელმძღვანელობის და ეგერების აზრით „ტურისტები ანაგვიანებენ ყველგან, სადაც კი მოხვდებიან; ისინი ასე იქცეოდნენ და ასე მოიქცევიან, სიტუაცია კი აფრიკაში არ არის უარესი, ვიდრე ჰიმალაიში“.

ეკოტურიზმი აფრიკაში ტყის კაფვის და საფარის რეალური ალტერნატივაა; ყოველწლიურად აფრიკის ტროპიკებში, ე.წ. „პლანეტის ფილტვებში“ იკაფება 17 მლნ ჰექტარი ტყე. აფრიკაში ტურიზმის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა აგრეთვე საფარი, თუმცა ცხადია რომ ეკონომიკურად უფრო ეფექტურია არა ცხოველთა ხოცვა ნადირობისას, არამედ მათი გამოყენება ფოტო- და ტურისტულ მოდელებად.

აფრიკის მრავალ ქვეყანაში ეკოტურიზმი განიხილება როგორც ბუნების დაცვის პროგრამების დაფინანსების, ველური ბუნების შენარჩუნებისას სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება. ამასთან, როცა საუბარია განვითარებად ქვეყნებში ტურიზმით მიღებულ შემოსავლებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 55% განვითარებადი ქვეყნებიდან მიდის განვითარებულ ქვეყნებში.

5.2. ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა

ჩრდილოეთი ამერიკა არის რეგიონი მაღალგანვითარებული ეკონომიკით და მაღალი ენერგომომხარებით (თუ ევროპაში ერთ სულ მოსახლეზე ბენზინის საშუალო მოხმარება შეადგენს საშუალოდ 329 ლიტრს, ჩრდილოეთ ამერიკაში ეს მაჩვენებელი 1642 ლიტრია, შესაბამისად მაღალია გამონახობა (ქვი). მაღალმექანიზირებულმა და რენტაბელურმა სოფლის მეურნეობამ აამაღლა პროდუქტიულობა. ყოველწლიურად აქ ნიადაგში შეაქვთ 20 მლნ-მდე ტონა სასუქი, რის გამოც გარემოს დაჭუჭყიანება მაღალია; წყლის მოხმარების დონე ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს საშუალოდ 1800 კუბურ მეტრს და თითქმის სამჯერ აღემატება მსოფლიო დონეს. ამერიკასა და კანადაში ბუნებისდაცვითი კანონმდებლობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგამდეა აყვანილი; ამ ქვეყნებში მაღალ დონეზეა გარემოსდაცვის ინფორმაცია და ეკოლოგიური განათლება.

ჩრდილოეთი ამერიკა სიდიდით დედამიწის მესამე კონტინენტი. ამ კონტინენტზე **კანადა** სიდიდით მსოფლიოს მეორე ქვეყანაა; დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემა კანადაში ყველაზე სრულყოფილია: ბუნებას იცავს 34 ეროვნული პარკი, ეროვნული ტყეები, 46 ეროვნულ-ფაუნისტური რეზერვატი და 101 ფრინველების ეროვნული თავშესაფარი. ამ ქვეყნის მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე და უზარმაზარი დაუსახლებელი სივრცეები ქმნის ეკოტურიზმის განვითარების მშვენიერ შესაძლებლობებს.

აშშ-ში არსებობს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რთული და განშტოებული სისტემა, რომელსაც ეწოდება „ეროვნული პარკების სისტემა“ და იმართება ეროვნული პარ-

კების სპეციალური სამსახურის მიერ. 80-იანი წლების ბოლოსთვის აშშ-ში მოქმედებდა 50 ეროვნული პარკი საერთო ფართობით 20 მლნ ჰექტარი; მათი ძირითადი დანიშნულებაა ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნება, მაგრამ ამავედროულად ისინი ფართოდ გამოიყენებიან ტურიზმის და რეკრეაციისთვის. საყოველთაოდ ცნობილია ეროვნული პარკი იოსემიტე, სადაც 800 მეტრის სიმაღლიდან კასკადებად ეშვება ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი იოსემიტე-ფოლი; აქ შემორჩენილია აგრეთვე სეკვოიას ჭალა. ეს ხე აღწევს 100 მეტრ სიმაღლეს, დიამეტრი კი 8-9 მეტრია; გაიანგარიშეს რომ ერთი ასეთი ხიდან შეიძლება აშენდეს 25 ოთხსართულიანი სახლი.

1964 წელს აშშ-ში სპეციალური კანონით გამოყოფილი იქნა ე.წ. "ხელშეუხებელი ტერიტორიები", სადაც შენარჩუნებული იყო ველური ბუნება და სადაც ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა (მშენებლობა, მწყემსვა, კაფვა და სხვა) აიკრძალა. 1980 წელს კი შემოღებული იქნა კატეგორია "ეროვნული რეზერვატი", რომელიც ეროვნული პარკისგან განსხვავდება იმით, რომ აქ დაშვებულია ნადირობა.

აშშ-ის ეროვნულ პარკებში საუკეთესო პირობებია ეკოტურისტების და დამსვენებლებისთვის, მაგრამ მათ მოეთხოვებათ ბუნებისადმი სათუთი მოპყრობა; დადგენილი წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია მკაცრი სანქციები: მსხვილი ჯარიმებიდან დაწყებული პატიმრობამდე.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების სამსახური ითვლის 53 ეროვნულ პარკს, 76 ბუნებრივ ძეგლს, 10 საზღვაო რეზერვატს, 12 ნაკრძალს და მოიცავს 280 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობს;

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა ხასიათდება სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით დედამიწაზე. მოსახლეობის სიმჭიდროვის განუხრელი ზრდის, საყოველთაო სიღარიბის და ტრანსნაციონალური სამრეწველო კომპანიების წნეხის მიუხედავად ამ ტერიტორიაზე ველური ბუნება შენარჩუნებულია.

კარიბის ზღვის აუზის კუნძულების – ვესტინდოეთის – კოლონიზაცია XIV საუკუნეში დაიწყო, მაგრამ დღესაც კი ამ

აუზის მსხვილი კუნძულები ფლობენ უნიკალურ ფლორას და ფაუნას, რომლებიც განადგურების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან იმ დროდან, როცა ~ 500 წლის წინათ აქ კოლუმბის გემები გამოჩნდნენ; დაიწყო ტყეების გაჩეხვა; ჭაობების ამოშრობა; ისინი ადგილს უთმობდნენ შაქრის ლერწმის და ბანანის პლანტაციებს.

ეკონომიკის საფუძველი რეგიონის უმეტესი ქვეყნებისათვის არის სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო და ტურიზმი; სწრაფად მზარდმა მოსახლეობამ და ტურისტულმა კურორტებმა შეავიწროვეს ენდემური ფლორა და ფაუნა: ფრინველთა ყველა სახეობის 90% ამჟამად იმყოფება გადაშენების გზაზე.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კუნძული ცნობილია არა მარტო მშვენიერი პლაჟებით, არამედ ჯუნგლებითაც; პრაქტიკულად ყველა კუნძული შემორტყმულია მარჯნის რიფებით; ამ ტერიტორიაზე ამჟამად 100-ზე მეტი რეზერვატია.

ეკოტურისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა კუნძული იამაიკა, რომლის საზღვაო პარკში შეიძლება ზღვის საოცარი ფაუნის გაცნობა.

პუერტო-რიკოდან დასავლეთით მდებარე კუნძულ მონაზე მოხვედრა შესაძლებელია ან ნავით, ან თვითმფრინავით; კუნძულზე არ არის სასტუმროები და ელექტრობა, აქ ცხოვრება მხოლოდ კარვებში შეიძლება.

ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებისათვის (სალვადორი, გონდურასი, პანამა, ნიკარაგუა და სხვა) ეკონომიკის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, რომლის პროდუქციის თითქმის ნახევარი ექსპორტისთვისაა დანიშნული. კარიბის ზღვისპირეთის დაბლობ ადგილებში აწარმოებენ ბანანებს, წყნარი ოკეანის სანაპიროზე – ყავას, შაქრის ლერწამს და ბამბას; ინტენსიურად იჭრება ტროპიკული ტყეები, რაც მათი სრული მოსპობის საშიშროებას ქმნის.

სამხრეთ ამერიკა გადაჭიმულია ტენიანი ტროპიკებიდან სამხრეთ ატლანტიკის ცივ განედებამდე; სამხრეთ ამერიკის პირველი ეროვნული პარკები ორგანიზებული იყვნენ მექსიკაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ვენესუელაში.

სამხრეთ ამერიკაში შენარჩუნებულია მინათმოქმედებისთვის ვარგისი მიწების დიდი მარაგი და ბუნებრივი ტყეების უდიდესი ფართობები.

სამხრეთ ამერიკის დასავლეთი ნაწილი ხასიათდება ბუნებრივი ზონების ფართო სპექტრით, რომელიც მოიცავს ტროპიკულ ტყეებს, ტყით დაფარულ მთებს, ბალახოვან დაბლობებს. აქ მსოფლიო კლასის ტურისტული იმვიათობაა **"ინკების ბილიკი"**, რომელიც იწყება შავი გრანიტის კლდეებიდან და მთავრდება იუნგის ტენიან ჯუნგლებში. ინკების ბილიკის ყველაზე უკეთ შემონახული მონაკვეთი "ტაკესის ბილიკი" ბოლივიაში მდებარეობს; ბილიკის ნაწილი პერუშია და მივყევართ ქ. კუსკოდან ძველ ციხე-სიმაგრე მაჩუ-პიკჩუმდე. ინკების ბილიკის საერთო ქსელის სიგრძე 16 000 კმ-ია.

გზის სიგანე მერყეობს 1,5 მეტრიდან მთებში, 6 მეტრამდე დაბლობებში; გზები მიდიან მდინარე ამაზონიდან აღმოსავლეთით წყნარი ოკეანის სანაპირომდე დასავლეთით, ახლანდელი კოლუმბიიდან - ჩრდილოეთით, არგენტინამდე -სამხრეთით.

ინკებს არ ჰქონდათ დამწერლობა, არ გამოუგონებიათ ბორბალი, არ მოუშინაურებიათ ცხენები; ისინი მოძრაობდნენ ფეხით, ან ლამებზე; ყველა გზა მიდიოდა ქალაქ კუსკოში - ინკების სახელმწიფოს დედაქალაქში. აქედან უმაღლესი ხელისუფალი აგზავნიდა მაცნეებს გზავნილებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში; მაცნეები ცნობებს გადასცემდნენ საგზაო ტრაქტირებს; ასეთი ორგანიზაციის დროს, შეტყობინებები და ტვირთები გადაადგილდებოდნენ 400 კილომეტრის სიჩქარით დღე-ღამეში.

"ინკების ბილიკი" არის საგზაო მშენებლობის დემონსტრირება მთიანი ადგილების ძნელ პირობებში: ციცაბო ფერდობებზე გაკეთებულია კიბეები, მიუვალ კლდეებში გაჭრილია გვირაბები, უზარმაზარ უფსკრულებზე გადადებულია დაკიდული ხიდები. თოვლისაგან დასაცავად მაღალმთებში ბილიკები შემოფარგლულია ქვის კიდეებით, უდაბნოში ქვიშისაგან დასაცავად კი ამოშენებულია თიხის აგურის კედლები.

ამ ტერიტორიაზე ეკოლოგიური პრობლემები იქმნება არა მარტო ტურისტების დიდი ნაკადის მოზღვაავების გამო, არამედ მათ მიერ დატოვებული ნაგავის გროვებითაც. ბილიკის

ნაგავისგან გასათავისუფლებლად პირველი აქცია 1980 წელს იყო ორგანიზებული, რომლის დროსაც შეგროვდა 0,5 ტონა მარტო არანვადი ნარჩენები (მინა, ლითონი და სხვა).

ბრაზილიის ტერიტორიის დაახლოვებით 40% უკავია ამაზონის დაბლობის წვიმიან ტროპიკულ ტყეებს - ტყის ყველაზე დიდ მასივს პლანეტაზე, ხოლო რეგიონი ხასიათდება ყველაზე დიდი ბიომრავალფეროვნებით პლანეტაზე: პანტალანში (ბრაზილია) ფრინველთა 600 სახეობაა გავრცელებული.

მდინარე ამაზონის აუზი დედამიწაზე ტროპიკული წვიმიანი ტყეების უზარმაზარი მასივია და მდებარეობს 3 ქვეყნის - ბრაზილიის, ეკვადორის, პერუს - ტერიტორიაზე. წვიმიანი ტროპიკული ტყეების ეს უზარმაზარი მასივი გამოცხადებულია ბიოსფერულ ნაკრძალად და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად.

5.3. აზია

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები; მისი თავისებურებაა სტიქიურ უბედურებათა (მინისძვრების, წყალდიდობის, ტორნადოს, ტყის ხანძრების, ქარის ეროზიის) მაღალი როლი. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ტყეების ინტენსიური ჭრა: 1995 წელს აქ ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 0,17 ჰექტარი ტყე, როცა საშუალო მსოფლიო დონე 0,61 ჰექტარია. ამიტომ ბოლო წლებში მიიღეს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნის უპრეცედენტო ზომები. რეგიონისთვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მაგალითად ბოლო 15 წელიწადში ჯაკარტის მოსახლეობა 1 მილიონიდან 8 მილიონამდე გაიზარდა. ახლო მომავალში მოსალოდნელია ქალაქის მოსახლეობის შემდგომი ზრდა.

აზია დედამიწის ყველაზე დიდი ნაწილია; აზიაში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 60%. ამ რეგიონში არსებობს როგორც ყველაზე მჭიდროდ დასახლებული, ისე ყველაზე ნაკლებად დასახლებული ტერიტორიები; განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული აღმოსავლეთ ჩინეთი, მდინარე განგას ხეობა ინდოეთში და ბანგლადეშში, იაპონია და კუნძული იავა, მაშინ როცა ციმბირის და ტიბეტის მთიანეთის

ტერიტორიები თითქმის უკაცრიელია. ადამიანთა რიცხვის მიხედვით პირველ ადგილზეა ჩინეთი.

თურქეთი და ამიერკავკასია იმყოფება აზიის და ევროპის პირაპირზე; ამ რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, თურქეთის აზიური ნაწილი; ეკონომიკაში თურქეთი ლიდერობს, რომელიც აქტიურად ზრდის სავაჭრო კავშირებს ევროპასთან. შავი ზღვისპირა ქვეყნები იძლევიან თხილის ყველაზე დიდ მოსავალს მსოფლიოში; რეგიონის მთავარი კულტურებია თამბაქო, ყურძენი, ბამბა; ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ფართოდაა გავრცელებული მეღვინეობა; თურქეთსა და ისრაელში სულ უფრო იზრდება ტურიზმი.

აზიას ეკუთვნის აგრეთვე ახლო აღმოსავლეთი – არაბეთის ნახევარკუნძული, რომელზეც 7 სახელმწიფო მდებარეობს (ბახრეინი, იემენი, კატარი, ქუვეიტი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი), სპარსეთის ყურის ქვეყნები, ცენტრალური აზია (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი), ავღანეთი, პაკისტანი, სამხრეთი აზია (ბანგლადეში, ინდოეთი, ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა და სხვა), ჩინეთი, კორეა, მონღოლეთი, აზიის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი (ბრუნეი, ინდონეზია, მალაზია, სინგაპური) ინდოჩინეთი და ფილიპინები.

დასავლეთ აზიის რეგიონისთვის დამახასიათებელია გაუდაბნოების მაღალი დონე, სასმელი წყლის მწვავე უკმარისობა, მინების და სპარსეთის ყურის დაჭუჭყიანების მაღალი დონე; ეს ეკოლოგიური პრობლემები ღრმავდება მოსახლეობის რიცხვის ზრდით: 50 წელიწადში მოსახლეობა 5-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასავლეთ აზიის გარემოს დაცვის და განვითარების ღონისძიებებს; პრიორიტეტულია წყლის ეკონომიურად ხარჯვის ზომები და ბრძოლა გაუდაბნობასთან – მორწყვის სისტემების სრულყოფა; შექმნილია გარემოს დაცვის, ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, იქმნება არასამთავრობო ეკოლოგიური ორგანიზაციები, ეკოლოგიური განათლება შეტანილია სასწავლო პროგრამებში.

აზიის ბიოტის სხვადასხვაობა აზიურ კულტურათა მრავალფეროვნებასთან შეთანწყობით საუკეთესო პირობებს ქმნის ამ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებისათვის. აქ მდებარეობს ჰიმალაი, რომელიც გადაჭიმული 2600 კმ-ზე, ყველაზე მაღალი მთა ევერესტი (ჯომოლუნგმა) – 8854 მ, 29 მწვერვალის სიმაღლე კი აღემატება 7800 მ-ს; ნეპალში ჩიტვინის ეროვნულ პარკში შეხვდებით მარტორქას, გარეულ ღორებს, ლეოპარდებს, ვეფხვებს, მაიმუნებს, ნიანგებს და სხვა, რომლებიც იმყოფებიან ეგერების დაცვის ქვეშ; მარტორქის მოკვლა აქ სიკვდილით ისჯება, რის შედეგად მათი რიცხვი ნელ-ნელა იზრდება.

სამხრეთ აზიაში ეკოტურისტებისთვის მიმზიდველია **ინდონეზია**; აქ მდებარეობს ეროვნული პარკები, ნაკრძალები, დასასვენებელი პარკები. **ინდონეზიის** ყველაზე დიდი ბუნებრივი რეზერვატი მდებარეობს კუნძულ **სუმატრაზე**; ეს ეროვნული პარკი განსხვავდება ეკოსისტემების დიდი მრავალფეროვნებით. სუმატრის ტყეებში ჰყვავის მსოფლიოში ყველაზე დიდი ყვავილი რაფლეზია; მისი კოკორი ფორმირდება 18 თვის განმავლობაში, ყვავილი გაშლილია ერთი კვირის მანძილზე, მას უსიამოვნო სუნი აქვს.

ეკოტურიზმის საინტერესო რეგიონია **ნეპალი** – სამთო ტურიზმის ცენტრი ჰიმალაიზე. თვითმყოფადი კულტურის მქონე ეს ქვეყანა სთავაზობს ტურისტული მომსახურების ფართო სპექტრს; ყოველწლიურად ნეპალი იღებს 200 ათასზე მეტ ტურისტს; ქვეყნის ცალკეული რაიონები უკავშირდებიან ერთმანეთს არა გზებით, არამედ საფეხმავლო ბილიკებით; ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ტურიზმთან. ტურისტებს, ტვირთმზიდებს და ადგილობრივ მოსახლეობას ესაჭიროება შეშა, რის გამოც ფერდობებზე ტყე იჭრება; ტურისტული ბილიკების გასწვრივ დაგროვილია ნაგავის მთები და მათ შორის ყველაზე მეტი ნაგავი დაგროვილია ევერესტზე. ამ მთაზე ასვლის მსურველთა რიცხვი კი წლიდან წლამდე იზრდება, მიუხედავად ასვლის ნებართვის მაღალი ღირებულებისა (50 000–70 000 დოლარი).

ინდოეთში ფუნქციონირებს 55 ეროვნული პარკი და 247 ბუნებრივი რეზერვატი ფართობით 90 ათასი კვადრატული კილომეტრი. ინდოეთის ეროვნული პარკების ეკოლოგიური პრობლემები დაკავშირებულია მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან და სახნავ მიწებზე დიდ მოთხოვნასთან.

ჩინეთის ტერიტორიის დაახლოებით 1% უკავია ეროვნულ პარკებს და რეზერვატებს; **იაპონიაში** ეროვნულ პარკებს დათმობილი აქვთ ტერიტორიის 14 %, რაც სავსებით ბუნებრივია ტრადიციულად ბუნების თაყვანისმცემელი ქვეყნისათვის.

ტაილანდის ტერიტორია სთავაზობს ტურისტებს ტყეებს; მთებს, ჩანჩქერებს, მღვიმეებს, მარჯნის რიფებს; ქვეყანაში 58 ეროვნული პარკია, რომლებსაც ქვეყნის ტერიტორიის 5% უკავიათ.

როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნები, **ვიეტნამიც** ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით; ქვეყნის ტერიტორიის 1/5 დაფარულია ტყეებით, რაც იმ ტერიტორიების ნახევარზე ნაკლებია, რომელიც დაფარული იყო ტყეებით 60-იან წლებში. ტყეების მოსპობა დაკავშირებულია მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან, საკაფ-საცეცხლე მინათ-მოქმედების შენარჩუნებასთან, ძვირფასი მერქანის ექსპორტთან განვითარებულ ქვეყნებში (უპირატესად იაპონიაში), ტყის მასივების დაღუპვასთან დეფლორანტების გამოყენების გამო ამერიკა-ვიეტნამის ომის დროს.

ამჟამად ვიეტნამში 10 ეროვნული პარკია და 49 ბუნებრივი რეზერვატი ვიეტნამის უნიკალური ბუნების დასაცავად.

5. 4. ევროპა

ბუნების დაცვით საქმიანობაში ევროპაში ლიდერობს **ნიდერლანდები**. ევროპის ყველა ქვეყნის ხარჯზე, რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის 18 % ცხოვრობს, მოდის მსოფლიო ტურისტული ბაზრის 70%-ზე მეტი და სავალუტო შემოსავლების დაახლოებით 69%. ევროპა ეკოტურიზმის განვითარების ლიდერია.

ადამიანის საქმიანობის ათასწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპის ბუნება. ფოლადის გამოგონებამ და წარმოებამ, რომელიც თხოულობდა დიდი რაოდენობის

ხის ნახშირს, განაპირობა ტყეების განადგურება. გადარჩნენ მხოლოდ დედოფლის ნაკრძალებად გამოცხადებული ტყეები და ცნობილი პიროვნებების სანადიროდ განკუთვნილი ტყეები.

ბუნებრივი ტყეები, რომლებიც ოდესღაც ევროპის ტერიტორიის 80-90%-ს ფარავდნენ, ახლა ამ ფართის 33 %-ს შეადგენენ. სწრაფად მცირდება ბიოლოგიური მრავალფეროვნება. საგალითად, გერმანიაში წითელ წიგნში შეტანილი მცენარეთა 822 სახეობიდან ყოველწლიურად ერთი მათგანი იკარგება.

ამჟამად ევროპა მოიაზრება გარემოს დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მსხვილ ცენტრად არა მარტო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, არამედ მსოფლიოშიც. ეკოსისტემების დესტაბილიზაციის მძლავრი ფაქტორია გარემოს დაჭუჭყიანება. მასიურად დამჭუჭყიანებელი ძირითადი ნივთიერებებიდან ევროპის კონტინენტზე მოდის მსოფლიო ემისიის 20-30 %; განსაკუთრებით დიდია გოგირდის დიოქსიდის მსოფლიო ანთროპოგენური ემისია. გოგირდის დიოქსიდის გამოყოფა უმთავრესად დამოკიდებულია წიაღისეული საწვავის წვასთან და მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის საშიში შემუავებით და მჟავე წვიმების თანხლებით. ეს პრობლემა განსაკუთრებით მკვეთრია საფრანგეთის ჩრდილოეთით, დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბელორუსში, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში.

ძალზე აქტუალურია ნარჩენების პრობლემა, რომელთა ოდენობა შეადგენს 10-11 ტონას ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში, მათგან 5-10 % საშიში ნარჩენებია.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ოკეანეში დამარხეს დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნარჩენები, რომლის ძირითადი ნაწილი მოდის დიდ ბრიტანეთზე. ბოლო წლებში ევროპის ქვეყნები გადავიდნენ რადიოაქტიური ნარჩენების მიწისქვეშ დამარხვაზე, ადგილი აქვს რადიოაქტიური ნარჩენების არალეგალური გატანის მცდელობას აზიის და აფრიკის ქვეყნებშიც.

სამრეწველო განვითარების და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის მიუხედავად ევროპაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სამეურნეო საქმიანობით პრაქტიკულად ხელშეუხებელი რეგიონები; ეს უმთავრესად ლარიბი მიწებია, უვარგისი სამეურნეო ათვისებისათვის.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემა ვითარდება ევროპაში მჭიდროდ დასახლებული, პრაქტიკულად მთლიანად ათვისებული ლანდშაფტის ფონზე, რაც განაპირობებს მის სპეციფიკას: **აქ არის არა ბუნებრივი, არამედ წარმოებული (ხელოვნური) და ნახევრად წარმოებული ეკოსისტემები**, რომლებსაც აქვთ მცირე ზომები (ათეული და ერთეული ჰექტარიც კი).

ევროპის ქვეყნებში დაცული ბუნებრივი ტერიტორიები წარმოდგენილია: სამეცნიერო რეზერვატებით (ტერიტორია, რომლის ბუნებრივი სიმდიდრეები – მცენარეები და ცხოველები – დაცულია სახელმწიფოს მიერ) და მკაცრი დაცვის მქონე რეზერვატებით, ეროვნული პარკებით, ბუნების ძეგლებით, ბუნებრივი მართვადი რეზერვატებით, დაცული ლანდშაფტებით, მრავალმხრივი გამოყენების ჩარჩოებში დაცული მიწებით. ყველაზე დიდი ტერიტორია უკავია ეგრეთ წოდებულ “დაცულ ლანდშაფტებს”, რომელშიც დაცულია რეკრეაციული რესურსები და ხალხის საცხოვრებელი გარემო.

ევროპაში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ხარისხი დამოკიდებულია უმეტესწილად იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს ტერიტორიები (სახელმწიფოს, კერძო პირს და ა.შ.), მდებარეობენ ისინი ქალაქის თუ სოფლის ტერიტორიაზე, სამრეწველო წარმოების რომელი სახეები გვხვდება დასახლებულ პუნქტებში, როგორ არის ორგანიზებული და როგორ ხორციელდება გარემოს დაცვა ამ საწარმოებში და ა.შ.

5.5. ავსტრალია და ოკეანეთი

ავსტრალია და ოკეანეთი პლანეტის ყველაზე დიდი ტერიტორიებია, სადაც შენარჩუნებულია ველური ბუნება.

ავსტრალია ყველაზე პატარა მატერიკია, მას გარს უვლის ორი ოკეანე – ინდოეთის და წყნარი; სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის სუბტროპიკებში იმყოფება ბალები; აქ კლიმატი მოგვაგონებს ხმელთაშუა ზღვის კლიმატს. ავსტრალიის ფლორა უნიკალურია; მცენარეთა 22 ათასი სახეობიდან თითქმის 9/10 სხვაგან არ გვხვდება. ავსტრალიისთვის განსაკუთრებით ტიპურია ევკალიპტი და აკაცია. ავსტრალიის ღირსშესანიშნაობები დაცულია ეროვნულ პარკებში. კენგურუ და აკაციის ყვავი-

ლი გამოსახულია ავსტრალიის ჰერბზე. ავსტრალიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომსახურების სფეროს, რომელშიც ჩართულია აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი და რომელშიც შედის ტურიზმის სფეროც.

ცხელი პერიოდი ავსტრალიაში ნოემბერ-იანვარია, შედარებით ცივი კი – ივნისი-აგვისტო. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა 20-28°-ია, ზამთრის – 12-24°.

ბოლო წლებში ავსტრალიაში ტურიზმი ინტენსიურად ვითარდება; ის ეკოტურიზმის განვითარებაში ერთ-ერთი ლიდერია; კონტინენტზე მდებარეობს 3000-მდე ეროვნული პარკი და რეზერვატი. აქ უსაფრთხოა ყველაზე შორეული მოგზაურობებიც კი; ეროვნული პარკების უმრავლესობაში არის კარგი კემპინგები, მოვლილი ტურისტული მარშრუტები. მოგზაურობის დროს ტურისტებს შეუძლიათ დაინახონ ნიანგები, ძალი დინგო, კენგურუ, ექიდნა და სხვა. პარკი კაკადუს არსებობის მანძილზე მასში ცხოველთა არც ერთი სახეობა არ გადაშენებულა.

კუნძული **ტასმანია** მდებარეობს ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით; კუნძულის ტერიტორიის 30% შედის ძეგლთა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ტერიტორიის გასაცნობად გამოიყენება საექსკურსიო თვითმფრინავები, კატერები და ნავები.

ახალი ზელანდია მდებარეობს 2500 კილომეტრში ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; მისი ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია ენდემებით. აქ წარმოიქმნა დედამიწაზე ყველაზე დიდი გეიზერი XX საუკუნის დასაწყისში: მდულარე წყლის ჭავლი, შავი ტალახი და ქვები აიტყორცნებოდა 400 მეტრის სიმაღლეზე; ეს საოცარი შადრევანი რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მერე ეშვებოდა და ერთი დღე-ღამის განმავლობაში კვლავ მეორდებოდა. ამ გეიზერმა იარსება 4 წელიწადს. ველური ბუნების დაცვას ახალ ზელანდიაში ხელს უწყობს მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე.

ახალი გვინეა გაუვალი ჯუნგლების და მთების მხარეა. კუნძულზე შენარჩუნებულია ხელშეუხებელი ტყეების 70%; აქ ფრინველებზე ნადირობა აკრძალულია.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსაზღვრავს ეკოტურიზმის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს?
2. რაზეა დამოკიდებული ბუნების შენარჩუნების ხარისხი?
3. დაახასიათეთ ევროპის ეკოლოგიური სიტუაცია.
4. რატომ მიიჩნევენ ევროპას, როგორც მსოფლიოში გარემოს დესტაბილიზაციის ცენტრს?
5. რა იცით ჩრდილოეთ ამერიკის დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შესახებ?
6. ჩამოთვალეთ სამხრეთ ამერიკაში ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები.
7. ჩამოთვალეთ მიზეზები, რომელთა გამო აფრიკამ მიიღო "ეკოტურისტული სამოთხის" სახელწოდება.
8. როგორია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბუნებრივი პოტენციალი და წარმატებული ეკოტურისტული საქმიანობის მიზეზები?
9. ჩამოთვალეთ აზიაში ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები.
10. როგორია ველური ბუნების შენარჩუნების ხარისხი და ეკოტურიზმის განვითარების მდგომარეობა ავსტრალიასა და ოკეანეთში?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

1. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ მსოფლიოს რეგიონები, გამორჩეული ბიომრავალფეროვნებით და შეფასეთ მათი ეკოტურისტული პოტენციალი.
2. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ქვეყნები, სადაც ეკოტურიზმი ამჟამად ყველაზე მეტად არის განვითარებული.

თავი 6. დედაგინის სწავროს ძირითადი ფორმაციების დახასიათება

6.1. ცივი არქტიკული უდაბნოების და ტუნდრების ეკოსისტემები

ჩრდილოეთის ნახევარსფეროს ცივი არქტიკული უდაბნოები უმთავრესად მოიცავს ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის კუნძულებს. ევრაზიის და ჩრდილო ამერიკის საზღვრებში ეს ზონა მოიცავს აგრეთვე მატერიკის ჩრდილოეთი ნაპირის წვრილ ზოლს.

ცხოვრების პირობები აქ სიმკაცრით გამოირჩევა: საშუალო წლიური ტემპერატურა 0°-ზე დაბალია, ნალექები შეადგენს არა უმეტეს 200 მმ წელიწადში; ზამთარი ძალიან ცივი და ხანგრძლივია, არც თუ ისე ძლიერი თოვლის საფარით. ეს ხელს უწყობს გრუნტის გაყინვას, რომელიც ხანმოკლე პოლარული ზაფხულის განმავლობაში ვერ ასწრებს გაღობას; ამიტომ აქ მრავალწლიანი გამყინვარებაა, რომელიც ნიადაგის ზედაპირთან ახლოს იმყოფება.

ხანმოკლე ვეგეტაციური პერიოდი აქ კომპენსირდება ხანგრძლივი განათებით: ზაფხულში მზე თითქმის დღე-ღამის განმავლობაში ანათებს, ამიტომ მცენარეები ასწრებენ მიიღონ სითბო და სინათლე იმ რაოდენობით, რაც საჭიროა განვითარების ციკლის დასასრულებლად. მცენარეთა შემადგენლობაში სჭარბობს ხავსი და ლიქენი, რომელნიც წარმოქმნიან არც თუ ისე დიდ ბიომასას. ამით აიხსნება ცხოველთა სამყაროს სიღარიბე ცივ არქტიკულ უდაბნოებში. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აქ გავრცელებულია თეთრი დათვი. ის ამ ზონის ენდემია. იგი სელაპებით იკვებება. ამ ზონის თითქმის ყველა ბინადარი ასე თუ ისე ზღვასთან არის დაკავშირებული. სელაპები თევზით და კიბოებით იკვებებიან. ლომვეშაპი, ისევე, როგორც თეთრი დათვი, ამ ზონის ენდემია.

ამ ზონის ფრინველებიც ზღვასთან არიან დაკავშირებული. მწერებიდან ყველაზე მეტად შმელია გავრცელებული.

პოლარული რეგიონები დაჭუჭყიანებისადმი მაღალი მგრძობიარობის გამო "ეკოლოგიურ ბარომეტრად" იწოდებიან. ლიქენი და სოკოები ხარბად შთანთქამენ რადიონუკლი-

დებს და მძიმე ლითონებს. ეს ნივთიერებები ხვდებიან ატმოსფეროში ბირთვული იარაღის გამოცდის და მადნეული საბადოების ექსპლუატაციის შედეგად. ნორილსკსა და პეჩენგაში სპილენძის და ნიკელის კონცენტრაცია შესაბამისად 2500-ჯერ და 130-ჯერ აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმებს.

პოლარული რაიონებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე "ოზონის ხვრელები", განპირობებული ფრეონის (ქლოროფტორნახშირბადის) ზემოქმედებით.

ამჟამად პლანეტის პოლარული რეგიონები ის ადგილებია, სადაც ნებისმიერ ქმედებას საფუძველად უდევს საერთაშორისო თანამშრომლობა. ხელშეკრულება – "არქტიკის გარემოს დაცვის სტრატეგია" ხელმოწერილია 8 სახელმწიფოს მიერ 1991 წელს, ხოლო ხელშეკრულება ანტარქტიდის შესახებ მიღებული იქნა 1959 წელს და განახლდა 1999 წელს. ამ ხელშეკრულების თანახმად სამხრეთ განედის 60°-ის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები არის ნებისმიერი საომარი ღონისძიებებისთვის აკრძალული, მათ რიცხვში ბირთვული იარაღის გამოცდისთვის. მადრიდის ოქმის თანახმად ანტარქტიდა გამოცხადებულია "მშვიდობისა და მეცნიერებისადმი მიძღვნილ ბუნებრივ ნაკრძალად".

ჩრდილოეთის არქტიკულ უდაბნოებს სამხრეთიდან აკრავს ტუნდრა. იგი უკვე არა არქტიკას, არამედ სუბარქტიკას ეკუთვნის და უკავია ევრაზიის და ამერიკის ჩრდილოეთი განაპირა ნაწილი. ეკოლოგიური პირობები აქ შედარებით ხელსაყრელია არსებობისათვის ვიდრე არქტიკულ უდაბნოში, მაგრამ მაინც მკაცრია. ყველაზე თბილი თვის – ივლისის საშუალო ტემპერატურა 4-14°-ია. ამ ზონაში გავრცელებულია ჩრდილოეთის ირემი, რომელიც მგლის მსხვერპლია.

კანადაში, კანადის არქიპელაგის კუნძულებზე და გრენლანდიის ჩრდილოეთით გვხვდება მსხვილი ძუძუმწოვრები – ხარვერძები. ეს ცხოველები საიმედოდ არიან დაცულნი მკაცრი ყინვებისგან სქელი ბენვით, მგლებისგან კი მაგარი რქებით. ხარვერძები ჯოგებად ბინადრობენ. საფრთხის შემთხვევაში ისინი არ გარბიან, არამედ მიმართავენ "წრიული დაცვის" მეთოდს: დედალი ხარვერძები ხბოებით ერთ ცენტრში ჯგუფდებიან, მამალი ხარვერძები მათ ირგვლივ წარმოქმნიან წრეს, მიმართავენ რა მაგარ რქებს მტრებისკენ; ამით დედები და ხბოე-

ბი საიმედოდ არიან დაცულნი მგლების თავდასხმისგან, მაგრამ არა ადამიანის თავდასხმისგან; ადამიანები მათზე ნადირობენ გემრიელი ხორცისა და ძვირფასი ბენვის გამო. ხარვერძების ჩვევა არ გაიქცნენ თავდამსხმელი მტრისაგან და შეხვდნენ მათ რქებით, ამჯერად მათ ცუდ სამსახურს უწევს: მონადირეს შეუძლია ძალზე ახლოს მივიდეს ჯოგთან და მიჯრით დახოცოს ცხოველები. ერთ ადამიანს შეუძლია გაანადგუროს მთელი ჯოგი ისე, რომ არცერთი ცხოველი არ შეეცდება გაქცევას. ამიტომ ხარვერძები განადგურების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

ტუნდრის ეკოსისტემები მარტივია. ამ ლანდშაფტურ ფორმაციაში იმყოფება კანადა. აქ ფუნქციონირებენ ეროვნული პარკები ბანფი, ჯასპერი, იოხო, კუტენეი. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფართი შეადგენს 3,9 მლნ. კმ².

6.2. ზომიერი განედის ტყის ზონის ეკოსისტემა

ტყის ზონები ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მოიცავს ჩრდილო ამერიკასა და ევრაზიაში უზარმაზარ ტერიტორიებს; სამხრეთ ნახევარსფეროში ტყეებს მცირე ფართი უკავიათ არგენტინის და ჩილეს სამხრეთ ნაწილში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიის და ტასმანიის რაიონებში. კლიმატური პირობები აქ უკეთესია, ვიდრე ტუნდრაში; ვეგეტაციური პერიოდი გრძელდება 4 თვეს, ივლისის საშუალო ტემპერატურა 10-23°-ია, ნალექების რაოდენობა 250-1000 მმ წელიწადში.

ამ ზონის ზღვრებში გამოყოფენ მუქწინვოვან, ლიანწინვოვან, შერეულ ფართეფოთლოვან და მცირეფოთლოვან ტყის ეკოსისტემებს. მუქწინვოვან და ლიანწინვოვან ტყეებს ტაიგას უწოდებენ.

ზომიერი განედის ტყის ეკოსისტემებს აქვთ იარუსისებური წყობა: პირველი იარუსი შედგება მაღალი ხეებისაგან, მეორე იარუსში ბუჩქებია, მესამეში კი ბალახოვანი მცენარეები. ასეთი მრავალიარუსიანი განლაგება ეხმარება მცენარეებს სრულად გამოიყენონ ბინადრობის ადგილის რესურსები: სინათლე, ტენი, საკვები. იარუსოვანი განლაგების დროს წყალს და საკვებს მცენარეები ნიადაგის სხვადასხვა სიღრმეიდან იღებენ, რაც ამცირებს კონკურენციას.

ტყის ეკოსისტემებში ცხოველთა სამყარო უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ტუნდრაში. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აქ გავრცელებულია ირემი, თახვი, კურდღელი, ძუძუმწოვარი მტაცებლებიდან – მგელი, მელა, ზღარბი, დედოფალა, თხუნელა; აქ გავრცელებული ნაირმჭამელია მურა დათვი. მტაცებელი ფრინველებიდან გავრცელებულია ქორი, ძერა, შევარდენი; ისინი მღრღნელებით და ფრინველებით იკვებებიან. მხოლოდ ცხოველური წარმოშობის საკვებით იკვებებიან: გველი, ხვლიკი, ბაყაყი და სხვა. ტყის ზონის ეკოსისტემებში მრავლადაა ობობები და ჭიანჭველები. ობობებისაგან განსხვავებით ჭიანჭველები არ არიან სუფთა მტაცებლები; ისინი ჭამენ აგრეთვე კენკრას, თესლებს.

ბიომასის მარაგი აქ უფრო მაღალია, ვიდრე ტუნდრაში და შეადგენს 200-500 ტონას ჰექტარზე, პროდუქტიულობა კი ტოლია 40-200 ტონა ჰექტარზე.

ხელუხლებელი ბუნების ერთ-ერთი დიდი ტერიტორია ტყის ზონის ეკოსისტემებში იმყოფება პოლარული წრის იქით და წარმოდგენილია ორი ნაციონალური პარკით: ლემენიოკი (ფინეთი) და ევრე-ანარიოკა (ნორვეგია); ამ ზონაში იმყოფება ბელორუსიის ნაკრძალი, რომელიც გრძელდება პოლონეთში; ტყის ზონის ეკოსისტემებში იმყოფება აგრეთვე მრავალი ეროვნული პარკი.

6.3. სტეპების ეკოსისტემა

სტეპებს უწოდებენ ბალახოვან მცენარეთა თანასაზოგადოებებს, რომელთა შორის ჭარბობენ მარცვლოვნები, განსაკუთრებით კი ვაციწვერა. სტეპებს უკავიათ უზარმაზარი ტერიტორიები ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

ჩრდილოეთ ამერიკაში ბალახოვან მცენარეთა თანასაზოგადოებებს **პრერიებს** უწოდებენ; მათ ეკუთვნის ეგრეთწოდებული პამპასები და დამპები არგენტინასა და ურუგვაიში. სტეპების კლიმატური პირობები სხვადასხვანაირია: ევრაზიაში საშუალო წლიური ტემპერატურა 0,50-17°-ია, ციმბირში ნალექების რაოდენობა კი 250-500 მილიმეტრია წელიწადში. პრერიებში საშუალო წლიური ტემპერატურა 15-18°-ია, ნალექების რაოდენობა 200-1000 მმ.

თუმცა ევრაზიის და ჩრდილო ამერიკის სტეპების კლიმატი მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ აქ გვხვდება სტეპების ერთტიპოვანი მცენარეულობა; ამის მიზეზი არის არა ნალექების აბსოლუტური რაოდენობა, არამედ წლის სეზონების მიხედვით ამ ნალექების განაწილება. სტეპებში წლის თბილდროს ნალექები მცირეა, რაც არახელსაყრელია მერქიანი მცენარეებისათვის, ამიტომ აქ ისინი არ გვხვდება. სტეპების ზონის შავმიწა ნიადაგები ნაყოფიერების მიხედვით უნივერსალურია; ისინი გამოირჩევიან ნიადაგში ჰუმუსის მაღალი შემცველობით (14-16 %), ჰუმუსის ჰორიზონტის დიდი სიმძლავრით, რომელიც ზოგჯერ 120 სმ-ს აჭარბებს და ქიმიური ელემენტების ბალანსირებული შემცველობით.

გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში სტეპების მცენარეულობა მძაფრად ვითარდება და სტეპები იქცევა თვალუწვდენელ მწვანე ზღვად; მცენარეთა ყვავილობაში არის განსაზღვრული რითმი და რიგი: ისინი ერთბაშად კი არა, გარკვეული თანმიმდევრობით ჰყვავიან. სტეპის ბიომასა შეადგენს 120-150 ცენტნერს ჰექტარზე, პირველადი პროდუქტიულობა კი 80-160 ცენტნერია ჰექტარზე; პრერიებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია.

სტეპების ბინადარნი, ხეების არ არსებობის გამო, იწყობენ ბუდეებს და იმალებიან ბალახებსა და სოროებში. გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში საკვების სიუხვე განაპირობებს ბალახით მკვებავი ცხოველების მრავალფეროვნებას; მცენარეთა მინისქვეშა ნაწილებით (ფესვები, ბოლქვები) იკვებებიან უთვალოები, ნემატოდები⁸; მიწისზედა ნაწილით იკვებებიან ხოჭოები, პეპლების მატლები, კალიები და სხვა. სტეპებში ბევრია მღრღნელები, ჭიანჭველები; ნაყარით იკვებებიან ნიადაგის ნემატოდები, ბაქტერიები და სხვა.

სტეპებში ყველაზე მსხვილი მტაცებელი მგელი და მელაა; მგლის მსხვერპლია ანტილოპი, თრია და სხვა. მგლებიც ძირითადად მღრღნელებით იკვებებიან და საერთოდ მღრღნელები არიან ძირითადი საკვები ბაზა პრაქტიკულად სტეპების ყველა მტაცებლისათვის. არწივი, ორბი, გველი, ხვლიკი იკვებ-

⁸ ნემატოდები – მრავალი ჭიები, რომელთა უმეტესობა პარაზიტებია (ასკარიდები, ტრიქინები), ბინადრობენ წყალში, ნიადაგში, მცენარეებში, ცხოველებში, 1500-მდე სახისაა.

ბებიან ხოჭოებით, ჭიანჭველებით; თვითონ ხვლიკები კი არიან მსხვერპლი გველების. ჭიანჭველები ნაირმჭამელი მწერებია; მცენარეებთან ერთად ისინი მწერებსაც ანადგურებენ. მტაცებლებია ობობები, მორიელები, რომლებიც მხოლოდ ცხოველური წარმოშობის საკვებით იკვებებიან; ჯავშნიანები სოკოებით იკვებებიან,

სტეპების მრავალი ცხოველისთვის დამახასიათებელია კოლონიებად ცხოვრება. დიდი კოლონიების შექმნას სტეპებში აქვს განსაზღვრული საფუძველი: იმ დროს როცა ერთი მხეცი "საგუშაგოზე" დგას, სხვები წყნარად, უშიშრად არიან დაკავებული თავიანთი საქმიანობით, არიან რა დარწმუნებულნი, რომ საჭიროების შემთხვევაში განგაშის სიგნალი დროულად იქნება მიცემული.

მარტოხელა ცხოველებისას ამ ცხოველებს გაუჭირდებოდათ არსებობა, რადგან ღია სტეპებში თითოეული ცალკე-ცალკე, გარშემორტყმული უამრავი მტრებით, მალე დაიღუპებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიებად ცხოვრება დამახასიათებელია საერთოდ სტეპების ცხოველებისათვის, მათი მოგვარენი - ტყის ბინადარნი კი, როგორც წესი, კოლონიებად კი არა ხროვებად ცხოვრობენ; მაგალითად მგლების ხროვები ტყეში შედგება 5-6, ზოგჯერ 10 მხეცისგან, სტეპებში კი მგლის ჯოგები უფრო მრავალრიცხოვანია, რაც განპირობებულია ცხოველების პირობებით: მგლების მთავარი მსხვერპლი სტეპების სწრაფმავალი ცხოველებია, რომლებიც აგრეთვე დიდ ჯოგებად არიან გაერთიანებულნი; ასეთ შემთხვევაში მარტოხელა ნადირობა ძნელი და საშიშია; წარმატებული თავდასხმა სტეპებში მხოლოდ კოლონიას შეუძლია.

ბუნებრივი სტეპები ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ნაკრძალებში; დანარჩენი სტეპები კი გადახნულია და სოფლის მეურნეობის კულტურებითაა დაკავებული; შესაბამისად ძირეულადაა შეცვლილი სტეპების ფაუნა; მათი ნაწილი დაიღუპა ახალ პირობებში, ნაწილი კი გადასახლდა ხელუხლებელ სტეპებსა და უდაბნოებში.

6.4. უდაბნოს ეკოსისტემები

ხმელეთის დიდი ნაწილი (დაახლოებით 20%) უდაბნოებს უკავია. ცენტრალურ აზიაში (გობი, ალაშანი, თაკლა-მაკანი), შუა აზიაში (ყიზილყუმი, ყარაყუმი), არაბეთის ნახევარკუნძულზე, აფრიკაში (კალაჰარი, ნამიბი, საჰარა), ჩრდილო ამერიკის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში, სამხრეთ ამერიკაში (ატაკამა), ავსტრალიაში (დიდი ქვიშიანი უდაბნო).

უდაბნოს კლიმატური პირობები ძალზე არახელსაყრელია მცენარეებისათვის; ნალექების რაოდენობა აქ არ აღემატება 200 მმ-ს წელიწადში, ზოგან კი ნალექები არ არის წლობით (ატაკამა, ნამიბია); ასეთ ადგილებში ღარიბი მცენარეულობა არსებობს გრუნტში ჰაერიდან კონდენსირებული წყლის ხარჯზე, ან გრუნტის წყლების ხარჯზე, თუ ისინი მცენარეთა ფესვების გავრცელების ზონაში იმყოფებიან.

უდაბნოსათვის დამახასიათებელია ტემპერატურათა მკვეთრი მერყეობა. მაგალითად, ნამიბიაში ღამით ტემპერატურა ზოგჯერ 0°-ზე დაბლა ეცემა, დღისით კი 40-45°-ია; მზის სხივებით ნიადაგი ზოგჯერ 70°-მდე ხურდება; მშრალი, ძლიერი ქარები კიდევ უფრო ართულებენ წყლით მომარაგების პრობლემას; ამიტომ უდაბნოს ორგანიზმებმა გამოიმუშავეს წყლის ეკონომიური ხარჯვის სხვადასხვა ხერხები. მცენარეები, რომლებიც შეეგუვნენ უდაბნოს პირობებს, უმთავრესად მრავალწლიანია. ამ ჯგუფის მცენარეები არიან მშრალი, ეკლოვანი ბალახები კარგად განვითარებული ფესვებით, რომლებსაც შესწევთ უნარი დაიჭირონ ტენის ის მცირე ოდენობაც კი, რაც წარმოიქმნება ნიადაგში წყლის ორთქლის კონდენსაციით ჰაერიდან; მცენარეთა ნაწილს კი გააჩნია გრძელი ფესვთა სისტემა, რომელიც აღწევს გრუნტის წყლებამდე (საქსაულის ფესვები 10-12 მეტრამდე აღწევენ ნიადაგში). ამ მცენარეებს ფოთლები არა აქვთ და ფოტოსინთეზი მათში ხორციელდება ერთწლიან მწვანე ყლორტებში. ზოგიერთი მცენარე იმარაგებს წყალს თავის სხეულში (კაქტუსი, მოლოჩაი) მაგალითად, ერთ-ერთი ცდის დროს სფეროსებური კაქტუსი მასით 37 კგ. არ მორწყეს 6 წლის მანძილზე. ამ დროის განმავლობაში მან დაკარგა 11 კგ, მაგრამ ცოცხალი დარჩა.

უდაბნოს ცხოველებსაც აქვთ სხვადასხვა სამარჯვი წყლის ეკონომიისათვის; მაგალითად, თუ სხვა ძუძუმწოვრები წყლის 20% დაკარგვისას იღუპებიან, აქლემი იღუპება მხოლოდ წყლის 40% დაკარგვისას, მაგრამ თუ წყალს შეხვდა, სვამს დიდი რაოდენობით. თუ სხვა ხერხემლიანები იოფლებიან 37°-ის ზევით, აქლემი იოფლება სხეულის ტემპერატურის მხოლოდ 41°-ის დროს და ამით წყლის ეკონომიას აკეთებს; ლამე მისი სხეულის ტემპერატურა 10°-ით ნაკლებია, ვიდრე დღისით.

უდაბნოს ეკოსისტემების კვებითი ჯაჭვი ასეთია: მცენარეთა მწვანე ნაწილებით იკვებებიან ჯეირნები, კურდღლები, კუ, თრია და სხვა. მწერი-ფიტოფაგებიდან გავრცელებულია სხვადასხვა ხოჭოები; ბევრია მარცვლოვნებით მკვებავი ფრინველები, რომლებიც ბალახების და ბუჩქების თესლებით იკვებებიან. მცენარეთა მიწისქვეშა ნაწილებით იკვებებიან ზოგიერთი ხოჭოები, სხვადასხვა მწერების მატლები. ორგანული ნარჩენების მიწერალიზაციას აწარმოებენ ძირითადად ბაქტერიები.

მეორე რიგის კონსუმენტებიდან (მტაცებლებით მკვებავი მტაცებლები) გავრცელებულია გველების სხვადასხვა წარმომადგენლები.

ნამდვილი მტაცებლები უდაბნოში ცოტაა. ესენია მგელი, მელა, უდაბნოს კატა. ფრთოსანი მტაცებლები ძირითადად მღრღნელებით იკვებებიან; ქვეწარმავლებიდან მღრღნელებზე ნადირობენ გველები; ხვლიკები იკვებებიან მატლებით, პეპლებით. უდაბნოს წლიური ბიოლოგიური პროდუქტიულობა 10-50 ცენტნერია, ბიომასა კი - 25-150 ცენტნერი ჰექტარზე.

ამრიგად უდაბნოს ეკოსისტემები არსებობენ ექსტრემალურ პირობებში; ეკოსისტემებში არსებული სახეობათა რაოდენობა შეზღუდულია და მათ პრაქტიკულად არ შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი (ეკოლოგიური დუბლირება); ამიტომ უდაბნოს ეკოსისტემები ადვილად გამოდიან ნონასწორობიდან და ირღვევიან; ამასთან ნონასწორობის თვითაღდგენა არ ხდება. მაგალითად, თუ ცხოველებმა კვების პროცესში დაარღვიეს უდაბნოს მცენარეული საფარი, ძალზე სწრაფად მოვლენ მოძრაობაში ქვიშები და უდაბნოს მცენარეულობა უკვე ვეღარ შესძლებს მათ ხელმეორედ დამაგრებას.

დადგენილია, რომ ამჟამად საჭარა ფართოვდება სამხრეთით, ეკვატორის მხარეს, ყოველწლიურად აფართოვებს რა თავის ფართობს 100 ათასი ჰექტარით და ამის მიზეზი არის სავანის მცენარეულობის მოსპობა და ეკვატორული ტყეების გაქრვა.

ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც უდაბნოს ფორმაციებმა დიდი გავრცელება ჰპოვეს, არის ავსტრალია; დასავლეთ ავსტრალიის ორი მესამედი უკავია პლატოს, რომლის შიდა ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს: გიბსონა, დიდი ქვიშიანი უდაბნო, ვიქტორია, სიმპსონი; ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ გაქრულია მწარე-მლაშე ტბა ეირი (ქვეყნის მკვდარი გული); აქ გვხვდება უცნაური მცენარეები და ველური ცხოველები, ხდვის ნიჟარები.

უდაბნოები და ნახევრადუდაბნოები დამახასიათებელია აგრეთვე ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის და აფრიკის რიგი ქვეყნებისთვის. სენტრალ-კალაჰარის აღკვეთილი მეორეა მსოფლიოში სიდიდით (50 000 კმ²); ნამიბიაში მდებარეობს პროვინული პარკი ეტოშა (22 208 კმ²).

6. 5. მეჩხერი ტყეებისა და სავანების ეკოსისტემები

სავანის მცენარეულობა გავრცელებულია მატერიკის იმ ნაწილში, სადაც წლის განმავლობაში ნალექები არათანაბარია და შენარჩუნებულია მაღალი ტემპერატურა, გამოკვეთილია მშრალი სეზონი (ზამთრის თვეებში) და წვიმების სეზონი (ზაფხულის თვეებში). სავანებში საშუალო წლიური ტემპერატურა 20-30°-ია, ნალექების რაოდენობა - 900-1500 მმ. წელიწადში.

სავანის ტიპური ეკოსისტემები აფრიკის კონტინენტზეა; აქ ისინი ნალისებურად იკავებენ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის ტერიტორიებს (მდინარე კონგოს აუზი). სავანის ნიადაგები წითელი, მონითალო, ნარინჯის ან იშვიათად ყვითელია; ეს აიხსნება რკინის ჟანგის მაღალი შემცველობით ნიადაგში. ჰუმუსის შემცველობა ნიადაგში დაბალია და შეადგენს 1-4 %-ს, ამიტომ ნიადაგები სავანაში ნაკლებ პროდუქტიულია; ტიპური სავანა წარმოადგენს ბალახოვანი მცენარეებით დაკავებულ ვაკეს, მეჩხერად გაბნეული, ცალკე მდგომი ხეებით. სავანას ფორმაციაში მყოფი სახელმწიფოა

უგანდა. ამ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს ეროვნული პარკი კუინ-ელისაბედი, სამხრეთით – ეროვნული პარკი და ალკვეთილი დვინდი. სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მოზამბიკის საზღვართან მდებარეობს ეროვნული პარკი კრიუგერი, სადაც მშრალ სეზონში თავს იყრის აფრიკის ფაუნის წარმომადგენლები: ლომები, სპილოები, მარტორქები, ლეოპარდები და სხვა. ამ ლანდშაფტურ ზონას ეკუთვნის ინდოეთის და ტაილანდის ტერიტორიაც. ინდოეთში ფუნქციონირებს 55 ეროვნული პარკი. სამთო ტურიზმისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია ჰიმალაი, სადაც 30 მწვერვალი 7000 მეტრზე მაღალია. ტაილანდში 58 ეროვნული პარკია, ვიეტნამში – 10 ეროვნული პარკი.

მეჩხერტყიან (მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი ტყეები და ბუჩქები) ფორმაციებს ეკუთვნის ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი.

6.6. ტენიანი ტროპიკული ტყეების ეკოსისტემა

ტენიანი ტროპიკული ტყეების ეკოსისტემებში ხელსაყრელი კლიმატური პირობებია: საშუალო წლიური ტემპერატურა მთელი წლის მანძილზე 25-30°, ნალექების რაოდენობა 2000-4000 მმ წელიწადში; წლის მანძილზე ნალექები თანაბარია, ამიტომ მშრალი სეზონი აქ არ არის. ასეთი ტყეების დიდი მასივებია აფრიკაში (კონგოს აუზი), სამხრეთ ამერიკაში (მდინარე ამაზონის აუზი) გვიანაში, ახალ გვინეაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე; ნიადაგები უმეტესად წითელია და ნაკლებ პროდუქტიული, ჰუმუსის ჰორიზონტის სისქე თუმცა 5-7 სმ-ია, მაგრამ ამ ტერიტორიაზე იმყოფება მძლავრი მცენარეულობა, რადგან მცენარეთა კვებისთვის საჭირო ელემენტები არიან არა ნიადაგში, არამედ ცოცხალი მცენარეების სხეულის ორგანულ ნივთიერებებში; დაღუპული მცენარეები მუდმივად ცხელი და ტენიანი ჰავის პირობებში ჩქარა კვდებიან, ხდება მათი მინერალიზაცია და მათში შემავალი ქიმიური ნივთიერებები გადადიან ნიადაგში, საიდანაც სწრაფად შეიწოვება ცოცხალი მცენარეების ფესვებით; ასე რომ არ ხდებოდეს ეს ნივთიერებები სწრაფად ჩაირეცხებოდა ძლიერი ტროპიკული ნიაღვრებით.

ამრიგად, ენერგიული წრებრუნვის შედეგად ქიმიური ელემენტების ერთიდაიგივე რაოდენობა აქ გადის მოკლე დროში ბიოლოგიური წრებრუნვის მეტ ციკლს “ნიადაგი-მცენარე-ნიადაგი” და შედეგად მონაწილეობს მეტი ბიომასის შექმნაში. მცენარეთა ფოთლები ისეა მოწყობილი, რომ ტენს ხარჯავენ ეკონომიურად: ისინი მაგარია, დაფარული მკვრივი, ბრწყინვალე კანით ან თმებით და ეს ხდება იმ რაიონებში, სადაც ყველაზე მეტი ნალექებია დედამიწაზე. ეს ტყეები ყველაზე მდიდარია მცენარეთა სახეობებით; აქ ტყეებში გვხვდება რკინის ხე, პალმები, ჰევეა (კაუჩუკის შემცველი), გოგრის ხე; ბალახოვანი მცენარეებიდან ბევრია ბამბუკი; ამ ტყეებისთვის ტიპურია ლიანები; გავრცელებულია გვიმრები, ბანანები. აქ არის ყველაზე მაღალი ბიომასა – 600-700 ტონა ჰექტარზე, პროდუქტიულობა – 30-50 ტონა ჰექტარზე.

ცხოველებიდან ტენიანი ტროპიკული ტყეების ეკოსისტემებში გავრცელებულია გორილა, შიმპანზე, ირემი და სხვა. მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარია მწერი-ფიტოფაგები; მკვდარი მცენარეული მასით იკვებებიან ტერმიტები, ტარაკანები, ნემატოდები, ხოჭოები. ორგანული ნივთიერებების მინერალიზაციას ახდენენ ბაქტერიები.

ეკოლოგიური ტურიზმისათვის მიმზიდველია კარიბის აუზის კუნძულები, რომელთა დიდი ნაწილი დაფარულია ტენიანი ტროპიკული ტყეებით (ჯუნგლები). ეკოტურისტებისთვის მიმზიდველია სახელმწიფო კოსტა-რიკა, განსაკუთრებით კი – კუნძული იამაიკა, კუნძული მადაგასკარი, სადაც 13 ეროვნული პარკი და რეზერვატი ფუნქციონირებს.

6.7. ოკეანეების ეკოსისტემა

მსოფლიო ოკეანე წარმოდგენილია წყნარი, ინდოეთის, ატლანტის და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანეებით. **წყნარი ოკეანის** ტერიტორია 178,7 მლნ კმ²-ია, საშუალო სიღრმე – 3976 მეტრი, მაქსიმალური სიღრმე – 11022 მ (მარიანის ღრმული); მინერალური რესურსები წარმოდგენილია ნავთობით და ბუნებრივი აირით, სარენი რესურსები კი – კიბორჩხალებით, თევზებით, მოლუსკებით, სელაპებით, წყალმცენარეებით, მარგალიტით.

ინდოეთის ოკეანის ტერიტორია 76,17 მლნ კმ²-ია, საშუალო სიღრმე 3711 კმ, ყველაზე დიდი სიღრმე 7729 მეტრი; ოკეანის ჩრდილოეთის ნაწილის კლიმატი მუსონურია.

ატლანტის ოკეანის ტერიტორია 41,6 მლნ კმ²-ია, საშუალო სიღრმე—3597 მეტრი, მაქსიმალური სიღრმე— 8742 მეტრი. დედამიწის პოლუსებიდან ცივი წყლის ეკვატორული რაიონების თბილ წყალთან შერევა იწვევს მძლავრ დინებათა წარმოქმნას. ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ეს არის გოლფსტრიმის და ჩრდილო-ატლანტიკის თბილი დინება; ცივი დინებებია ლაბრადორის, კანარის და სხვა. უკიდურეს ჩრდილოეთში ზოგჯერ ზამთარში წყალი იყინება; ამ ოკეანეში განვითარებულია თევზჭერა. ატლანტის ოკეანეში მდებარეობენ უმნიშვნელოვანესი საზღვაო და საჰაერო გზები.

ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის ტერიტორია 14,7 მლნ კმ²-ია, საშუალო სიღრმე 1200 მეტრია, მაქსიმალური სიღრმე—5527 მეტრი. აკვატორიის 9/10 ზამთარში დაფარულია ყინულით; თბილი დინებები — ნორვეგიის და მისი შტოები შპიცბერგენის და ნორდკაპსკის — საშუალებას იძლევა ოკეანის ზოგიერთი მონაკვეთი არ გაიყინოს.

ზღვების და ოკეანეების საერთო ტერიტორია 361 მლნ კმ²-ია და პლანეტის ზედაპირის 70 %-ზე მეტია.

მსოფლიო ოკეანის თვალუწვდენი სივრცეების ათვისება საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავზარდოთ კვების პროდუქტების წარმოება; ამასთან ეს პროდუქტები უფრო იაფია, ვიდრე ხმელეთის; ისინი არ თხოულობენ მიწის დამუშავებას, ცხოველებისათვის სადგომების აშენებას და სხვა.

საკონტროლო კითხვები

1. სად ვრცელდება ცივი არქტიკული უდაბნოები და რით ხასიათდებიან ისინი?
2. სად მდებარეობს ტუნდრა? ეკუთვნის თუ არა ის არქტიკას და როგორია მისი ეკოლოგიური პირობები?
3. დაახასიათეთ ზომიერი განედის ტყის ზონის ეკოსისტემები.
4. დაახასიათეთ სტეპების და პრერიების ეკოსისტემები.
5. როგორია უდაბნოს კლიმატური პირობები?

6. რა იცით უდაბნოს ეკოსისტემების შესახებ?
7. დაახასიათეთ მეჩხერი ტყეების და სავანების ეკოსისტემები.
8. როგორია ტენიანი ტროპიკული ტყეების კლიმატური პირობები?
9. სად გვხვდება ტენიანი ტროპიკული ტყეები და რით ხასიათდებიან ისინი?
10. დაახასიათეთ ოკეანეების ეკოსისტემები.

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

შეირჩიეთ და დაახასიათეთ საქართველოს რომელიმე რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური რესურსები ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

თავი 7. ეკოტურისტული პროდუქტი

7.1. ეკოტურისტული პოტენციალი

იმისთვის რომ ეკოტურიზმი განვითარდეს, აუცილებელია პოტენციურ მომხმარებელს შევთავაზოთ ეკოტურისტული პროდუქტი, მაგრამ იმისთვის, რომ შეიქმნას ტურისტული პროდუქტი უნდა წინასწარ განისაზღვროს რა ტურისტული პოტენციალი გააჩნია ამ ტერიტორიას ეკოტურიზმის განვითარებისათვის, ე.ი. ეკოტურიზმის განვითარებას წინ უნდა უსწრებდეს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რა სახის ტრანსპორტი, განთავსება, კვება, გართობა, განათლება, ინფორმაცია, მომსახურება, უსაფრთხოება, ტერიტორია შეიძლება შევთავაზებული იქნას ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის.

ტურისტული პოტენციალის გამოკვლევის და შეფასების მეთოდები. გარემოს ყველა მდგენელი შეიძლება დავყოთ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ერთ-ერთი უმარტივესი და ლოგიკური არის დეკომპოზიცია სფეროების მიხედვით: ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო, ბიოსფერო და ანთროპოსფერო. ჩამოთვლილი ელემენტები თავის მხრივ შეიძლება დაჯგუფდეს სხვა კომპონენტების მიხედვითაც, რომლებიც ყოველი კონკრეტული მომენტისთვის უფრო შესაფერისია.

გეოგრაფიული გარემოს ყველა ელემენტს და ადამიანის ქცევებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურიზმის ორგანიზებისთვის, ან უშუალოდ ტურიზმისათვის, ეწოდება ტურისტული პოტენციალი. ის მოიცავს ყველა რესურსს, რომელიც განსაზღვრავს ტურიზმის განვითარებას რომელიმე ტერიტორიაზე. ტურისტულ რესურსებად ითვლება ყველა ელემენტი, (მათ შორის ბუნებრივი), რომელიც შეიძლება იყოს ტურისტული ღირსშესანიშნაობა. პოტენციალური ღირსშესანიშნაობები განსხვავდებიან რეალური ღირსშესანიშნაობებისგან, რომლებითაც ფაქტიურად ინტერესდებიან ტურისტები.

ტურისტულ ღირსშესანიშნაობად აღიარებულია ყველაფერი, რამაც შეიძლება დააინტერესოს ტურისტი და უმეტეს შემთხვევაში არის განმსაზღვრელი მონახულების ადგილის

შერჩევისას. წარმოშობის მიხედვით ღირსშესანიშნაობები იყოფა:

• ბუნებრივი გარემოს (მთები, კანიონები, ზღვები, ტყეები და სხვა);

• ანთროპოგენური გარემოს (რელიგიური სინამინდეები, სასახლეები, მუზეუმები, დასასვენებელი პარკები და სხვა.)

ტურისტული პოტენციალის შესწავლის ერთ-ერთი ხერხია კვლევითი მეთოდი, რომელიც ვ ეტაპისგან შედგება:

1. წინასწარი, როცა ხდება საანალიზო ტერიტორიის შესახებ ძირითადი ინფორმაციის შეკრება. ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იქნას ალწერის, ანკეტური კვლევის, საინვენტარო უწყისის ან აზრთა გამოკითხვის სახით;

2. მონესრიგება, როცა ფასდება ტურისტული პოტენციალის თითოეული ელემენტის მნიშვნელობა;

3. ანალიზი და დასკვნები, როცა ხდება გამოსაკვლევ ტერიტორიის ყველაზე მიმზიდველი თვისებების და ფრაგმენტების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებით პერსპექტიულია ტურიზმის კონკრეტული ფორმის განვითარებისთვის. ასეთი კვლევის შედეგად ხდება ტურისტული პოტენციალის იმ ელემენტების განსაზღვრა და დაზუსტება, რომლებიც შეიძლება და უნდა იქნენ გამოყენებული ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად.

გამოსაკვლევ ტერიტორიის რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიების მრავალი ხერხი არსებობს, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადია:

• **ალწერა** – რესურსების იმ არამატერიალური ნაწილის და შესაძლებლობების დახასიათება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის განვითარებას;

• **გამოკითხვა** – გამოსაკვლევ რეგიონის ტურიზმთან პირდაპირ, ან არაპირდაპირად დაკავშირებულ დაწესებულებებში ინფორმაციის შეკრება (სასტუმროები, მასობრივი კვების ობიექტები, ტურისტული სააგენტოები და სხვა);

• **ინვენტარიზაცია** – ტურისტული რესურსების მატერიალური ნაწილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღწერა. ამ სამუშაოს საფუძვლად უდევს სავსე სამუშაოები, დაკავშირებული ღირსშესანიშნაობების რაოდენობასა და ხარისხზე, ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე, სატრანსპორტო მომსახურ-

რებაზე და სხვა მასალების შეგროვებაზე. რესურსების ინვენტარიზაციას თან სდევს **რესურსების კატალოგის** შედგენა. რესურსების კატალოგს აქვს მრავალმიზნობრივი დანიშნულება; კერძოდ მისი მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკოტურისტული პროდუქტის შექმნისას, სარეკლამო პროდუქტის ფორმირებისას, მომხმარებლისათვის ტიპიური ბროშურის გაფორმებისას, ტუროპერატორებისათვის სპეციალური ცნობარის შედგენისას და ა. შ.; ამიტომ თავიდანვე საჭიროა სწრაფვა მაქსიმალურად ტევადი დოკუმენტის შესაქმნელად; კატალოგის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი:

1) რაც უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდება პოტენციურ მნახველს, მით კომფორტულად იგრძნობს თავს ტურიზმის სპეციალისტი, რომელიც რეკლამას უკეთებს ამ ტურს;

2) თუ ინფორმაცია აბსოლუტურად ზუსტი არ არის, უნდა მოინახოს იურიდიული ხერხები ზარალის ასანაზღაურებლად იმათთვის, ვინც შეცდომაში შეიყვანეს.

ზარალის ანაზღაურება არის მხარეთა უფლება კომპენსაციის მიღებაზე ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ან ხელშეკრულების პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ტუროპერატორის, ან ტურაგენტის მხრიდან.

ხშირად ტურიზმის უცხოელი სპეციალისტები უარს ამბობენ საქმე ჰქონდეთ იმ პირებთან, რომლებმაც შეიძლება დაუდევრობა გამოიჩინონ თავიანთი ტურპროდუქტის აღწერისას: მაგალითად, სასტუმრო დაშორებულია ზღვიდან 300 მეტრით, აღწერაში კი მიუთითებენ 100 მეტრს და ა. შ.

3) სასურველია თავიდანვე დამუშავდეს რესურსების კატალოგში მასალების შეტანის სტანდარტული ფორმა, რაც ხელს შეუწყობს შესაკრები ინფორმაციის უნიფიცირებას.

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს იმ ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დესტინაციის ნორმალურ ფუნქციონირებას ტურისტთა მოთხოვნების მაქსიმალური დკმაყოფილების პირობებში. ტურისტულ ინფრასტრუქტურას სხვანაირად ტურიზმის მატერიალურ ბაზას უწოდებენ; მისი კომპონენტებია განთავსების საშუალებები, მასობრივი კვების ობიექტები, ტურისტთა მომსახურების საწარმოები და სხვა.

• **საანკეტო კვლევები (აზრთა გამოკითხვა)** – ასეთი კვლევების დროს შეისწავლება პოტენციალური ტურისტების მიერ მოსანახულებელი კონკრეტული ტერიტორიების ცოდნა.

ტურისტული რესურსების კონკრეტული კომპონენტების შესახებ საჭირო მონაცემების შეკრების შემდეგ იწყება სამუშაოს მეორე ეტაპი, რომელიც ძირითადად მდგომარეობს ინფორმაციის მონესრიგებაში. შეგროვილმა მასალამ უნდა უზრუნველყოს ტურისტული პოტენციალის, ან მისი ცალკეული ელემენტების ყოველმხრივი და შეძლებისგვარად ობიექტური შეფასება. ინფორმაციის მონესრიგება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ რა გავგაჩნია და შევაფასოთ მისი მდგომარეობა პრაქტიკულად. უნდა შედგეს **ტურისტული პოტენციალის** რუქა, რომელსაც ახლავს ცხრილები და დანვრილებითი აღწერა. ტურისტული რუქა მოიცავს ყველა ან ზოგიერთი ტურისტული ღირსშესანიშნაობის განლაგებას. ამ მეთოდის ღირსებაა ტურისტული პოტენციალის ელემენტების განლაგების თვალსაჩინოება.

ბალური ბონიტირება (შეფასება) არის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ობიექტური, კომპლექსური წარმოდგენა გამოსაკვლევი ტერიტორიის ტურისტულ პოტენციალზე. ეს მეთოდი მდგომარეობს გამოსაკვლევი ტერიტორიის თითოეული ობიექტისადმი ხარისხობრივი შეფასების (ბონუსურ მნიშვნელობათა) ბალების მიწერაში შერჩეული კრიტერიუმების აპრიორის თანახმად. ბონიტირების შედეგები, როგორც წესი წარმოდგენილია კარტოგრაფიული ხერხით. კარტოგრაფიული მასალა უნდა შეივსოს ტურისტული პოტენციალის თითოეული ელემენტის განლაგების დეტალური ანალიზით;

SVOT-ის ანალიზი – არის ტურისტული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზის ყველაზე პოპულარული ხერხი. ეს ანალიზი ძალზე სასარგებლოა ტურისტული საქმიანობის მომდევნო – ტურისტული პროდუქტის განსაზღვრის – ეტაპზე. სახელწოდება **SVOT-ი** წარმოდგება ინგლისური ტერმინებიდან: **Strenghta** – ძლიერი მხარეები, **Weaknesses** – სუსტი მხარეები, **pportunities** – შესაძლებლობები, **Threats** – საფრთხეები. **SVOT ანალიზის** მომზადებისას ობიექტის ან ღონისძიების ყველა თვისება უნდა დაიყოს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების 4 ჯგუფად. **SVOT ანალიზის** ნაყოფიერება დამოკიდებულია მისი მომზადების პროფესიონალიზმზე და აკურატულო-

ბაზე⁹, აგრეთვე ობიექტის სუსტ და ძლიერ მხარეებზე (ობიექტის განვითარების შესაძლებლობებზე, ღონისძიებათა რეალიზაციის საშუალებებზე) დასმული კითხვების სწორ პასუხებზე. **SVOT ანალიზი** გვეხმარება გავაძლიეროთ და გამოვიყენოთ ძლიერი მხარეები, გადავლახოთ სისუსტეები, მოვახდინოთ შესაძლებლობათა ოპტიმიზაცია და რეალიზაცია, თავიდან ავიცილოთ საფრთხეები. კონკრეტული ადგილის ტურისტული პოტენციალის **SVOT ანალიზი** არის ტურისტული პროდუქტის განსაზღვრის საფუძველი.

7.2. ცნობები დესტინაციაზე¹⁰

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რესურსების ინვენტარიზაციის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს ბუნებრივი ლანდშაფტის და მისი კომპონენტების შეფასებაზე, ტურისტების მიღების საშუალებებსა და შესაძლებლობებზე.

ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების შეფასების კრიტერიუმებია:

- ⇒ მათი უნიკალობა;
- ⇒ წარმოშობა და ისტორია;
- ⇒ შენახვის ხარისხი;
- ⇒ ატრაქტიულობა (მიზიდულობა);
- ⇒ მრავალფეროვნების სხვადასხვა მახასიათებლები, ფლორის და ფაუნის სხვადასხვაობის ჩათვლით.

განყოფილებაში "ტრანსპორტი" უნდა აღწერილი იყოს საჰაერო, საარკინიგზო, ავტობუსით მგზავრობის შესაძლებლობები დესტინაციამდე, დახასიათდეს ტრანსპორტის ეკოლოგიური სახეები, რომლებიც გამოიყენება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გადასაადგილებლად.

⁹ აკურატული - (ლათ) 1.ზუსტად შემსრულებელი, წესიერი; 2.კარგად გაკეთებული, სუფთა ნამუშევარი.

¹⁰ დესტინაცია - ტურისტული მოგზაურობის დანიშნულების პუნქტი, სადაც ჩადის ტურისტი მოგზაურობის დასაწყებად, ან ტურისტთა მიღების ადგილი.

განყოფილებაში "განთავსება" აუცილებელია მითითებული იქნეს:

⇒ განთავსების ობიექტები ზომების მითითებით, შეთავაზებული კეთილმოწყობანი, სტუმართმისაღები ობიექტის მშენებლობისას გამოყენებული ხალხური შემოქმედების ტრადიციების მოხსენიებით;

⇒ ფასების საშუალო დიაპაზონი და განთავსების ადგილების დატვირთვის საშუალო დონე სეზონის განმავლობაში;

⇒ შეზღუდვები განთავსებისას;

⇒ სხვადასხვა სახის თათბირების ორგანიზების შესაძლებლობა სათავსოს ზომების და ტიპის მითითებით, კვების ორგანიზაციის შესაძლებლობა, ელექტრო-ხელსაწყოების განათებულობა, სადემონსტრაციო მოწყობილობის არსებობა, სინქრონული თარგმანის არსებობის შესაძლებლობა და ა.შ.

განყოფილებაში "კვება" უნდა იყოს ცნობები:

• ეკოლოგიურად სუფთა, შეძლებისდაგვარად კვების ადგილობრივი, პროდუქტების არსებობის შესახებ;

• ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ ტურისტთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში;

• ეროვნული სამზარეულოს კერძების შესახებ, ჩამოთვლილ იქნას ადგილობრივი კულინარული შესანიშნაობები.

განყოფილებაში "რეკრეაცია, გაჯანსაღება, გართობა" ჩამოთვლილი და აღწერილი უნდა იქნეს არსებული:

→ საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტები;

→ ველოგზები;

→ შიგა წყლებზე ტურები და ექსკურსიები;

→ მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახი (თუ ისინი არსებობენ);

→ გამაჯანსაღებელი და კოსმეტოლოგიური ტურები, დაფუძნებული ადგილობრივი სამკურნალო ბალახების და მცენარეების გამოყენებაზე; განსაკუთრებით ხაზგასმული უნდა იყოს დაავადებები, რომელთა განკურნებასა და კორექციაზე მიმართული გამაჯანსაღებელი ტური.

განყოფილებაში “განათლება” წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

- მუზეუმებზე, რომლებიც იმყოფებიან ტერიტორიაზე, კოლექციების და კულტურული პროგრამების აღწერით; შესასვლელი ღირებულების სიდიდეზე, მუშაობის რეჟიმზე, გიდი-თარჯიმანის არსებობაზე;
- ეკოლოგიური განათლების შესაძლებლობაზე, ლექციების და პროგრამების სპექტრზე;
- ბოტანიკური, ზოოლოგიური, ორნიტოლოგიური, ენტომოლოგიური, სპელეოლოგიური და სხვა ტურების და ექსკურსიების ჩატარების პირობებზე;
- ეთნოგრაფიული ტურების და ექსკურსიების ორგანიზების, ხალხური შემოქმედების, ყოფის, ადგილობრივი არქიტექტურის და სხვა გაცნობის შესაძლებლობაზე.

განყოფილებაში “ინფორმაცია” უნდა ეცნობოს:

- ⇒ პარკის ტერიტორიაზე ტურისტული ჯგუფების თანმხლები გამცილებლის არსებობის შესახებ (სასურველია ადგილობრივი მოსახლეობიდან);
- ⇒ სტუდენტური პრაქტიკის და სასკოლო ექსკურსიების ორგანიზების შესაძლებლობებსა და პირობებზე;
- ⇒ კვალიფიციური გიდი-ექსკურსიამდლოლის არსებობის შესახებ;
- ⇒ თარჯიმნით უზრუნველყოფის შესახებ;
- ⇒ გარემოს ძირითადი კომპონენტების მდგომარეობის შესახებ: სასმელი წყლის ხარისხი, საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და სხვა.

განყოფილებაში “მომსახურებები” უნდა მითითებული იყოს:

- რეგიონულ სამსახურებთან, საელჩოსთან, ან მიზნობრივი ქვეყნის კონსულთან საერთაშორისო კავშირის შესაძლებლობა;
- ტურისტული აღჭურვილობის შეთავაზების შესაძლებლობა;

• სამედიცინო დახმარების და სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობა.

განყოფილებაში “უსაფრთხოება” უნდა მოცემული იყოს დახასიათება:

- ადგილის ეკოლოგიური საიმედოობის სტიქიური უბედურების რისკის თვალსაზრისით;
- რეგიონში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების;
- სამედიცინო დახმარების, აგრეთვე ექსტრემალურ სიტუაციაში დახმარების შესაძლებლობის;
- დაცულ ბუნებრივ ტერიტორიაზე კრიმინალური სიტუაციის;
- ტურისტების დაცვის მეთოდების და საშუალებების;
- სხვადასხვა ტურების და მარშრუტების რეალიზაციისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების.

ამავე განყოფილებაში შეიძლება მოყვანილი იყოს ცნობები რეკრეაციული ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომებზე, ე.ი.:

- შეფასდეს დასაშვები რეკრეაციული დატვირთვების დონე;
- განისაზღვროს წყლის, ენერგეტიკული და სხვა რესურსების გამოყენების მოცულობა;
- დამუშავდეს ღონისძიებები მზახველთა რიცხვის შესამცირებლად სეზონის დროს;
- შეფასდეს შესაძლებლობები და საშუალებები რეკრეაციული ტერიტორიის მდგომარეობის ეკოლოგიური მონიტორინგის ჩასატარებლად;
- შეიქმნას მეთოდები და პირობები დარღვეული ტერიტორიების აღსადგენად.

დესტინაციის რესურსების გარდა ეკოტურიზმის დროს უნდა შეფასდეს აგრეთვე იმ რეგიონის რესურსები, სადაც დესტინაციაა. რეგიონული და ადგილობრივი რესურსების ერთ კატალოგში მოხვედრა აადვილებს ტუროპერატორების მუშაობას, დაცული ბუნებრივი ტერიტორიების თანამშრომლებს კი შესაძლებლობას მისცემს გააფართოვონ წინადადებათა სპექ-

ტრი კომპლექსური ტურისტული პროდუქტის დამუშავების ხარჯზე.

რეგიონული რესურსების რეესტრი შეიცავს იგივე მსხვილ განყოფილებებს, რომლებსაც შეიცავს დესტინაციის რესურსების რეესტრი, მაგრამ ამ განყოფილებაში მოყვანილი კონკრეტული ცნობები წარმოდგენას იძლევიან რეგიონის ზოგადორგანიზაციულ სპეციფიკაზე.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის აუცილებელი ეკოტურიზმის განვითარებისთვის?
2. რა არის რესურსების ინვენტარიზაციის მიზანი?
3. რა დანიშნულება აქვს რესურსების კატალოგს?
4. რა გარემოებანი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული რესურსების კატალოგის შედგენისას?
5. რომელ განყოფილებებს უნდა შეიცავდეს დესტინაციის რესურსების რეესტრი?
6. ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ელემენტების შეფასების რა კრიტერიუმები იცით?
7. რომელ განყოფილებებს უნდა შეიცავდეს რეგიონული რესურსების რეესტრი?
8. რა განსხვავებაა დესტინაციის რესურსების და რეგიონულ რესურსების რეესტრებს შორის?

დავალება დამოუკიდებელი მუშაობისთვის

1. შეაფასეთ რომელიმე რეგიონის (მაგ. თქვენი საცხოვრებელი ადგილის) ტურისტული პოტენციალი ზემოთ მოყვანილი ხერხების და მეთოდების გამოყენებით.
2. განსაზღვრეთ კვლევის ობიექტი, მიზნები და მეთოდები. შეადგინეთ ანკეტა, რომლის დახმარებითაც შეგიძლიათ მიიღოთ საჭირო ინფორმაცია.

7.3. ეკოლოგიურ-ტურისტული პროდუქტის განსაზღვრა და ფორმირება

ეკოტურისტული პროდუქტი არის ტუროპერატორის მიერ სპეციალურად ორგანიზებული რეკრეაციული საქმიანობის და ტურისტული მომსახურების პროგრამა, რომლის რეალიზება ხდება ტურისტულ ბაზარზე, როგორც დამოუკიდებელი პროდუქტის. ეკოტურისტული პროდუქტი შეიძენილი ერთ ადგილას შეიძლება მოხმარებული იქნას მეორე ადგილას.

ეკოტურისტული პროდუქტი შეიძლება იყოს **სპეციალიზირებული**, გათვლილი მომხმარებელთა ვიწრო წრეზე, ანდა **ზოგადი**, გათვლილი მასიურ მოხმარებაზე. ერთი და იგივე დესტინაცია შეიძლება დამუშავდეს და გამოვიდეს ბაზარზე მომხმარებელთა სხვადასხვა კონტინგენტზე გათვლილი სხვადასხვა პროდუქტით.

ეკოლოგიურ-ტურისტული პროდუქტის ფორმირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი გარემოება: "იშვიათობა განაპირობებს ფასს" და "ბიზნესში ყოველთვის არის ადგილი იმათთვის, ვისაც უნარი აქვს რაიმე გააკეთოს სხვაზე უკეთესად, ან სხვანაირად".

ეკოტურისტული პროდუქტის მომზადებისას აუცილებელია განისაზღვროს ტერიტორიის რა ძირითადი თავისებურებანი და ღირსშესანიშნაობები დააინტერესებს და მიიზიდავს უცხოელ ტურისტებს ყველაზე მეტი ალბათობით.

ყოველი საქონელი, მათ შორის ეკოტურისტული პროდუქტიც, როგორ სამომხმარებლო თვისებებსაც არ უნდა ფლობდეს იგი, ადრე თუ გვიან გამოიძევნება ბაზრიდან სხვა, უფრო სრულყოფილი საქონლის მიერ. ბაზარზე მინოდებულ ყოველ საქონელს გააჩნია სიცოცხლის განსაზღვრული ციკლი, რომლის განმავლობაში მას ჰყავს მყიდველი.

ციკლი არის სხვადასხვაგვარ მოვლენათა თანმიმდევრობის განმეორება; თითოეულ ციკლს აქვს დასაწყისი და დასასრული. ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი იწყება იდეის წარმოქმნისა და ახალი პროდუქტის დამუშავებით (არასაბაზრო ეტაპი), ბოლო ეტაპი კი არის პროდუქტის სრული ამოღება ტურისტული ბაზრიდან.

ეკოტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი იწყე-

ბა არა ამ პროდუქტის ბაზარზე გამოტანის მომენტიდან, არამედ გაცილებით ადრე – როცა პირველად ფორმირდება იდეა.

ეკოტურისტული პროდუქტი უნდა დამუშავდეს მანამდე, სანამ დაიწყება ტურისტების მოსაზიდი საქმიანობა.

არასაბაზრო ეტაპი მოიცავს პერიოდს როცა ეკოტურისტული პროდუქტი იმყოფება დაპროექტების, ტესტირების, მოდიფიკაციის პროცესში. ეს ეტაპი ხასიათდება მნიშვნელოვანი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია ტურისტული პროდუქტის მომზადებასთან და ფორმირებასთან. ამ ეტაპზე ეკოტურისტული პროდუქტიდან მოგება არ იგეგმება.

ეკოტურისტული პროდუქტის ბაზარზე გამოჩენით იწყება საბაზრო ეტაპი, რომელიც თავის განვითარებაში ოთხ თანმიმდევრულ სტადიას გაივლის:

1. **დანერგვა** – არის პერიოდი, როცა ხდება ეკოტურისტული პროდუქტის ბაზრის ფორმირება. დანერგვა დროს თხოვლობს, გაყიდვები კი ნელა იზრდება. ეს სტადია ხასიათდება მაღალი დანახარჯებით წარმოებასა და მარკეტინგზე (უმაჯარესად რეკლამაზე), გაყიდვათა ზრდის დაბალი ტემპით; სუსტად გამოხატული კონკურენციით, ან კონკურენციის უქონლობით ბაზარზე. დანერგვის პერიოდის სიძნელეები გამოწვეულია აგრეთვე ფრთხილი მომხმარებელ-ტურისტების მნიშვნელოვანი რიცხვით, რომლებიც კონსერვაციულ პოზიციას იკავებენ, რაც განაპირობებს გაყიდვათა დაბალ დონეს და მის ნელ ზრდას. პირველი პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტურისტული პროდუქტის და მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი მისი შესაბამისობის ხარისხზე, მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტურობაზე. ამ პერიოდს არ ახასიათებს მაღალი მოგება, რადგან მიღებული შემოსავლებით ხდება უკვე განუღწეული ხარჯების კომპენსირება.

2. **ზრდის სტადია** – ხასიათდება შემოსავლების და მოგების სწრაფი ზრდით; შეთავაზებული ეკოტურისტული პროდუქტის მყიდველთა რიცხვი განუხრელად იზრდება, რაც დაკავშირებულია ტურისტული პროდუქტის მყიდველის მიერ მის აღიარებასა და მასზე მოთხოვნის სწრაფ ზრდასთან; გაყიდვა ფართოვდება, იზრდება მოგება, ბაზარზე ძლიერდება კონკურენცია; სწორედ ამიტომ მწარმოებლები, რომლებმაც პირველებმა აითვისეს ბაზარი, იღებენ მასზე კონკურენტულ უპირა-

ტესობებს; ამავდროულად მწარმოებლები, რომლებიც გვიან გამოვიდნენ ბაზარზე, იყენებენ “მონინავეთა” გამოცდილებას და ახდენენ საკუთარი ტურპროდუქტის მოდერნიზებას ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად და ლიდერთა შესავინროებლად, აძლიერებენ რა ამით კონკურენციულ ურთიერთობებს; ზრდის სტადია მომგებიანია და მისი გახანგრძლივება წარმოადგენს ტურისტული სანარმოს მნიშვნელოვან მარკეტინგულ ამოცანას;

3. **სიმწიფის (სტაბილიზაციის) სტადიაზე** ტურისტული პროდუქტი შედის საბაზრო სიმწიფის პერიოდში. ბაზრის გაჯერებასთან ერთად გაყიდვათა მოცულობა აღწევს კრიტიკულ წერტილს, რომლის შემდეგ იწყება შემოსავლების ნელი შემცირება. ეს სტადია ხასიათდება გაყიდვათა მოცულობის ზრდის შენელებით, მისი სტაბილიზაციით, ან დაცემით. გაყიდვათა მოცულობის შემცირების გამო მიწოდება იწყებს მოთხოვნაზე გადაჭარბებას. ამ სტადიაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს “ერთგულების” ფენომენი, რომელიც ემყარება მომხმარებელთა ერთი ნაწილის კონსერვატიულობას; მომხმარებელთა წრე სტაბილიზდება, მოთხოვნა საკმაოდ მაღალი რჩება, ამიტომ ბაზარი ივსება ახალი მწარმოებლებით, რის შედეგად კონკურენცია უმაღლეს დონეს აღწევს. ამ სტადიაზე აუცილებელია ეკოტურისტული პროდუქტის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მიღებული იქნეს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებათაგანი:

ა. მოდფიცირებული იქნეს ეკოტურისტული პროდუქტი მისი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე;

ბ. შემცირდეს გასაყიდი ფასი;

გ. გააქტიურდეს სარეკლამო საქმიანობა;

სიმწიფის სტადია ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე წინა 2 სტადია;

4. **დაცემის პერიოდი** ხასიათდება გაყიდვის მოცულობათა და მოგების მკვეთრი შემცირებით. დაცემა განპირობებულია ბაზარზე ახალი წინადადებების გამოჩენით და მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებებით. ის მწარმოებელი, რომლის ტურისტულმა პროდუქტმა მიაღწია განვითარების ბოლო სტადიას, შეიძლება ასე მოიქცეს: ა) შეამციროს საქონლის წარმოება და გამოაცოცხლოს პროდუქტი მესამე პერიოდში მიღე-

ბული ღონისძიებების შედეგად; საქმიანობის ასეთი წარმართვა ფორმისთვის ყველაზე ხელსაყრელია, თუმცა ამ შემთხვევაში მოგება შეიძლება დიდი არ იყოს, რადგან შემოსავლების ნაწილი იხარჯება პროდუქტის შესანარჩუნებლად ბაზარზე; ბ) მონახოს გასაღების ახალი არხები და გ) შეწყვიტოს პროდუქტის წარმოება, რათა თავიდან იქნას აცილებული ხარჯები, დაკავშირებული პროდუქტის ბაზარზე შენარჩუნების უშედეგო ცდასთან. სუსტი პროდუქტის შენარჩუნება ბაზარზე ტურსანარმოსთვის ძვირი ჯდება.

ტურისტულ პროდუქტებს აქვთ **ცნობადობის სხვადასხვა ხარისხი**. ეს შეიძლება იყოს:

- სხვადასხვა სახის რეკლამის ძალისხმევით საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებული პროდუქტი; ასეთი სახის პროდუქტებს ეკუთვნის მაგალითად მსოფლიოში ცნობილი კომპანიის მაკდონალდსის სახე;
- ისტორიული განვითარების პერიოდში ფორმირებული სახე: პარიზი, პეტერბურგი, ლონდონი, ტუნგუსის მეტეორიტის დაცემის ადგილი¹¹;
- ტურისტული პროდუქტები, ფორმირებულნი როგორც მსხვილი საერთაშორისო მოვლენა, რომლებიც ტარდებიან სიხშირის სხვადასხვა ხარისხით: კინოფესტივალები, ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და სხვა;
- ზოგიერთი ტურისტული პროდუქტი, რომელიც მიმზიდველია თავისი განუმეორებლობით. სწორედ ასეთ პროდუქტებს შეიძლება მიეკუთვნოს ბუნებრივი რარიტეტები, დაცული ეროვნული პარკებით და მსოფლიოს ნაკრძალებით. მიმზიდველი შეიძლება იყოს გოგირდწყალბადის აბაზანები, მღვიმეები კედლებზე უძველესი წარწერების კვალით, საფეხმავლო მარშრუტები მხატვრულ ადგილებში, უნიკალური მცენარეები და ცხოველები, რომელთა მონახულება შეიძლება მათი ბინადრობის ბუნებრივ პირობებში, სპეციალიზირებული მუზეუმები და სხვა. ასეთი ღირსშესანიშნაობები შეიძლება გახდნენ დაცუ-

ლი ბუნებრივი ტერიტორიების ძირითადი ეკოტურისტული პროდუქტი;

• საერთოდ ნეგატიური ხასიათის, მაგრამ ტურიზმზე დადებითი ზემოქმედების ამბავი; მაგალითად ქალაქი ბრაუნაუ-ავსტრიაში მოინახულება ტურისტების მიერ, როგორც ჰიტლერის სამშობლო.

7.4. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ტურისტული პროდუქტი

ცოტად თუ ბევრად სპეციალიზირებული ტურისტული პროდუქტის შექმნა არის მის შემდგენელთა ნება. თუ ეროვნულ პარკს გააჩნია ისეთი ღირსშესანიშნაობები, რომლებიც მიიპყრობენ მნახველთა ყურადღებას, შეიძლება შევჩერდეთ ამ სპეციალიზირებული პროდუქტის ფორმირებაზე. პარკის ღირსშესანიშნაობების და მიმდებარე ტერიტორიების მომცველი კომპლექსური ტურის შექმნით (კულტურის, რელიგიის, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა ობიექტები) შეიძლება მოცული იქნას ტურისტული ბაზრის უფრო ფართო სეგმენტიც. ტურისტის დიდი საგზაო ხარჯები ამ შემთხვევაში კომპენსირებული იქნება რამდენიმე იშვიათი და საინტერესო ობიექტის მონახულებით.

ეროვნული პარკის პირველადი ტურისტული პროდუქტის ფორმირება ეფუძვნება მისი ტურისტული პოტენციალის შეფასებას. პარკის ეკოტურისტული პროდუქტის და ტურისტულ მომსახურებათა ბაზარზე მისი პოტენციალური მოთხოვნის განსაზღვრის კონკრეტული სამუშაოები თითოეულმა პარკმა შეიძლება ჩაატაროს დამოუკიდებლად, ანდა მიმართოს გამოცდილ ტუროპერატორებს დახმარებისათვის.

ეროვნული პარკის მიერ შეთავაზებულ ტურისტულ მომსახურებათა სახეებს ეკუთვნის:

- პარკის მიერ დამუშავებული, მონყობილი და კონტროლირებადი მუდმივი მარშრუტები;
- ეკოლოგიური, ეკოლოგიურ-კულტურული, სპორტული, სათავგადასავლო, სასოფლო, სამკურნალო, სარეაბილიტაციო ტურების ორგანიზება;

¹¹ ტუნგუსის მეტეორიტი - ჩამოვარდა 1908 წლის 30 ივნისს აღმოსავლეთ ციმბირში, მდინარე ტუნგუსის აუზში. დამრტყმელმა ტალღამ დაახლოებით 2000 კმ² ფართობზე გაანადგურა ყველაფერი, მეტეორიტის ნამსხვრევები კი ვერ ნახეს, რადგან, მეცნიერთა აზრით, ეს იყო მცირე კომეტის ბირთვი, რომელიც აფეთქდა ატმოსფეროს მჭიდრო ფენებში შემოსვლისას.

- საექსკურსიო მომსახურებები, მათ რიცხვში ექსკურსიები პარკის მიდამოებში;
- სპეციალურ ღონისძიებათა და აქციების ჩატარება, როგორცაა ბაზრობები და აუქციონები, ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები და სხვა;
- ტურისტების მიერ პარკის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე “ბუნების ნობათის” დამზადება;
- ეკოლოგიურად სუფთა, ადგილობრივი კვების პროდუქტების გაყიდვა;
- სუვენირების, მათ რიცხვში საფოსტო მარკების, დამზადება და გაყიდვა;
- სავაჭრო ნიშნების გაყიდვა პარკის სიმბოლიკით;
- სარეკლამო მომსახურებები;
- სპეციალური აუდიო-, ვიდეო-, ფოტო- და კინოპროდუქტის დამზადება და ა.შ.

ეროვნული პარკების ყველაზე ტიპური და ადვილად ფორმირებადი პროდუქტია მრავალდღიანი ეკოლოგიური მარშრუტები და ხანმოკლე ექსკურსიები ეკოლოგიურ ბილიკებზე.

ეკოლოგიური ექსკურსიების მსვლელობისას საუბარია ამ ტერიტორიის კონკრეტულ ეკოლოგიურ პრობლემებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე, ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლო ხერხებზე. განიხილება ქალაქის გარეუბნებთან, სოფლის ადგილებსა და “ხელშეუხებელ” ლანდშაფტებთან კავშირის საკითხები, მოიყვანება ცნობები ხალხის ბუნებასთან ურთიერთობის ისტორიის შესახებ, ბუნებათსარგებლობის ისტორიულ ფორმებზე, მოცემული ტერიტორიის ლანდშაფტზე, მის სააღბათო მომავალზე; დაცული ტერიტორიების ტიპებზე (ნაკრძალები, ეროვნული პარკები და სხვა); ეკოტურიზმის როლზე ტურისტების მსოფლმხედველობის ფორმირებაში, ბუნების დაცვაში, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაში.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პროდუქტი არ უნდა იყოს თავს მოხვეული, ამიტომ სასურველია ფორმირებული იქნას წინადადებათა ფართო სპექტრი, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების კლიენტთა მოთხოვნები:

- იმ კლიენტების, რომლებიც ამჯობინებენ დასვენებას ბუნების წიაღში;
- იმ კლიენტების, რომლებიც აგროვებენ ბუნებრივი რარიტეტების კოლექციებს;
- იმ მოქალაქეების, რომლებიც ინტერესს იჩენენ ეკოლოგიური პრობლემათიკისადმი;
- იმ კლიენტების, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ განსაკუთრებული ეკოლოგიური ორიენტაციის ტურებში;
- იმ მოგზაურების, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ეკოლოგიური საქმიანობისადმი;
- იმ მოქალაქეების, რომლებიც ინტერესდებიან მეცნიერების და ბუნების დაცვით;
- იმ ტურისტების, რომლებიც ისწრაფიან მოხდენენ ცივილიზაციით შეუხებელ, ნაკლებად დასახლებულ რეგიონებში და ა.შ.

7.5. თანამედროვე ეკოტურისტულ წინადადებათა სპეციფიკა

ამჟამად არსებობს ეკოლოგიურ-ტურისტული პროდუქციის უზარმაზარი რაოდენობა, რომელსაც სთავაზობენ დასავლეთის ქვეყნები მომხმარებელს; მათ შორის ყველაზე პოპულარულში, როგორც წესი, შეთანწყოზილია რიგი სხვადასხვა ინტერესების: ველური ბუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, სპორტი, ისტორიული ძეგლები, დიდებული ლანდშაფტი, ადგილობრივი სამზარეულო.

სპეციალიზირებულ ეკოტურისტულ პროდუქტთა რიცხვს ეკუთვნის ტური, რომელიც სარგებლობს მსოფლიოს ბოტანიკოსების დიდი მოთხოვნით. ეს ტური იწყება ავსტრალიის ქალაქი პერტიდან დედოფლის პარკის და ბოტანიკური ბაღის დათვალიერებით (ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთით) და გრძელდება ეროვნულ პარკ კოლბარამდე, სადაც ივლის-აგვისტოში ჰყვავის სამასამდე სახეობის მცენარე.

ყოველწლიურად ბოტანიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მიემგზავრებიან ქალაქ ალბანთან ახლოს მდებარე

პარკ სტერლინგ-რენჯში, სადაც იზრდება ათასზე მეტი სახეობის ყვავილოვანი მცენარე, რომელთაგან 600 ენდემია.

ეგზოტიკური სპეციალიზირებული ტური, გამიზნული ველური ბუნების იმ მოყვარულთათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ თვალყური ადევნონ ცხოველების ყოფას ბუნებრივ პირობებში, შემოთავაზებულია შრი-ლანკას ეროვნული პარკის მიერ. ამ ქვეყნის ჯუნგლებში (კუნძული ცეილონი) არის კლდეში შეჭრილი სასტუმრო; მისი მშენებლობის დროს ბუნება მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული: ნაკადულები და ჩანჩქერები ჩამოედინებიან სასტუმროს კედლებზე, ტყის მცენარეების ტოტები იყურებიან სასტუმროს გალერეის ფანჯრებში, სასტუმროს სახურავი კი დაფარულია მზარდი ბალახით. ნომრები ისეა მოწყობილი, რომ ერთი კედელი მიწისაა; ტურისტებს შეუძლიათ საათობით თვალყური ადევნონ დურბინდით თავისი ნომრიდან იშვიათი ტროპიკული ცხოველების ყოფას.

სპეციალიზირებული ტურები ავანტურული ტიპის ტურისტებისა და ეგზოტიკის მოყვარულთათვის დამუშავდა ამაზონიაში. ამაზონიის ქალაქ მანაუსიდან 55 მილის მანძილზე, იქ სადაც მდინარე რიუ-ნეგრუ ერთვის ამაზონს, აშენებულია სასტუმრო, სადაც ხის კოშკები ნომრებით განთავსებულია უზარმაზარ ხეებზე, მათგან ყველაზე მაღალია კოშკი თაფლობის თვისთვის, რომელსაც “შეყვარებულ ტარზანს” უწოდებენ. ის დადამიწის ზედაპირიდან 60 მეტრის სიმაღლეზეა.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნომრები დედამიწის ზედაპირიდან ასე მაღლა მდებარეობენ, არის წყალი, რომელიც ნვიმების სეზონზე ფარავს ამ ადგილებს და რომლის სიმაღლე 15-20 მეტრს აღწევს; მეორე მიზეზი არის ცხოველები, მესამე – რათა მცენარეები არ განადგურებულიყვნენ; სასტუმროს მშენებლობის დროს არ იყო მოჭრილი არც ერთი ხე. კოშკები, საკონფერენციო დარბაზი და სასადილო შეერთებულნი არიან ერთმანეთთან დაკიდული ხიდებით.

კომპლექსურ ტურებს ეროვნულ პარკში ცხოვრებით სთავაზობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; კომპლექსური ტურების დიდ სხვადასხვაობას სთავაზობს აგრეთვე ავსტრალია – ეკოტურიზმის ერთ-ერთი ლიდერი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სპეციალიზირებული და ზოგადი ტურისტული პროდუქტი?
2. რაში მდგომარეობს ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის პირველი სტადია-დანერგვა?
3. დაახასიათეთ ტურისტული პროდუქტის განვითარების მეორე – ზრდის სტადია.
4. რაში მდგომარეობს ტურისტული პროდუქტის სიმწიფის სტადია?
5. დაახასიათეთ ტურისტული პროდუქტის განვითარების ბოლო სტადია – დაცემის სტადია.
6. ტურისტული პროდუქტის ცნობადობის რომელი ხარისხები იცით?
7. ტურისტული პროდუქტის ფორმირებისას რა შემთხვევაში შეიძლება მოცული იქნას ტურისტული ბაზრის უფრო ფართო სექტორი?
8. რა სახის ტურისტული მომსახურებები შეიძლება შეთავაზებული იქნას ეროვნული პარკების მიერ?
9. რომელია ეროვნული პარკების ყველაზე ტიპიური და ადვილად ფორმირებადი პროდუქტი?
10. რომელი სპეციალიზირებული ეკოტურები იცით?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

საქართველოს რომელიმე რეგიონის ბუნებრივი ტურისტული პოტენციალის საფუძველზე მოიფიქრეთ, რა სრულიად ახალ ტურისტულ პროდუქტს შესთავაზებდით; თქვენი წინადადება უნდა მოიცავდეს სახელწოდებას, ტურისტული პროდუქტის მოკლე დახასიათებას, პოტენციალურ კლიენტებს, ღონისძიების განხორციელების გზებს.

თავი 8. დესტინაციის სასიცოცხლო ციკლი

8.1. ეკოტურისტული ბაზრის ანალიზი

ეკოტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესი და მისი პოტენციალური მომხმარებლის ბაზრის ანალიზი ურთიერთშემავსებელი მოქმედებებია. პოტენციალურ მომხმარებელთა წრის განსაზღვრას უნებლიე კორექტივები შეაქვს ფორმირებად ტურისტულ პროდუქტში. ამიტომ, ტურისტული პროდუქტის დამუშავების უკვე პირველ ეტაპზე სასურველია განისაზღვროს მომხმარებელთა ტიპები და ბაზრები, რომლებიც შეიძლება გამოეხმაურნენ შეთავაზებულ ტურისტულ ობიექტებს და ღირსშესანიშნაობებს, აგრეთვე უნდა შეფასდეს პოტენციალური კონკურენციის დონე სხვა მწარმოებელთა მხრიდან.

აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული აგრეთვე კლიენტების ეროვნული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ყოფაქცევითი, ფსიქოლოგიური და სხვა თავისებურებანი.

სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია, რომ ბუნებაში მოგზაურობას უპირატესობას აძლევენ:

→ მსხვილი ქალაქების მოსახლეობა;

→ ახალგაზრდა მარტოხელები და 45 წლის და მეტი ასაკის ხალხი (ამ კატეგორიის მოგზაურთა დასახელებაა “დაცარიელებული ბუდის ხალხი”);

→ მოგზაურები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ცვლილებებისადმი და მზად არიან თავგადასავლების და რისკისთვის, და რომელნიც არ თხოულობენ კომფორტს;

→ მაღალი ინტელექტუალური დონის და ინტელექტუალურ მოთხოვნათა მქონე მოგზაურები, რომლებსაც აფიქრებთ ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა.

ტუროპერატორების დიდი ნაწილის ეკოტურისტული პროდუქტი გამიზნულია მნახველთა პატარა ჯგუფებისათვის: მინიმუმ 6-10 კაცი, მაქსიმუმ 11-15 კაცი. ეკოტურისტთა ჯგუფების მცირე ზომის დასაბუთების სასარგებლოდ მათ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

• მცირე ჯგუფებს უფრო მეტი სიამოვნებით იღებს ადგილობრივი მოსახლეობა;

• მცირე ჯგუფებს აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობა მიღებულ იქნეს დიდი შთაბეჭდილება ინდივიდუალური სურვილების შესაბამისად; გარდა ამისა, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ტურისტები, რომლებიც ირჩევენ ეკოტურებს, ისწრაფვიან დროებით მაინც “გაექცნენ” დიდი ქალაქის მრავალმოსახლეობას. ამიტომ ცალკეული ტუროპერატორები სთავაზობენ მარტოხელა მოგზაურობებსაც.

არის აგრეთვე ეროვნული განსხვავებებიც მოთხოვნებში დასვენების დროს:

• ინგლისელების 90% დასვენების დროს გემრიელი კერძების მიღების შესაძლებლობას ეძებს;

• 85 %-სთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა და ადგილობრივი ტრადიციების გაცნობა;

• 90 %-ს უნდა მზეზე განცხრომა;

• 65 % მიდის დასასვენებლად თავგადასავლების საძიებლად და ყოველდღიურობიდან გასაქცევად.

გამოკითხული გერმანელების 82% დასვენების უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად “მზეს” სთვლის, 62% – “მოდუნებას და არაფრის კეთებას”.

ფრანგებმა დასვენებისას პირველ ადგილზე დააყენეს “ახალი კულტურების გაცნობა”, მეორეზე – “ურთიერთობები”, მესამეზე – “მოდუნება და არაფრის კეთება”.

დასვენებისადმი დამოკიდებულების ტენდენცია იცვლება სამსახურებრივი დატვირთვის ცვლილებასთან ერთად. ასე, თუ 80-იან წლებში განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა მოგზაურობდა მობილური ტელეფონებით, რომლებიც მათ აკავშირებდნენ ოფისებთან, 90-იანი წლებიდან უკვე შეიმჩნევა დასვენების დროს “მიუნვდომლობისკენ” სწრაფვა.

8.2. დესტინაციის სასიცოცხლო ციკლი

ერთ-ერთი არსებითი მომენტი, რომელიც უნდა გათვალისწინებული იქნეს ტურპროდუქტის მომზადებისას, არის დესტინაციის განვითარების ეტაპებისადმი ტურნაკადის შესა-

ბამოსობა. ტურისტული ცენტრების, რომელთა რიგებში სამართლიანი იქნება ეროვნულ პარკების განხილვა, სასიცოცხლო ციკლში გამოყოფენ ექვს დამოუკიდებელ სტადიას: დაზვერვა, ჩართვა, განვითარება, გამაგრება, სტაგნაცია და დაცემა.

დაზვერვა არის პერიოდი, როცა ტურისტების ნაკადი შეზღუდულია ცუდი სატრანსპორტო მიღწევადობით, ტურისტული ინფრასტრუქტურის უქონლობით; ამ პერიოდში დესტინაციას სტუმრობენ ერთეული ტურისტები, რომლებიც გაურბიან ათვისებულ და ხალხმრავალ ადგილებს; მათ იზიდავს ხელშეუხებელი ბუნება და კულტურული ღირსშესანიშნაობები. ტურიზმი ამ პერიოდში სუსტ გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე.

ჩართვის სტადია ხასიათდება მოცემულ ტერიტორიაზე ტურისტების რიცხვის და ტურისტული მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდით. ამ ეტაპზე მარკეტინგულ ასპექტში საქმიანობა კონცენტრირებულია ძლიერი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე და ტურისტული ბაზრის არჩეულ სეგმენტში მის დანერგვაზე; იწყება ურთიერთობათა დამყარება ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. აუცილებელი ხდება არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ან ახალის შექმნა. ამ პროცესში ადრე თუ გვიან ჩაერთვება რეგიონული ხელისუფლება.

განვითარების სტადია ხასიათდება ჩამოსული ტურისტების დიდი რიცხვით. პოპულარობის და შემოსული ნაკადის ზრდასთან ერთად დესტინაცია აწყდება ტერიტორიაზე ზომავადასულ დატვირთვებს; ყალიბდება ტურბიუროები და ტუროპერატორები, რომლებიც ახდენენ შეთავაზებული ტურპროდუქტის და ფასების ფორმირებას; აღიჭვრება დაგეგმვის და კონტროლის აუცილებლობა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე.

გამაგრების სტადია არის ყველაზე ხანგრძლივი ციკლში. ამ სტადიას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ტურისტული ბუმის პერიოდი; ის ხასიათდება შემოსვლათა ზრდის ტემპის შენელებით, თუმცა აბსოლუტურ გამოსახულებაში ჩამოსვლათა მოცულობა იზრდება; ზოგჯერ ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი ქარბობს ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვს. ამ სტადიის ბოლოს

შეიძლება გაჩნდეს შემდეგი სტადიის – სტაგნაციის ნიშნები; ზოგჯერ ამ პერიოდში პირველად აღიჭვრება კონფლიქტები ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

სტაგნაციის სტადიაზე ჩამოსვლათა პიკი უკვე გავლილია, დესტინაცია კარგავს ადრინდელ მიმზიდველობას. ის არსებობს ამ ტურისტული ცენტრის ერთგულ მნახველთა განმეორებითი ვიზიტების ხარჯზე. ამ სტადიაზე მთელი საქმიანობა მიმართულია ადრე მოპოვებული ტურისტულ მომსახურებათა ბაზრის შენარჩუნებაზე, მაგრამ ასეთი საქმიანობა ხანგრძლივ პერსპექტივაში შეიძლება არახელსაყრელი აღმოჩნდეს მზარდი კონკურენციის და ბაზრის ახალი, პერსპექტიული სეგმენტების გამოჩენის გამო. დესტინაციის წინაშე დგება ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

დაცემის პერიოდით მთავრდება დესტინაციის ფუნქციონირების ციკლი, ტურისტთა ნაკადი მინიმუმამდე მცირდება და ხშირად შემოიფარგლება გამოსასვლელ დღეებში ექსკურსანტებით, რაც გამოწვეულია დესტინაციისა და შეთავაზებულ ტურპროდუქტისადმი ტურისტების ინტერესის დაკარგვით; მიზეზი კი შეიძლება იყოს მოძველებული ინფრასტრუქტურა, ბაზარზე ახალი, უფრო მიმზიდველი წინადადებათა გამოჩენა და სხვა. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის ბაზრიდან ამოღება და დესტინაციის სასიცოცხლო ციკლის დასრულება, თუმცა არსებობს დესტინაციის აღორძინების მაგალითები ტურისტულ ბრუნვაში ბუნებრივი რესურსების სრული ჩაბმის ხარჯზე, კერძოდ ტურისტული სეზონის გაგრძელებით (სპორტის ზამთრის სახეების განვითარება) და ტურისტული ბაზრის ახალ სეგმენტებზე გასვლის ხარჯზე, მაგრამ ეს იქნება უკვე დესტინაციის ახალი სასიცოცხლო ციკლის დასაწყისი.

განალიზა რა იმ ტურისტების შედეგიანობა, რომლებიც სტუმრობდნენ დესტინაციას მისი ევოლუციური ციკლის სხვადასხვა სტადიებზე, ამერიკელი მეცნიერი ს. პლოგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციკლის თითოეულ სტადიას შეესაბამება სტუმართა განსაზღვრული ტიპი:

- განვითარების ადრეულ სტადიებზე (დაზვერვა, ჩართვა) დესტინაცია იზიდავს ალლოცენტრიკებს, მათთვის დამახასიათებელი სათავადასავლო სულით;

• დესტინაციის განვითარების და გამაგრების პერიოდებში ალოცენტრიკებს სცვლიან საშუალოცენტრიკები;

• დესტინაციის სიცოცხლის ბოლოს (სტაგნაცია და დაცემა) პირველ ორ კატეგორიას სცვლიან ფსიქოცენტრიკები, რომელნიც წყნარ ცხოვრებას ეწევიან.

8.3. დივერსიფიკაცია, როგორც ინოვაციური სტრატეგიის სახე.

ეკონომიკაში დივერსიფიკაციის ქვეშ იგულისხმება წარმოების სფეროს ან ვაჭრობის გაფართოვება მწარმოებლის ან მოვაჭრის მიერ მასში ახალი პროდუქტების ჩართვის ხარჯზე. დივერსიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ისეთი ფირმების შესყიდვით, რომლებიც მოქმედებენ იმ ბაზრებზე, სადაც კომპანიას უნდა შელწევა. დივერსიფიკაცია საშუალებას იძლევა შემცირდეს სამეწარმეო საქმიანობის რისკი ინვესტიციების ან სხვა რესურსების განაწილების გზით რამდენიმე მიმართულებას შორის, სახელდობრ სხვადასხვაგვარი საქონლის და მომსახურების წარმოების გზით.

ტურიზმში დივერსიფიკაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია:

1). შემცირდეს დამოკიდებულება ერთ ბაზარზე, რომლის ტევადობა იწყებს შემცირებას; (მაგალითად, გამსვლელი ტურიზმის ბაზრის შემცირება საბერძნეთში მიმდინარეობდა თურქეთთან, ეგვიპტესთან, ტუნისთან და სხვა ბაზრების განვითარების პარალელურად);

2). განოხანსწორდეს ბაზრის სეზონური რყევა;

3). ფირმის ზრდისათვის სივრცული უზრუნველყოფა.

ამრიგად, დივერსიფიკაციის სწორი პოლიტიკა ბაზრის ახალ მოთხოვნილებებთან ტურპროდუქტის ადაპტირების საშუალებას იძლევა. ამიტომ ეროვნული პარკების, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ნებისმიერი სხვა საწარმოს სიცოცხლის გახანგრძლივების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ხერხი შეიძლება გახდეს დივერსიფიკაციული საქმიანობა – მრავალი სახის, ერთმანეთთან დაუკავშირებული წარმოების ერთდროული განვითარება, მომსახურებათა სპექტრის გაფართოვება,

არსებული პროდუქტების მოდერნიზაცია. ეროვნულ პარკთან მიმართებაში შეიძლება განახლებული და შეცვლილი იქნეს ტურები, აღჭურვილობა, განთავსების სფერო, წინადადებები კვების სფეროში, საგანმანათლებლო მომსახურებათა კომპლექსი და ა.შ.

დივერსიფიკაციის პროცესის რეალიზაციის აუცილებელ პირობას და საფუძველს წარმოადგენს საბაზრო მოთხოვნილებების და წინადადებების ცვლილების ტენდენციის ანალიზი. დივერსიფიკაციული სტრატეგიის მიზანია კომერციული რისკის შემცირება, ჯამური ტურისტული ნაკადის და ფინანსური შემოსავლების გადიდება, საწარმოს საქმიანი აქტიურობის სტაბილიზაცია. მაგალითად, პარკის ადმინისტრაციამ სხვა წინადადებებთან ერთად შეიძლება შესთავაზოს კონფერენციების, თათბირების და სხვათა ჩატარება; კერძოდ, საფრანგეთის და იტალიის ეროვნული პარკები მსხვილ ქალაქებში მიმდინარე სხვადასხვა დონის კონგრესების და სიმპოზიუმების მონაწილეებს სთავაზობენ ხანმოკლე დასვენებას.

დივერსიფიკაციის სტრატეგია აერთიანებს ოთხ ბაზისურ მიმართულებას, რომელთა მიხედვით შეიძლება განხორციელდეს საწარმოს განვითარება:

1. კონცენტრაციული ზრდის სტრატეგია, ორიენტირებული წარმოებული პროდუქტის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაზე, ანდა ერთი და იგივე დარგის ფარგლებში ახალი პროდუქტის შემუშავებაზე; ამასთან, საწარმომ შეიძლება ეძიოს შესაძლებლობები არსებულ ბაზარზე თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ანდა შეცვალოს ბაზრის სეგმენტი. კონცენტრირებული ზრდის სტრატეგიის მაგალითი სასტუმროების ბიზნესში არის 2001 წელს შვეიცარიაში შექმნილი სასტუმრო, რომელშიც დასვენება შეუძლიათ მხოლოდ ქალებს და ბავშვებს, ამასთან ბიჭების ასაკი არ უნდა იყოს 12 წელზე მეტი.

2. ინტეგრირებული ზრდის სტრატეგია, დაკავშირებული ახალი სტრუქტურების დამატების გზით საწარმოს გაფართოებასთან. ამ სტრატეგიის თანახმად, საწარმომ შეიძლება განახორციელოს ინტეგრირებული ზრდა როგორც საკუთრების შექმნების გზით, ისე შიდა გაფართოვების გზით; პირველ შემთხვევაში საწარმოს ზრდა ხდება "შვილობილი" ფირმების

შეძენის გზით, მეორე შემთხვევაში კი – საკუთარი “შვილობილი” ფირმის შექმნით; ეს ფირმები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ფუნქციების შესრულებას; ადრე ეს ფუნქციები (მომარაგება, პროდუქტები და ა.შ.) სრულდებოდნენ გარეშე ორგანიზაციების მიერ; შედეგად მიმწოდებელზე დამოკიდებულება მცირდება, მიწოდებები კი შეიძლება გახდეს დამატებითი შემოსავლის წყარო.

3. დივერსიფიკაციული ზრდის სტრატეგია მოიცავს ცენტრირებული, ჰორიზონტალური და კონგლომერატული დივერსიფიკაციების სტრატეგიას. დივერსიფიკაციის ცენტრირებული სტრატეგია ეფუძნება არსებული ჩარჩოებში ახალ მიმართულებათა შექმნას დამატებითი შესაძლებლობების ძიების პროცესში. ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის სტრატეგია გულისხმობს არსებულ ბაზარზე ზრდის შესაძლებლობათა ძიებას ახალი პროდუქციის ხარჯზე, რომელიც თხოულობს ახალ ტექნოლოგიებს. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მიმართ ეს შეიძლება იყოს ეკოტურიზმის ახალი სახეები, გამაჯანსაღებელი რეკრეაციის სხვადასხვა მიმართულებათა შემუშავება და სხვა. ამ სტრატეგიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა სათანადო რესურსების არსებობა და პერსონალის წინასწარ მომზადება. კონგლომერაციული დივერსიფიკაცია არის ახალ მომსახურებათა შემუშავება, ახალ ბაზარზე მათი რეალიზაცია.

4. შემცირების სტრატეგია რეალიზდება მაშინ, როცა საწარმო საჭიროებს ძალთა გადაჯგუფებას ზრდის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ან მუშაობის ეფექტურობის ამალღების აუცილებლობის გამო. შემცირების სტრატეგიის ზღვრული შემთხვევა არის ამ სახის ბიზნესის შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობა, მისი ლიკვიდაცია.

საკონტროლო კითხვები

1. ტურისტული პროდუქტის დამუშავების რომელ ეტაპზე უნდა განისაზღვროს მომხმარებელთა ტიპები და ბაზრები და შეფასდეს შესაძლო კონკურენციის დონე?
2. პოტენციალური კლიენტების რომელ მონაცემებს უნდა მიექცეს ყურადღება ტურისტული პროდუქტის დამუშავების პირველ ეტაპზე?

3. რომელ არგუმენტებს იღებენ მხედველობაში ტურისტული ჯგუფების რიცხოვნობის განსაზღვრისას?
4. დაახასიათეთ “დაზვერვა” და “ჩართვის სტადია” როგორც ტურისტული ცენტრების სასიცოცხლო ციკლის სტადიები.
5. რაში მდგომარეობს “განვითარების” და “გამაგრების” სტადიები?
6. რით ხასიათდება სტაგნაციის სტადია?
7. რომელი სტადიით მთავრდება დესტინაციის ფუნქციონირება?
8. რა მნიშვნელობა აქვს დივერსიფიკაციულ საქმიანობას?
9. დაახასიათეთ დივერსიფიკაციული სტრატეგიის პირველი და მეორე მიმართულება.
10. დაახასიათეთ დივერსიფიკაციული სტრატეგიის მესამე და მეოთხე მიმართულება.

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

დაამუშავეთ ეკოტურისტული პროდუქტი, განსაზღვრეთ მომხმარებელთა ტიპები და ბაზრები, შეაფასეთ კონკურენციის დონე.

თავი 9. რეკლამა და მარკეტინგი ეკონომიკაში

ტურიზმის მარკეტინგი განსაზღვრულ ფუნქციასთა კომპლექსია, რომელსაც ახორციელებს ტურისტული კომპანიის ადმინისტრაცია თავისი ტურისტული პროდუქტის და მომსახურების გასაღების ბაზრის გაფართოვების მიზნით. ტურიზმის მარკეტინგის მიზანია:

- ↑ ტრადიციული ბაზრის (კლიენტის) შენარჩუნება და დაცვა;
- ↑ ახალი ბაზრის შემოყვანა, განვითარება და გადიდება;
- ↑ სეზონურობის გავლენის შემცირება.

ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა მარკეტ-გეგმების ყოველწლიური კორექტირება; ხდება გამოფენა-გაყიდვების, პრეზენტაციების ორგანიზება, ტარდება კონფერენციები და ა.შ.

ტურიზმის მარკეტინგის მთავარი ამოცანაა მომხმარებლის გაგება. წარმატებით მომუშავე ტურისტული კომპანიები სწავლობენ მათგან, ვისაც ემსახურებიან. ამას ისინი უწოდებენ "კლიენტთან მიახლოებას" და მუდმივად თვალყურს ადევნებენ თავიანთ სტუმრებს, ცდილობენ რა გააუმჯობესონ თავიანთი შესაძლებლობები მომსახურებაში.

ტურისტული პროდუქტის ორგანიზაციის და მართვის მნიშვნელოვანი ეტაპია მისი წინ წაწევა. პროდუქტის წინ წაწევა არის მწარმოებლის საქმიანობა, მიმართული ინფორმირებაზე, რეკლამირებაზე, ინტერესის აღძვრაზე და პროდუქციის შექმნაზე გადანყვეტილების მიღების სტიმულირებაზე.

ტურისტული პროდუქტის წინ წაწევაში იგულისხმება მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული კლიენტის მიზიდვაზე, სამომხმარებლო ბაზარზე გაყიდვის მოცულობათა გადიდებაზე, ფირმის პოზიტიური სახის ფორმირებაზე. პროდუქტის წინ წაწევის ღონისძიებებს ეკუთვნის რეკლამა, პრეს-კონფერენციები, სარეკლამო ექსკურსიები, ტელეფილმები, სემინარები, საფირმო სუვენირები და სხვა.

დესტინაციის აღიარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მომსახურების სტანდარტის ფორმირება – ორგანიზაციის საფირმო სტილის შემუშავება. მუშაობა სტანდარტიზაციაზე, საფირმო სტილის შექმნაზე არსებით როლს თამაშობს ტურისტული მომსახურების მწარმოებლის ადვილად დასამახ-

სოვრებელი სახის ფორმირებაში; ამ სახესთან მოგონებების ასოციაციურ მიმაგრებაში.

ორგანიზაციის საფირმო სტილი მოიცავს: საკუთარ სავაჭრო ნიშანს, საფირმო ფერს, ან ფერებს, ლოგოტიპს (ემბლე-მას).

სავაჭრო ნიშანი არის აღნიშვნა, მოთავსებული საქონელზე, ან შეფუთვაზე მწარმოებლის ან გამყიდველის მიერ საქონლის და მისი მწარმოებლის (გამყიდველის) იდენტიფიკაციისთვის. სავაჭრო ნიშანი არის საქონლის ხარისხის გარანტიის ფორმა. ის ეხმარება მყიდველს შეარჩიოს ის საქონელი, რომელიც სავაჭრო ნიშნით ცნობილია მისთვის როგორც საუკეთესო. სავაჭრო ნიშანი აუცილებელია როცა ბაზარზე გამოტანილია სხვადასხვა ფირმის წარმოებული ერთი ტიპის რამდენიმე პროდუქტი. იმ შემთხვევაში თუ ფირმის პროდუქტს არა აქვს საკუთარი სავაჭრო ნიშანი, იდენტიფიკაციისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას საფირმო ნიშანი. მას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე სავაჭრო ნიშანს. საფირმო და სავაჭრო ნიშნების რეგისტრაცია და დაცვა ხდება საპატენტო ორგანიზაციებში.

ეროვნული პარკის სავაჭრო-ნიშნების და მარკეტის დიზაინი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეროვნული პარკების სავაჭრო ნიშნების ტრადიციული გამომსახველობითი კომპონენტი შეიძლება იყოს ფლორის, ან ფაუნის მოტივები.

ლოგოტიპი არის ინდივიდუალური გრაფიკული ნიშანი პროდუქტის, ფირმის, სანარმოს იდეის ჩანერის ფორმა. ის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი სიმბოლოა; დასაშვებია, რომ ლოგოტიპი იცვლებოდეს ტურისტული პროდუქტის დამუშავებისას და განთავსებული იყოს საწოლის თეთრეულზე, მომსახურე პერსონალის საფირმო ტანსაცმელზე, პარკის მიერ შეთავაზებულ სუვენირებზე.

საფირმო სტილი ვრცელდება ისეთ სარეკლამო-სასუვენირო პროდუქტებზეც, როგორცაა კალენდარები, კალმები, საქალაქდებები და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ერთ სტილში შესრულებული ფირნიშები, სავიზიტო ბარათები, ბლანკები, კონვერტები.

ეკოლოგიური ინფორმაცია არის დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რეკლამის მნიშვნელოვანი მდგენელი. განსა-

კუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰაერის და წყლის სისუფთავეს, კვების ადგილობრივი პროდუქტების ეკოლოგიურ სისუფთავეს და ა. შ.

პირდაპირ ეკოლოგიურ ინფორმაციასთან ერთად მთელ მსოფლიოში გამოიყენება ეკოლოგიური ცნობების წარდგენის არაპირდაპირი ხერხიც. ამგვარ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეკოლოგიური სავაჭრო ნიშნები და მარკები, აგრეთვე სერთიფიკატები, რომლებიც შეიძლება მიენიჭოს სასტუმროს, ფირმას, საქონელს და ადგილსაც კი. მაგალითად ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე გამოიყენება “ცისფერი დროშა”, რომლის ფლობა ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის ეკოლოგიური კრიტერიუმებისადმი შესაბამისობას; არსებობენ აგრეთვე სხვა პოპულარული და ავტორიტეტული საერთაშორისო და ეროვნული ნიშნები: “მწვანე ჩემოდანი”, “მწვანე ხე”, “მწვანე ვარსკვლავები” სასტუმროებისათვის და სხვა. ამ ნიშნებს არ გააჩნიათ სახელმწიფო სტატუსი და იურიდიულ-ნორმატიული ხასიათი; მათი ავტორიტეტი და გავრცელება ეყრდნობა საზოგადოებრივ აღიარებას და იმ ორგანიზაციათა რეპუტაციებს, რომლებმაც მიანიჭეს ეს ნიშნები.

9. 1. ეკოტურისტული პროდუქტის რეკლამა

რეკლამა ტურისტული პროდუქტის წინ ნაწილის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თანამედროვე ტურიზმი რეკლამის გარეშე წარმოუდგენელია. რეკლამა არის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი ტურსანარმოს მცდელობაში, რომ ინფორმაცია დაიყვანოს კლიენტებამდე, მიიქციოს ყურადღება შეთავაზებული მომსახურებისადმი, შექმნას საწარმოს დადებითი იმიჯი. საზღვარგარეთის ტურისტული ფირმები თავიანთი შემოსავლების დაახლოებით 5-6 %-ს ხარჯავენ რეკლამაზე.

ეროვნული პარკის რეკლამამ უნდა გაითვალისწინოს არსებული რესურსები, ტურისტული პროდუქტის განვითარების ეტაპები, ძირითადი ეკოლოგიური კომპონენტების მდგომარეობა და ა. შ. ამავე დროს სარეკლამო პროდუქტის ძირითადი ელემენტი ორიენტირებული უნდა იყოს რარიტეტულობაზე – წინადადების უნიკალურობაზე. გამოთქმა “იშვიათობა ამაღ-

ლებს ღირებულებას” შეიძლება გახდეს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რეკლამის ქვაკუთხედი.

რეკლამის საკვანძო თემები და სტილური თავისებურებანი მკაფიოდ უნდა იყოს ორიენტირებული მიზნობრივი ჯგუფების კლიენტებზე. მიზნობრივი სარეკლამო წინადადებების ნაკრებს ეკუთვნის წინადადებები:

1. ტურისტული სააგენტოებისა და სხვა მომხმარებლისათვის, რომლებიც უპირატესად მოგებაზე არიან ორიენტირებულნი:

- მისაწვდომი კლასიკური და არაჩვეულებრივი ეკოტურების დიდი არჩევანი მთელს მსოფლიოში;

- წვიმიანი ტყეების ეკოლოგიისადმი მიძღვნილი ტურები;

- მოგზაურობა ტურისტებით გადაუტვირთავ რეგიონებში და ა. შ.

2. სარეკლამო ენისადმი მგრძნობიარე ტურისტებისათვის:

- ეგზოტიკურობა, შემეცნება, პერსონალური კონტაქტები ეგზოტიკურ კულტურასთან და სხვა;

- ტურები იმ ხალხისათვის, ვინც შეგნებით ეპყრობა ბუნებას;

- ბუნებაზე ორიენტირებული ტურები და ა. შ.

3. მეცნიერებითა და ბუნების დაცვით დაინტერესებული კლიენტებისთვის:

- მსოფლიოს ყველაზე ხელუხლებელი რეგიონების მონახულება და დახმარება მათ დაცვაში;

- სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობა;

- სარესტავრაციო პროგრამებში მონაწილეობა და ა. შ.

4. კლიენტებისათვის, რომლებიც აფასებენ ტურისტულ შემეცნებადობას და მის ხარისხს:

- მცირე ჯგუფები (8-10 კაცი), რომლებსაც აცილებს გიდი ნატურალისტი;

- საკუთარი სპეციალური ტრანსპორტის გამოყენების შესაძლებლობა;

- მოგების 1%-ის გადარიცხვა მშვიდობის და ბუნების დაცვის მიზნებისათვის და ა. შ.

ძირითადი მოთხოვნა რეკლამისადმი არის მონაცემების სარწმუნოება; სამწუხაროდ ეს პირობა ხშირად ირღვევა (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც), როცა ტურსანარმო ყველა საშუალებით და ხერხით ისწრაფის მიიზიდოს კლიენტები, რაც უარყოფითად აისახება სანარმოს იმიჯზე.

რეკლამის გავრცელებისთვის გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის შემდეგი საშუალებები: ჟურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, კინორეკლამა, გარე რეკლამა (პლაკატები, ბილბორდები- საინფორმაციო ფარები), ბუკლეტები, გამოფენები, ინტერნეტი და სხვა.

9.2. სარეკლამო პროდუქციის სახეები

სარეკლამო პროდუქციის ერთ-ერთი სახეა ტიპიური ბროშურა მომხმარებლებისათვის, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირებას. ტიპიური ბროშურის სტრუქტურა ასეთია:

- ყდა, რომელზეც სახელწოდება და მოკლე თვალში საცემი სარეკლამო ფრაზა აკრეფილია მუქი, სტილიზირებული შრიფტით. სახელწოდება და სარეკლამო ფრაზა აკრეფილია პარკის ღირსშესანიშნაობათა, ან პეიზაჟის ფოტოგრაფიაზე;

- ბროშურის შიგნით ძირითადი ტექსტის რამდენიმე სტრიქონია, რასაც მოსდევს ფოტოგრაფიები, რომლებიც ასახავენ ძირითად ბუნებრივ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ტერიტორიის სხვა ღირსშესანიშნაობებს;

- შემდეგ მოდის ტექსტი რეგიონის რუკის ფონზე ჩანართავებით, რომელიც ასახავენ სარეკლამო ადგილს ყველაზე ცნობილ ადგილობრივ გეოგრაფიულ ობიექტთან კონტექსტში;

- შემდეგ მოდის ცნობები ამინდის შესახებ წელიწადის სხვადასხვა დროს ტემპერატურის საშუალო დიაპაზონის მითითებით;

- ბროშურა თავდება იმ ავიაკომპანიის მარშრუტების სქემით, ან აღწერით, რომელიც ემსახურება რეგიონს, კონკრეტული ტერიტორიის სატრანსპორტო მიდგომით, განთავსების არსებული საშუალებებით.

ზოგჯერ გამოსცემენ საინფორმაციო მასალების სერიას – რამდენიმე თემეტურ ბროშურას, რომელთაგან თითოეული მათგანი განკუთვნილია ვინრო, მიზნობრივი აუდიტორიისათვის. სერიის თითოეული ბროშურა შეიცავს ეროვნული პარკის ტურისტული პროდუქტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ ცნობებს:

- ერთი ან რამდენიმე ბროშურა ტურისტული პროდუქტის შესახებ, რომელიც მოიცავს პარკის მონახულებას სხვადასხვა სეზონზე, ახლომდებარე ღირსშესანიშნაობათა მონახულებას და ა.შ.

- ბროშურა მგზავრობის შესახებ შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მივალწიოთ პარკამდე და როგორ გადავადგილდეთ მის ტერიტორიაზე, დროის და მანძილის მითითებით მიღებასა და კილომეტრებში;

- ბროშურა განთავსების საშუალებათა შესახებ მიახლოებითი ფასებით, სეზონური ფასდაკლებით და ა.შ.

- ტურისტული ობიექტების ბროშურა: მუზეუმები, მალაზიები და სხვა;

- ბროშურა ხალხსა და კულტურაზე;

- ბროშურა ინფორმაციით კლიენტისათვის – მოკლე ცნობარი ობიექტის და მომსახურების შესახებ, რომელიც უნდა იცოდეს მოგზაურმა და რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა რეგიონში ყოფნისას.

ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში ძალზე დიდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი (პრესა, რადიო, ტელევიზია). ისინი პირდაპირ არ მონაწილეობენ ტურისტული პროდუქტის შექმნაში, მაგრამ მათ შეუძლიათ პოტენციალურ მომხმარებლამდე დაიყვანონ იდეა, მიაწოდონ ინფორმაცია ღონისიების რეალიზაციის შესახებ, აგრეთვე წინ წასწიონ უკვე არსებული პროდუქტი.

სარეკლამო პროდუქტის სახით დესტინაციამ შეიძლება მოამზადოს სპეციალური ცნობარი ტურისტული საქმიანობის სპეციალისტებისათვის, ასეთი ცნობარი დაეხმარება ტუროპერატორებს ტურების დაგეგმვასა და მომზადებაში, ეროვნული პარკის მონახულების ჩათვლით.

დასავლეთში ტურისტული დესტინაციის რეკლამისათვის ფართოდ გამოიყენება კომპაქტ დისკები. ეს აიხსნება მათი მა-

სალის დიდი მოცულობით, მომხმარებლის ენაზე გახმოვანებით, მუსიკალური ფონით და ბგერითი ეფექტებით.

რეკლამაში შეიძლება თავისი წვლილი შეიტანონ ტურისტებმაც: თუ მათი მოლოდინი გამართლდა, ანდა მომსახურება აჭარბებს მოლოდინს, ისინი შეიძლება გახდნენ დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ტურპროდუქტის პროპაგანდისტები.

9.3. ეკოტურიზმის მარკეტინგი.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სარეკლამო პროდუქციის წინ წაწევის გზებს ბევრი რამ აქვთ საერთო ზოგადად ტურისტული რეკლამის წინ წაწევის გზებთან. მათ რიცხვს ეკუთვნის: რეკლამის განთავსება გაზეთებსა და ჟურნალებში, ტურისტული კომპანიების ოფისებში, საიტის შექმნა ინტერნეტში, ფილმების დემონსტრაცია, სარეკლამო ბუკლეტების გაგზავნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ.

სახელწოდება. ეროვნული პარკის მარკეტინგული პოლიტიკა იწყება ტურპროდუქტის სახელწოდების ძიებით, რომელიც ასახავს წინადადების სპეციფიკას. მაგალითად, უგანდაში ტურიზმის განვითარებისადმი მიძღვნილ მოხსენებაში (გორილების ნაკრძალის მონახულების შესახებ) მითითებული იყო, რომ ადგილობრივი სახელწოდებები “მგახინგა” და “მუხავურა” უცხოელების მიერ ძნელად აღიქმება, მაშინ, როცა სახელწოდება “უგანდის გორილების პარკი” ეხმარება ადექვატური ტურისტული ბაზრის უზრუნველყოფაში.

საიტი ინტერნეტში. ტურიზმის სფეროში ინტერნეტს ამაჟამად თითქმის ყველა ორგანიზაცია იყენებს. საკუთარი საიტის შექმნა და რეგულარული განახლება ინტერნეტში ძალზე გავრცელებული და ეფექტური სახეა მთელს მსოფლიოში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სარეკლამო პროდუქციის წინ წაწევაში. ეს მარკეტინგული არხი ამაჟამად ფართედ გამოიყენება ეროვნული პარკების და ნაკრძალების მიერ. ცნობილია, რომ ტურპროდუქტის წინასწარ გასინჯვა შეუძლებელია. ამიტომ გადაწყვეტილების მიღება ტურისტული პაკეტის შექმნის შესახებ ძირითადად ეფუძნება ისეთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა სლაიდები, ბუკლეტები, ბროშურები, სარეკ-

ლამო განცხადებები და სხვა; უფრო მეტად კი საჭირო ინფორმაციის მოძიება ხდება ინტერნეტით.

სარეკლამო ტურები. ტურისტული საქმიანობის დამწყები ეროვნული პარკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქციაა. ეროვნული პარკის “საველე” ურთიერთქმედება მასმედიის წარმომადგენლებთან – ჟურნალისტებთან, ფოტოგრაფებთან, ოპერატორებთან, მათთვის სარეკლამო ტურების და ინდივიდუალური პროგრამების შეთავაზება არის ეროვნული პარკის ტურისტული პროდუქტის წინ წაწევის ეფექტური საშუალება. ამ მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან ეროვნული პარკის მუშაკთა ურთიერთქმედება ყველაზე ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, როცა პარკის ტურისტული რესურსები გამოვლენილი და დახასიათებულია, როცა მომსახურება და პროდუქტი, რომელიც შეიძლება შევთავაზოთ ტურისტებს, ამა თუ იმ ზომით მომზადებულია.

ტუროპერატორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბუნებაზე ორიენტირებული ტურებით, შეუძლიათ მიმართონ პარკის ადმინისტრაციას წინადადებით, ისარგებლონ პარკის ამა თუ იმ რესურსით თავისი საკუთარი ტურების ფორმირებისათვის. ტურისტული საქმიანობის დამწყები პარკებისათვის ასეთი წინადადებები მისაღებია, მაგრამ თავიდანვე იურიდიულად უნდა განმტკიცდეს პარკის თანამშრომლობის პირობები ასეთ ოპერატორებთან; ამასთან უნდა გაითვალისწინონ პარკის თანამშრომლების მონაწილეობა როგორც ტურების მომზადებაში, ისე მათ რეალიზაციაში. თანამშრომლობის საწყისი ეტაპიდანვე აუცილებელია სწრაფვა იმისკენ, რომ შეიქმნას ისეთი ტურისტული პროდუქტი, რომელიც გაითვალისწინებს პარკის წილს შემოსავლებში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ინფრასტრუქტურაში, რეკრეაციული ტერიტორიების ბუნების დაცვას და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როცა პარკი თვითონ მიმართავს ტუროპერატორებს თანამშრომლობის წინადადებით, ეს წინადადება კარგად უნდა იყოს მომზადებული; თანამშრომლობის ნათლად ფორმულირებული პირობების გარდა უნდა წარდგენილი იქნეს აუცილებელი ცნობების მინიმუმი არსებული რესურსების და მომსახურების შესახებ; გარდა ამისა ტუროპერატორს უნდა წარედგინოს მკაფიო და დოკუმენტურად დამონ-

მებული ინფორმაცია ყველა სამართლებრივი ნორმის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არეგულირებს ტურისტულ საქმიანობას პარკის ტერიტორიაზე და რეგიონში, აგრეთვე ადგილობრივი გადასახადების შესახებ და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, რომ ფირმა, რომელმაც “დისტანციურად” მოამზადა ტურპროდუქტი მოშორებულ ეროვნულ პარკში, ნაანყდეს დამატებით ხარჯებს, ან აკრძალვას ტურის ჩატარებაზე უშუალოდ ადგილზე.

ტურისტული გამოფენები. ტურისტული გამოფენა (ბაზრობა) არის განსაზღვრულ ადგილას პერიოდულად ორგანიზებული ტურისტული პროდუქტების ექსპოზიციები. ტურისტული გამოფენები არ ახვევენ თავს ტურისტულ პროდუქტს, არამედ ისწრაფვიან შექმნან მისდამი ხანგრძლივი კეთილგანწყობის ატმოსფერო.

ტურისტული გამოფენების წარმომადგენლობითი ორგანო არის ტურიზმში სავაჭრო ბაზრობების ევროპული ასოციაცია (EGTEA), რომლის შტაბ-ბინა იმყოფება რიჩმონდში (დიდი ბრიტანეთი).

ტურისტული პროდუქტის გაყიდვათა ადგილის შერჩევაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობები, რომლებიც 30 წელიწადზე მეტია იმართება. გამოფენა-ბაზრობების მეტი წილი მოდის ისეთ სახელმწიფოებზე როგორცაა გერმანია, ინგლისი, აშშ, საფრანგეთი და იტალია.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მონაწილეობას ტურისტულ გამოფენებში აქვს თავისი სპეციფიკა. ცალკეული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მიერ წარდგენილი სარეკლამო მასალები შეიძლება დაიკარგნენ სხვა ტურისტული პროდუქტების სიმრავლეში. ფასეული ელემენტი, რომელმაც შეიძლება გააერთიანოს ნაკრძალების და ეროვნული პარკების დიდი ნაწილის ეკოტურისტული პროდუქტი, არის “ხელშეუხებელი ბუნება”. ასეთი გამაერთიანებელი დევიზის ქვეშ შეიძლება წარმოდგენილი იქნას ეკოტურისტული პროდუქტების დიდი ერთობლიობა: ცალკეული პარკების, რომლებიც მდებარეობენ სხვადასხვა კლიმატურ ზონებში; პარკების, რომლებსაც აქვთ ესა თუ ის ბუნებრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული და ა.შ. რარიტეტები და ღირსშესანიშნაობები.

ნაკრძალების და ეროვნული პარკების ტურისტული პროდუქტის ერთობლივი წინადადება გამაერთიანებელი რეკლამით ხელს შეუწყობს ბაზრის მიზნობრივი სეგმენტის გამოვლენას, შემდეგ კი უკვე ინდივიდუალური მომხმარებლის ინტერესების განსაზღვრას.

ტურისტული გამოფენები იმართება საქართველოშიც; მასში მონაწილეობენ როგორც საზღვარგარეთის ტურისტული საწარმოები, ისე საქართველოს ცალკეული კუთხეების ტურისტული პოტენციალის მქონე ტურისტული საწარმოები.

საკონტროლო კითხვები:

1. რაზე უნდა იყოს ორიენტირებული სარეკლამო ტურისტული პროდუქტის ძირითადი ელემენტი?
2. რაში მდგომარეობს მომსახურების სტანდარტის ფორმირება, როგორც დესტინაციის აღიარების აუცილებელი პირობა?
3. რას უნდა მიექცეს ყურადღება ეკოლოგიურ ინფორმაციაში?
4. რას მიაკუთვნებთ ეკოლოგიური ცნობების წარდგენის არაპირდაპირ ხერხებს?
5. ჩამოთვალეთ რეკლამის საკვანძო თემები.
6. როგორია ტიპური სარეკლამო ბროშურის სტრუქტურა?
7. ჩამოთვალეთ დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სარეკლამო პროდუქციის წინწანევის გზები.
8. როგორია სარეკლამო ტურების როლი ტურისტული პროდუქტის წინწანევაში?
9. რა სპეციფიკა გააჩნია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მონაწილეობას ტურისტულ გამოფენებში?
10. რაში მდგომარეობს ეროვნული პარკის რესურსებით სარგებლობისათვის ტუროპერატორების და ეროვნული პარკების ადმინისტრაციის თანამშრომლობა?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

მოამზადეთ ტურისტულ ბაზრობაში თქვენი ფირმის მონაწილეობის სცენარი, რომელიც უნდა შეიცავდეს საგამოფენო სტენდის პროექტს თქვენს მიერ შეთავაზებული ტურისტული პროდუქტის წინ წასწინვად.

თავი 10. ტუროპერატივის ეკოლოგიურ ტურიზმი

ეკოტურიზმი თუმცა საჭიროებს მწირ ტურისტულ საშუალებებს, მაგრამ თხოვლობს კვალიფიციურ გიდებს და უსაფრთხოების მაღალ დონეს, რამაც ასახვა უნდა ჰქონდეს ეკოლოგიური ტურების დაპროექტებისას.

ტურისტული მომსახურების სფეროში იმ ორგანიზაციების, დანესებულებების, ფირმების ჩართვამ, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას, განაპირობა სპეციფიკური ბიზნესის – ტუროპერატივის (ტურისტული პროგრამების დამუშავება) განვითარება.

ტუროპერატორი არის ტურისტული ფირმა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე აკეთებს ტურების კომპლექტაციას, ფორმირებას; ანუ ტუროპერატორი არის ტურისტული პროდუქტის (ტურპაკეტის) მწარმოებელი ფირმა. ტუროპერატორი ამუშავებს ტურისტულ მარშრუტებს, ადგენს ტურისტების მომსახურების პროგრამას, ახორციელებს ღონისძიებებს გადაადგილებაზე და ტურების გაყიდვაზე; ხშირად ტუროპერატორი გამოდის როგორც განთავსების, სატრანსპორტო მომსახურების, კვების, რეკრეაციული საქმიანობის და ა.შ. ბითუმად მყიდველი; ამიტომ მას აქვს ამ მომსახურებებზე ჯგუფური ტარიფები.

მოღვაწეობის ხასიათის მიხედვით ტუროპერატორები იყოფიან: ა) მასობრივი ბაზრის ტუროპერატორებად, რომლებიც ჰყიდიან ჩართერული ავიარეისების შემცველ ტურებს ყველაზე მონახულებად ადგილებში, ბ) სპეციალიზირებულ ტუროპერატორებად, რომლებიც მუშაობენ გარკვეული გეოგრაფიული მიმართულებით, ან ბაზრის ერთ სეგმენტში. თავის მხრივ სპეციალიზირებული ტუროპერატორები შეიძლება იყოს:

- ტუროპერატორები მიმართულების მიხედვით (მაგ. შვეიცარია, ავსტრალია);
- ტუროპერატორები ბაზრის სეგმენტის მიხედვით (მაგ. სტუდენტები, ოჯახური წყვილები);
- ტუროპერატორები ტრანსპორტის მიხედვით (მაგ. კრუიზები, ტურისტული მოგზაურობები).

საქმიანობის ადგილის მიხედვით ტუროპერატორებს ყოფენ:

→ ადგილობრივი ტუროპერატორები, რომლებიც ამუშავენ ტურებს თავისი ქვეყნის შიგნით, შიდა ბაზარზე გასაყიდად;

→ მიმღები ტუროპერატორები, რომლებიც ემსახურებიან ჩამოსულ საზღვარგარეთის ტურისტებს;

→ გამსვლელი ტუროპერატორები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ტურისტების გამგზავრებას თავისი ქვეყნიდან.


ტუროპერატორებს ჰყოფენ აგრეთვე ინიციატორულ და რეცეპციულად. ინიციატორული ის ტუროპერატორებია, რომლებიც აგზავნიან ტურისტებს საზღვარგარეთ, ან სხვა რეგიონებში ხელშეკრულების თანახმად მიმღებ (რეცეპციულ) ტუროპერატორთან, ან განმთავსებელთან. ტურაგენტებისგან მათ განასხვავებს ტუროპერატივი. ამასთან, მტო-ს ნორმების მიხედვით, ტურის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, როგორც მინიმუმში 3 მომსახურება: განთავსება, სატრანსპორტო მომსახურება და ნებისმიერი სხვა მომსახურება, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული აღნიშნულ ორ მომსახურებასთან.

კლასიკური ინიციატორული ტუროპერატორი ახდენს რთული ტურების ფორმირებას, აკომპლექტებს მათ ადგილობრივი ტუროპერატორების, ან საექსკურსიო, სასტუმრო და სხვა ორგანიზაციების მომსახურებით მონახულების სხვადასხვა ადგილებში; ის უზრუნველყოფს აგრეთვე ტურისტების მიყვანას მოგზაურობის დაწყების ადგილამდე და უკან, უზრუნველყოფს შიდა სამარშრუტო ტრანსპორტით.

რეცეპციული ტუროპერატორი აკომპლექტებს ტურს და მომსახურების პროგრამას ტურისტის მიღების და მომსახურების ადგილზე, იყენებს რა უშუალო ხელშეკრულებას მომსახურების მიმწოდებელთან.

ტურფირმები ხშირად ითავსებენ ინიციატორული და რეცეპციული ტუროპერატივის ფუნქციებს. ეს უმთავრესად ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია სპეციალიზირდება საერთაშორისო გასვლით, ან შემოსვლით ტურებზე.

ტუროპერატორებს უკავიათ პოზიცია ტურისტების ცალკეულ მომსახურებათა მიმწოდებლებსა და ტურისტულ სააგენტოებს და/ან ტურისტებს შორის. ისინი ფაქტიურად პასუხისმგებელი არიან არა მარტო ტურისტულ მოთხოვნაზე, ახდენენ რა ტურის ფორმირებას, არამედ ზემოქმედებას ახდენენ მოთხოვნის ფორმირებაზე მოგზაურობათა ახალი მიმართულებების და ტურისტული მომსახურების ახალი ფორმების შეთავაზების გზით. ნახ. 1-ზე მოყვანილია საერთაშორისო ტურების მინაწილეთა ურთიერთქმედების სქემა ვ. ხრაბოვჩენკოს მიხედვით.



როგორც სქემიდან ჩანს, კომუნიკაციების ეფექტურობის თვალსაზრისით უმჯობესია ტურისტის და ტურმომსახურების მიმწოდებელს შორის (სასტუმრო, რესტორანი, გიდი, მუზეუმები და სხვა) რაც ნაკლები იქნება შუამავლების რიცხვი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ტურისტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

10.1. ეკოლოგიური ტურების დაპროექტება

ტურის დაპროექტება არის დამპროექტებელი საწარმოს შესაძლებლობათა შეთანხმება ტურისტების მოთხოვნებთან. დასაპროექტებელი ტურმომსახურებისადმი მოთხოვნები იყოფა სავალდებულოდ და რეკომენდირებულად. სავალდებულო მოთხოვნებია: ტურისტის სიცოცხლის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ქონების შენახვა და გარემოს დაცვა. რეკომენდირებული მოთხოვნებია: დანიშნულებისადმი შესაბამისობა, კომპლექტურობა, მომსახურების ეთიკურობა, კომფორტულობა, ესთეტიურობა, ერგონომიულობა.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა ეფუძნებოდეს ტურისტული ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და მოთხოვნას, ტურისტების მომსახურების ტექნოლოგიების განსაზღვრას და აღწერას, უსაფრთხოებას. ტურის დაპროექტების შედეგია სწორად და სრულად შევსებული შემდეგი დოკუმენტები:

- ტურისტული მოგზაურობის ტექნოლოგიური რუქა;
- ტურისტულ მომსახურებათა მიმწოდებელ საწარმოთა დატვირთვის გრაფიკი;
- საინფორმაციო ფურცელი ტურისტული საგზურისადმი;

→ ტურისტების მომსახურების პროგრამა.

ტურის დაპროექტების ზოგიერთი ეტაპი განვიხილოთ ალპებში სამთო ტურიზმში გერმანული ფირმების გამოცდილების მაგალითზე.

ტურის ფორმირების სანყისი წინამძღვრებია:

1. ბუნებრივი ტურისტული რესურსები;
2. მიზნობრივი აუდიტორია;
3. ტურინდუსტრიის საწარმოები (ტრანსპორტი, განთავსება, კვება, გიდი, მაშველები და ა. შ.)

პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს ბუნებრივი რესურსები არჩეულ ტერიტორიაზე. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ყველაზე პერსპექტიული ტურისტული საქმიანობა სხვადასხვა სეზონში. მაგ. მდგრადი თოვლის საფარი რელიეფთან შეთანწყობით საშუალებას იძლევა ზამთარში განხორციელდეს სამთო-სათხილამურო ტურები, ზაფხულში კი შესაძლოა კლდეებზე და მყინვარებზე ცოცვა; ბიომრავალფეროვნების მაღალი ხარისხი კი არის საფუძველი ბუნების ისტორიის, ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების ტურების ორგანიზებისათვის. ამ ეტაპის შედეგია ტურისტული საქმიანობის და მარშრუტების რაიონების რუქა-სქემის შედგენა.

ამის შემდეგ ხდება ბუნებრივი რესურსების ფიზიოლოგიური შეფასება: განსაზღვრავენ საშიშ და არახელსაყრელი ამინდის პირობებს, მათი განმეორების ხარისხს; აქვე მუშავდება ტურისტის სიმაღლისადმი აკლიმატიზაციის პროგრამა და დგება მარშრუტის მაღლივი პროფილი; ცალკე მზადდება მოგზაურობისათვის აუცილებელი ჯგუფური და ინდივიდუალური აღჭურვილობის სია.

შემდეგი ეტაპი მოიცავს ტურისტების ფიზიკური მომზადებისადმი მოთხოვნებს; სავარჯიშო ტურების და ბუნების ისტორიის ტურების შემთხვევაში საკმარისია ექიმის თანხლება მთებში და დღეში 8-12 კმ-ის ფეხით გადალახვის უნარი. სათავგადასავლო ტურიზმის ექსტრემალური სახეები ითვალისწინებენ უფრო სერიოზულ მოთხოვნებს მონაწილეთა ფიზიკური, ტექნიკური და მორალური მომზადებისადმი.

ტურის ფორმირების მესამე ეტაპი ყველაზე ტევადი და საპასუხისმგებლოა; აქ უკვე იწყება ოპერატორის ჩვეულებრივი მუშაობა ტურმომსახურებათა "ერთ პაკეტში" მოსაქცევად. ტურის პროგრამა უნდა მოიცავდეს არა მარტო მის საერთო ხანგრძლივობას და სიგრძეს, არამედ მოძრაობის გრაფიკს დღეების მიხედვით, რელიეფის სირთულის, სიმაღლის აკრეფის, დასვენების ადგილების ჩვენებით.

მარშრუტზე ტურისტების გადაყვანისთვის ტრანსპორტი შეირჩევა საგზაო-საბილიკო ქსელის განვითარების, სატრანსპორტო ორგანიზაციის შესაძლებლობების, ბუნებისდაცვითი მოთხოვნების მხედველობაში მიღებით. მაგალითად, აშშ-ში ყველა ბუნებრივი რეზერვატი დაკავშირებულია კარგი ავტოსტრადებით; ჩინეთში, კენიაში, ნეპალში გამოიყენება ჯიპები, ელბრუსის მისადგომებთან - მიკროავტობუსები, ან ცხენები.

განთავსების საშუალებათა არჩევა ხდება სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის სანარმოთა განვითარების დონის მხედველობაში მიღებით კონკრეტულ სამთო რაიონში; ეს შეიძლება იყოს სამთო სასტუმრო, ან თავშესაფარი, ან კარვების ბანაკი.

აუცილებელია აგრეთვე გათვალისწინებული იქნას ტურისტების ტვირთის გადატანის შესაძლებლობა ტრანსპორტით, ან მებარგულის დახმარებით, უნდა აირჩეს ტურისტის და მისი ქონების დაზღვევის მისაღები სქემა.

ტურის ფორმირების ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია გიდი-გამცილებლის შერჩევა; პირველ რიგში მან უნდა იცოდეს მარშრუტი და იძლეოდეს ჯგუფის უსაფრთხოების გარანტიას მარშრუტზე; გარდა ამისა გიდი უნდა იყოს კომუნიკაბელური და კარგი ფსიქოლოგი, უნდა შეეძლოს ჯგუფის განწყობის აღქმა, კეთილად, მაღალფარდოვნების გარეშე ექცეოდეს ტურისტებს; ეს გიდის პროფესიული ჩვევებია. მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჰქონდეს კარგი დამოკიდებულება ადგილობრივ

მოსახლეობასთან, ხოლო უცხოელ ტურისტებთან თანხლები-სას უნდა შეეძლოს შეასარულოს თარჯიმანის როლიც და რასაკვირველია, მან უნდა იცოდეს ბუნება, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა და იყოს კარგი მთხრობელი, ექსკურსიამძღოლი.

ევროპის მრავალ ქვეყანაში სამთო გიდი-გამცილებელნი ვალდებულნი არიან სერთიფიკატის მისაღებად დაამთავრონ სასწავლო კურსები, გიდების სკოლა და ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდა (ტესტი) უცხო ენების, რაიონის ფლორის და ფაუნის, კლიმატის, გეოლოგიის ცოდნაზე; მათ უნდა შეეძლოთ ექიმამდელი და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, უნდა ფლობდნენ სხვადასხვა ფორმის დაბრკოლებათა გადალახვის ჩვევებს. ერთ გიდზე ტურისტების რაოდენობა განისაზღვრება მარშრუტის სირთულისგან დამოკიდებულებით; ტრეკინგ (საფეხმავლო) ტურებში ის შეიძლება იყოს 5-დან 20 კაცამდე, სათავგადასავლო ტურიზმში - ერთ გიდზე ერთი ტურისტი, საშუალოდ კი 1-5; ბუნების ისტორიის ტურებში - 1-10-დან 1-20-მდე, ბუნებრივ რეზერვატებში (ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში) - 1-8.

10.2. გიდის მუშაობა ტურისტებთან

გიდის მიერ ჯგუფის მომსახურება იწყება გაცილებით ადრე, ვიდრე ის შეხვდება თავის ტურისტებს. პირველ რიგში დაჯავშნის ფურცლიდან მიღებული იწვორმაციის საფუძველზე მან უნდა გაანალიზოს ჯგუფის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეროვნება და ტურისტების ოჯახური მდგომარეობა. ეს საშუალებას მისცემს გიდს გაერკვეს სტუმრების ფიზიკურ შესაძლებლობებში, მათ კულტურულ და კულინალურ ჩვევებში. თუ ტურისტის დაბადების დღე მოგზაურობის ვადებში ხვდება, მილოცვა და მცირე საჩუქარი ტურფირმისგან დატოვებს ამ ფირმაზე საუკეთესო ხსოვნას; იგივე ეხება მოგზაურობაზე პატარა სამახსოვრო სუვენირებს: კეპი, მაისური ფირმის სიმბოლოთი და სხვა.

აეროპორტში ჯგუფთან შეხვედრამდე აუცილებელია გიდმა შეათანხმოს ტურისტების გადაყვანის პროგრამა ავტომობილის მძღოლთან, მოამზადოს ფირფიტა ტუროპერატორის

სახელწოდებით ინგლისურ ან სხვა შესაბამის ენაზე და დაელოდოს სტუმართა მოსვლას. ტურისტების მიერ ტურისტული ფორმალობის გავლის შემდეგ გიდმა უნდა შეკრიბოს მთელი ჯგუფი, წარუდგეს მათ, მიულოცოს ჩამოსვლა და მადლობა მოუხადოს ამ ფირმის არჩევის გამო, შემდეგ უნდა შეამოწმოს ჩამოსულები სიის მიხედვით და დაეხმაროს მათ ტვირთის მიღებაში.

ავტობუსში გიდმა უნდა გააცნოს ამ ქვეყანაში ტურისტების ქცევის უსაფრთხოების ძირითადი წესები; ფრენისას ჯგუფის დაღლილობის ხასიათისგან დამოკიდებულებით შეიძლება ტურისტების გადაყვანის შეთავსება ავტობუსით ექსკურსიასთან; საზღვარგარეთული ჯგუფისთვის საკმარისია მომზადდეს ფილმი ქვეყნის, მოგზაურობის რეგიონის შესახებ ინფორმაციით იმ ქვეყნის ენაზე, საიდანაც ჩამოვიდნენ ტურისტები. მისი მოსმენის შემდეგ გიდი პასუხობს კითხვებს.

გაჩერებების და მაღაზიების მონახულებისას გიდმა უნდა შესთავაზოს დახმარება ტურისტებს საყიდლების შერჩევასა და ანგარიშსწორებაში; გიდმა ჯგუფი უნდა გააფრთხილოს რა დრო ეძლევათ საყიდლებზე (მაღაზიაში ყოფნისთვის).

სასტუმროში მისვლისას ერთ-ერთი გამცილებელი ინყებს სტუმრების განთავსებას, მეორე კი – მათი ტვირთის გადატანას და მძღოლთან ანგარიშსწორებას. გიდმა უნდა იცოდეს სად და ვისთან ცხოვრობენ ტურისტები, აგრეთვე ტურისტებმაც უნდა იცოდნენ სად შეიძლება გიდის ნახვა ნებისმიერ მომენტში. აუცილებელია აგრეთვე სტუმრებისთვის ბარის, რესტორნის და ა.შ. ადგილმდებარეობის ჩვენება. ჩამოსვლის დღეს, ვახშმის შემდეგ მიღებულია გიდის ჯგუფთან "გაცნობის საღამოს" ორგანიზება. გიდებმა უნდა მოუყვანონ ტურისტებს თავიანთ შესახებ; შემდეგ უნდა გააცნონ ტურის პროგრამა; სასურველია მიცემულ იქნეს რჩევა მარშრუტზე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შესახებ, აღჭურვილობის შერჩევაზე; განსაკუთრებით ყურადღება უნდა იქნეს კონცენტრირებული დილით ჯგუფის შეკრების ადგილსა და დროზე; უნდა შეახსენონ ისეთი წვრილმანების შესახებ, როგორცაა მზისგან დამცველი კრემი და სათვალეები, თერმოსი სასმელით და სხვა.

როგორც წესი, გიდის სამუშაო დღე გრძელდება ექვსიდან ოცდასამ საათამდე. მას მიჰყავს ჯგუფი მარშრუტზე,

აკონტროლებს თითოეული ტურისტის ყოფაქცევას, ორგანიზებას უკეთებს კვებას და დასვენებას, უამბობს რაიონის ბუნებაზე, ისტორიაზე, კულტურაზე, ეკითხება შემხვედრ ჯგუფებს მარშრუტის შესახებ, ეცნობა ამინდის პროგნოზს და ა.შ.

გიდის პროფესია მძიმე, დამღლელი და პასუხსაგებია, მაგრამ ამავე დროს საინტერესო, მნიშვნელოვანი და საჭიროა, რადგანაც საშუალებას აძლევს ტურისტებს არა მარტო დაისვენონ, აღადგინონ ძალები, არამედ გაიფართოვონ თვალთახედვა (ცოდნა), მიიღონ ახალი ჩვევები, ზოგჯერ კი – გადალახონ ფსიქოლოგიური დისკომფორტი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ფუნქციები აკისრია ტუროპერატორს?
2. როგორ ყოფენ ტუროპერატორებს მოღვაწეობის ხასიათის და საქმიანობის ადგილის მიხედვით?
3. რა განსხვავებაა რეცეპციულ და ინიციატორულ ტუროპერატორებს შორის?
4. რა იგულისხმება ტურის დაპროექტების ქვეშ?
5. რა არის აუცილებელი მოთხოვნა ეკოლოგიური ტურის დაპროექტების დროს?
6. ჩამოთვალეთ და განმარტეთ რეკომენდირებული მოთხოვნები ტურის დაპროექტების დროს.
7. რით იწყება ტურის დაპროექტების პირველი ეტაპი?
8. რას ეძღვნება ტურის დაპროექტების მეორე ეტაპი?
9. რით ხასიათდება ტურის დაპროექტების მესამე ეტაპი?
10. რა მოთხოვნებით ხელმძღვანელობენ გიდის შერჩევისას?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

აირჩიეთ ტურიზმის სახეობა, დაამუშავეთ მარშრუტი და ერთკვირიანი მოგზაურობის პროგრამა საქართველოს რომელიმე რეგიონში.

თავი 11. ეკოტურიზმის მენეჯმენტი

11.1. გუნებრივ რესურსებზე ზემოქმედების მართვის შესაძლებლობა

ტურიზმის თანამედროვე მიმართულებების დიდი ნაწილი ორიენტირებულია ბუნებრივი ტურისტული რესურსების გამოყენებაზე. ტურიზმის ამ მიმართულებებს საზღვარგარეთ ხშირად **ბუნებრივი ტურიზმის** სახელწოდებით აერთიანებენ; მათ რიცხვს ეკუთვნის ეკოტურიზმიც, რომელიც მდგრადი განვითარების იდეის რეალიზაციის რეალური ინსტრუმენტია, მაგრამ თუ ის მოხვდა არაკომპეტენტური ადამიანების ხელში მან შეიძლება უფრო მეტი ზიანი მიაყენოს ბუნებას, ვიდრე მასობრივმა ტურიზმმა, რადგან ეკოლოგიური ტურიზმი უშუალო კავშირშია ადვილად რღვევად ბუნებრივ კომპლექსებთან და გზას უხსნის ადამიანებს "ხელშეუხებელი" რეგიონებისკენ.

ტურიზმის ზემოქმედება ბუნებრივ კომპლექსებზე შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირ ზემოქმედებას ეკუთვნის:

- ფლორის და ფაუნის განადგურება ნადირობის, თევზჭერის პროცესში, ბინადრობის ბუნებრივი პირობების მოსპობა ტერიტორიის სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის გზით;

- მცენარეთა და ცხოველთა ცხოველქმედების ბუნებრივ პირობებში ჩარევა მათი კვების, ხელოვნურად შექმნილ პირობებში გამრავლების, მათზე დაკვირვების, ხმაურით ზემოქმედების, ბუდეების, სოროების დანგრევის გზით და ა.შ.;

- ინფექციურ დაავადებათა შეტანა და გავრცელება ადამიანის ცხოველქმედების პროდუქტებით (ორგანული კვებითი ნარჩენები), სამეურნეო საქმიანობით (ტყის გაჩეხვა, ნიადაგის დარღვევა და ა.შ.);

ბუნებრივ კომპლექსებზე არაპირდაპირ ზემოქმედებას ეკუთვნის:

- ბუნებრივი საბინადრო გარემოს შეცვლა;
- ნიადაგის და ზედაპირული წყლების დაჭუჭყიანება, ეროზიის განვითარება ტყის გაჩეხვის შედეგად, კლიმატის გლობალური ცვლილება, ატმოსფეროს დაჭუჭყიანება და სხვა;

- ცხოველების ხელოვნური მოშენება ადამიანის მიერ ნინასნარ დაგეგმილი თვისებების მქონე ცხოველების და მცენარეების შესაქმნელად (გენეტიკურად შეცვლილი, მუტანტები), რომელთა მოქმედება ბუნებრივ გარემოზე და ადამიანზე ვერ კიდევ უცნობია.

ამასთან ყველაზე მეტად ზიანდებიან მცენარეების და ცხოველების მცირე პოპულაციები (ენდემები, რელიქტები). ბუნებრივ გარემოზე ტურიზმის ზემოქმედების პროცესების მართვაც შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი მართვის ვარიანტი მოიცავს ტურისტთა საერთო რიცხვის შეზღუდვას ბუნებრივ კომპლექსებზე დასაშვები ზღვრული დატვირთვის შესაბამისად, დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ზონირებას, გარემოს დაჭუჭყიანების მინიმიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებას; (დასაშვები ზღვრული დატვირთვა ანთროპო-ეკოლოგიური ნორმატივებია, რომელთა დარღვევა იწვევს სხვადასხვა დონის გეოსისტემების მდგრადობის დარღვევას.) ასეთი პოლიტიკა დაფუძნებულია იძულებაზე (ჯარიმები, ტარიფები და სხვა), ანუ იმის დემონსტრირებაზე თუ როგორ არ უნდა მოვიქცეთ.

არაპირდაპირი მართვის ვარიანტი ეფუძნება ტურისტის ყოფაქცევის გაუმჯობესებას განათლების დონის ამაღლების, ადგილობრივი მცენარეების, ცხოველების, მოსახლეობისადმი ჰუმანური მოქცევის გზით და ეს ვარიანტი უფრო მოქნილია. მაღალი ეფექტის მისაღწევად მიზანშეწონილია ამ ორივე ვარიანტის ზემოქმედების შეთანწყობა.

ეკოტურიზმის მენეჯმენტი ხორციელდება **საერთაშორისო, სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.**

საერთაშორისო დონე აერთიანებს ორგანიზაციებს და ფონდებს, რომლებიც ახორციელებენ ბუნების დაცვის მიზნების და ამოცანების ფართო სპექტრს, აგრეთვე სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თითოეულ ქვეყანაში ახორციელებენ ბუნებათსარგებლობის და გარემოს დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფას, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას.

რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებანი ახდენენ მართვის სპეციფიკის ფორმირებას ადგილობრივი შესაძლებლობების და პირობების გათვალისწინებით.

11.2. ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის მართვის საერთაშორისო პრაქტიკა

მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა ეკოტურიზმს აქვს მკვეთრად გამოხატული მსოფლიო მენეჯმენტი. ეკოტურიზმის მხარდაჭერასა და ორგანიზებაში მონაწილეობენ როგორც სპეციალურად ამ მიზნებისათვის შექმნილი ორგანიზაციები, ისე უმსხვილესი საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებსაც აქვთ ბუნების დაცვის მიზნების ფართო სპექტრი და ეკონომიკურად მხარს უჭერენ ეკოტურიზმის განვითარებას, როგორც პლანეტის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობ ერთ-ერთ მიმართულებას.

ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს არსებითი წვლილი შეაქვთ ეკოტურიზმის განვითარებაში. **თავისი საქმიანობის პროფილის მიხედვით ისინი იყოფიან უნივერსალურად, დამფინანსებლად და სპეციალიზირებულად.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი ამოცანებია მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; ის დიდ როლს თამაშობს მსოფლიო თანასაზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებაში პლანეტის ბუნებრივი რესურსების დაცვის საქმეში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგ კომისიებს შეაქვთ თავიანთი წვლილი ეკოტურიზმის, როგორც ამოუწურავი ბუნებათსარგებლობის ერთ-ერთი რეალური ფორმის, პროპოგანდაში. **გაერო კოორდინირებს უწევს ბუნების დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას; მისი ეგიდით ტარდება საერთაშორისო კონფერენციები გარემოს დაცვის საკითხებში.**

გაერო-ს შემადგენლობაში 1946 წლიდან ფუნქციონირებს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების, კულტურის საკითხებში – **“იუნესკო”**. ამ ორგანიზაციასთან არსებული **მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კომიტეტი** აწარმოებს მსოფ-

ლიო-ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების და ობიექტების აღრიცხვას და გამოყოფს სახსრებს ზოგიერთი მათგანის შენახვისთვის; უფლება აქვს მიანიჭოს სტატუსი “მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი” ისეთ ტერიტორიებს, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინტერესს და მსოფლიო ღირებულებას. ასეთი სტატუსის მიმღებ ტერიტორიებს აქვთ მსოფლიო თანასაზოგადოების ფინანსური და სამეცნიერო მხარდაჭერა.

“იუნესკოს” ეკისრება აგრეთვე ბუნების დაცვის ზოგიერთი ამოცანა, დაკავშირებული ეკოლოგიურ განათლებასთან, ეკოლოგიური ცოდნის და ეკოლოგიური კულტურის ამაღლების პროპაგანდასთან და სხვა.

“იუნესკოს” პროგრამა “ადამიანი და ბიოსფერო” შეიქმნა 1971 წელს და მან გააერთიანა 110 სახელმწიფო – “იუნესკო”-ს წევრი. პროგრამის მიზანია ბუნებრივი რესურსების დაცვის დარგში სპეციალისტების მომზადება, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მქონე ფაქტორების გამოვლენა, სამეცნიერო პოტენციალის მიზიდვა რესურსების რაციონალური გამოყენების მეთოდოლოგიის პრობლემებისადმი, სამეცნიერო პროექტების და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და რეალიზაციაში დახმარების აღმოჩენა. პროგრამის ძირითადი საქმიანობაა მთავარ პრობლემურ მიმართულებებში პროექტების მომზადება და რეალიზაცია. ამ მიმართულებებში ეკუთვნის: ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება და მონიტორინგი, ბუნებრივი რესურსების სტაბილური მართვა, ბიოსფერული ნაკრძალების მართვა და ა.შ. პროგრამის **“ადამიანი და ბიოსფერო”** მთავარი მიზანია დაამტკიცოს, რომ ბუნების დაცვის საქმიანობა არ გამორიცხავს რეგიონის განვითარებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 1972 წელს დაფუძნდა **გარემოს დაცვის სპეციალური სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია (UNEP), (“იუნეპ-ი”)**, რომლის სტრუქტურაში შედის მმართველთა საბჭო, სამდივნო შემსრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობით და გარემოს ფონდი; მისი შტაბ-ბინა მდებარეობს კენიაში, 2001 წლის აპრილამდე UNEP-ში გაერთიანებული იყო “გაერო”-ს წევრი 185 სახელმწიფო. პროგრამის მიზანია ბიოსფეროს რესურსების შესახებ უახლესი მონაცემების

წარმოდგენა, განვითარების დაგეგმვის და მართვის ხელშეწყობა მაქსიმალური სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის დაცვით. პროგრამის ძირითადი საქმიანობაა: გარემოს დაცვის სფეროში პროექტების განხორციელება, ეკოსისტემების შენარჩუნება, გაუდაბნოებასთან, ნიადაგის დეგრადაციასთან, ზღვის გარემოს დაჭუჭყიანებასთან, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, დედამიწის გენეტიკური რესურსების შენარჩუნება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP) შეიქმნა 1965 წელს, პროგრამის შტაბ-ბინა იმყოფება აშშ-ში; პროგრამის მონაწილეა 189 სახელმწიფო; მისი შექმნის მიზანია აღმოაჩინოს დახმარება განვითარებად ქვეყნებს ეფექტური ეკონომიკის შექმნასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში. მისი ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი რესურსების გამოკვლევა, ადგილებზე სასწვლო დანებებულებათა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი - (IUCN) - შეიქმნა 1948 წელს, ამჟამად აერთიანებს 952 წევრს და 36 ასოცირებულ წევრს, შტაბ-ბინა შეიქმნილია მდებარეობს. კავშირის შექმნის მიზანია მსოფლიო ორგანიზაციებისადმი დახმარება და მხარდაჭერა ბუნების მონაწილობის და მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში, ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი, გონივრული გამოყენების უზრუნველყოფა. ორგანიზაცია ახორციელებს თანამშრომლობას მთავრობებს შორის, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების სფეროში; მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მონაცემების შეგროვება იშვიათ და გადაშენებულ ცხოველებზე და აწარმოებს საერთაშორისო "წითელ წიგნს".

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბუნების დაცვის მსოფლიო მოძრაობაში. იგი მუშაობს აწარმოებს შემდეგ გლობალურ საკითხებზე:

- ✓ კლიმატის ცვლილების პროგრამა;
- ✓ ტყეების დაცვის პროგრამა;

- ✓ წყლის დაცვის პროგრამა;
- ✓ სახეობათა დაცვის პროგრამა;
- ✓ ზღვების დაცვის პროგრამა;
- ✓ მომწამლედი ნივთიერებების დაცვის პროგრამა.

ეკოტურიზმის განვითარების პროგრამების დამფინანსებელი საერთაშორისო ორგანიზაციები. ეკოტურიზტული პროგრამების რეალიზაციის დამფინანსებელ უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნის:

რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკი, რომელიც შეიქმნა 1945 წელს, აერთიანებს 180-ზე მეტ ქვეყანას; ბანკის შექმნის ერთ-ერთი მიზანია გარემოს დაცვის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება და ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო პროგრამების და ტექნოლოგიების რეალიზაცია;

ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი შეიქმნა 1961 წელს, აერთიანებს 5 მილიონამდე მუდმივ სპონსორს. ფონდის შექმნის მიზანია გარემოს დეგრადაციის თავიდან აცილება, ადამიანის და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობის განხორციელებაში დახმარება; მისი ძირითადი საქმიანობაა: განახლება ბუნებრივი რესურსების გამოყენების მდგრადი მოდელის შექმნა, ბუნების შენარჩუნების პრობლემისადმი მატერიალური მიდგომის დახმარება. ეს ფონდი ატარებს კვლევებს განვითარებად ქვეყნებში ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობის დასადგენად და აფინანსებს ეკოტურიზმთან დაკავშირებულ პროექტებს;

გლობალური ეკოლოგიური ფონდი შეიქმნა 1990 წელს, აერთიანებს მსოფლიოს 142 ქვეყანას, ახორციელებს გარემოს დაცვის სფეროში პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

მსოფლიოში ეკოტურიზმის განვითარებისათვის შექმნილ **სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს** ეკუთვნის:

ეკოტურიზტული საზოგადოება, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში. ეს საზოგადოება არის კვლევითი, საინფორმაციო და სტრატეგიული საქმიანობის განვითარების ცენტრი. საზოგადოება ახდენს პოლიტიკის ფორმირებას და ამუშავებს პროგრამებს რაციონალური კავშირების შესაქმნელად და მუშაობაში რეგიონული სტრუქტურების ჩასართავად.

ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მონაწილენი ამუშავებენ და ახდენენ ეკოტურიზმის განვითარების მსოფლიო სტრატეგიის კორექტირებას.

სათავადასავლო ტურიზმის ხელშეწყობის ორგანიზაცია აშშ-ში და სხვა.

ეკოტურიზმის მხარდაჭერაში აქტიურ როლს თამაშობენ განვითარებული ქვეყნების აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მუზეუმები, ზოოლოგიური საზოგადოებები.

ტურიზმის სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია არის **მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (მტო)**, რომელიც წარმოადგენს 150 სახელმწიფოს – ნამდვილი წევრის – ინტერესებს. ეს ორგანიზაცია დაარსდა 1975 წლის 2 იანვარს გაეროს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციით; შტაბ-ბინა მადრიდში იმყოფება. მტო-ს გენერალური მდივანი ინიშნება მტო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 4 წლის ვადით.

1975 წლის 27 სექტემბერს მიღებული იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დებულება და 1980 წლიდან ეს თარიღი აღინიშნება როგორც ტურიზმის მსოფლიო დღე, ყოველწლიურად განსაზღვრული დღეებით. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მტო იწვევს სესიას, რომელთა შორის მუშაობს გენერალური ასამბლეის აღმასრულებელი საბჭო; 1977 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ. საქართველო მტო-ს წევრია 1995 წლიდან.

მტო-ს მიზანია ტურიზმის როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და მშვიდობის ხელშეწყობა, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა.

მტო-მ გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე დაამტკიცა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, მიიღო სპეციალური რეზოლუცია მშვიდობის განმტკიცებაში ტურიზმის როლის შესახებ.

მტო-ს სტრუქტურაში მოქმედებს ექვსი რეგიონული კომისია; ესენია: აფრიკის, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აზიის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები; მტო-ს რეგიონული ორგანიზაციების თანამშრომლებს მჭიდრო კავშირები აქვთ ცალკეული რეგიონის

ნის ტურიზმის დარგის თანამშრომლებთან, რათა გამოავლინონ, გაანალიზონ და აღმოფხვრან არსებული პრობლემები და მონახონ რაციონალური გზები ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის.

ტურიზმის დარგში არსებულ პრობლემებს მტო წყვეტს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორცაა "იუნესკო", მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული ტურისტული ორგანიზაციები და სხვა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, განსაკუთრებით ბოლო წლებში, დიდ როლს თამაშობს ტურიზმისა და მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. მტო-ს ტურიზმის მდგრადი განვითარების განყოფილება განაგებს მსოფლიოში ეკოტურიზმის განვითარების საკითხებს.

რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა **ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (მაგატე)**. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს გაეროს ხელმძღვანელობით. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენება, ტექნიკური დახმარების განწევა ამ დარგში, ატომური ელექტროსადგურების მუშაობის უსაფრთხოების ამაღლება, რადიოაქტიური ნარჩენების გაუვნებლობა, რადიოიზოტოპების გამოყენება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში.

ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების, მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს შეისწავლის **ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია**.

სასურსათო რესურსების სასოფლო-სამეურნეო მიწების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების პრობლემებითაა დაკავებული **სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO**.

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვს ცალკეული ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში ეკუთვნის: "ფრინველთა დაცვის საერთაშორისო საბჭო", "ცხოველთა დაცვის მსოფლიო ფედერაცია", "წყლების დაცვის ევროპის ფედერაცია" და სხვა.

1994 წელს დაფუძნდა **საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლო**. თავისი სამართლებრივი სტატუსით ის წარმოადგენს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას. საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლოს მნიშვნელოვან ამოცანებს ეკუთვნის სრულყოფილი სასამართლო-არბიტრაჟული პროცესის ჩატარება, რომლის შედეგად გადაწყდება მეზობელი სახელმწიფოს მიერ გარემოს დაჭუჭყიანების და ეკოლოგიური ზარალის ანაზღაურების შესახებ დავები, აგრეთვე დავები გარემოს დაბინძურების შემდგომი შეჩერების შესახებ; ამ სასამართლომ შეიძლება განიხილოს აგრეთვე დავები მოქალაქეთა ეკოლოგიური უფლებების დაცვის შესახებ.

უახლოეს 5 წელიწადში გლობალური მასშტაბით ტურიზმის განვითარების პროგნოზის თანახმად, რომელიც გამოაქვეყნა ევროპული კავშირის კომისიამ, ერთ-ერთ ძირითად მოტივად (მოგზაურობის უსაფრთხოების შემდეგ) გახდება ეკოლოგიური ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს **გეოინფორმაციული სისტემების** გამოყენებას, რომლებიც შეისწავლიან სივრცობრივი მონაცემების წარდგენის და დამუშავების პრინციპებს, ტექნიკას და ტექნოლოგიას.

საკონტროლო კითხვები

1. ეკოტურისტული საქმიანობის მენეჯმენტის რომელი დონეები იცით?
2. რას უზრუნველყოფს ეკოტურისტული საქმიანობის მართვის საერთაშორისო დონე?
3. რას უზრუნველყოფენ ეკოტურისტული საქმიანობის მართვის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები?
4. როგორია რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ფუნქციები ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის მართვაში?
5. ჩამოთვალეთ ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები და დაახასიათეთ მათი ფუნქციები.
6. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ ეკოტურიზმის განვითარებას?
7. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ სპეციალიზირებული ეკოტურისტული ორგანიზაციები.

8. რა იცით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შესახებ?
9. რა მდგომარეობაა ეკოტურისტული საქმიანობის მართვაში საქართველოში?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

დაახასიათეთ ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები და სპეციალიზირებული ეკოტურისტული ორგანიზაციები.

წარმოადგინეთ და გაანალიზეთ საქართველოში ეკოტურისტული საქმიანობის მართვის არსებული პრაქტიკა

თავი 12. დაცული გუნაზრის ტერიტორიების საქმიანობის დაფინანსება

12.1. გუნაზრის დაცვის საქმიანობის დაფინანსების მსოფლიო პრაქტიკა

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საქმიანობის დაფინანსების სამი ძირითადი მიმართულება:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიური ასიგნება;
- გადასახადები და მოსაკრებები, რომლებიც უშუალოდ ხმარდებიან ბუნების დაცვას და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსებას;
- გრანტები და კერძო პირების შემოწირულობანი, საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბუნების დაცვის ტრასტული ფონდები.

საბიუჯეტო ასიგნება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შემოსავლის ძირითადი სტატიაა, თუმცა ბოლო ათწლეულში მრავალ განვითარებად ქვეყანაში შეინიშნება საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება; კერძოდ, ექსპერტების მონაცემების თანახმად, საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენს იმ მინიმალური თანხის 30%-ს, რომელიც აუცილებელია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შესანარჩუნებლად **განვითარებად ქვეყნებში**.

ეკოლოგიური საჭიროებისთვის სახსრების გამოყოფა ბევრად ჩამორჩება მოთხოვნებს, რაც იწვევს არარაციონალური ბუნებათსარგებლობით გამოწვეულ ზარალის ზრდას. არასრული დაფინანსება ჰქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს ეროვნული პარკების, ნაკრძალების დაცვაში ბრაკონიერების და კანონის სხვა დამრღვევთა მხრიდან.

12.2. გუნაზრის დაცვის მიზნებისათვის სახსრების მოქიანის ღონისძიებანი

ქვემოთ განხილულია ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დასაფინანსებლად; მათი უმრავლესობა შეიძლება გა-

მოყენებული იქნეს საქართველოს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფინანსური შემოსავლების ზრდისთვის:

- ეროვნულ პარკებში უცხოელთათვის უფრო მეტი შესასვლელი ღირებულების დანეხება, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისათვის;

- სეზონის პერიოდში შესასვლელი ღირებულების გადიდება;

- უნიკალური ეკოსისტემების, ობიექტების, მოვლენების, ღირსშესანიშნაობების მქონე პარკებში შესასვლელი ღირებულების გადიდება;

- დამატებითი გადასახადი ახალი საინტერესო, ან ექსკლუზიური მარშრუტების დამუშავებისა და განხორციელებაზე პარკის გამცილებლის თანხლებით;

- ფასიანი ლიცენზიების შემოღება აქტიური დასვენების ისეთ სახეებზე, როგორცაა ალპინიზმი, მღვიმეების მონახულება და სხვა.

ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია გადასახადი ღირებულების ქვეშ ღირსშესანიშნაობების გათვალისწინებაზე და ა.შ.

ბუნების დაცვის საქმიანობის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს გადასახადები და მოსაკრებები, მიმართული უშუალოდ ბუნების დაცვაზე და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსებაზე. მათ რიცხვს ეკუთვნის:

- ბუნებით მსარგებელთა გადასახადი, (მაგალითად გადასახადი დაცული წყალგამყოფების ტერიტორიაზე წყლის მოხმარებისთვის);

- დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის (რესტორნების, მაღაზიების, სასტუმროების, ტურისტული კომპანიების და ა.შ.) მფლობელთა შენატანების გადიდება. ეს ბუნებრივია, რადგან დაცული ბუნებრივი ტერიტორიები ახდენენ ტურისტული ნაკადის ფორმირებას, უზრუნველყოფენ რეკლამას საკუთარ ტერიტორიაზე არსებული სერვისის საწარმოებისათვის;

- გადასახადი დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ან მის ახლოს არსებული გზებით სარგებლობაზე;

- გადასახადი სასტუმროში ცხოვრებაზე. მრავალ ქვეყანაში სასტუმროში მცხოვრებთა ანგარიშში შედის მცირე დამატება ბუნების დაცვაზე. ეს თანხა ჩვეულებრივ არ აღემატება

სასტუმროში ცხოვრების საერთო ღირებულების 1-2%-ს; აღნიშნული დამატება ხორციელდება ნებაყოფილობით, რის შესახებ ანგარიშის ბლანკზე არის სპეციალური ჩანაწერი, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ბევრი მათგანი უარს ამბობს ამ დამატებითი გადასახადის გადახდაზე;

- გადასახადი სანადირო და თევზსაჭერ აღჭურვილობაზე. მაგალითად, აშშ-ში შემოღებულია აქციზი 11%-ის ოდენობით სანადირო იარაღის და მასალის გაყიდვაზე; ამ თანხის 0,5% მიდის ველური ცხოველების რიცხოვნობის აღდგენის ასოციაციის დაფინანსებაზე;

- გადასახადი და მოსაკრებები მომპოვებელი მრეწველობიდან. აშშ-ში მინის და ნყლის დაცვის ფონდში ყოველწლიურად შემოდის მილიარდ დოლარზე მეტი იმ მოსაკრებების ხარჯზე, რომელსაც იხდიან ნავთობის კომპანიები ნავთობის და გაზის საბადოებით სარგებლობის უფლებაზე;

- მოსაკრებები წყალგამყოფების დაცვისთვის, მაგალითად ლაოსში ჰესების მშენებლები მოგების ნაწილს რიცხავენ წყალგამყოფების დაცვის ფონდში, საიდანაც ეს თანხა იხარჯება იმ მთის ფერდობებზე არსებული ტყეების დასაცავად, სადაც იმყოფებიან წყალგამყოფები. ასეთი სისტემა გამართლებულია ეკონომიკურად, რადგან ტყეების შენარჩუნება მთის ფერდობებზე ხელს უწყობს კაშხლის ექსპლუატაციის ვადის გადიდებას 1,5-ჯერ;

- შემოსავლები ლატარეის ბილეთების, საფოსტო მარკების გაყიდვიდან და ა.შ.;

- სამონადირო მოსაკრებები. ზიმბაბვეში თემის ტერიტორიაზე ყოველწლიურად გაიცემა ლიცენზიების გარკვეული რიცხვი სპილოებზე ნადირობისათვის. ლიცენზია გაიცემა ცხოველთა რიცხოვნობის შეფასების და იმ ცხოველთა რიცხვის განსაზღვრის შემდეგ, რომლებზეც შეიძლება ნადირობა პოპულაციებისთვის ზიანის მიუყენებლად. უცხოელი მონადირეებისათვის ლიცენზიის ღირებულება 20 ათასი დოლარია. მიღებული თანხები ადგილობრივი თემის მიერ გამოიყენება სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობისათვის და სხვა საჭიროებისათვის. ასეთმა პრაქტიკამ ეკონომიკური სტიმული მისცა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სპილოების დაცვას და ხელი შეუწყო ბრაკონიერთა შემცირებას; აქვე უნდა აღინიშ-

ნოს, რომ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებული სპორტული ნადირობა სპილოებზე, ლომებზე და სხვა თუმცა იძლევა გარკვეულ შემოსავალს, მაგრამ მონადირეთა მიერ მოკლულ ცხოველებს შეეძლოთ უფრო მეტი შემოსავალი მოეტანათ ქვეყნისთვის ცოცხლად.

- ჯარიმა არაკანონიერად მერქანის დამზადებაზე, ნადირობასა და თევზჭერაზე. ზოგიერთ ქვეყანაში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რეჟიმის დარღვევისათვის ჯარიმის ნაწილი, ან მთელი თანხა მიდის ამ ტერიტორიების მართვის ორგანიზაციაზე;

- ჯარიმა გარემოს კომპონენტების (ჰაერის, წყლის) დაჭუჭყიანებაზე. ბევრ დასავლეთეუროპულ ქვეყანას, აგრეთვე ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) აქვთ გარემოს დაცვის ეროვნული ფონდი, რომელიც ფინანსდება გარემოს დაჭუჭყიანებისათვის გადასახადების და ჯარიმების ხარჯზე;

- სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაციიდან შემოსავლები. ისეთი ქვეყნების მთავრობა, როგორცაა პერუ, ეკვადორი, სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ნაწილს იყენებს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაცვისა და ბუნების დაცვის ახალი ფონდების მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადები, მოსაკრებები და ჯარიმები უნდა განხილულ იქნას როგორც დამატება ბიუჯეტიდან მუდმივ ასიგნებაზე. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, რეკრეაციიდან შემოსული თანხების დიდი ნაწილი მიდის ქვეყნის ბიუჯეტში და არ ბრუნდება შემდეგში ბუნების დასაცავად.

12.3. საერთაშორისო დონორული შეხვეობა

ბუნების დაცვის საქმიანობის დაფინანსების წყაროებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო დონორული შეხვეობა. ბუნების დაცვის ტრასტული ფონდები არის გავრცელებული გზა განვითარებად ქვეყნებში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ხანგრძლივი დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ასეთი ფონდები შეიძლება შეიქმნას პარკის, პარ-

კების სისტემის, ბუნების დაცვის საქმიანობის ცალკეული სახის ფინანსური დახმარების მიზნით. ტრასტულ ფონდებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა იურიდიული ფორმა:

- ნაჩუქრობის ფონდი – ფონდები, რომლებიც განათავსებენ თავის კაპიტალს სამთავრობო, სახაზინო ობლიგაციებში, აქციზებსა და ფასიან ქალაქებში, რათა ჰქონდეთ მუდმივი შემოსავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ფონდები იყენებენ ინვესტიციიდან ყოველწლიურ შემოსავალს, მაგრამ არ ეხებიან საწყის კაპიტალს;

- საამორტიზაციო ფონდები – ხარჯავენ ინვესტიციიდან არა მარტო ყოველწლიურ შემოსავალს, არამედ ძირითადი კაპიტალის ნაწილსაც, მთლიანად ხარჯავენ რა მას 10-20 წლის მანძილზე. ამასთან საერთაშორისო დონორები სთვლიან, რომ ქვეყანამ, რომელიც სარგებლობს დონორული შემწეობით, 10-20 წლის მანძილზე უნდა მიაღწიოს ისეთ დონეს, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ბუნების დაცვის დაფინანსება;

- საბრუნავი ფონდები – განუწყვეტლივ იღებენ ახალ შემოსავლებს ანარიცხებისგან, ჯარიმებიდან და ცდილობენ შემოსული თანხები დახარჯონ შედარებით ჩქარა.

ბუნების დაცვის სატრასტო ფონდების დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, პროექტთა ჯგუფი, რომლებზეც შეიძლება გამოყოფილი იყოს გრანტები, იმ საქმიანობის სახეები, რომლებზეც გრანტები არ გამოიყოფა. ბუნების დაცვის სატრასტო ფონდების პირობებით დასაშვებია თანხების დახარჯვა თანამშრომელთა ხელფასზე, მონყობილობის მომსახურებასა და გამართვაზე, სათბობის საყიდლად, ადმინისტრაციულ ხარჯებზე, მაგრამ ეს ის პუნქტებია, რომლებზეც ძალზე ძნელია დონორთა დახმარების მიღება.

12. 4. ეკოტურისტული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება

ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობა საშუალებას იძლევა არსებითი წვლილი იქნეს შეტანილი რიგი ქვეყნების დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ბუნებისდაცვის საქმიანობის დაფინანსებაში. ეკოლოგიური ტურიზმის საქმის ცოდნით ორგანიზების აუცილებელი პირობაა ტურისტებისაგან

შემოსული თანხების ნაწილის გადარიცხვა დარღვეული ტერიტორიების აღდგენისა და დაცვისათვის. ასეთი პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა ეკოტურისტთა დიდი რიცხვი შეთანწყობილი იქნას ფინანსური სარგებლობის მიღებასთან. აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის მსხვილი ეროვნული პარკების ყოველწლიური ტურისტული ნაკადი აღწევს რამდენიმე მილიონ ადამიანს, შესაბამისად მაღალია ეკოტურიზმიდან ფინანსური შემოსავლებიც, რომელთა ნაწილი ხმარდება დაცული ბუნებრივი ტერიტორიების აღდგენას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებული ნადირობა სპილოებზე, ლომებზე ან ცხოველთა სხვა სახეობაზე თუმცა იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს, მაგრამ მონადირეთა მიერ მოკლულ ცხოველებს წლების მანძილზე შეეძლოთ უფრო მეტი შემოსავალი მოეტანათ დაცული ბუნებრივი ტერიტორიისთვის. ამას ადასტურებს აღმოსავლეთ აფრიკის ბუნებისდამცველ თანამშრომელთა საქმიანობის ძირითადი პრინციპი **“თუ ველურ ცხოველებს მოაქვთ შემოსავალი, ეს ველური ცხოველები დიდხანს იცოცხლებენ”**. მართლაც, კენიის ეროვნული პარკის მონაცემებით ყოველ ლომს წლიურად მოაქვს 27000 დოლარი შემოსავალი, სპილოების ჯოგს კი – 610 000 დოლარამდე. ამრიგად ეს ცხოველები უფრო ფასეულია არა მაშინ, როცა ისინი მკვდარია, არამედ როცა ცოცხლები არიან და წარმოადგენენ ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს. ექსპერტების შეფასებით ნადირობიდან შემოსული თანხები შეადგენენ ტურიზმიდან შემოსული მთლიანი შემოსავლების 10%-ზე ნაკლებს.

საკონტროლო კითხვები

1. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსების რა მიმართულებები იცით?
2. რომელია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსების ძირითადი სტატია?
3. რა მდგომარეობაა განვითარებადი ქვეყნების დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საბიუჯეტო ასიგნებაში?
4. რა ღონისძიებები შეუწყობს ხელს ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის ფინანსური შემოსავლების ზრდას?

5. ბუნების დაცვის მიზნებისათვის სახსრების მოძიების ღონისძიებებიდან რომლები მიგაჩნიათ საქართველოსთვის პერსპექტიულად?
6. ჩამოთვალეთ მსოფლიოს პრაქტიკაში ცნობილი გადასახადები და მოსაკრებები, მიმართული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსებაზე.
7. როგორ ფიქრობთ, მოსაკრებები, ჯარიმები და გადასახადები შეიძლება განვიხილოთ როგორც დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსების ძირითადი წყარო?
8. საერთაშორისო დონორული დახმარების რომელი სატრასტო ფონდები იცით?
9. რა არის ეკოლოგიური ტურიზმის სწორი ორგანიზაციის აუცილებელი პირობა?
10. აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე დაშვებულია ნადირობა, როგორც შემოსავლების ერთ-ერთი წყარო. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

შეირჩიეთ ეროვნული პარკი საქართველოში და წარმოადგინეთ ღონისძიებები, რომლებსაც თქვენ გაატარებდით პარკის შემოსავლების გასადიდებლად.

თავი 13. ეკოტურისტების მომსახურების მენეჯმენტი

13.1. ეკოტურისტების განთავსება

ეკოტურისტების განთავსების საშუალებები იყოფა საერთო და ინდივიდუალურად; ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველ მათგანში ადგილების საერთო რიცხვი უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ მინიმუმს და ობიექტს უნდა ჰყავდეს საერთო ხელმძღვანელობა.

სამთო სასტუმროები განსხვავდებიან ჩვეულებრივი სასტუმროებისგან შენობის არქიტექტურით და დამატებით მომსახურებათა ნაკრებით. მაგ. შვეციაში ქ. იუკასიარვიში ყოველწლიურად აღიმართება სასტუმრო კომპლექსი ყინულისა და თოვლისგან სახელწოდებით “არქტიკის ჰოლი” რესტორანით, კინოთეატრით და საგამოყენო დარბაზით.

მდინარეების ამაზონის და რიუ-ნეგრუს შესართავთან მდებარეობს სასტუმრო “არაუ ჯანგლ ტაუერი”; ხის კოშკები საცხოვრებელი ნომრებით მდებარეობენ უზარმაზარ ხეებზე; ყველაზე მაღლაა ნომერი “შეყვარებული ტარზანი”; ის 60 მეტრის სიმაღლეზეა. სასტუმროს ასეთი განლაგება აიხსნება მშენებლების, არქიტექტორების და რაც მთავარია ტურისტების გულისხმიერი დამოკიდებულებით ბუნებისადმი.

სპეციალიზირებული განთავსების საშუალებები ჩვეულებრივი სასტუმროებისგან განსხვავდებიან აუცილებელი და დამატებითი მომსახურების მინიმალური ნაკრებით, ნომრების და კოტეჯების შედარებით მცირე კომფორტით, აგრეთვე უპირატესად ეკოტურისტების მომსახურებით (ალპინისტების, სანწყალოსნო ტურისტების და ა.შ.). შეთავაზებულ მომსახურებათა ჩამონათვალი პირდაპირ კავშირშია მოცემული კატეგორიის ტურისტების საჭიროებასთან, მაგ. ალპინისტებისთვის – სამთო მარშრუტების აღწერა და აღჭურვილობის გაქირავება, მეთევზეებისთვის – თევზსაჭერი და თევზის დასამუშავებელი მოწყობილობა.

განთავსების სპეციალიზირებული და განთავსების სხვა საერთო საშუალებებია:

ტურისტული ბაზები (ტურბაზები) სასტუმროს ტიპის ნაგებობები, რომლებიც სთავაზობენ ტურისტების ჯგუფებს ღამის გატარებას, კვებას და უზრუნველყოფს მათ ტურისტული ექსკურსიებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და გამაჯანსაღებელ-ფიზიკულტურული მომსახურებით. ტურბაზები მოხერხებულია აგრეთვე შიდა ტურისტების განსათავსებლად.

ალპინისტური ბანაკი სპორტული ბაზაა ალპინისტების სწავლებისა და მათი ხელოვნების სრულყოფისათვის; ისინი ორიენტირებულნი არიან ჩვეულებრივი ტურისტების მომსახურებაზეც. ალპინისტურ ბანაკებში არის მეთოდური და საექიმო კაბინეტი, ალპინისტური და სამთო-სათხილამურო აღჭურვილობის გაქირავების პუნქტი, მაშველი რაზმი, ადგილი საკარავო ბანაკისთვის; მასში გათვალისწინებულია აგრეთვე ტურისტების კვება, კულტმასიური და საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა.

განთავსების სპეციალიზირებული სახეა აგრეთვე **სამთო ქოხები** და თავშესაფარები; ისინი განკუთვნილია მთასვლელთა ხანმოკლე ყოფნისთვის ასვლის წინ, ან უამინდობისას; ისინი აღჭურვილნი არიან ოთახებით ღამის გასათევად, სამზარეულოთი, ტუალეტით.

სადგომი (ბივაკი) არის ტურისტების ჯგუფის განთავსების ადგილი ღამის გასათევად და დასასვენებლად. ბივაკებში, როგორც წესი, გამოიყენება კარვები და საძილე ტომრები, გათვალისწინებულია ადგილი საჭმელის მოსამზადებლად. ბივაკისადმი ძირითადი მოთხოვნაა ტურისტების უსაფრთხოება და დასვენების კომფორტულობა (წყალი, შეშა, სწორი ადგილი კარვის გასაშლელად და სხვა). ბივაკიდან ნაგავის მოცილება ხდება ტურისტთა ჯგუფის მიერ მისი შემდგომი უტილიზაციის, ან დამარხვის გზით.

13. 2 აკომტურისტების კვაბითი მომსახურება

კვება ტურისტული მომსახურების სახეა, რომელსაც საფუძვლად უდევს სამენარმეო საქმიანობა, დაკავშირებული კვებაზე ადამიანის ბიოლოგიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან.

ეკოტურისტების კვების ორგანიზება მოიცავს:

- ⇒ ტურისტის ენერგეტიკული დანახარჯების და საკვების კალორიულობის განსაზღვრას;
- ⇒ ტურისტების გემური უპირატესობების განსაზღვრას;
- ⇒ კვების რეჟიმის შემუშავებას;
- ⇒ ტიპიური მენიუს შედგენას;
- ⇒ პროდუქტების საჭირო რაოდენობის გაანგარიშებას;
- ⇒ სამზარეულოს აუცილებელი აღჭურვილობის, მაგისტის თეთრეულის და ჭურჭლის რაოდენობის ანგარიშს (ღუმელი, სათბობი, ჭურჭელი, ტევადობები ნარჩენებისთვის, სარეცხი საშუალებები და სხვა).

რაციონალური (ბალანსირებული) კვება არა მარტო მაღალხარისხოვანი მომსახურების, არამედ ტურისტთა უსაფრთხოების საწინდარიცაა. მაგალითად უსწორმასწორო ადგილებში ტურისტების გადაადგილება იწვევს ოფლის გამოყოფას და მიკროელემენტების დაკარგვას; წყალში, რომელსაც სვამენ ტურისტები მთის მდინარეებიდან, მიკროელემენტები პრაქტიკულად არაა, ამიტომ ორგანიზმი განიცდის კალციუმის ნაკლებობას, რაც თავის მხრივ იწვევს ძვლების, კბილების ემალის განლევას; ამიტომ მნიშვნელოვანი დატვირთვების დროს, მაგალითად მთის ფერდობიდან დაშვებისას, ფეხის მოტეხვის რისკი იზრდება.

ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების და საკვების კალორიულობის განსაზღვრა საჭიროა ბალანსირებული კვების პრინციპების მხედველობაში მიღებით. საკვები პროდუქტების შერჩევისას მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ:

- კვების კალორიულობა იზრდება ლაქრობის სირთულის ზრდის პარალელურად, ერთ სულზე დღეში 3000-დან 6000 კილოკალორიამდე;

- საკვებ პროდუქტთა წონის განაწილება 1 სულზე 1,5კგ-დან 0,5კგ-მდე დღეში;

- ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ოპტიმალური შეთანწყობა მნიშვნელოვნად არ იცვლება და შეიძლება მივიღოთ 1 : 1 : 4 პროპორციის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს რომ შიმშილის და მადრობის გრძნობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვეულებრივ პირობებში, არ არიან ინდიკატორები ორგანიზმის მიერ საკვების მოთხოვნაზე მთებში,

რადგან დიდ სიმძლავრეზე მადის დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა; დადგენილია აგრეთვე, რომ ტურისტის წყურვილის გრძნობას განიცდის იმ მომენტში, როცა წყლის დეფიციტი ორგანიზმში დაახლოვებით 2 ლიტრს აღწევს; ალპინიზმის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისიის მონაცემებით, ასვლისას ენერგოდანახარჯები შეადგენს 6 კკალ-ს ერთ საათში სხეულის მასის 1 კგ-ზე, ე.ი მთამსვლელისათვის, რომლის მასა 80 კგ-ია და მარშრუტზე დღეში მუშაობს 10 საათს, საჭიროა 4800 კკალ დღეში მარტო ენერგოდანახარჯების დასაფარად (გავიხსენოთ, რომ ენერგოდანახარჯები გონებრივად მომუშავე მენეჯერისთვის შეადგენს 2200 კკალ-ს დღეში). ცხადია კვების ჩვეულებრივი რეჟიმით და რაციონით ამ დანახარჯების დაფარვა შეუძლებელია. ამიტომ მძიმე ასვლის შემდეგ ენერგოდანახარჯების აღსადგენად საჭიროა ასვლებს შორის შესვენება 24-დან 36 საათამდე და გაძლიერებული კვება ცილების დიდი რაოდენობის თანხლებით მაშინაც კი, თუ ტურისტებს არა აქვთ დადლილობის შეგრძნება.

ტურისტებისთვის საჭირო ენერგიის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია ამ ენერგიის უზრუნველყოფი წყაროების დადგენა; ორგანული წარმოშობის საკვებ ნივთიერებებს შორის ნამყვანი მნიშვნელობა აქვს ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს, რომლებსაც ძირითად საკვებ ნივთიერებებს უწოდებენ.

ნახშირწყლები ენერგიის მნიშვნელოვანი წყაროა მოგზაურობაში. ნახშირწყლებიდან ორგანიზმი ენერგიას იღებს 3-ჯერ უფრო ჩქარა და ჟანგბადის ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ცხიმებიდან; ამიტომ ტურისტის დღე-ღამური რაციონის ნახევარზე მეტი უნდა შედგებოდეს ნახშირწყლებისგან; მათი მიღება სასურველია ყოველ 2 საათში, ამასთან ნახშირწყლები უნდა იყვნენ ადვილად ასათვისებელ ფორმაში; ნახშირწყლების შემცველი პროდუქტებიდან რეკომენდირებულია გამშრალი ხილი, შაქარი, შოკოლადი და სხვა.

ციმები კვების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ ნაკლებ ღირებული როგორც ენერგიის წყარო ძნელად ათვისებადობის გამო. გარდა ამისა ცხიმებიდან ენერგიის მისაღებად ორგანიზმი ხარჯავს ბევრ წყალს და მეტ დროს; ცხიმებიდან მიღებული ენერგია მოგზაურობაში არ უნდა აღემატებოდეს რაციონის სრული კალორიულობის 30-35 %-ს; ამიტომ არ

არის აუცილებელი მათი მიზანმიმართული მიღება - პროდუქტების და კერძების დიდი ნაწილი შეიცავს ცხიმებს; ცხიმების წყაროა ძხვეული, ცხიმოვანი ხორცი, ხორცის შებოლილი ნაწარმი და სხვა.

ცილები ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ყურადღება უნდა მიექცეს მცენარეული და ცხოველური ცხიმების ბალანსირებულ შემცველობას; აღსანიშნავია, რომ ვეგეტარიანული რაციონი ვერ ფარავს ორგანიზმის მოთხოვნებს შეუცვლელ ამინომჟავებზე; ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს შეუცვლელი ამინომჟავების მიღება აბების სახით; ცილებიდან მიღებული ენერგია უნდა შეადგენდეს კვების რაციონის საერთო კალორიულობის 10-20 %-ს. ცილების წყაროა ხორცი, რძე, ყველი და სხვა.

ვიტამინები არეგულირებენ ორგანიზმის სასიცოცხლო სისტემების მოქმედებას და ამაღლებენ იმუნიტეტს. ვიტამინებით მდიდარია ახალი ხილი, მაგრამ აუცილებელია მულტივიტამინების კომპლექსის სახით ვიტამინების მიღება ვიტამინების დეფიციტის დროს, აგრეთვე როცა ექსპედიციის ხანგრძლივობა ერთ კვირას აღემატება.

წყალი ის გარემოა, რომელშიც მიმდინარეობს ორგანიზმში ყველა ბიოქიმიური რეაქცია. ის ორგანიზმში მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, მათ რიცხვში გულის მუშაობის რეგულაციას; მაღალმთიან რაიონში და ცივ ამინდში მძიმე სამუშაოს შესრულება იწვევს საათში 2 ლიტრზე მეტ წყლის დანაკარგებს; წყალი იკარგება აგრეთვე შარდთან, ოფლთან ერთად და სუნთქვის დროს, განსაკუთრებით დიდია წყლის დანაკარგები "მთის დაავადებისას", დიარეის დროს დანაკარგები დღეში 8 ლიტრს შეადგენს.

ორგანიზმში წყლის დანაკარგები დროულად უნდა შეივსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტურისტი აღმოჩნდება გულის მოქმედების დარღვევის რისკის ქვეშ (ტრომბოფლებიტი, გულის უკმარისობა). ამიტომ გიდმა უნდა მოითხოვოს, რომ ტურისტის ზურგჩანთაში ყოველთვის იყოს თერმოსი სითხით (ჩაი, ვიტამინიზირებული სასმელები და სხვა)

წყალ-მარილის რეჟიმი. წყლის დანახარჯები ტურისტის ორგანიზმში ძალზე დიდია და მაღალი ტემპერატურის, დიდი ფიზიკური დატვირთვის და ჰაერის დაბალი ფარდობითი ტენი-

ანობის დროს აღწევს 3-5 ლიტრს დღე-ღამეში. ამ დანახარჯის შევსებაში გვეხმარება წყალ-მარილის რეჟიმის მკაცრი დაცვა.

სითხის მიღება ლაქრობისას ძირითადად რეკომენდირებულია საუზმის, სადილის და ვახშმის დროს; მხოლოდ ამ მომენტებში შეუძლიათ ტურისტებს სვან წყალი წყურვილის სრულ დაკმაყოფილებამდე; ცხელ დღეებში დასაშვებია მცირე შესვენებისას პირსა და ყელში წყლის გამოვლება. **მოდრაობისას წყლის დაღევა არ შეიძლება.** წყურვილის შემთხვევაში დასაშვებია მომუავეო კენკრა, ყინულ-კარამელის, მშრალი შავი ქლიავის წუნვნა.

მიკრო- და მაკროელემენტები არიან ძირითადი საშენი მასალა ძვლების, კბილების, ჰორმონების, ფერმენტების, ჰემოგლობინისთვის. რადგან მთის მდინარეების და წყაროს წყლები არ შეიცავენ მიკრო- და მაკროელემენტებს, ხდება მათი ინტენსიური "გამორეცხვა" ორგანიზმიდან, რაც იწვევს დეფიციტს; ამის გამო მოსალოდნელია მთამსვლელებში მუხლის სახსრის ტრამვები, კბილების ემალის და ძვლების განღევა. კალციუმის პრეპარატების მიღება თავიდან აგვაცილებს მაკრო- და მიკროელემენტების ნაკლებობით გამოწვეულ ტრამვებს.

უჯრედანა სასარგებლოა საქმელის მონელებისთვის ორგანიზმის გადასვლისას კვების ახალ რეჟიმში, თუმცა მაღალ მთებში მოგზაურობისას ის აძლიერებს გაზნარმოქმნას და ხელს უწყობს მაღლივი მეტეორიზმის განვითარებას.

საგემოვნო დანამატები (სოუსები, მაიონეზი, კეტჩუპი, მდოგვი, სანელებლები, წინაკა, ხახვი, ნიორი) აძლიერებენ მადას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მადის დროებით დაკარგვის დროს აკლიმატიზაციის პირობებში. ზოგიერთი ბოსტნეული (ნიორი, ხახვი, წინაკა) საუკეთესო საშუალებაა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის; ნიორი აფერხებს პათოგენური მიკროორგანიზმების განვითარებას და ამცირებს აირნარმოქმნას. კვების რეჟიმის და მენიუს შედგენისას რეკომენდირებულია:

- კვების დღე-ღამური რაციონი უნდა იყოს მრავალფეროვანი;

- დილას საუზმე უნდა იყოს მსუბუქი სითხის მნიშვნელოვანი რაოდენობით;

- სიარულის დროს ყოველ 2 საათში შესვენების მოწყობა, რომელთა დროს ტურისტები შეძლებენ ნახემსებას და სითხის მიღებას;

- კვების რაციონიდან ალკოჰოლი უნდა გამოირიცხოს;

- სასიარულო დღის დამთავრების შემდეგ ტურისტებმა უნდა მიიღონ საკვები, რომელშიც სჭარბობს სითხე და ნახშირწყლები.

კვების ყველაზე რაციონალური რეჟიმია ოთხჯერადი კვება 4-5 საათის ინტერვალით საკვების მიღებათა შორის. ცხადია მოგზაურობისას ძნელია ასეთი რეჟიმის დაცვა, ამიტომ უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა სამჯერადი კვების რეჟიმი. ცხელი კვება უნდა განხორციელდეს დღეში 2-ჯერ მაინც, საკვების დანარჩენი მიღებები ხდება დიდ შესვენებებზე ყოველი 2-3 სასიარულო საათის შემდეგ. ამიტომ მარშრუტზე გასვლის წინ ტურისტებს ურიგდებათ ლანჩპაკეტები, რომლებიც შეიცავენ ნახშირწყლებით მდიდარ (შოკოლადი, კანფეტი, მშრალი ხილი და სხვა) პროდუქტებს და ავსებენ ტურისტების თერმოსებს ჩაით, ყავით, მდულარე წყლით და სხვა.

ტიპიური მენიუს შედგენა ხდება სეზონის დასაწყისში ტურისტების მომსახურების პროგრამის შესაბამისად, ერთი კვირის ვადით, რაც დაყოფილია დღეების მიხედვით; თუ მოგზაურობა 7 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, ტიპიური მენიუ მეორდება.

მოგზაურობის პირველ დღეებში სასურველია დაცული იქნას სამჯერადი ცხელი კვება 2 ნახემსებით გადასასვლელების დროს. ეს ეხმარება ორგანიზმს აკლიმატიზაციაში და კვების ახალ პირობებთან ადაპტირებაში; ამ დროს გამოირიცხულია ეროვნული სამზარეულოს კერძების ჩართვა მენიუმში, განსაკუთრებით უცხოური ტურისტებისთვის.

სამჯერადი კვება მოიცავს საუზმეს, სადილს და ვახშამს. საუზმე ერთის მხრივ უნდა იყოს კალორიული, რათა შეიქმნას ენერგეტიკული მარაგი მუშაობისთვის (ყველაზე დიდ ფიზიკურ დატვირთვას ადგილი აქვს სადილამდე პერიოდში); მეორეს მხრივ ზოგიერთ ტურისტს არ შეუძლია ჭარბი საუზმის მიღება; საუზმეზე უნდა მოდიოდეს კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის 30%; ის უნდა იყოს მდიდარი ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლებით.

სადილმა უნდა შეავსოს ორგანიზმში წარმოქმნილი ენერგოდანახარჯების დეფიციტი. ის უნდა უზრუნველყოფდეს კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის 45%-ს.

ვახშამის მიზანია დღის მანძილზე დახარჯული კალორიების შევსება და ორგანიზმის მომზადება სამოგზაუროდ მეორე დღისთვის; ერთის მხრივ ის უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით ცილებს, რათა აცილებული იქნას ენერგიის დეფიციტით გამოწვეული კუნთოვანი ქსოვილების დაშლა, მეორე მხრივ კი - ძნელად ასათვისებელი და ნერვული სისტემის აღმგზნები პროდუქტების მინიმალურ რაოდენობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ზამთრის მოგზაურობებში, როცა ვახშამის შემდეგ ტურისტები ჩქარა წვებიან დასასვენებლად, სავსე კუჭი აწვება დიაფრაგმას და ხელს უშლის გულის და ფილტვების ნორმალურ მუშაობას; ამ დროს ირღვევა ძილის რეჟიმი და არ ხდება სრულყოფილი დასვენება.

საუზმე შეიძლება მომზადდეს საღამოს და ავტოკლავი მზა საუზმეთი შეიდგას საძინებელ ტომარაში, რათა ტურისტებს დილით ჰქონდეთ ცხელი კერძი; ეს დაეხმარებათ მათ გათბობაში დილის სიცივეში, სამუშაო რეჟიმში შესვლასა და სასიარულო საათების რიცხვის გაზრდაში იმ გაჩერებების ლიკვიდაციის ხარჯზე, რომლებიც დანიშნულია ცხელი საუზმის მოსამზადებლად.

მენიუს შედგენის წინ უნდა დაზუსტდეს ტურისტების კვებითი მიდრეკილებები; მაგალითად წინიბურას ფაფა პოპულარულია რუსი ტურისტებისათვის, მაგრამ მიუღებელია გერმანელი ტურისტებისათვის (გერმანიაში წინიბურას ბურღულით ღორებს ჰკვებავენ). აუცილებელია აგრეთვე მენიუს სპეციალური ვარიანტის შედგენა ვეგეტარიანელებისთვის.

რადგან ტურისტული მომსახურება უპირველეს ყოვლისა არის ადამიანური ურთიერთობები ტურისტსა და მომსახურე პერსონალს შორის, ამიტომ ხშირად მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია პერსონალის პროფესიულ მომზადებასა და მორალურ ფასეულობებზე. რესტორნების, სასტუმროების, ტურფირმების აღჭურვილობა ხშირად იდენტურია, რაც თანამედროვე პირობებში წარმატების ერთადერთ პირობად პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას განაპირობებს. ტურმომსახურების მიმწოდებელთა შერჩევისას მხედველობა-

ში უნდა იქნას მიღებული მომსახურების ხარისხისადმი მათი დამოკიდებულება; უგემური, გაცივებული კერძები შეიძლება გახდეს ტურისტთა პრეტენზიის მიზეზი ტუროპერატორების ან გიდისადმი, თუმცა მათ პრაქტიკულად არა აქვთ დამოკიდებულება კონფლიქტის მიზეზთან.

მომსახურების პროგრამის შესრულებისას სასურველია არა მარტო დანაპირების შესრულება, არამედ ტურისტთა მოლოდინის გადაჭარბებაც, მათთვის სიურპრიზების გაკეთება.

საკონტროლო კითხვები

1. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ეკოტურისტთა განთავსების საშუალებები.
2. რით განსხვავდებიან სპეციალიზირებული განთავსების საშუალებები ჩვეულებრივი სასტუმროებისგან?
3. რა უნდა მივიღოთ მხედველობაში კვების რეჟიმის და მენიუს შემუშავებისას?
4. რა არის ბალანსირებული კვება? როგორია ენერგოდანახარჯები გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანისა და მთამსვლელისათვის?
5. ორგანული წარმოშობის რომელი საკვები ნივთიერებების შემცველობაა აუცილებელი კვების დღე-ღამურ რაციონში?
6. მინერალური წარმოშობის რომელი ნივთიერებების შემცველობაა აუცილებელი კვების დღე-ღამურ რაციონში?
7. როგორია ნახშირნლების როლი ტურისტთა კვებაში?
8. რაზეა დამოკიდებული კვების რეჟიმი და როგორ გავანაწილოთ კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობა საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე?
9. როგორ ხდება ტიპიური მენიუს შედგენა?
10. როგორ დავიცვათ წყალ-მარილის რეჟიმი მოგზაურობისას?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

შეარჩიეთ 6 ტურისტისაგან შემდგარი ჯგუფისთვის 3 დღიან მოგზაურობაში საჭირო პროდუქტები, განსაზღვრეთ მათი რაოდენობა და შეადგინეთ კვების რეჟიმი და მენიუ თითოეული დღისათვის თუ ტურისტის ენერგოდანახარჯები დღეში საშუალოდ 5000 კილოკალორიაა.

თავი 14. საგანმანათლებლო პროგრამები და ტექნოლოგიები ეკოტურიზმში

ეკოტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსახლეობის ფართო მასების ეკოლოგიური განათლება. გარემოს დაცვის დარგში სპეციალისტების მომზადების და მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ფორმირების მიზნით საჭიროა ზოგადი და კომპლექსური ეკოლოგიური განათლების სისტემის შემუშავება, რომელიც მოიცავს სკოლამდელ ზოგად განათლებას, საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ განათლებას, უმაღლესი განათლების შემდგომ პროფესიულ განათლებას, პროფესიულ გადამზადებას და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე ეკოლოგიური ცოდნის გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კულტურის და ბუნების დაცვის დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის ორგანიზაციების დახმარებით.

ადამიანის სწრაფვამ ბუნებისკენ, მათ შორის ეკოტურიზმაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მას, თუ ეს სწრაფვა არ ემყარება ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებას.

კარგად ორგანიზებული ეკოლოგიური ტურიზმი, აღჭურვილი ეკოლოგიური ბილიკებით, მცირე არქიტექტურული ფორმებით, ხელს უწყობს ეკოლოგიურ აღზრდას, მის ორგანიზატორებს კი უზრუნველყოფს მაღალი შემოსავლებით გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად.

გარემოს დეგრადაციას ხშირად ხელს უწყობს თვითმოქმედი ტურიზმი, რომელიც ცუდად ექვემდებარება რეგულირებას; განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს ხანძრებს, აღძრულს ტურისტების ცეცხლთან არაფრთხილი დამოკიდებულების გამო.

ეკოტურიზმის ბუნებათდაცვის ხასიათი მდგომარეობს რეკრეაციული ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნების უპირობო შენარჩუნებაში. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ეკოტურიზმის პრაქტიკაში გამოიყენებული ბუნებისდაცვის საგანმანათლებლო ტექნოლოგიები.

საგანმანათლებლო საქმიანობას ეკუთვნის ეროვნული პარკების და ნაკრძალების თანამშრომლების მუშაობა ექსკურსანტებთან, ტურისტებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან.

ნაკრძალების და ეროვნული პარკების თანამშრომლები კითხულობენ ლექციებს ბუნების შესახებ, ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, ამუშავებენ ეკოლოგიური ბილიკების მარშრუტებს; სათანადო სპეციალობის სტუდენტები უნდა გადიოდნენ სანარმოო პრაქტიკას ეროვნულ პარკებში, ატარებდნენ სამეცნიერო კვლევებს, ასრულებდნენ საკურსო და სადიპლომო სამუშაოებს.

მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის სფეროსთვის მენეჯერ-ეკოლოგების მომზადება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ეკოტურისტული პროგრამების რეალიზაციაში და უზრუნველყოფენ ტურისტული სერვისის ისეთი სფეროების უსაფრთხოებას და კომფორტულობას, როგორცაა კვება, სატრანსპორტო მომსახურება. ეკოტურიზმში ეკოლოგების საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებებია ბუნებრივი ტერიტორიების რაციონალური გამოყენება, რეკრეაციით მიღებული ეკონომიკურ სარგებლიანობასა და ბუნებრივი ტერიტორიების უსაფრთხოებას შორის ბალანსის დამყარება.

ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ პროცესის ყველა მონაწილის ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება, დაწყებული ტურისტებიდან და რეკრეაციული ტერიტორიის მცხოვრებლებიდან მის ორგანიზატორებამდე, მხედველობაშია ტუროპერატორები, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები; ამ პროცესში განსაკუთრებული როლი შეუძლიათ ითამაშონ დაცული ბუნებრივი ტერიტორიების თანამშრომლებმა, ტურისტული ინდუსტრიის თანამშრომლებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომელნიც ამზადებენ ამ სპეციალისტებს.

მოსახლეობის ფართო მასების ეკოლოგიური განათლების როლი ძალზე დიდია; შეუძლებელია ყოველ იშვიათ ხეს, ცხოველს მივუჩინოთ თავისი დამცველი. ხშირად მხოლოდ ადამიანის შინაგან კულტურას შეუძლია შეაჩეროს მის მიერ ბუნებისთვის ზიანის მიყენება.

როცა ადამიანთა უმრავლესობა გააცნობიერებს, რომ ეკოლოგიური დანაშაული ჩვეულებრივი დანაშაულია და არა საპატიებელი საქციელი, რომ ეკოლოგიური ბოროტმოქმედი მდიდრდება ჩვენი ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიმედოვნოთ ეკოლოგიური კრიზისის მშვიდობიანად დაძლევაზე.

ამრიგად, ეკოტურიზმი ახორციელებს ბუნებრივი ეკოსისტემების, მათი კომპონენტების, ან ეკოლოგიური დანიშნულების ობიექტების გაცნობას საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო მიზნით.

აუცილებელია საზოგადოებაში იმ შემეცნების განმტკიცება, რომ ბუნებრივი რესურსები ამოუწურავი არ არის და რომ თანამედროვე საზოგადოებას უფლება არა აქვს იცხოვროს მომავალი თაობების ხარჯზე. თანამედროვე საზოგადოება ვალდებულია შეუნარჩუნოს და დაუტოვოს ბუნება მომავალ თაობებს არა მარტო გაულარიბებელი, არამედ შეძლებისდაგვარად გამდიდრებული.

ეკოლოგიური აღზრდის და განათლების ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი შემეცნების ეკოლოგიზაცია, რომელიც ქმნის წინამძღვრებს კაცობრიობის მდგრადი განვითარების პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის.

14. 1. ტურისტების ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება

ეკოტურებში მონაწილე ტურისტების ეკოლოგიური შემეცნების დონის ასამაღლებლად დამუშავებულია რიგი პროგრამების და ტექნოლოგიების, რომლებიც წარმატებით გამოიყენებიან მსოფლიოს ეროვნული პარკების მიერ.

ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის სპეციალური რეკომენდაციები გამოქვეყნებული იყო 1992 წელს ბროშურაში "ეროვნული პარკების და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების განვითარება ტურისტული მიზნებისათვის", რომელიც მომზადებული იყო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს შესახებ პროგრამასთან ერთად. ბროშურის ავტორების აზრით განათლება და განმარტება – ეს ის საკვანძო ინ-

სტრუმენტებია, რომლებიც პარკის ადმინისტრაციას შეუძლია გამოიყენოს მართვის გაუმჯობესებისა და ტურისტების ეკოლოგიური ცოდნის ამაღლებისათვის. საგანმანათლებლო მუშაობა უნდა მიმართული იყოს ბუნებრივი მოვლენების ურთიერთკავშირის კონცეფციის განმარტებაზე, პარკის ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების და გადასაწყვეტი ამოცანების გაგებაზე, ტურისტებში ბუნებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებისა და მისი დაცვის სურვილის გამომუშავებაზე.

საინფორმაციო-განმარტებითი მუშაობა პარკში უნდა იყოს განათლების სხვადასხვა დონის, სხვადასხვა მოთხოვნის მქონე ტურისტებისათვის. ერთნი ამჯობინებენ იმოგზაურონ ჯგუფთან ერთად და მიიღონ გიდის სტანდარტული განმარტებები, სხვებს სურვილი აქვთ დამოუკიდებლად გააღწიონ პარკის ბილიკებზე საინფორმაციო ბროშურის დახმარებით და ა.შ. ამიტომ პარკები ისწრაფვიან მომხმარებელს მიაწოდონ სხვადასხვა ინფორმაცია.

ტურისტების მიერ ეკოლოგიური ინფორმაციის მისაღებად იხმარება:

✓ მეგზური-ბილიკები – სხვადასხვა სიგრძის ბილიკები, რომლებზეც ცალკეული ტურისტები, ან ტურისტთა ჯგუფები ჩერდებიან ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ამ ბილიკებზე ტურისტებს უზრუნველყოფენ ბროშურებით, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ბილიკის მიდამოებში არსებული ცალკეული ობიექტების შესახებ;

✓ ექსკურსია გიდის თანხლებით. გიდები თან ახლავენ ტურისტთა ჯგუფებს საფეხმავლო, საცხენოსნო, საავტომობილო და სხვა ბილიკებზე, აჩვენებენ და განიხილავენ გზაზე შემხვედრ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს. ექსკურსიის ჩატარების ასეთი ხერხი განსაკუთრებით ეფექტურია მოსწავლეებთან და სტუდენტებთან; ზოგიერთ შემთხვევაში გიდის როლი შეიძლება შეასრულოს მასწავლებელმა და არა პარკის თანამშრომელმა;

✓ ტურისტთა საინფორმაციო ცენტრები – სპეციალური შენობებია, რომლებშიც ტურისტებს სთავაზობენ უფრო დანვრილებით ინფორმაციას ტერიტორიის, მისი მობინადრეების, პარკის ღირსშესანიშნაობების და ა.შ. შესახებ;

✓ განათლების ცენტრები – სთავაზობენ უფრო სამეცნიერო, ვიდრე შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციას. განათლე-

ბის ცენტრებში ჩვეულებრივ იქმნება პირობები მეცადინეობების და დისკუსიების ჩასატარებლად, არის მოწყობილობა სლადების და ფილმების საჩვენებლად და სხვა;

✓ ბოტანიკური ბაღები და თავშესაფარები ცხოველებსათვის. ბოტანიკური ბაღები იძლევიან შესაძლებლობას ხანმოკლე ექსკურსიების ჩარჩოებში გაეცნენ რეგიონში გავრცელებულ მცენარეთა კოლექციას, ველური ცხოველების თავშესაფარებს;

✓ პარკის მუშაკებთან არაფორმალური ურთიერთობა. ეკოლოგიური პრობლემების მცოდნე და მათდამი არაგულგრილ ხალხთან ურთიერთობამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს დამსვენებელთა მსოფლმხედველობაზე;

✓ ტურისტთა აზრის გაცნობა და გამომხატურებათა შეგროვება. პარკის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს უკუკავშირი ტურისტებთან (განხილვა, წინადადებათა წიგნში ჩანაწერები, საფოსტო ყუთები) რათა გაიგოს რამდენად წარმატებულია მისი პროგრამა და მოქმედებები, მიმართული ტურისტთა ეკოლოგიურ აღზრდაზე და მოახდინოს ამ პროგრამების კორექტირება არასაკმარისი ეფექტურობის შემთხვევაში.

ეკოლოგიური ბილიკები. ეკოლოგიური მარშრუტების სწორად ორგანიზებული ქსელი ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების დიდი ნაწილის შენარჩუნებას დაურღვეველ მდგომარეობაში. თითოეულ ეროვნულ პარკში მიზანშეწონილია დამუშავდეს და აღიჭურვოს ისეთი ალტერნატიული სპეციალიზირებული ბილიკები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნება განსაკუთრებით პოპულარულ მარშრუტებზე ანთროპოგენური დატვირთვის შემცირება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ეკოლოგიური ბილიკის სიგრძე უნდა იყოს 0,5-1,5 კმ; მისი გავლის დრო კი - არა უმეტეს 30-50 წუთი.

ბილიკი უნდა გაკეთდეს ერთმხრივი მარყუჟის სახით; ბილიკის გასწვრივ დადგმული უნდა იყოს ნიშნები, რომლებიც განმარტავენ ღირსშესანიშნაობების განლაგებას საინფორმაციო ბროშურაში მათი არსებობის შესაბამისად. ბილიკის დაპროექტების და შესრულების დროს რეკომენდირებულია წინასწარ ტერიტორიის გამოკვლევა, ყველა ბუნებრივი და ისტორიუ-

ლი ღირსშესანიშნაობათა ჩამონათვალის შესადგენად; ბილიკის დაპროექტებისას აუცილებელია ციცაბო მთის ფერდობების და ტერიტორიის წყლით დაფარული მონაკვეთების შემოვლა. ზოგიერთ ადგილებში, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ხის ხიდების და სხვა მოწყობილობათა მშენებლობა. შემდეგ ხდება ბილიკების კეთილმოწყობა; ფეხით მოსიარულეთა ნაწიხლება იწმინდება დაბრკოლებებისგან, ჩამონეული მცენარეები იკაფება 2 მეტრის სიმაღლემდე, ბილიკზე არსებული ჩაღრმავებები ივსება მიწით და ქვიშით; ბილიკის დასაწყისში იდგმება ფარი საბაზისო ცნობებით - სქემით და სიგრძის ჩვენებით.

ჩვეულებრივ მიზანშეწონილია ერთი ეკოლოგიური ბილიკის ფარგლებში 12, მაქსიმუმ 30 ღირსშესანიშნაობასთან გაცნობა. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, საინტერესო, მოკლე და ადვილად გასაგები.

რეკრეაციული ტერიტორიების მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება არის ეკოტურიზმის ერთ-ერთი საბაზისო მიმართულება, სპეციალურად გათვალისწინებული ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის პროგრამებში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც ეწევიან პროპაგანდას გარემოს დაცვის, ველური ბუნების შენარჩუნების და სხვა იდეების სფეროში, აქვთ შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა ეკოლოგიური განათლების სხვა ფორმებთან შედარებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია, ბოლო წლებში კი ინტერნეტი, უზრუნველყოფენ ბუნების დაცვის და ეკოლოგიურ-ტურისტული მიმართულების პროექტების ხელშეწყობას. ინტერნეტში წარმოდგენილია ცალკეული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საიტები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების საიტები, რომლებიც სთავაზობენ ინფორმაციას ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის შესახებ.

ეკოლოგიური განათლება, აღზრდა ეხმარება ადამიანს იმის გაცნობიერებაში, რომ ბიოსფერო არ არის სამუდამოდ ბოძებული ბუნებისაგან, რომ ბიოსფერო თვითგანვითარებადი გლობალური ეკოსისტემაა, წარმოქმნილი დაახლოებით 3,5 მილიარდი წლის წინ და რომ მასში არსებობის და მომავალში თავისი გვარის გაგრძელებაზე თანაბარი უფლება აქვს ყველა ცოცხალ ორგა-

ნიზმს. ის, რომ ადამიანი დაჯილდოვებულია გონებით, ზრდის მის პასუხისმგებლობას პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებაში.

საკონტროლო კითხვები:

1. რას უნდა ითვალისწინებდეს ზოგადი და კომპლექსური ეკოლოგიური განათლების სისტემა გარემოს დაცვის დარგში სპეციალისტების მომზადებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ფორმირების მიზნით?
2. ვისზეა დამოკიდებული ტურისტული პროცესის ყველა მონაწილის ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება?
3. რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი შემეცნების ეკოლოგიზაციას?
4. ჩამოთვალეთ ტურისტების მიერ ეკოლოგიური ინფორმაციის მიღების საშუალებები.
5. როგორ უნდა იყოს მონყობილი ტურისტული ბილიკები?
6. როგორია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი ეკოლოგიურ განათლებაში?
7. როგორ ხდება რეკრეაციული ტერიტორიების მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლება?
8. სარეკლამო პროდუქციის რომელ სახეებს სთვლით ყველაზე ეფექტურად?
9. თქვენი აზრით როგორია საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ამაღლებაში?
10. თქვენი აზრით რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს საქართველოს მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დონის ასამაღლებლად?

დავალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად.

შეადგინეთ იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელნიც პროფესიონალურად ანარმოებენ ინფორმაციის შეკრებას და დაგროვებას ეკოტურიზმში. რამდენად სასარგებლოა მათგან მიღებული ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისთვის?

15.1. ეკოტურიზმის უსაფრთხოება

ტურიზმის უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ტურისტის პირადი უსაფრთხოება, მისი ქონების შენახვა და მოგზაურობისას გარემოსთვის ზიანის მიუყენებლობა.

მოგზაურობის უსაფრთხოება ეკოტურიზმის უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს ურთულესი პრობლემაა. მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა ბუნებრივი, სოციალური, ეპიდემიოლოგიური და სხვა საშიშროებათა უგულებელყოფას მოსდევდა ტურისტთა მსხვერპლი. არსებული მონაცემებით ალპებში სამთო მარშრუტებზე ყოველწლიურად 300-400 კაცი იღუპება; სამაშველო სამსახურების ცნობით უბედურ შემთხვევათა რიცხვი წლიდან-წლამდე 13,5-17 %-ით იზრდება.

მოგზაურობები მთებში, უდაბნოებში, ძნელად მისადგომადგილებში ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების ძირითადი ხერხი მათი პროფილაქტიკაა, რადგან -საშიში სიტუაციები ძალზე სწრაფად ვითარდებიან და ადამიანს არა აქვს საშუალება გაანალიზოს მდგომარეობა და აირჩიოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ამიტომ კრიზისული სიტუაციების დასაძლევად უფრო ადრე უნდა ვემზადოთ.

ეკოტურიზმის უსაფრთხოების მაღალი ხარისხი მიიღწევა მხოლოდ ეკოტურისტულ პროცესში მონაწილე ყველა ადამიანის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად, საყურადღებოა აგრეთვე, რომ ტურიზმში უბედურ შემთხვევათა რიცხვი პირდაპირ პროპორციულია ტურისტების რიცხვის.

მოგზაურობის უსაფრთხოება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ტურისტების ყოფაქცევაზე. მოცემულ კონკრეტულ რეგიონში სიტუაციის ცოდნა ეხმარება ტურისტს შექმნილ გარემოებაში ორიენტირებაში, საკვების შერჩევაში, პირადი ჰიგიენის დაცვაში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ცნობილია, რომ უბედურ შემთხვევათა ძირითადი

თადი ნაწილი თვით ტურისტების საქციელით არის განპირობებული. ტურისტულ ფირმაში ტურისტმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ქცევის წესების ცოდნის შესახებ; ცნობილია აგრეთვე, რომ უბედურ შემთხვევათა მიზეზი შეიძლება იყოს **სუსტი ხელმძღვანელობა**, ანუ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ძალზე დიდია ვიდების როლი; მრავალი ტაქტიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული შეცდომა დაკავშირებულია სუსტ ხელმძღვანელობასთან.

ეკოტურიზმში უბედურ შემთხვევათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ღონისძიებაა ტურისტის ფიზიკური მომზადება მომავალი მოგზაურობისთვის; მაგალითად, სამთო ტურიზმში უპირველეს ყოვლისა საჭიროა ორგანიზმის ადაპტაცია მთებისთვის დამახასიათებელი დაბალი ატმოსფერული წნევისადმი, ჟანგბადის ნაკლებობისადმი, მზის მაღალი რადიაციისადმი და ა.შ. ამიტომ ტურისტების მიზანმიმართული აკლიმატიზაცია არის აგრეთვე უბედურ შემთხვევათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ღონისძიება. ფიზიკურ მომზადებაში იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი ორგანიზმის მდგრადობის ასამაღლებლად გარემოს არასასიამოვნო და უჩვეულო ფაქტორების, განსაკუთრებით კი სიცივის მიმართ; ორგანიზმის "გამონრობა" ხდება სპეციალური რეგულარული პროცედურებით.

"არაცივილიზებული" ტერიტორიების მონახულება დამატებით საშიშროებას ქმნის, რომელთა შესახებ ტურისტებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ცნობები. ცხელმა კლიმატმა შეიძლება არასასურველი ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ორგანიზმზე (ჭარბი ოფლის გამოყოფა, უძილობა, უმადობა და სხვა). ცხელმა კლიმატმა და მაღალმა ატმოსფერულმა წნევამ შეიძლება გამოიწვიოს გულსისხლძარღვოვანი სისტემის და ფილტვების დაავადებათა გართულება. ამიტომ ცხელ ქვეყნებში გამგზავრების წინ რეკომენდირებულია სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება იმ დაავადებათა გამოსავლენად, რომლებიც შეიძლება გართულდნენ ამ რეგიონში ყოფნისას. არ არის რეკომენდირებული ასეთ ქვეყნებში ორსული ქალების და ათწლამდე ასაკის ბავშვების მოგზაურობა.

ეკოლოგიური ტურის დამუშავებისას და მომზადებისას საჭიროა შემდეგი ცნობების შეკრება:

- ⇒ ტერიტორიის უსაფრთხოება, რომელიც განისაზღვრება ისეთი ბუნებრივი მოვლენების არსებობით, ან არ არსებობით, როგორცაა სეისმური საშიშროება, წყალდიდობის ალბათობა, მენყერის საშიშროება და სხვა;
- ⇒ რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობა;
- ⇒ კრიმინოგენული სიტუაცია;
- ⇒ რეგიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისათვის;
- ⇒ ტურიზმის შეთავაზებული სახეობის უსაფრთხოება.

რისკის ფაქტორები ბუნებაში. ბუნებაში ადამიანი შეიძლება ნააწყდეს რისკის რიგ ფაქტორებს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია :

ბუნების კატასტროფული მოვლენები (სტიქიური უბედურებები). დედამიწის განვითარების თანმხლები მოვლენებიდან მიწისძვრა ბუნებრივი ძალების გამოვლენის ყველაზე საშიში მოვლენაა. მიწისძვრას უწოდებენ დედამიწის ქერქის ნებისმიერ შერყევას, გამონვეულს დედამიწის ნიაღში მიმდინარე მოვლენებით.

ყოველწლიურად მსოფლიოში რეგისტრირდება რამდენიმე მილიონი მიწისძვრა, ამასთან ასზე მეტი მათგანი დამანგრეველია, ერთი კი – კატასტროფული. ძლიერი და ხშირი მიწისძვრები დამახასიათებელია წყნარი ოკეანის პერიფერიული ნაწილისათვის. სეისმოლოგიურ რაიონებს ეკუთვნიან აგრეთვე შუა ატლანტის ქედი. ყველაზე დიდი სეისმურობით ხასიათდება წყნარი ოკეანის სარტყელი, რომელზეც მოდის ძლიერი მიწისძვრების დაახლოებით 80 %.

წყნარი ოკეანის სეისმურ სარტყელზე მოდის აგრეთვე ზღვის ძვრები, რომლებიც ბადებენ ცუნამს (იაპონურად ცუნამი ზღვის ზვირთებია). ცუნამი შედგება ერთმანეთის მომდევნო ტალღათა სერიისაგან; ღია ოკეანეში ცუნამის გავრცელების სიჩქარე აღწევს 1000 კმ-ს საათში, სიგრძე – 100-300 კილომეტრს; აქ მათ არა აქვთ დიდი სიმაღლე და ამიტომ გემებისათვის შეუმჩნეველნი არიან; ნაპირთან ახლოს ცუნამის სიმაღლეს 5-10 მეტრია, ზოგჯერ კი – 20-30 მეტრი, მისი სიჩქარე კი კლდე-

ბულობს 30-70 კმ/სთ-მდე. ცუნამი უმძიმესი სტიქიური უბედურებაა, რომელიც დიდ ზარალს აყენებს სანაპირო რაიონებს.

ადამიანთა მსხვერპლის და მატერიალური ზარალის მიხედვით მიწისძვრის შემდეგ მეორე ადგილზეა **წყალდიდობა**, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მდინარეების ადიდებით, ქარბი და კოკისპირული ნალექების გავლენით.

მთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია **ღვარცოფი**. ჰიდროლოგიაში ღვარცოფის ქვეშ იგულისხმება წყალმოვარდნა მინერალური ნაწილაკების მაღალი კონცენტრაციით, ქვებით, მთის მინერალების ნატეხებით; ღვარცოფში მინერალური ნაწილაკები შეადგენენ ნაკადის მოცულობის 50-60%-ს. ღვარცოფის საშიშროება მდგომარეობს არა მარტო მის დამანგრეველ ძალაში, არამედ მოულოდნელობაშიც; ღვარცოფი ჩვეულებრივ გრძელდება 1-3 საათს.

კატასტროფული სიტუაციები შეიძლება აღიძვრნენ ტექნოლოგიური ავარიებით ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით (მაგალითად კაშხალის დანგრევა მიწისძვრის გამო).

გადახურება, სითბოს და მზის დარტყმები. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობენ სხვადასხვა ფიზიოლოგიური ცვლილებები, მათ რიცხვში გადახურება. გადახურებას ხელს უწყობს დიდი ფიზიკური დატვირთვა, სასმელი წყლის უკმარისობა და სხვა.

ადამიანის ხანგრძლივი ყოფნისას დაუცველი თავით მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ადგილი აქვს მზის დარტყმას; მისი სიმპტომებია: განწყობის გაუარესება, სიცხის შეგრძნება, კანის გაწითლება, ოფლის ძლიერი გამოყოფა, ძლიერი გულისცემა, თავბრუსხვევა, თავისტიკივილი, ზოგჯერ გულისრევა. თბური დარტყმის ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა გონების დაკარგვა, კრუნჩხვები, სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის დარღვევა.

მზის დარტყმის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია ქუდის ტარება, უკეთესია თეთრი ფერის; უნდა გადიდეს წყლის და მარილის დღე-ღამური რაციონი.

გადაცივება. ორგანიზმის გადაცივება ხდება დაბალი ტემპერატურის გავლენით. გადაცივების დროს დაშავებულს რაც შეიძლება სწრაფად ათბობენ, უკეთებენ სხეულის ფრთხილ მასაჟს, შეჰყავთ თბილ სათავსოში; კატეგორიულად

აკრძალულია დაშავებულისათვის სპირტიანი სასმელების მიცემა. გონების დაკარგვის და სუნთქვის შენელების შემთხვევაში, პულსის დაკარგვისას აუცილებელია რეანიმაციის ზომები; ნებისმიერი სიმძიმის მოყინვისას საჭიროა ექიმის დახმარება.

მთის დაავადება. არასრულფასოვანმა კვებამ და დასვენებამ, რომელიც წინ უსწრებდა მოგზაურობას, აკლიმატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მდგრადობის დადაბლება; დაავადება შეიძლება უეცრად გამოვლინდეს დიდი დაბულობის და ჟანგბადის "შიმშილის" პირობებში. დიდ სიმაღლეზე ყოფნის გაგრძელებისას ადგილი აქვს საქმელის მონელების დარღვევას, გულის რევას, სუნთქვის რითმის დარღვევას. მაღლა სვლის გაგრძელებისას დაავადება პროგრესირდება, რასაც შეიძლება მოჰყვეს ცხვირიდან სისხლის დენა, გონების დაკარგვა, კანის გალურჯება.

მთის დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა აკლიმატიზაცია: 14 დღიანი ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელი ადამიანისათვის საკმარისია ნაწილობრივი აკლიმატიზაციისათვის. მთის დაავადების ნიშნების გამოჩენისას ავადმყოფი უნდა განთავისუფლდეს ტვირთისგან, მოძრაობის ტემპი შენელდეს, გაკეთდეს შესვენება; ფილტვების ანთების ნიშნების შემთხვევაში სწრაფად უნდა იქნეს მიღებული ზომები 2000-2500 მეტრამდე დასაშვებად.

თოვლის სიბრმავე. თოვლის სიბრმავე აღიძვრება თვალის ღორწნოვანი გარსის და ბადურის მზისაგან დამწვრობის გამო, რაც გამოწვეულია თოვლის და ყინულისაგან არეკლილი მზის მკვეთრი ნათებით. თოვლის სიბრმავის დროს ადგილი აქვს ცრემლის დენას, თვალების გაწითლებას; მძიმე შემთხვევებში შესაძლოა მხედველობის დროებით დაკარგვა. თოვლის სიბრმავის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მზის სათვალით სარგებლობა, რომელიც შთანთქავს სინათლის 50-70 %-ს.

მოგზაურობისას **საშიშია ზვავში მოხვედრა, მტაცებელი და მხამიანი ცხოველები და სხვა.**

ცხელი კლიმატის ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებებია ქოლერა, შავი ჭირი, მალარია, ყვითელი ციება, მუცლის ტიფი, სპიდი, ლეიშმანიოზი და სხვა.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მოგზაურობა საზღვარგარეთ სულ უფრო მეტ რისკთანაა დაკავშირებული. არსებული მონაცემებით, ყოველი მეოთხე ტურისტის, გამგზავრებული ევროპიდან საზღვარგარეთ ან ავადდება, ანდა ვარდება ისეთ სიტუაციაში, საიდანაც გამოსვლა ხდება ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე. ამასთან ყველაზე მეტად რისკის ზონას წარმოადგენენ ტროპიკული ქვეყნები, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, სადაც სასტუმროები ხშირად ჯუნგლებითაა გარემოცული.

15.2. აკოლოგიური მოგზაურობის ეთიკა

ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურისტების მიერ ეთიკური ნორმების დაცვას. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სესიაზე 1985 წელს მიღებულ ტურიზმის ქარტიის VI სტატიის ნათქვამია:

1. ტურისტების ტრანზიტისა და დროებითი ყოფნის ადგილებში ადგილობრივ მოსახლეობას უფლება აქვს თავისი ბუნებრივი რესურსების თავისუფალი გამოყენების;
2. ადგილობრივ მოსახლეობას უფლება აქვს მოელოდეს ტურისტებისაგან მათი ჩვევების, რელიგიის და კულტურის სხვა მხარეებისადმი პატივისცემას;
3. ტურისტების მხრიდან გაგებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის აუცილებელია სათანადო ინფორმაციის გავრცელება:

⇒ ადგილობრივი მოსახლეობის ჩვევების, მისი ტრადიციული და რელიგიური მოღვაწეობის, ადგილობრივი აკრძალვების, წმინდა ადგილების და წმინდანების შესახებ, რომელთაც უნდა მოეპყრან პატივისცემით;

⇒ მათი მხატვრული, არქეოლოგიური და კულტურული ფასეულობების შესახებ, რომლებიც შენარჩუნებული უნდა იქნენ;

⇒ იმ ფაუნის, ფლორის და სხვა ბუნებრივი რესურსების შესახებ, რომლებიც შენარჩუნებული უნდა იყვნენ.

ეკოტურისტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ტრადიციები და

ჩვეულებები. ამისთვის საჭიროა ტურიზმის ორგანიზატორებმა წინასწარ შეაგროვონ ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობაზე, ეტიკეტის წესებზე, ტრადიციებზე, რელიგიაზე, რწმენაზე და ა.შ. და მიიტანონ ეს ინფორმაცია ტურისტებამდე.

ტურიზმის საერთაშორისო საბჭოს მიერ დამუშავებულია მესამე სამყაროს ქვეყნებში მოქცევის შემდეგი წესები:

- მოგზაურობის დროს გამოიჩინეთ თავმდაბლობა და გულწრფელი სურვილი, გაეცნოთ და ესაუბროთ ადგილობრივ მოსახლეობას;

- შეეცადეთ გაიგოთ სხვა ადამიანების გრძნობები, მოერიდეთ ისეთ ქცევებს, რომელიც მათ ტკივილს მიაყენებს, ან გააღიზიანებს; ამის შესახებ იფიქრეთ ფოტოგრაფირების დროსაც;

- გამოიმუშავეთ ჩვევა მოუსმინოთ და თვალყური ადევნოთ მოსაუბრეს;

- მხედველობაში იქონიეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებები და წარმოდგენები შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი შეხედულებების და წარმოდგენისაგან, გახსოვდეთ, რომ ისინი არ არიან პრიმიტიულნი, ისინი განსხვავებული არიან;

- გაიაზრეთ, თქვენთვის უჩვეულო ცხოვრების და ყოფისადმი თვალყურის დევნება რამდენად უფრო შინაარსიანია, ვიდრე ტურისტულ პროსპექტებში წარმოდგენილი "პლაჟის სამოთხისადმი" გაცნობა;

- გაეცანით ადგილობრივ ჩვევებს, გამოიჩინეთ დელიკატურობა მათი შეფასებისას; ადგილობრივ მოსახლეობას გაეხარდება დაგეხმარონ თქვენ;

- მიიჩვიეთ კითხვების მიცემას და არ მოახდინოთ ამ კითხვებზე პასუხების ცოდნის დემონსტრირება;

- გახსოვდეთ, რომ თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ ათასობით ტურისტისაგან, რომლებიც სტუმრობენ ამ ადგილებს; ამიტომ ნუ ელით თქვენდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას;

- განკარგეთ თქვენი ფული წინდახედულად; გახსოვდეთ, რომ დაბალი ფასები ადგილობრივ საქონელზე არის მათი მწარმოებლების დაბალი ხელფასის შედეგი;

- ადგილობრივ მოსახლეობას ნუ მისცემთ შეპირებებს, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ მათ შეასრულებთ;
- გამონახეთ დრო ყოველი გავლილი დღის განსჯისათვის; როცა ისწრაფვით გაიგოთ მეტი, გახსოვდეთ, რომ ის რაც ამდიდრებს ერთს, მან შეიძლება ზიანი მოუტანოს სხვებს.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, **ეკოლოგიური ტურიზმი** სუვენირების შექმნისას ურჩევს ტურისტებს:

- არ იყიდოთ იშვიათი ფრინველების ბუმბულით შემკობილი სუვენირები;
- პეპლების კოლექციის ნაცვლად იყიდეთ ქსოვილზე მათი ამოქარგული გამოსახულებები;
- არ იყიდოთ სუვენირები, გაკეთებული იშვიათი ცხოველების ძვლებისაგან;
- გახსოვდეთ, რომ ადგილობრივი ხელოსნებისაგან დაზადებული ქსოვილები და ქურჭელი არ წარმოადგენს ეთნოგრაფიულ ღირებულებას, პეპლების კოლექცია კი მომზადებული ადგილობრივი ხელმარჯვე ოსტატების მიერ ქიმიური კონსერვაციის წესების დაუცველად, შეიძლება მალე განადგურდეს მავნებლებისაგან.

საკონტროლო კითხვები:

1. რაზეა დამოკიდებული ეკოტურისტული მოგზაურობის უსაფრთხოება?
2. რა აუცილებელი ცნობები უნდა მომზადდეს ეკოლოგიური ტურის დამუშავებისას?
3. რისკის რომელ ფაქტორებს შეიძლება წააწყდეს ეკოტურისტი მოგზაურობისას?
4. რაში მდგომარეობს გადახურება და მზის დარტყმა და რა ღონისძიებებითაა შესაძლებელი მათი თავიდან აცილება?
5. რა არის "თოვლის სიბრმავე" და როგორ ავიცილოთ ის თავიდან?
6. რაში მდგომარეობს ორგანიზმის გადაცივება და რა დახმარება შეიძლება აღმოუჩინოთ დაზარალებულს?
7. რა არის "მთის დაავადება" და როგორ ავიცილოთ ის თავიდან?

8. რაში მდგომარეობს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სესიაზე 1985 წელს მიღებული ტურიზმის ქარტიის VI სტატია?
9. რაში მდგომარეობს ტურიზმის საერთაშორისო საბჭოს მიერ რეკომენდირებული მესამე სამყაროს ქვეყნებში მოგზაურობის წესები?

დავლება დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად

შეაფასეთ თქვენთვის ცნობილი ტურისტული ბიუროს პერსონალის საქმიანობა, ცოდნა და შესაძლებლობები, სურვილი და ხერხები ტურისტთა უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი ეკოსისტემების შემდგომი დეგრადაცია ხელს უწყობს ბიოსფეროს დესტაბილიზაციას, მის მიერ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მთლიანობის და ჰომეოსტაზის უნარის დაკარგვას. ეკოლოგიური კრიზისის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებათა ახალი ტიპის ფორმირების საფუძველზე.

ეკოლოგიური ტურიზმი არის ბუნებაში დასვენების ორგანიზების თანამედროვე ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამოუწურავ ბუნებათსარგებლობას და ბუნებრივი ტერიტორიების მდგრად განვითარებას.

დასვენების ეკოლოგიურად და ეკონომიკურად შემონმებული ორგანიზება, რასაც ადგილი აქვს ეკოლოგიურ ტურიზმში, უზრუნველყოფს ბუნების უკეთ შენარჩუნებას, ვიდრე სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეები, ანდა რეკრეაციაზე მკაცრი აკრძალვები. ეკოტურისტები შეუცნობელი ტერიტორიების მოყვარული ხალხია, რომლებიც არ უყენებენ მაღალ მოთხოვნებს ტურისტულ სერვისს.

ეკოლოგიური და ეკონომიკური სარგებლობა, რომელსაც იღებს მსოფლიო ეკოტურიზმისაგან, უზარმაზარია. ეს არის ტერიტორიების ეკოლოგიური მდგრადობის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა რეკრეაციაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, მათი ცხოვრების დონის ამაღლება და სოციალური დაძაბულობის დონის დადაბლება.

ეკოტურიზმის ამოცანების გადაჭრაში და მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ამაღლებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მონაწილეობენ ეკოტურიზმის პროგრამების ორგანიზაციასა და რეალიზაციაში. ცხადია, რომ ამ პროფილის სპეციალისტებში შეთანწყობილი უნდა იყოს მმართველობითი და ეკოლოგიური ცოდნა; მათ უნდა შეეძლოთ ტურისტული ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებში და მათი ცვლილების ტენდენციებში ორიენტირება; უნდა იცნობდნენ ბუნების დაცვის და დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ეკოლოგიური ტურიზმის ორგანიზების თეორიასა და პრაქტიკას. მენეჯერ-ეკოლოგებში უნდა შეთანწყობილი იყოს

ეკონომიკური, მმართველობითი და ეკოლოგიური ცოდნა, რაც აუცილებელია ბუნების ტურისტული მიზნებისათვის გამოყენებით მიღებულ სარგებლიანობასა და რეკრეაციული ტერიტორიების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის ბალანსის დაცვისათვის. ტურისტული ინდუსტრიის მოთხოვნა ტურისტული საქმიანობისათვის სპეციალურად მომზადებულ ეკოლოგებზე სულ უფრო იზრდება.

ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გადამონმებული რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა ხელს შეუწყობს არა მარტო ტურისტთა შემომავალი ნაკადების სტიმულირებას და რეგიონების კეთილდღეობის ამაღლებას, არამედ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ალხანაშვილი ნ. ეკოლოგიის საფუძვლები. თბ., 2004
- ალხანაშვილი ნ. ეკოლოგიური ტურიზმი. ლექციების კურსი. თბ., 2006
- ბარკალაია ბ. ეკოტურიზმი და მოსახლეობა. თბ., 2000
- ბირუაკოვი მ. ტურიზმის თეორია. მთარგმნ. მ. მეტრეველი. თბილისი, 2004
- გოცირიძე მ, მელაძე მ. შესავალი სპეციალობაში. ლექციების კურსი ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის, თსუ, თბილისი, 2003
- ეკონომიკური პალიტრა. სათავგადასავლო ტურიზმი იმერეთის უნიკალურ მღვიმეებში.
- კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი. თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009
- კვარაცხელია ნ., ალხანაშვილი ნ. სათავგადასავლო ტურიზმი. ლექციების კურსი, თბილისი, 2008
- კოჭლამაზაშვილი ლ., თევდორაძე ს. მარკეტინგი ტურიზმში. თბ., 2009
- კახეთი. ვაშლოვანის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები. სახელმძღვანელო ცნობარი ტურისტებისთვის, თბ. 2007
- მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა. თბ. 2004
- მეტრეველი მ. ტურიზმი. თბ. 2003
- მეტრეველი მ. ტურიზმის და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბ. 2008
- საქართველოს დაცული ტერიტორიები. "ნიგნის სახელოსნო". თბ., 2007
- "საქართველოში ტურიზმის განვითარების კონცეფცია და სამოქმედო პროგრამა". საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2001.
- საქართველოს საკანონმდებლო აქტები, 1999. ტურიზმი და კურორტები.
- ტუროპერეტივინგი – საქმიანობის ორგანიზაცია. პირველი ნაწილი – ტუროპერეტივინგის საფუძვლები, თბილისი, 2006წ.
- უკლება მ. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. შეფასება, ტრანსფორმაცია. თბ., პოლიგრაფიული ფირმა "ბასიანი", 2009.
- უკლება მ. საერთაშორისო ტურიზმი. თბილისი, პოლიგრაფიული ფირმა "ბასიანი", 2009.
- შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბ., 2004
- Александрова А.Ю.Международный туризм. М., Аспект.пресс. 2004

- Биржаков М.Б.Введение в туризм. Санкт-Петербург, издательство "Невский фонд", "Издательский дом Герда", 2008.
- Егоренков Л.И. Экология туризма и сервиса. М, »Финансы и статистика», 2003
- Зорин И.В., Квартальнов В.А. Энциклопедия туризма, М., «Финансы и статистика», 2003
- Ильина Л.А.Туристское природопользование. Издательский центр «Академия».М., 2009
- Квартальнов В.А.Туризм. М., «Финансы и статистика», 1998
- Квартальнов В.А. Иностраный туризм. М., «Финансы и статистика», 2001
- Квартальнов В.А. Теория и практика туризма. М., «Финансы и статистика», 2003
- Копанев А.Ц. Туроперейтинг. БГЭУ. Минск, 2000
- Кусков А.С. Туристское ресурсоведение. Издательский центр «Академия».М., 2008
- Сенин В.С. Организация международного туризма. «Финансы и статистика», 2004
- Сергеева Т.К. Экологический туризм, М, »Финансы и статистика», 2004
- Уокер Дж. Введение в гостеприимство (пер. с англ.). Учебник. М 2002
- Храбовченко В.В. Экологический туризм. М, »Финансы и статистика», 2004
- Яцек Качмарек, Анжей Стасяк, Богдан Влоуфчик. Туристический продукт, М., «Юнити» . 2008.
- [www. world-tourizm. org/](http://www.world-tourizm.org/) Туризм-сектор экономики, который вновь доказал свою устойчивость (Мадрид, 18 июня, 2002)
- [www. world-tourizm. org](http://www.world-tourizm.org/) /Мировой туризм в 2002 году-лучше, чем ожидалось, (Мадрид, 27 января, 2003)
- [www. world-tourizm. org](http://www.world-tourizm.org/) / First WTO Tourism Barometer steadily improving conditions for international tourism (Madrid, 24 June, 2003).
- <http://www.tourizm.gov.ge>
- <http://www.garemo.itdc.ge>
- <http://www.georgia.comnat.unesco.org>

ნაზი ალხანაშვილი
ეკოლოგიური ტურიზმი

თბილისი
2012



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge